ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მადონა როგავაძე

# სოლომონ პირველის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის იმერეთის სამეფოში

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2005

უაკ (UDC) 947.922
h 712

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით

ნარკვევი ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ეხება. პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს ხელახალი გაერთიანება და სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა ათეული წლების მანძილზე ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრშია. საგანგებოდ შეისწავლება იმ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრება, რომლებიც თავდადებით ცდილობდნენ ქვეყნის მთლიანობის აღდგენას. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სათავეში ედგა დასავლეთ საქართველოს პროგრესულ ძალებს და მიისწრაფვოდა მათზე დაყრდნობით, დაეძლია ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ერთიანი დასავლურ-ქართული სამეფო აღედგინა. ამით შემზადდებოდა პირობები სრულიად საქართველოს გაერთიანებისათვის.

ნაშრომი თავის დროზე წარმატებით იქნა დაცული, როგორც საკანდიდატო დისერტაცია, ახლა კი მონოგრაფიის სახით ქვეყნდება. იგი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორები: თამაზ ბერაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პეტრე ვაშრიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

რეცენზენტები: ძახაბერ ძახაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ზურაბ დათუაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ელდარ თავგერიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ISBN 99940-849-2-5

## რედაქტორის წინათქმა

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთი საკვანძო საკითხის მონოგრაფიული შესწავლის საკმაოდ წარმატებულ ცდას. სოლომონ პირველის მეფობის წლები ხომ შუა საუკუნეებრივი ანარქიიდან იმერეთის სამეფოსა და მთელი დასავლეთ საქართველოს გამოყვანისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განვითარების ხანა იყო.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ თანამედროვე ეპოქაში, დეცენტრალიზმისა და სეპარატიზმის მოძალების პირობებში, როცა დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა, ცენტრალური ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიული გამოცდილების შესწავლას აქვს არა მარტო მეცნიერულ-შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სეპარატიზმი, ქვეყნის ერთიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის ეყრდნობა რეაქციულ საგარეო ძალებს.

სოლონ პირველს გაცილებით რთულ პირობებში უხდებოდა მეფობა, ვიდრე მის დიდ თანამედროვეს—ერეკლე მეორეს, რადგან პოლიტიკური დანაწევრება დასავლეთ საქართველოში უფრო ღრმა იყო, ვიდრე აღმოსავლეთში. აქ, დროდადრო, მთავრები იმერეთის მეფეებს (მაგალითად ლევან მეორე დადიანი) ტახტსაც კი ეცილებოდნენ.

სოლომონ პირველის შორსმჭვრეტელური და ენერგიული პოლიტიკის შედეგად მოხერხდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საკითხი პრაქტიკულად დასმულიყო. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ ასეთი ინიციატივა სწორედ დასავლეთ საქართველოდან, იმერეთიდან წამოვიდა. ეს იყო სოლომონ პირველის, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, გამაერთიანებელი პოლიტიკის უშუალო შედეგი. ნაშრომიც სწორედ ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

სოლომონ პირველის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ მის მიერ გატარებული ღონისძიებანი სამეფო ხელისუფლების გან-

მტკიცების მიზნით, სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა, ნაშრომი ამ პრობლემის შესწავლის პირველი ცდაა.

ავტორის მიზანს წარმოადგენს აჩვენოს იმერეთის მეფის მრავალმხრივი საქმიანობის ერთი კონკრეტული ასპექტი—კერძოდ, ბრძოლა ურჩი თავადური საგვარეულოების წინააღმდეგ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ნაშრომი ეფუძნება ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას. შესავალში ვრცლად და კვალიფიციურად არის დახასიათებული პრობლემის გარშემო არსებული წყაროები და ლიტერატურა, მოცემულია თითოეული წყაროს, თითოეული მეცნიერული გამოკვლევის პროფესიული ანალიზი, ნაჩვენებია მათი მნიშვნელობა საკვლევი პრობლემის შესწავლის საქმეში. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თითქმის არ დარჩენილა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომი, რომელსაც ავტორი არ შეხებოდეს.

ნაშრომში უხვადაა გამოყენებული თბილისის ცენტრალური საისტორიო არქივის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის და ქუთაისის სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცული ვრცელი მასალები. ავტორს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ბევრი დღემდე გამოუქვეყნებელი საისტორიო მასალა და ზოგიერთი, დღეისათვის უკვე ცნობილი საბუთიც სრულიად ახლებურად აქვს წაკითხული და გაანალიზებული. ავტორი ახლებურად განიხილავს განდგომილი ფეოდალების—როსტომ რაჭის ერისთავის, მამია IV გურიელის, ლევან აბაშიძის, კაცია დადიანის განცალკევებისაკენ მიმართულ საქმიანობებს, ამავე მიმართულებით საფუძვლიანადაა შესწავლილი 1778 წლის შეთქმულების არსი. ცალკე განხილული იმერეთის სამეფო ხელისუფლების ურთიერთობები რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებთან, სადაც ავტორს მოხმობილი აქვს დიდძალი საისტორია მასალა და ლიტერატურა.

მადონა რობაქიძის ნაშრომი „სოლომონ პირველის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის იმერეთის სამეფოში" საინტერესო მონოგრაფიაა, რომელიც თავის ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს ისტორიოგრაფიაში და ხელს შეუწყობს იმერეთის სამეფოს ისტორიის შემდგომ შესწავლას.

ვუძღვნი მასწავლებლის, პროფესორ დერმიშა გოგოლაძის ნათელ ხსოვნას

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა. სოლომონ პირველის პიროვნება, მისი ღვაწლი სამშობლოსა და ხალხის წინაშე, დამსახურებულად იპყრობს ქართველ ისტორიკოსთა ყურადღებას. ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამაჯერებლადაა წარმოჩენილი იმერეთის მეფის, „მეორე აღმაშენებლად“ წოდებულის საქმიანობა. მართალია, ამ კუთხით, რიგი საკითხებისა შესწავლილია, მაგრამ უმეტესობა ჯერჯერობით არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი და დაწვრილებით გაშუქებას საჭიროებს. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის საკითხები, რომლებიც ეხება სოლომონ I ბრძოლას სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

დასავლეთ საქართველოს ისტორიის ეს უაღრესად მძიმე პერიოდი მრავალი ტრაგიკული მოვლენითაა დატვირთული. დაქუცმაცებული, დანაწევრებული ქვეყანა, მუდმივი შინაფეოდალური ომები, სათავადოთა შორის განუწყვეტელი შუღლი და მტრობა, სწრაფვა განკერძოებულობისკენ, თურქ-ოსმალთა აგრესია და ბატონობა, ყველაფერი ეს ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების დასუსტებას.

სოლომონ პირველი ენერგიულად შეუდგა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმერეთის სამეფოში შემავალ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობის მოგვარებას. ყურადღებას იმსახურებს სოლომონ პირველის ღონისძიებანი სამეფო ხელისუფლების გასამტკიცებლად. მათი შესწავლა და გაანალიზება განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, რადგან ყველა ეპოქაში ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების შექმნაა. თანამედროვე სეპარტიზმის დასაძლევად დიდი მნიშველობა ენიჭება თავადურ რეაქციასა და სეპარატიზმთან სოლომონ პირველის ბრძოლის გამოცდილების შესწავლას, გაანალიზებასა და პრაქტიკულად გამოყენებას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წარმომადგენლებთან ერთად, ხმა აღიმაღლა „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ და სათანადო ღონისძიებებიც გატარდა მის აღსაკვეთად.

თემის აქტუალობა იმაშიც მდგომარეობას, რომ მასში ყურადღებაა გამახვილებული აღნიშნული პრობლემის მთელ სიმწვავეზე წარსულში და ხაზგასმულია - „ტყვეთა სყიდვის“ გათანამედროვებული ფორმის, XXI საუკუნის ახალი სოციალური სენის - ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. ამასთან ერთად დასავლეთ საქართველოს გაერთიანების, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და აგრესიული სეპარატიზმის წინააღმდეგ სოლომონ პირველის ენერგიული ბრძოლის ისტორიის შესწავლას, საქართველოში არსებული თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით, აქვს არა მარტო მეცნიერულ-შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ჩვენის აზრით, მეტად საყურადღებოა იმერეთის მეფის ბრძოლა და სამეფოში გატარებული ღონისძიებები ქრისტიანული მრწამსის შესანარჩუნებლად, რომელიც ქართული სახელწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე ქვეყნის და ეროვნულობის გადარჩენას ნიშნავდა. ეს საკითხი აქტუალურია დღესაც, როცა ასეა მომრავლებული რელიგიური სექტები, რომლებიც საშიშროებას უქმნიან ჩვენს საუკუნეობრივ პროგრესულ რწმენას და პრობლემებს - ტრადიციულ მართლმადიდებლურ ეკლესიას საქართველოში.

<u>კვლევის მიზანი და ამოცანები.</u> ნაშრომში მიზნად დავისახეთ მთლიანობაში შეგვესწავლა სოლომონ პირველის მიერ სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით საშინაო და საგარეო პოლიტიკაში გატარებული ღონისძიებების არსი და მნიშვნელობა. გაგვეანალიზებინა ისინი და გამოგვეტანა სათანადო დასკვნები, ობიექტურად წარმოგვეჩინა მეფე-მთავართა შორის არსებული ურთიერთობა და დაპირისპირებულობა, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები ქვეყნის გამთლიანებისა და გარეშე მტერთან ბრძოლის საქმეში. შევეცადეთ გვეჩვენებინა სოლომონ პირველის ღვაწლი და დამსახურება სამშობლოსა და ხალხის წინაშე იმერეთის სამეფოს წინამორბედ მეფეებთან შედარებით.

<u>კვლევის მეთოდი.</u> მოძიებული მასალის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით განხილვა და ამის შედეგად XVIII საუკუნის მეორე ნახევრის (1752-1784 წწ) იმერეთის სამეფო ხელისუფლების საერთო სურათის აღდგენა.

<u>მეცნიერული სიახლე.</u> სადისერტაციო ნაშრომი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოში სეპარატისტულად განწყობილ სამთავრო-საერისთავოებთან იმერეთის სამეფოს ბრძოლის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა.

ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული და წარმოდგენილი განდგომილი ფეოდალების (როსტომ რაჭის ერისთავის, მამია IV გურიელის, გიორგი V გურიელის, ლევან აბაშიძის, კაცია დადიანის) ბრძოლა განკერძოებულობისაკენ. ნაჩვენებია ცალკეულ სამთავროთა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების, ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან, კერძოდ, სოლომონ პირველთან, გაშუქებულია 1778 წლის შეთქმულების არსი და მნიშვნელობა, დაზუსტებულია რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიებთან იმერეთის სამეფოს ურთიერთობის არაერთი ფაქტი. ამ საკითხთან დაკავშირებული რიგი დოკუმენტები პირველადაა შეტანილი სამეცნიერო ბრუნვაში.

<u>დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.</u>

საკვალიფიკაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად გავაშუქოთ იმერეთის სამეფოს ისტორია სოლომონ I-ის მეფობის პერიოდში, ვაჩვენოთ ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლა სამთავროთა და საერისთაო-სათავადო სეპარატიზმის წინააღმდეგ.

გამოკვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის, მათ შორის სახელმძღვანელოების შექმნისას. აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სამთავროების ისტორიის ზოგადი სურათის წარმოსაჩენად უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის ზოგადი და სპეციალური კურსების სწავლებისას.

<u>ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.</u> ნაშრომი შედგება 150 ნაბეჭდი გვერდისაგან. შეიცავს შესავალს, ხუთ თავს, ძირითად დასკვნებს. ერთვის გამოყენებული საისტორიო წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ლიტერატურის სია.

# წყაროები და ლიტერატურა

წყაროები:

ა) გამოქვეყნებული XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართული დოკუმენტების იმ კრებულებში, რომელთა გამოცემა XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაიწყო და მეტ-ნაკლები ინტენსივობით დღემდე გრძელდება. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: დ. ფურცელაძის, ა. ხახანაშვილის, ა. ცაგარელის, თ. ჟორდანიას, ექვთ. თაყაიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, ვ. მაჭარაძის, შ. ბურჯანაძის, ჯ. ოდიშელის, ო. სოსელიას, შ. ლომსაძის და სხვათა პუბლიკაციები. ჩვენთვის საინტერესო ეპოქის იმერეთის სამეფოზე საყურადღებო მასალების შემცველია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები. დასახელებული გამოცემებიდან დ. ფურცელაძის,[1] ა. ხახანაშვილის,[2] ა. ცაგარელის[3]... მიერ შეკრებილი დოკუმენტები, დასავლეთ საქართველოს, კონკრეტულად, იმერეთის ისტორიისათვის, ზოგადი ხასიათისაა. მათგან განსხვავებით XVIII საუკუნის იმერეთზე მდიდარი მასალებია თ. ჟორდანიას ცნობილ „ქრონიკებში“, განსაკუთრებით მესამე წიგნში, რომელიც ქრონოლოგიურად 1700-დან XIX საუკუნის 60-იან წლებს მოიცავს“.[4] აქ წარმოდგენილია დოკუმენტები არა მარტო XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთზე საერთოდ, არამედ სოლომონ პირველის საშინაო პოლიტიკაზე, მის ბრძოლაზე სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა, აგრეთვე, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები სამ ტომად „საქართველოს სიძველენის“ სახელწოდებით,[5] სახელდობრ, მესამე ტომი, რომელშიაც დაბეჭდილია რამდენიმე საბუთი სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორის ურთიერთობის შესახებ.

იმერეთში ბატონყმური ურთიერთობის დასახასიათებლად სათანადო ცნობების ამოკრება შეიძლება ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული კრებულიდან „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“ (ბატონყმური ურთიერთობა XV-XVIII სს).[6] იმერეთის სამეფოს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკური მოვლენების დათარიღების დროს დიდ დახმარებას გვიწევს ჯ. ოდიშე-

ლის „მცირე ქრონიკები“[7], რომელიც წარმოადგენს კინკლოსების (აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მობილური საეკლესიო დღესასწაულების და საანგარიშებელი ციკლური ცხრილების) ისტორიული მინაწერების კრიტიკულ გამოცემას კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ყველა ნუსხის მიხედვით.

ცალკე უნდა გამოვყოთ დასავლეთ საქართველოს, საკუთრივ, იმერეთის ისტორიის შესახებ ქართული წერილობითი წყაროების გამოცემები. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ს. კაკაბაძის დამსახურება. მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმერეთის ისტორიის საკითხების კვლევას. ს. კაკაბაძის მრავალრიცხოვანმა პუბლიკაციებმა და გამოკვლევებმა სათანადო წვლილი შეიტანეს ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით მისი წყაროთმცოდნეობითი და ფაქტობრივი საფუძვლების თანამედროვე დონეზე გააზრებაში. ს. კაკაბაძის პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით შეიძლება დავასახელოთ: საეკლესიო რეფორმისათვის სოლომონ I-ის დროს (ტფ. 1913) ისტორიული საბუთების წიგნი I-II-III, (ტფ. 1913), საცაგერლოს გამოსავლის დავთარი (ტფ. 1914). აქ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი ცნობები: იმერეთის მეფის დიდი სოლომონ I-ის მატიანე, შედგენილი ნიკოლოზ დადიანის ძის მიერ, გვ. 80-89; სიგელი იმერთა მეფის სოლომონ II-ისა 1805 წლისა ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისადმი, გვ. 90-94; დიდი სოლომონ I-ის გამეფების თარიღი, გვ. 95-98; დოკუმენტი იმერთა მეფის სოლომონ II-ის სიკვდილის შესახებ, გვ. 99-102.

წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ (ტფ. 1914 წ.) „შტუდიებიდან“ ჩვენი საკვლევი თემისათვის საყურადღებო მასალებია მოცემული ნარკვევში „აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი სოლომონ პირველის დროს, „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი (ტფ. 1914) და სხვ.

ს. კაკაბაძის პუბლიკაციებიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მასალებია დაცული „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების“ ორტომეულში (ტფ. 1921, 1922). ეს საბუთები, „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთართან ერთად, როგორც მკვლევარი წერდა, დაცული ყოფილა ქუთაისის საქალაქო არქივის სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს ფონდში.[8]

1909 წელს ს. კაკაბაძემ ისინი გადმოწერა (ზოგიერთი მათგანი შემოკლებით, შესავლების გარეშე), შეავსო პეტერბურგის სააზიო მუზეუმის აკად. მ. ბროსეს ფონდში დაცული მასალებით და გამოსცა, როგორც უკვე აღინიშნა, ორ ტომად.[9]

იმერეთის ისტორიის შესახებ წერილობითი წყაროების გამოქვეყნებისა და მისი ისტორიის, ძირითადად XVIIIს. მეორე ნახევარი - XIX ს. პირველი ათწლეული, შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი შ. ბურჯანაძეს. მან გამოსცა „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა“ (1465-1770), წ. I და „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, ისტორიული დოკუმენტები, წ. I, იმერეთის პოლიტიკური საბუთები (1784-1810 წწ), რომლებშიაც ყველაზე მდიდარი მასალებია თავმოყრილი XVIII ს. მეორე ნახევრის იმერეთის ისტორიის შესახებ. მანვე მაღალმეცნიერულ დონეზე გამოსცა ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრება“, რომელშიც დიდი ადგილი უჭირავს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის ისტორიას[10].

1960 წელს დაიბეჭდა დასავლეთ საქართველოს ისტორიის ერთერთი თვალსაჩინო მკვლევარის ო. სოსელიას „მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში“ (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე)[11], რომელშიაც ბევრი საყურადღებო ცნობაა სოლომონ პირველის საშინაო პოლიტიკის დასახასიათებლად.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის ისტორიაზე არსებული თხრობითი, ნარატიული წყაროებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრება“, კონკრეტულად მისი მეორე ნაწილის (წიგნის) ბოლო და მესამე ნაწილი[12]. როგორც შ. ბურჯანაძე აღნიშნავს, ეს არის ნ. დადიანის თხზულების ორიგინალური ნაწილი, რომელიც 1749-1823 წლების ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ ისტორიას ეხება[13]. აქ აღებულია ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდი, როგორიცაა XVIII ს. მეორე ნახევარი. ამ დროს ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხა შეიმჩნევა უკეთესობისაკენ. სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორის ხელისუფლება გაძლიერდა და წამოიწია ეროვნული ერთობის მოძრაობამაც: აილაგმნენ გამთიშველი თავადები, გაბშირდა სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა სოლომონ პირველსა და ერეკლე მეორეს შორის.

ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არც ერთი

თხრობითი წყარო არ მოგვეპოვება. ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“ 1740 წლამდეა მოტანილი. შემდეგი დროის თავგადასავალი ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ცხოვრებისა აღარავის დაუწერია, გარდა ნ. დადიანისა, რომელმაც თავისი „ქართველთ ცხოვრების“ მესამე ნაწილის სახით დაგვიტოვა გაგრძელება ლიხთ-იმერეთის ისტორიისა 1740 წლიდან 1820 წლამდე.

ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ ორიგინალური ნაწილი იწყება „სოლომონ პირველის მეფობით“. იგი წარმოადგენს შემოკლებულ მიმოხილვას ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ისტორიისა სოლომონ პირველის მეფობის ხანაში. მიუხედავად ამისა, რაც მოთხრობილია „სოლომონ პირველის მეფობაში“ ნ. დადიანის მიერ, - ხაზგასმით აღნიშნავს შ. ბურჯანაძე - წარმოადგენს შედარებით კონკრეტულ და მართალ ცნობებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია: ხრესილის, რუხისა და ჩაქვის ომები, სოლომონ პირველის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ, როსტომ რაჭის ერისთავის განადგურება, სოლომონ პირველის გარდაცვალება და სხვ[14]. ამის გამო ნ. დადიანის შრომას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიერ საკვლევად აღებული პრობლემების შესწავლის საქმეში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისეთი მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო, როგორიცაა ახალციხელი ხუცესის იოანე ხოჯავათის დღიური - ქრონიკა, რომელიც პირველად 1979 წელს გამოსცა შ. ლომსაძემ[15]. როგორც ირკვევა, ქრონიკის ავტორი თავისი დროის ფრიად განათლებული პიროვნება ყოფილა. მან ქართულის გარდა იცოდა ლათინური, იტალიური, ფრანგული და სომხური ენები. იგი, როგორც სხვა ახალციხელი ქართველი კათოლიკენი, სომხურ-კათოლიკური რწმენის აღმსარებელი იყო. 1767-1777 წლებში ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც მეფე სოლომონის კეთილგანწყობით სარგებლობდა. ბუნებრივია, ნაშრომში ის ქრონოლოგიური სიზუსტით გადმოგვცემდა აღნიშნული მონაკვეთის იმერეთის სამეფოს ისტორიას. 1777 წლის აპრილში, სომეხი ვართაპეტის დაბეზღების საფუძველზე მეფემ იოანე შერისხა, ღვთისმსახურება აუკრძალა და დაითხოვა. სიცოცხლის დარჩენილი წლები მან ისევ ახალციხის საფაშოში გაატარა[16].

იოანე ხუცესს მდიდარი ხელნაწერი მემკვიდრეობა დარჩა. მათ შორის კი უმთავრესია დღიური-ქრონიკა, რომელშიც დაწვრილებითაა აღნუსხული ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობები, ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბის მოვლენები 1763 წლის იანვრიდან 1809 წლის მაისამდე, ე.ი. 46 წლისა და ხუთი თვის

განმავლობაში მიმდინარე ამბები (გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღიურს აკლია საწყისი ნაწილი). მოვლენები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დღიური შეიცავს უნიკალურ ცნობებს არა მარტო პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მასალები იმერეთის სამეფოს ურთიერთობების ახალციხის საფაშოსა და ოსმალეთის შიდა პროვინციებთან, სხვადასხვა ყოფითი ხასიათის ინფორმაცია და ა.შ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ქრონიკების შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გვიანი შუასაუკუნეებისათვის უფრო მნიშვნელოვანი ამ ხასიათის ნაწარმოების არ მოგვეპოვება[17].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის იმერეთის პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის თავგადასავალი, რომელიც თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა ჟურნალ „მოამბეში“ (1900 წ. №5) სათაურით „თავგადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილიშვილის ბატონიშვილის გიორგისა“. ნაწარმოების ზუსტი სახელწოდებაა „შემთხვევანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგი ალექსანდრის ძისა“. ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ბატონიშვილი გიორგი სოლომონ პირველის ვაჟის, ალექსანდრეს, უკანონო ძე იყო, მამის გარდაცვალების დროს მცირეწლოვანი დარჩა და მას სოლომონ მეფე ზრდიდა. სახელოვანი ბაბუის გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილი გიორგი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. სოლომონ მეორემ, იგი თავის მეტოქედ ჩათვალა, შეიპყრო და მუხურის ციხეში გამოკეტა. გიორგი ბატონიშვილმა რუსების დახმარებით მოახერხა გაქცევა, პეტერბურგს წავიდა, სადაც ნაადრევად გარდაიცვალა[18].

გიორგი ბატონიშვილის „თავგადასავალში...“ ავტორი მოგვითხრობს სოლომონ პირველის დამოკიდებულებაზე მისდამი, იმერეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, მოცემული აქვს სოლომონ პირველთან დაახლოებული ცალკეული დიდებულების დახასიათება.

უცხოური წყაროებიდან ყველაზე მდიდარი მასალები ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე რუსულ და თურქულ ენებზეა დაცული. ეს სავსებით გასაგებია. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ეს ორი სახელმწიფო მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაბატონებისათვის. ცხადია, გაიზარდა რუსეთის ცარიზმის ინტერესი საქართველოსადმი საერთოდ, და დასავლეთ საქართველოს მიმართ განსაკუთრებით.

რუსული წყაროების დახასიათებისას პირველ რიგში კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ გამოცემულ „აქტებს“ უნდა მივმართოთ. კომისიამ XIX ს. 60-იან წლებში დაიწყო იმ დოკუმენტების პუბლიკაცია, რომლებშიც ძირითადად ასახული იყო რუსეთის სამხრეთული, კონკრეტულად კავკასიური, პოლიტიკა. 1866-1904 წლებში გამოქვეყნდა თორმეტი უზარმაზარი ტომი[19]. მათში შესული მასალები სპეციალური გაცხრილვის შედეგად იქნა შერჩეული, რადგან გამოცემის დანიშნულება იყო ცარიზმის კოლონიური სისტემის გამართლება კავკასიაში[20].

„აქტებში“ შესული დოკუმენტების დიდი ნაწილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს ეხება. განსაკუთრებით ვრცლადაა წარმოდგენილი ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოთა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის, რუსეთის კავკასიური ომებისა და სხვ. მასთან დაკავშირებული საკითხები.

„აქტები“ უნიკალურ გამოცემას წარმოადგენს და უაღრესად მნიშვნელოვანია XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის. საბუთების სიმრავლით, სისტემატიზაციითა და ნაირფეროვნებით მას სხვა გამოცემები ვერ შეედრება. მაგრამ „აქტებში“ მოცემული მასალების გამოყენების დროს აუცილებელია მკვლევარი კრიტიკულად მიუდგეს და გაითვალისწინოს მათი ტენდენციურობა და ცალმხრივობა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა საბუთები, რომლებიც წარმოდგენილია I-II ტომებსა და VI ტომის I ნაწილში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის შესახებ საინტერესო დოკუმენტები შეკრიბა და სამ ტომად გამოაქვეყნა აკად. პ. ბუტკოვმა[21].

პ. ბუტკოვი დიდხანს მუშაობდა კავკასიაში. რაკი თავისი სამხედრო სამსახურის წყალობით მას ხელი მიუწვდებოდა მეფის რუსეთის მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ საბუთებზე, ხოლო ამ დოკუმენტების დედნები დაკარგულია, პ. ბუტკოვის მრავალ ცნობას კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ისტორიის შესახებ, საყურადღებო პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს.

პ. ბუტკოვის შრომებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის მასალები, რომლებიც ეხებიან იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეთა ურთიერთობას, რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, სოლომონ პირველის ბრძოლას თურქების და ქვეყნის შიგნით ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ, მაქსიმე ქუთათელის 1768 წლის ელჩობას რუსეთში, სოლომონ პირველის მიერ რაჭის ერისთავის მკაცრად დასჯას

ღალატის გამო, მეფეების თეიმურაზ II და ერეკლე II მოღვაწეობას, რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომში იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების მონაწილეობას, გრაფ ტოტლებენის საქმიანობას საქართველოში, მის შეხვედრებს სოლომონ პირველთან და სხვ.

პ. ბუტკოვი ფართოდ იყენებდა საქართველოში გიულდენშტედტის მოგზაურობის მასალებს, აგრეთვე საისტორიო ფოლკლორს, ადგილზე დაცულ გადმოცემებს, სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციებს, რაც მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდიდა მის შრომებს, მაგრამ ამასთანავე, მკვლევარი ვალდებულია გარკვეული სიფრთხილით და კრიტიკულად მოეპყრას მათ. მიუხედავად ამისა, პ. ბუტკოვის შრომების მეცნიერული ღირებულება მაინც დიდია, განსაკუთრებით წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით.

პ. ბუტკოვი სოლომონ პირველს ასე ახასიათებს:

"Цари Имеретинские спокойно сносили зависимость, в которей Порта их содержила... царь Соломон I Александрович будучи войно-любовь как его предки, Лишь возсель на престоль приступиль освободиться от власти Турковь и от платежа дани, ибо отечество его черезь долгое время под игом турецким претерпевало все бедствия жестокого рабства"[22].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის ისტორიის შესწავლისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა ის მასალები, რომლებიც დაცულია ვალ. მაჭარაძის შრომაში „რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი და საქართველო"[23]. ავტორმა რუსეთის არქივებში გამოავლინა და მეცნიერულ მიმოქცევაში შეიტანა მდიდარი მასალები საქართველოს ისტორიის ამ რთული პერიოდის შესახებ.

XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების იმერეთის სამეფოს ისტორიის შესახებ, განსაკუთრებით სოლომონ პირველის მემკვიდრის დავით გიორგის ძის მოღვაწეობაზე, რუსეთის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული საბუთების ვრცელი ანოტაციები გამოქვეყნებული აქვს ი. ლორთქიფანიძეს[24].

თხრობითი რუსული წყაროებიდან იმერეთის სამეფოს შესახებ უნდა დავასახელოთ ქუთაისის ვიცე გუბერნატორის (XIX ს. 50-იან წლებში), პეტრე გნილოსაროვის და ერეკლე II კარზე მყოფი რუსი რეზიდენტის სტეფანე ბურნაშოვის შრომები.

1859 წლის „კავკაზსკი კალენდარში" გამოქვეყნდა პ. გნილოსაროვის „სოლომონ მეორესა და მის დროს არსებულ მართვა-გამ-

გეობაზე", მართალია ნარკვევი ეხება სოლომონ მეორეს, მაგრამ მასში ბევრი საყურადღებო მასალაა XVIII საუკუნის იმერეთზე.

ცარიზმი ემზადებოდა რა იმერეთის დასაპყრობად ინტენსიურად სწავლობდა ქვეყნის მდგომარეობას - მის ბუნებრივ სიმდიდრეებს, საწარმოო ძალებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ვაჭრობა-აღებ-მიცემობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების დონეს, მართვა-გამგეობის სისტემას, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებსა და განწყობილებას, პოლიტიკურ ვითარებას. ამ საქმეში ჩართული იყვნენ ადგილობრივი დიდებულებიც, რომლებიც ცარიზმის მხარეზე დადგნენ სოლომონ მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეკრებილმა მასალამ თავი მოიყარა ჯერ იმერეთის დროებით მმართველობაში, ხოლო შემდეგ იგი გადაეცა ქუთაისის გუბერნიის კანცელარიას. კონკრეტული ფაქტების სიუხვე და სიზუსტე, რითაც ხასიათდება პ. გნილოსაროვის ნარკვევი, მეტყველებს იმაზე, რომ ავტორის განკარგულებაში სწორედ ეს მასალები იყო[25].

რაც შეეხება სტ. ბურნაშოვს, მართალია, ის ერეკლე მეორის კარზე იმყოფებოდა, მაგრამ დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებია იმერეთში მიმდინარე მოვლენებისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში გარკვეული გავლენა მოეხდინა მათზე, შეეკრიბა რუსეთის ცარიზმისათვის საინტერესო ცნობები, რასაც რეგულარულად იღებდა იმ დროს იმერეთში მყოფ მზვერავ-ინფორმატორებისაგან (ვიტენბერგი - სოლომონ პირველის მკურნალი ექიმი, მარკოვი, შტედერი და სხვ.). 1784 წლის ზაფხულში, სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ, სტ. ბურნაშოვი მაქსიმე ქუთათელთან ერთად იმერეთში ჩამოვიდა და მონაწილეობდა ტახტის მემკვიდრის დავით გიორგის ძის მიერ ფიცის მიღების ცერემონიალში.

ბურნაშოვის ჩანაწერები ცალკე წიგნადაა გამოცემული[26]. იგი, მართალია, პირველწყაროებს ეყრდნობა და საინტერესოა, მაგრამ ზოგჯერ ამა თუ იმ მოვლენის ავტორისეული ინტერპრეტაცია სუბიექტურია და ამიტომ ძნელია მის საფუძველზე მიღებულ დასკვნებს დაეთანხმო. სტ. ბურნაშოვი, მართალია, იცნობდა კავკასიას, საქართველოს, მაგრამ მაინც უცხოელის თვალით უყურებდა მას, ვერ ჩაწვდა, და არც შეეძლო ჩაწვდომოდა, ქართულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სინამდვილეს, ქართველი ხალხის ფსიქოლოგიას, მაგრამ ამასთან ერთად მისი ნაშრომით საშუალება გვაქვს გავეცნოთ უცხოელის თვალით დანახულ ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

იმერეთის სამეფოს, კონკრეტულად სოლომონ I მეფობის, შესახებ განსაკუთრებით საინტერესო და მდიდარი ცნობებია დაცული

ოსმალურ წერილობით წყაროებში. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პროფ. ნ. შენგელიას მიერ გამოცემული „ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII საუკუნეები)[27]. მათში მოცემულია ცნობები ანაკლიისა და რუხის ციხეების სტრატეგიულ როლსა და მნიშვნელობაზე დასავლეთ საქართველოსათვის, მათში ჩაყენებული გარნიზონების შემადგენლობასა და რაოდენობაზე, ოსმალთა წინააღმდეგ სოლომონ პირველის ენერგიულ ბრძოლაზე.

XVIII ს. მეორე ნახევრის მთლიანად საქართველოს, და მათ შორის იმერეთის სამეფოს, ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობის მასალებს[28].

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781 წწ) ნატურალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი, კავკასიაში იმოგზაურა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით. გ. გელაშვილმა გიულდენშტედტის მოგზაურობის დაწვრილებითი დღიურებისა და იმ მოხსენებების მიხედვით, რომელთაც გერმანელი მეცნიერი უგზავნიდა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიას, შეადგინა და გამოსცა ორი მოზრდილი ტომი, რომლებშიც დაცულია ისეთი მასალები, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი.

გიულდენშტედტი 1772 წლის ივნისში აღმოსავლეთ საქართველოდან იმერეთში წავიდა. 14 ივლისს უკვე წესში იყო. 18 ივლისს იგი იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა მიიღო. გიულდენშტედტის პირველი შთაბეჭდილება ასეთი იყო: „სოლომონი 37 წლისაა - გონიერი და ჭკვიანი მმართველი“...[29].

„მოგზაურობის...“ პირველ წიგნში სხვა საკითხებთან ერთად ცალკეა განხილული „იმერეთის ისტორია“, მისი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური წყობა, ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან. გერმანელი მეცნიერი დამაჯერებლად აღწერს იმ ბრძოლებს, რაც სოლომონს მოუხდა თურქებთან თუ დასავლეთ საქართველოს თავად-მთავრებთან, რათა თავისი ძალაუფლება განემტკიცებია. შედარებით დაწვრილებით მოგვითხრობს რაჭის ერისთავის დამორჩილების შესახებ.

გიულდენშტედტი სოლომონ პირველის პიროვნებისა და მისი პოლიტიკის დახასიათებისას, ობიექტურობას იჩენს, ხოლო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განხილვაში იგი არ სცილდება რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის პოზიციებს.

ბ) გამოუქვეყნებელი: XVIII ს. მეორე ნახევრის იმერეთის სამეფოს ისტორიის წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, გამოქვეყნებულია. მაგრამ ერთი ნაწილი გამოუქვეყნებელია და ჯერ კიდევ არ არის აქტიურად შემოსული მეცნიერულ მიმოქცევაში.

გამოუქვეყნებელი საბუთები ძირითადად დაცულია - საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ძველ საბუთთა დედნების კოლექციაში (ფონდი №1448, საბუთი №251, 2175I 3412), კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი Hd საბუთი 8452) ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (საბუთი 1359), ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულოს ფონდში (ფონდი №1).

ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი ა - იმერეთის სამეფოს შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს.

იმერეთის ისტორიის შესწავლას საფუძველი ჩაუყარა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დიდმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტი ბაგრატიონმა. საქართველოს ისტორია, მისი აზრით, ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი - ძველი ისტორია 1469 წლამდე და მეორე - 1469 წლიდან ე.ი. „შემდგომად განყოფისა“ XVIII საუკუნის დასაწყისამდე. ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტალური ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პირველი ნაწილის ძირითადი წყაროა „ქართლის ცხოვრება“, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების და სამთავროების ისტორიას ეხება - ორიგინალურია და ამიტომ ჩვენთვის გარდა ისტორიოგრაფიულისა, პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. 1842 წელს მარი ბროსემ გამოაქვეყნა ვახუშტის შრომის პირველი ნაწილი ფრანგული თარგმანითურთ, ხოლო 1854 წელს, დ. ჩუბინაშვილმა - მისი მეორე ნაწილი, რომელიც შეიცავდა საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფის, დაშლილობის დროინდელი საქართველოს ისტორიას. ეს გამოცემა 1913 წელს ზ. ჭიჭინაძემ გაიმეორა „საქართველოს ცხოვრების სახელწოდებით.[30]

ვახუშტის მიერ შემუშავებული ისტორიული კვლევის მეთოდის მიხედვით მის ნაშრომში იმერეთს ორი თავი ეძღვნება - პირველი „აღწერა ეგრისის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ და მეორე „ცხოვრება ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“. მართალია, ვახუშტის იმერეთის ისტორია 1740 წლამდე აქვს მოტანილი და მასში სოლომონ პირველის შესახებ, ცხადია, არაფერია ნათქვამი, მაგრამ დიდმა მეცნიერმა შექმნა ის სწორი საფუძველი, რო-

მელსაც დაემყარა ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიება. ამიტომ ვახუშტის მონაცემების გათვალისწინებას ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესწავლის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს. ვახუშტი ბაგრატიონის „იმერეთის ისტორია" არის უმნიშვნელოვანესი პირველწყაროცა და დიდი მეცნიერის ნააზრევიც, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია იმერეთის პოლიტიკური ისტორიის კვლევისას.

ცალკეული ცნობები იმერეთის შესახებ დაცულია ვახუშტის წინამორბედი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის[31] და XVIII ს. მეორე ნახევრის მემატიანეების სეხნია ჩხეიძის („მეფეთა ცხოვრება"),[32] პაპუნა ორბელიანის („ამბავი ქართლისანი")[33] და ომან ხერხეულიძის („მეფობა ირაკლი მეორისა")[34] თხზულებებში.

იმერეთის ისტორიის საკითხებს გარკვეული ადგილი უჭირავს XIX ს. დასაწყისის ისტორიკოსი ბატონიშვილების ნაშრომებში. მაგალითად მატიანური ხასიათის თხზულებას, რომელშიც იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორია მეტ-ნაკლებადაა წარმოჩენილი, წარმოადგენს თეიმურაზ ბატონიშვილისა და დავით გიორგის ძის მიერ შედგენილი ქრონიკები. მათში ფრაგმენტული სახით გვხვდება ცნობები XVIII საუკუნის იმერეთზე, რომლებიც აკონკრეტებენ და ავრცობენ ამ საკითხის შესახებ ნ. დადიანის თხზულებაში დაცულ ინფორმაციებს (იხ. ზ. ჭიჭინაძისა და თ. ლომოურის მიერ 1913 და 1941 წლის გამოცემები). თეიმურაზ ბატონიშვილს ეკუთვნის აგრეთვე „ახალი ისტორია", რომლის კრიტიკული ტექსტი 1983 წელს გამოსცა ლ. მიქიაშვილმა. ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თხზულების ავტორია არა დავით ბატონიშვილი, არამედ მისი უმცროსი ძმა თეიმურაზ ბაგრატიონი. დავითმა კი მხოლოდ საბოლოო რედაქცია გაუკეთა დასრულებულ თხზულებას.

გარდა თეიმურაზის თხზულებისა, ცნობები იმერეთის შესახებ დაცულია ბატონიშვილების შემდეგ შრომაში: „მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა 1744-1840 წწ".[35] და ბატონიშვილი ვახტანგი „ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსობისა შემთხვეულობათა საქართველოსა შინა".[36]

იმერეთის ისტორიის შესწავლის საქმეში აღსანიშნავია ცნობილი ფრანგი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მარი ბროსეს (1802-1880წწ.) დამსახურება, რომელიც პეტერბურგში მოღვაწეობდა. მან 1855-1858 წლებში რუსულად დაწერა საქართველოს

ისტორია ორ ნაწილად (უძველესი დროიდან 1744 წლამდე) და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა.[37]

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი თ. ჟორდანია წერდა:

„...რო ჩვენდა საბედნიეროდ ფრანცუზი ბროსსე არ მოვლენოდა ჩვენს ისტორიას, ქართველი „ნასწავლი" თვალსაც ვერ გაახელდა, ჩვენი ისტორია სულს დალევდა. ბროსსეს მაგალითმა და პირდაპირ დავალებამ, ...კალამი ააღებინა ჩუბინოვს, პლატონ იოსელიანს და ამას მოჰყვა ცოტაოდენი გამოღვიძება საისტორიო კვლევისაღმი ეროვნული კულტურის შესასწავლად".[38]

მ. ბროსემ ვახუშტი ბატონიშვილის მსგავსად ცალ-ცალკე გაანიხილა ქართული სამეფო-სამთავროების ისტორია. მას ერთ-ერთი თავი ასე აქვს დასათაურებული: „ისტორია ეგრისისა, აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა შემდეგ საქართველოს განყოფისა, ისტორიული მიმოხილვა სამეგრელოსი და გურიისა." მართალია, ავტორი ძირითადად ვახუშტისეულ ისტორიას მიჰყვება და რაიმე არსებითი სიახლე მის შრომაში კონკრეტულად, იმერეთის ისტორიასთან დაკავშირებით, არაა, მაინც შეიძლება ითქვას - მ. ბროსემ წინ წასწია იმერეთის ისტორიის შესწავლის საქმე, თუნდაც იმ გაგებით, რაზედაც თ. ჟორდანია მიუთითებდა.

მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიას" თან ერთვის უქვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილი „შთამომავლობითი სიები" იმერეთის მეფეთა, სამეგრელოს დადიანთა, გურიის მთავართა, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგთა და შემდგომ ფაშებისა.

დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის მეოთხე წიგნში მოგვცა დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგადი დახასიათება XVIII საუკუნეში.[39] ჩვენი საკვლევი თემისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკური ვითარების შესახებ XVIII საუკუნეში" (ზოგადი მიმოხილვა).[40]

დასავლეთ საქართველოს, კონკრეტულად იმერეთის, ისტორიის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნ. ბერძენიშვილის შრომებში,[41] რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ფეოდალური ურთიერთობიდან XVს."[42], „საქართველო XVIIIს.",[43] „საქართველო XI-XVIII საუკუნეებში"[44] და სხვ. მანვე გამოსცა „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.).[45]

სოლომონ პირველის მოღვაწეობის, მისი ბრძოლის სამეფო, ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად, ღრმა მეცნიერული

ანალიზი მოცემულია ნ. ბერძენიშვილის „საქართველო X-XVIII საუკუნეებში“, რომელშიაც სპეციალური პარაგრაფი ეძღვნება XVIII ს. მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, სოლომონ პირველის მეფობას. „თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა მეფემ (სოლომონ პირველმა - მ.რ.) მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. ორივე უაღრესად მტკივნეული საკითხი იყო. რაგინდ დაცემული არ უნდა ყოფილიყო იმერეთის ფეოდალური საზოგადოება, მის უმრავლესობას აღნიშნულ მოვლენებთან ბრძოლა საჭირო საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ამ საკითხების გარშემო ძალების მობილიზაცია ყველაზე მეტად იყო შესაძლებელი. მეფემ თავის მოღვაწეობას ამით მტკიცე დასაყრდენი მოუპოვა, ის ქართველობისათვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა“[46]

ნ. ბერძენიშვილის ეს დებულება ჩვენი კვლევის ამოსავალი წერტილია. ქართველობისათვის ბრძოლა, პირველ რიგში, მოითხოვდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას. ეს დაისახა თავის უპირველეს ამოცანად სოლომონ I.

ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ სიმონ ქვარიანმა თავის წიგნში „საქართველოს ისტორია (იმერეთის მეფე სოლომონ დიდი)“[47] სოლომონ პირველი ასე დაახასიათა: „სოლომონ პირველი იყო სულით ძლიერი და სამხედრო ნიჭით აღჭურვილი, მასთან მეტად მშრომელი და სამშობლოს მოყვარული. მისი საზრუნავი შეიქმნა იმერეთის გაძლიერება და განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან“.[48]

სოლომონ პირველის ეპოქის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, როგორც უკვე აღინიშნა სარგის კაკაბაძეს.

ცალკე უნდა გამოვყოთ შრომები იმ ისტორიკოსებისა, რომლებიც, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ისტორიას სწავლობდნენ და სწავლობენ. პირველ რიგში, აღსანიშნავია შ. ბურჯანაძის შრომები, რომლებიც, თითქმის ყველა, მიძღვნილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის ისტორიისადმი: „სოლომონ პირველის მეფობის პირველი პერიოდი (1752-1768)“[49], „იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში“,[50] „ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო“,[51] „იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784-1789 წლებში“[52] და სხვ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შ. ბურჯანაძის საკანდიდატო დისერტაცია სოლომონ პირველისადმია მიძღვნილი.[53]

ნაშრომში ყოველმხრივაა შესწავლილი სოლომონ პირველის მოღვაწეობა, მათ შორის, მისი ბრძოლა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ სამეფო, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებლად. დიდია შ. ბურჯანაძის დამსახურება, აგრეთვე XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის ისტორიის შესახებ დოკუმენტური მასალების გამოქვეყნების საქმეში, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში განსაკუთრებით დიდია ო. სოსელიას დამსახურება. მას ეკუთვნის სამტომიანი ფუნდამენტალური გამოკვლევა „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიიდან (სათავადოები)“,[54] რომელშიაც მონოგრაფიულადაა შესწავლილი იმერეთისა და გურია-ოდიშის სათავადოთა (საწერეთლო, საწულუკიძეო, სამიქელაო, საჩიჯავაძო, სააფაქიო, საჩიჩუო, სააბაშიძეო და ა.შ.) ისტორია. აღსანიშნავია აგრეთვე მისი შრომა „ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“[55], რომელშიც შესწავლილია ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების პირობებში სათავადოთა აღმოცენების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური წანამძღვრები, მათი შინაგანი სტრუქტურა და მმართველობით-ადმინისტრაციული აპარატი. ო. სოსელიას გამოკვლევებში გაანალიზებულია ავტორის მრავალწლიანი შრომის შედეგად საქართველოს სიძველეთსაცავებში გამოვლენილი უამრავი დოკუმენტი, შესწავლილია ამა თუ იმ დაწინაურებული თავადური საგვარეულოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მმართველობა სათავადოს აღმოცენებისა და განვითარების სტადიები, მისი საზღვრები, ცენტრი.

ო. სოსელიამ დიდძალ პირველწყაროებზე დაყრდნობითა და შრომატევადი სამუშაოს შესრულების შედეგად, თითოეული სათავადოს მიხედვით შეადგინა ამა თუ იმ საგვარეულოს ისტორიულ დოკუმენტებში დაფიქსირებულ, წარმომადგენელთა ქრონოლოგიურ პრინციპზე გამართული სია, თავისებური, პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ამით მან მნიშვნელოვნად გააფართოვა ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი საყურადღებო უბანი, როგორიცაა საგვარეულოთა ისტორიის კვლევა.

სათავადოს ისტორიის შესწავლისას მკვლევარმა ყურადღება მიაქცია ცენტრალური ხელისუფლებისადმი მათ დამოკიდებულებას განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მან დამაჯერებლად დაასაბუთა, თუ როგორი იყო დიდებულთა ოჯახების პოზიცია სოლომონ პირველის შინა-პოლიტიკურ დაპირისპირებაში, ვინ იქნა შეწყალებული ან პირიქით, შერისხული მეფის მიერ და საერთოდ, რა როლი ითამაშეს სათავადოებმა ამ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

დასავლეთ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი იყო მ. დუმბაძე. მისი შრომებიდან უნდა გამოვყოთ „დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება“.[56] მართალია, ნაშრომი XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს ისტორიას ეხება, მაგრამ იგი ბევრ საგულისხმო მასალას იძლევა XVIII ს. მეორე ნახევრის იმერეთის ისტორიისათვის.

სამეფო ცენტრალური ხელისუფლების გასამტკიცებლად სოლომონ პირველის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე ბევრი საყურადღებო მასალაა მოტანილი ვ. მაჭარაძის უაღრესად პოპულარულ მონოგრაფიაში „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე“.[57] განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მის მიერ 1968 წელს გამოქვეყნებულ შესანიშნავ გამოკვლევაზე „XVIII ს. მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“,[58] რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება XVIII ს. მეორე ნახევრის იმერეთის საგარეო პოლიტიკისა და რუსეთთან ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით. ვ. მაჭარაძის ნაშრომს თან ერთვის რუსული საარქივო დოკუმენტების (ძირითადად, საქართველოდან გაგზავნილი წერილებისა და მოხსენებითი ბარათების) პუბლიკაცია, რომელიც ჩვენთვის მეტად საინტერესოა.

XVIII ს. მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქ. ჩხატარაიშვილმა. აღსანიშნავია მისი ნაშრომები: „დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII ს. 40-80-იან წლებში“,[59] „დასავლეთ საქართველო XVIII ს. 80-90-იან წლებში“,[60] „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან“,[61] საკანდიდატო დისერტაცია „გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური, ისტორიული ნარკვევი)“.[62]

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს, და პირველ რიგში იმერეთის სამეფოს, ურთიერთობა რუსეთთან ვრცლად არის განხილული ნ. ქორთუას ნაშრომში „Русско-Грузинские взаимоотношение во второи половине XVIII в.“[63] მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით ავტორმა საფუძვლიანად შეისწავლა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკვანძო საკითხები XVIII ს. მეორე ნახევარში. ნაშრომის მერვე თავში საგანგებოდაა გაანალიზებული რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმები იმერეთის სამეფოს მიმართ და პოლიტიკური ვითარება დასავლეთ საქართველოში გეორგიევსკის ტრაქტატის მომდევნო პე-

რიოდში. რა ადგილი ეჭირა იმერეთის სამეფოს რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქას უშუალოდ შეესაბამება და სათანადო მასალაა გადმოცემული გურამ მეტრეველის ნაშრომში „ჟამი ბრძოლისა და თანადგომისა“,[64] აღსანიშნავია აგრეთვე ამავე ავტორის „На Перепутье“[65]

გ. მეტრეველს მეტად სიღრმისეულად აქვს შესწავლილი და გაანალიზებული XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის სამეფოს ისტორია.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII-XVIII სს-ში და რაჭა-ლეჩხუმის საკითხი, წარმოდგენილია გ. გასვიანის წიგნში „დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება XVI-XIX სს.“[66]

გვიანი შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევაში სათანადო წვლილი აქვს შეტანილი მ. რეხვიაშვილს. მან ამ საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა, რომლებშიც ცალ-ცალკეა შესწავლილი იმერეთის სამეფოს ისტორია XVI, XVII, XVIII საუკუნეებში. ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება შემდეგი ნაშრომები: „იმერეთი XVIII საუკუნეში“,[67] „იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ“[68] და „იმერთა მეფენი - სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე“.[69]

მკვლევარი არსებულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით განიხილავს მთლიანი ქართული სახელმწიფოს ცალკეულ პოლიტიკურ ნაწილებად დაშლის პროცესს და იმერეთის სამეფოს წარმოშობის ისტორიას სამეფოს დაარსებიდან რუსეთთან შეერთებამდე წარმოგვიდგენს იმერთა „მეორე აღმაშენებლის“ - სოლომონ პირველის პერიოდს, ერისთავთა დამოკიდებულებას სამეფო კარისადმი და სოლომონ პირველის ბრძოლას სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

1973 წელს ქართულ ისტორიოგრაფიას შეემატა უაღრესად მნიშვნელოვანი შრომა - დაიბეჭდა ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული მრავალტომეულის „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ - მეოთხე ტომი, რომელიც მოიცავს პერიოდს XV საუკუნიდან XIX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით.

ნაშრომში რამოდენიმე თავი აქვს დათმობილი ჩვენი საანალიზო პერიოდის იმერეთის ისტორიასაც, რომელთა ავტორები არიან ცნობილი მკვლევარები: მ. დუმბაძე, ქ. ჩხატარაიშვილი, ნ. ქორთუა. წყაროებსა და ფართო ლიტერატურაზე დაყრდნობით (მათ შორის უცხოენოვანზე) გაანალიზებულია XVIII ს. მეორე ნახევრის იმე-

რეთის სამეფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხები, გლეხთა მოძრაობა, ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის მცდელობა და სხვა.

ქართულ-რუსული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი რუსულენოვანი გამოკვლევებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ო. მარკოვას მონოგრაფია "Россия, Закавказье и международные отношения XVIII веке", რომელიც 1966 წელს გამოქვეყნდა. ქართულ ენაზე 1991 წ. გამოიცა მასში რუსეთის კავკასიური პოლიტიკა მთელი XVIII საუკუნის მანძილზეა განხილული საერთაშორისო ურთიერთობათა ფონზე. გამოკვლევა ემყარება რუსეთის სიძველეთსაცავებში დაცულ და ავტორის მიერ გამოვლენილ მდიდარ საარქივო დოკუმენტებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით.

სოლომონ მეფემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც. თამარ მეფისა და ერეკლე II-ს შემდეგ სოლომონის პიროვნებას ხალხმა ყველაზე მეტი ლექსი და პროზაული გამოცემა მიუძღვნა.[70]

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს პერიოდულ პრესაში („დროება", „ივერია", „კომუნარი", „Кавказ" და სხვ.) გამოქვეყნებული წერილები და სტატიები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი იმერთა „მეორე აღმაშენებლის" მოღვაწეობას.

სოლომონ პირველის პიროვნებამ და მისმა თავდადებულმა ბრძოლამ მტკიცე სამეფო ხელისუფლების შესაქმნელად ასახვა ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში. ამ თემას მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მწერლის, რევაზ ჯაფარიძის, ვრცელი რომანი ოთხ წიგნად „მძიმე ჯვარი".

# თ ა ვ ი I

## სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იმერეთის სამეფოში სოლომონ პირველის გამეფების წინ (XVIIIს. 30-40-იან წლები)

დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში XVIII საუკუნის პირველი ნახევარი, წინამორბედი საუკუნის მსგავსად, უმძიმესი ხანა იყო. გამუდმებული შინაფეოდალური ომები, დაქუცმაცებულობა, თურქ-ოსმალთა აგრესია და ბატონობა - ასეთი იყო ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. ხოლო მეფის ხელისუფლება დასუსტებული იყო და სათავადოების სისტემა ბატონობდა, სამეფო-სახასო ქვეყნები, ციხე-სიმაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცებათ: „.. ერისთავს რაჭა, გლოლა ჯაფარიძითურთ, იაშვილს კვარა, წულუკიძეს - ხოტევი, აბაშიძეს სუერი, არამედ სუერი მისცა პაატა აბაშიძეს მეფემან, ლიპარტიანს ლეჩხუმი და საჭილაო - სამიქელაო, გურიელს საჯავახო და ჩიჯავაძენი მარადის იყვნენ წინაშე მისსა“[1].

სათავადოების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. ამ მხრივ, განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევა აკად. ნ. ბერძენიშვილის შეფასება. განსვენებული აკადემიკოსი სათავადოებს მიიჩნევდა ყველაზე დიდ წინააღმდეგობად, რომლის დაძლევის გარეშეც შეუძლებელი იყო ბრძოლა ქართველობისათვის. მკვლევარის აზრით, „საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა, ქვეყნის ძალთა მობილიზაციის შეუძლებლობა და უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში დამარცხება სათავადოების სისტემის ნიადაგზე შექმნილი მოვლენები იყო“... ეს სისტემა „ყოველმხრივ დრომოჭმული ფორმა იყო“, რომლის გასაუქმებლად აუცილებელი გახლდათ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება[2]. სხვა ადგილზე ნ. ბერძენიშვილი სათავადოებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სისუსტის წყაროს[3] უწოდებს და საბოლოოდ დაასკვნის, რომ „სათავადოების სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარებოდა და თავის მხრივ ამ ჩამორჩენილობას ემსახურებოდა“[4]... „საქართველოს აღდგომისათვის“ ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა[5].

ამდენად, ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონებს თავადები წარმოადგენდნენ, რომლებიც გამუდმებით იბრძოდნენ პირველობისათვის. „სათავადოთა სისტემამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საქართველოს საბოლოო პოლიტიკურ დაშლას... სათავადოებს განუწყვეტელი შუღლი და მტრობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ერთმანეთზე ხშირი მიხდომა-თარეშით მწარმოებელი მოსახლეობა ნადგურდებოდა და ქვეყანა იქცეოდა... ისედაც დასუსტებული სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლება უფრო სუსტდებოდა“[6].

ყველაფერი ეს შედარებით „მცირე“ იყო იმ უბედურებასთან, რასაც „ტყვეთა სყიდვა“ ერქვა. ტყვეებით ვაჭრობა ფართოდ იყო ფეხმოკიდებული ქართული ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენაში, როგორც საეროში, ისე სასულიეროში. ეს მავნე სენი, ცხადია, ქვეყნის დუხჭირი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და ზნეობრივ ღირებულებათა დეგრადაციით აიხსნება[7].

„ტყვეთა სყიდვის“ ფაქტს აღშფოთებაში მოჰყავს უცხოელი მოგზაურები: „... მათ (იგულისხმება იმერლები) აქვთ საუბედურო ჩვეულება - ერთმანეთი მიჰყიდონ თურქებს“ - წერდა ჟან რიშარი საფრანგეთის მინისტრს[8].

„ბატონები ჯოხით ამუშავებდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს, თუ ფული დასჭირდათ, მოსტაცებენ მათ შვილებს, რათა მის მეზობლებს მიჰყიდონ ხოლმე თანაც ირწმუნებიან, რომ თავიანთი ქვეშევრდომების სიცოცხლეზე უფლება აქვთ“[9].

„რაც შეეხება დიდებულებს, ... წარჩინებულნი განაგებენ არა მარტო ქვეშევრდომთა ქონებას, არამედ მათ სიცოცხლესაც კი. უფრო მეტიც, ისინი ხელიდან გლეჯენ მშობლებს შვილებს და მათ მუსულმანებზე ჰყიდიან“[10].

ასეთ პირობებში გამკითხავი აღარავინ იყო და ქვეყანა ფიზიკურად და ეკონომიკურად იფიტებოდა.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა: იმერეთის სამეფოს მოსახლეობა შემდეგი სოციალური წოდებებისაგან შედგებოდა: გლეხი, მსახური, აზნაური და თავადი.

გ ლ ე ხ ი: გლეხობის ანუ მწარმოებელი კლასის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დასავლეთ საქართველოს გლეხობას, მათ სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას მიუძღვნეს შრომები: ს. კაკაბაძემ, დ. მუსხელიშვილმა, ო. სოსელიამ, დ. გერიტიშვილმა, ქ. ჩხატარაიშვილმა, მ. სანაძემ, დ. მეგრელაძემ და სხვ. გლეხთა კატეგორიები გააშუქეს აგრეთვე ბ. ლომინაძემ, დ. გოგოლაძემ. გლეხის ცნებაში იგულისხმება თავისუფლებაშეზღუდული ადამიანი,

რომელიც მიწის მეპატრონესთან იყო დაკავშირებული და მის ექსპლოატაციას განიცდიდა[11].

დ. მუსხელიშვილი გლეხს მემკვიდრეობით მიწაზე მჯდომ-მოსახლე კაცს უწოდებს[12].

იმისათვის, რომ ოჯახი არჩინოს, საარსებო საშუალება ჰქონდეს, გლეხი იძულებულია დაუკავშირდეს მემამულე-აზნაურს და გარკვეული ვალდებულებით მისგან მიწის ნაკვეთი აიღოს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისით, გვიან შუა საუკუნეებში გლეხობა იყო ქვეყნის ძირითადი მწარმოებელი კლასი, რომელსაც უკვე დაკარგული ჰქონდა პირადი და ეკონომიური დამოუკიდებლობა, მიმაგრებული იყო მებატონის მიწაზე და მისი ნებართვის გარეშე ვერსად ვერ წავიდოდა[13]. გლეხი მუშაობდა მიწაზე და იხდიდა როგორც სახელმწიფო, ასევე საეკლესიო და საბატონო გადასახადებს. ცხადია, გლეხობა არ წარმოადგენდა აბსოლუტურად გაუდიფერენცირებულ, ერთფეროვან მასას. თვითონ მის შიგნით წარმომავლობის, სოციალური ფუნქციისა და კუთვნილების მიხედვით გამოიყოფა სხვადასხვა კატეგორია[14].

იმერეთის სამეფოში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გლეხობის ყველაზე გავრცელებული კატეგორია იყო მებეგრე (აღმოსავლეთ საქართველოში მებეგრის პარალელურად გავრცელებული ტერმინი იყო მეყალნე, სამეგრელოში - მოინალე, იმერეთში კი მესეფე), რომელიც თავის ვალდებულებას პატრონის წინაშე იხდიდა, როგორც შრომით, ისე ნატურალური სახით.

მიწაზე მიმაგრება და ფიზიკური შრომა არ ნიშნავდა იმას, რომ გლეხს მთლიანად მოსპობილი ჰქონდა მაღალ სოციალურ ფენაში გადასვლის პერსპექტივა. გვიან შუა საუკუნეების იმერეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო არა მხოლოდ ყმათა გააზატება, არამედ აზნაურობის ბოძებაც კი (მაგ. 1769 წლის 11 აგვისტოს პირობის წიგნში ნიკოლოზ აბაშიძისადმი ცალ-ცალკე არიან ნახსენები აზნაური და „გლეხნი - აზნაურნი“.)[15]

თუ გადავხედავთ დასავლეთ საქართველოს მეფეთა მიერ გაცემულ წყალობის სიგელებს, ყმა-გლეხთა ბოძების შესახებ, შევამჩნევთ მათთვის დამახასიათებელ ფორმას „შეგიწყალეთ და გიბოძეთ“, ან „დაგვეაჯე და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ქრთამიც კარგი გვიბოძე, როგორადაც ჩვენი გული შესჯერდებოდა“, ან „გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულ სამსახურსა შიგან, თუ თქვენ ჩვენი ერთგული და სიტყვის მორჩილი ყმა იყვნეთ, ეს წყალობა არასოდეს მოგეშალოთ...

ამის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ 1732 წელს მეფე ალექსანდრეს მიერ გაცემული წყალობის წიგნი თეიმურაზ აგიაშვილისადმი[16].

...გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემან ალექსანდრემ... გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი და სიგელი... ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი... და გიბოძეთ... გიორგი ქარქაშაძე, პაპუნა გიორგაძე, მახარობელა გიორგაძე ცოლ-შვილით...

1747 წ. ალექსანდრე მეფე წყალობის წიგნს აძლევს ნიჟარაძეებს - ოტია ნიჟარაძე ჩვენი ერთგული იყო, გიბოძეთ მამული და გლეხები...

... თქვენ ჩვენის ერთგულის კაცის შვილებს ნიჟარაძეს ლევანსა და შენს ძმებს... ასე და ამა პირსა ზედა, რომ მამათქვენი ოტია ნიჟარაძე ჩვენი გაზრდილი და ერთგული იყო ის და მისი ძმა ბადურ რომ გაიყვნენ გასაყოფლის წყალობა დაგვაეჯეთ და მას წყალობა უყავით, ახლა შენ შემოგვეხვეწე... ჩვენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ რაც მამაშენის ოტიასათვის გასაყოფლო გლეხი და მამული გვებოძებინოს... გქონდეს და გიბედნიეროს ჩვენ ერთგულად სამსახურსა შინა[17]...

„... მეფეთ მეფემან ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან აბაშიძის ასულმან... თამარ პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან სოლომან მცირე ესე წყალობა მოგავლინეთ შენ კანდელაკი ანდრიკას შვილი გიორგი და ძმა შენი... ოდეს დაგვეაჯეთ... და ქრთამიც მოგვართვით რომ თანაც გული შეგჯერებოდა და გიბოძეთ გოდოგანს გელათიანათ შენის ძმის ნიკოლოზისეული ყმა და მამული მისის სასახლით..[18]

„ტყვეთა სყიდვისა“ და შინაფეოდალური ომების დროს განსაკუთრებით დაზარალებული გლეხობა გამოდიოდა. ბუნებრივია, მათი უმეტესი ნაწილი მაინც ხმას იმაღლებდა არსებული ვითარების წინააღმდეგ, ისტორიამ საკმაო მასალა შემოინახა ასეთი ბრძოლების შესახებ.

დასავლეთ საქართველოს გლეხთა კლასობრივი ბრძოლის შესახებ ცნობებს ვხვდებით ნ. ბერძენიშვილისა[19] და ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ დოკუმენტებში[20].

უშუალოდ ამ საკითხზე მასალები გამოაქვეყნა ო. სოსელიამ.[21] კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გავრცელებულ სახედ მას ყმა-გლეხთა მიერ ბატონიდან აყრა-გაქცევა მიაჩნია. მართალია, ზოგჯერ ხდებოდა გლეხის უკან დაბრუნება, მაგრამ ზოგჯერ გლეხი ხელმეორედ ეკარგებოდა ბატონს, ხშირ შემთხვევაში კი გლეხი „ორგულობისათვის“ ისჯებოდა და გლეხთა მაღალი კატე-

გორიიდან დაბალ კატეგორიაში გადაჰყავდა (მებეგრე-მოჯალაბედ). გარდა ამისა, დასძენს ო. სოსელია - ბრძოლის თავისებური და მეტად გავრცელებული სახე იყო „დეობა“ (ბატონს ედავებოდნენ). ზოგჯერ მთელი თემი „დეობდა“ ფეოდალთან[22].

გვიან შუა საუკუნეების ქართველი გლეხობის, მათ შორის იმერეთის გლეხობისა, კლასობრივი ბრძოლის საკითხები საგანგებოდ შეისწავლა აგრეთვე დ. მეგრელაძემ[23]

მ ს ა ხ უ რ ი - ნ. ბერძენიშვილის აზრით, მსახურები, როგორც მიწისმოქმედნი, გლეხებს ენათესავებოდნენ, ხოლო სამსახურით აზნაურებს.[24]

ამრიგად, მსახურთა ერთი ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევდა და საჭიროების შემთხვევაში ლაშქრობაში მიდიოდა, ხოლო მეორე ნაწილი - უმაღლეს ხელისუფალს ემსახურებოდა. ამით კი თავის ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობით უფრო უკეთეს პირობებში იყვნენ.

მსახურთა ინსტიტუტის ირგვლივ მკვლევარებს სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ. XV-XVIII სს. პერიოდის მსახურს ყველა მკვლევარი (დ. მუსხელიშვილი, ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი, დ. გოგოლაძე), გარდა ზ. რატიანისა გლეხთა კლასს აკუთვნებს და მის პრივილეგირებულ კატეგორიად მიიჩნევს[25].

„მერმე ოყურეშს ერთობით აზნაურიშვილს, მსახურს და გლეხს, მდიდარს და მცირეს... ცხვედიანსა და მისს სახელო კაცს... ერთობით ცაგერის ღვთისმშობლისა და ოყურეშის წმინდა გიორგის ყმისათვის მომიცემია...“[26].

როგორც ვხედავთ, მსახური ყოველთვის აზნაურის (თუ აზნაურიშვილის) შემდეგ და გლეხზე წინ მოიხსენიება, ესეც იმისი მანიშნებელია, რომ მსახურთა ფენა ცალკე არსებობდა და ის გლეხობის სათავეში იდგა[27], მაგრამ წოდებრივად მსახური გლეხი იყო[28].

ა ზ ნ ა უ რ ი - ფეოდალურ საქართველოში გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდნენ აზნაურები. აზნაურნი იყვნენ მემამულენი, ანუ მემკვიდრეობით მქონებელნი, ანდა მოსაკარგავენი. ე.ი. რომელთაც ეს წოდება სამსახურით ჰქონდათ მოპოვებული, ციხიანი და უციხონი...[29] ასე განმარტავს აზნაურთა წოდებას ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ საზოგადოების შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად, აზნაურთა წოდება ფენებად დაიყო. ვახტანგ ბაგრატიონის სამართლით, პირველი კატეგორიის აზნაურის სისხლი 192 თუმანით განისაზღვრებოდა, მეორის - 96-ით, ხოლო მესამე, ანუ ცალმოგვი აზნაურისა - 48-ა[30].

ცხადია, XVIII ს. იმერეთის აზნაურობა შორის იდგა ვახუშტისეული კლასიკური განსაზღვრებიდან, რომლის თანახმადაც ამ ფენას, „აქუნდა გვარი და ჩამომავლობა და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა და დაბნები", შეეძლო გამოსვლა მარქაფითა, კარვითა და მათთა გაწყობილებითა[31]. ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში უკვე დარღვეულია მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც აზნაური აუცილებლად ყმა-მამულის მქონებლად ითვლება. უკვე საკმაოდ მომრავლებულია უყმო აზნაურები (მათი რაოდენობა გაცილებით დიდი იყო მცირემიწიან იმერეთში), რომელთაც ძველი დიდებიდან მხოლოდ გვარ-შთამომავლობაღა შერჩენიათ[32].

საერთოდ, თავადთან მიმართებაში აზნაურის დამოკიდებულება დიდად არ განსხვავდებოდა ყმა გლეხის მდგომარეობისაგან. იგი მებატონისაგან ნაწილობრივ ქონებას მის დაუკითხავად ვერ გაასხვისებდა. თავადი აზნაურის ქონებას ისე უყურებდა, როგორც საკუთარს და სურვილისებრ შეეძლო გაეყიდა, დაებეგრა ან გაემზითვებინა იგი[33].

გვიან, საშუალო საუკუნეებში, ფეოდალთა შორის თანდათან უმაღლეს წოდებად ჩამოყალიბდა თავადი.

თ ა ვ ა დ ი - ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით გამოიყოფა თავადთა სამი კატეგორია: დიდებული, შუა და მესამე თავადი, პირველის სისხლს 1536 თუმნით განსაზღვრავს, მეორისას - 768 თუმნით, ხოლო მესამისას - 384 თუმნით[34].

თავადი მეფის ან მთავრის ქვეშევრდომი იყო და მასვე ექვემდებარებოდა.

სათავადოთა გენეზისი, განვითარება, მათი სისტემის დაშლა და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემატური საკითხები მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებს. აღნიშნული საკითხები შეისწავლეს: ნ. ბერძენიშვილმა, დ. გვრიტიშვილმა, ო. სოსელიამ, ვ. გაბაშვილმა, გ. ჯამბურიამ, მ. დუმბაძემ, ნ. ასათიანმა, დ. გოგოლაძემ, ი. ანთელავამ და სხვ.

ნ. ბერძენიშვილი წერდა: „XIII-XV საუკუნეთა მთელს სიგრძეზე ერთი მეორეს გვერდით თანდათანობით ყალიბდებოდა ქართული სამეფო-სამთავროები, რასაც პარალელურად მოჰყვებოდა სათავადოების გაჩენა. სათავადოები ესაა ქვეყნის არა საზოგადოებრივი წინსვლის, არამედ რეგრესის შედეგიო[35]".

ო. სოსელიას განმარტებით „სათავადო, თავადური გვარის წევრთა გაერთიანებულ, ერთ ფეოდალურ ერთეულად ორგანიზებულ სამფლობელოს ერქვა". სათავადოსთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული პოზიციის გადასინჯვის მცდე-

ლობა ეკუთვნის პროფ. ი. ანთელავას. მან განავითარა მოსაზრება, რომ სათავადო არ იყო რეაქციული მოვლენა საქართველოში, პირიქით, ხაზი გაუსვა მის უდიდეს დამსახურებას „ქართველობის“ შენარჩუნების საქმეში, რომელიც თავისი არსით მაღლა იდგა, ვიდრე „აზნაურობა“ თუმცა, არც ი. ანთელავა დაობს იმაზე, რომ მიწაზე უპირობო საკუთრების ჩამოყალიბების შემდეგ, ე.ი. გვიან შუა საუკუნეებში, სათავადოებმა თანდათან რეაქციული შინაარსი შეიძინა[36].

დ. გოგოლაძე აღნიშნავს, დღეს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მიღებულია, რომ სათავადოები რეგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ბოლო დროს გამოითქვა ახალი შეხედულება, რომლის მიზანია ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული „სათავადო“ - სენიორების არსისა და ისტორიული ადგილის შეფასების თეორიულ ჭრილში ახლებური გააზრება და კონცეფციური გადაფასებაა, რაც მას სწორად არ მიაჩნია.

საბოლოოდ, მკვლევარი ასკვნის, რომ სათავადოთა სისტემამ, თავის მხრივ ხელი შეუწყო საქართველოს საბოლოო პოლიტიკურ დაშლას. ერთიანი ეროვნული ქვეყნის პოლიტიკური დაშლა კი არასდროს პროგრესი არ ყოფილა, იგი ქვეყნის დაქცევას ნიშნავდა[37].

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა: XVIII საუკუნის თურქი მემატიანე მეჰმედ რაშიდი წერს, რომ 1639-1722 წლებში ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში წინ წამოიწია დასავლეთ საქართველოს საკითხმა. ამ „მშვიდობიან პერიოდში ოსმალეთი უფრო მკვეთრად უპირისპირდება დასავლეთ საქართველოს, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოსთან და ირანთან საუკუნე ნახევრიანი ომების დროსო[38].

1717-1719 წლებში იმერეთში გიორგი VI გურიელი მეფობდა, 1720 წ. გაზაფხულზე აბაშიძეებმა მოჰკლეს გიორგი VI. გიორგის უფროსი ვაჟი ალექსანდრე ვახტანგ VI-ის კარზე იზრდებოდა. ახალციხის ფაშამ ვახტანგ VI სთხოვა, რომ ალექსანდრე მასთან გაეგზავნა, რათა იგი იმერეთში გაემეფებინა[39].

ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა თურქეთის ექსპანსიას. თურქეთი დასავლეთ საქართველოს თავის ვასალად თვლიდა და ახალციხისა და ტრაპიზონის ეიალეთების მეშვეობით აქტიურად ერეოდა მის საშინაო საქმეებში. იმერეთის მეფეს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს ტახტზე სულთნები ამტკი-

ცებდნენ, მაგრამ შექმნილი ვითარების შედეგად ეს წესი ხშირად ირღვეოდა[40].

დასავლეთ საქართველოს მეფე- მთავრები ყოველწლიურად მისართმეველს უგზავნიდნენ თურქეთს, რომელსაც „ქრთამი" ეწოდებოდა. ამისათვის მოსახლეობა იხდიდა „საურს" ან „სათათრო ხარჯს".

თურქების პოლიტიკური ზეგავლენა დასავლეთ საქართველოზე სხვა მხრივ იყო საშიში, ისინი ტყვის სყიდვის თავისუფლებას მოითხოვდნენ ხოლო ტყვის სყიდვა ზოგჯერ ისეთ საშინელ ფორმებს იღებდა, რომ ერის ფიზიკურ არსებობას საფრთხეს უქმნიდა. ტყვის სყიდვის აკრძალვა თურქეთის წინაღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა და სულთანიც დამსჯელი ღონისძიებების განხორციელებით პასუხობდა მას[41].

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთმა გააძლიერა ექსპანსია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში. უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპირო ციხე-სიმაგრეებში თავისი სამხედრო ძალების ჩაყენება, რათა ამით პოზიციები გაემაგრებინა. ეს კი ხელს შეუწყობდა მათ ლაშქრობებს ქვეყნის შიდა რაიონებში. სანაპირო ციხე-სიმაგრეებიდან უპირატესობით ანაკლიისა და რუხის ციხეები გამოირჩეოდნენ (მხედველობაში მაქვს მათი გეოგრაფიული, სტრატეგიული მდებარეობა), ისინი წარმოადგენდნენ „პლაცდარმს მომხვდური მტრის წინააღმდეგ ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ერთიანი ძალების გამოსვლისათვის[42]. მაგრამ ქვეყნის თანდათანობით დაქუცმაცებულობა საქმეს ღრმა ძირი ართულებდა.

1720 წელს თხმელის (ბაღდათის) ციხეში, სვიმონ აბაშიძესთან სტუმრად მყოფი გიორგი მე-VI ნადიმის დროს მოკლეს. იმერეთი ხელახლა გაინაწილა სამმა დიდმა ფეოდალმა - ზურაბ აბაშიძემ, ბეჟან დადიანმა და შოშიტა ერისთავმა.

1721-1752წწ. იმერეთის მეფე იყო ალექსანდრე V. შინაფეოდალური ომები არც ამ პერიოდში შენელებულა. ალექსანდრე V ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის კარზე იზრდებოდა. მამის დაღუპვის შემდეგ ბატონიშვილი ახალციხეში წავიდა, სადაც ერთი წელი დაყო, სტამბოლიდან მიღებული ბრძანებით ახალციხის მმართველმა, ისაყ ფაშამ, ალექსანდრე იმერეთში ჩამოიყვანა და მეფედ გამოაცხადა. ალექსანდრე გიორგის ძის მხარდასაჭერად ვახტანგ მე-VI გამოაგზავნა თავისი ლაშქარი, რომელსაც ბატონიშვილი ვახუშტი მეთაურობდა[43]. ალექსანდრე V-ს მხარი დაუჭირა რაჭის ერისთავმა და გადასცა მას კაცხის ციხე მიღებული (1720) განძითურთ. ალექ-

სანდრემ კაცხის განძი ისაყ ფაშას აჩუქა. ოპოზიციონერ ფეოდალთა რიგებში აღმოჩნდნენ ზურაბ აბაშიძე და ბეჟან დადიანი.

ალექსანდრემ თურქთა დახმარებით აიღო ცუცხვათის ციხე, რომელიც ზურაბ აბაშიძეს ეკუთვნოდა და იქ თურქი მეციხოვნეები ჩააყენა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა ბეჟან დადიანისათვის გაესწორებინა ანგარიში და ოსმალთა ჯარით მისი სამფლობელო ლეჩხუმი მოარბია. ამ საქმეში მეფეს მხარს უჭერდა რაჭის ერისთავი შოშიტა. დადიანი შეაშფოთა მეფისა და ერისთავის კავშირებმა მის წინააღმდეგ და ნაცად ხერხს მიმართა. მან თორმეტი ქესა ქრთამი მიართვა ისაყ-ფაშას, რომელმაც ბეჟანი ახალგაზრდა მეფის მეურვედ დანიშნა[44].

ფაშასთან მორიგების შემდეგ ბეჟან დადიანს აღარ გასჭირვებია მეფე ალექსანდრეს დაქორწინება თავის ასულ მარიამზე და ხელთ იგდო ფაქტობრივი ძალაუფლება იმერეთში. ვახუშტის თქმით, „თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი ყოვლისავე“[45].

XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში თურქები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, რასაც ხელს უწყობდა შინაური აშლილობა.

1723 წელს თურქებმა დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და ამით საქართველო შავ ზღვას მოსწყვიტეს. 1725 წელს ფოთში ორთულიანი ფაშა დასვეს და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გამგებლობა ჩააბარეს“... რუხის ციხე, რომელიც დაშორებული იყო ზღვას და რომელიც წარმოადგენდა ოდიშის უმთავრეს სიმაგრეს, დაანგრიეს და მისი ნარღვევით ააშენეს ანაკლიის ციხე, რომელსაც უწოდეს რედუტკალე.

თვით იმერეთში ოსმალთ კიდევ ეჭირათ გარდა ქუთაისის ციხისა, შორაპნის, ბაღდადის და ცუცხვათის ციხეები...[46]“ ციხეთა დაკარგვა სტრატეგიული თვალსაზრისის გარდა სამწუხარო იყო იმით, რომ ისინი ტყვეებით ვაჭრობის ცენტრად იქცნენ. გარდა ამისა, ახლომდებარე სოფლებში მაჰმადიანთა რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა... ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ თავადების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ“[47].

მაგრამ მოსახლეობა თურქთა ძალადობას არ ურიგდებოდა. 1725 წელს ბეჟან დადიანი გახდა მოთავე ანტიოსმალური ბრძოლისა, რომელსაც რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძეც მიემხრნენ. გამოსვლა ვერ განხორციელდა, ხოლო თვით ბეჟან დადიანი 1728 წ. ვერაგულად მოკლეს. ეს მოხდა გეგუთში, ალექსანდრე V-ის და იუ-

სუფ ფაშას ბანაკში, ამ უკანასკნელის მესაჭურჭლის მაჰმედ ბეგის მიერ. შეთქმულებაში ზურაბ აბაშიძეც მონაწილეობდა[48].

ასე განთავისუფლდა „მეურვისაგან“ ალექსანდრე V, რომელიც მომხრე-მოკავშირეთა რაოდენობის გაზრდას შეუდგა. 1732 წელს, მან პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ცოლად შეირთო გიორგი აბაშიძის შვილიშვილი ლევანის ასული თამარი, თავისი ქალიშვილი კი მამია IV გურიელს მიათხოვა, 1732-33 წ. მეფის ჩაგონებით გრიგოლ რაჭის ერისთავის ბიძა გენათელი ეპისკოპოსი გედეონი საერო ცხოვრებას დაუბრუნდა. ალექსანდრე V მას მამულები უბოძა საჩინოს თემში (თანამედროვე ვანის რაიონი მ.რ.), სადაც ჩამოყალიბდა ე.წ. ბარის საერისთავო.

1730 წლის გაზაფხულზე თურქებმა გადაწყვიტეს დაემორჩილებინათ აფხაზეთსა და აზოვის ზღვას შორის მცხოვრები მთიელი ტომები.

ალექსანდრე იძულებული გახდა ამ ლაშქრობებში მონაწილეობა მიეღო, რითაც ძალზე გაამწვავა ურთიერთობა სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებთან. თურქებმა სამეგრელო დაარბიეს, დაწვეს ილორის განთქმული ეკლესია და აფხაზეთში შევიდნენ. თურქები კოდორს გაღმა რომ გავიდნენ „ალექსანდრე თავისი ლაშქრით გამოეპარათ მათ და უკან დაბრუნდა“[49]. ამ დროს აფხაზეთში აჯანყებამ იფეთქა, თურქები ჯიქეთში ვეღარ შევიდნენ და მალე მათი ჯარი საქართველოდან წავიდა.

ოტია დადიანმა, ზურაბ აბაშიძემ და რაჭის ერისთავმა... „შეკრიბნენ სპანი დიდნი და მოვიდნენ ალექსანდრესა ზედა ანუ მოჰკლან ანუ განაძონ“[50]. შეთქმულთა კანდიდატი იყო ალექსანდრე V-ს ძმა მამუკა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ოტია დადიანის და. მეფის მომხრეთა რიგში აღმოჩნდნენ: მამია გურიელი, ლევან აბაშიძე, ბარის ერისთავი გედევანი, მერაბ წულუკიძე. კაცია დადიანი (ოტია დადიანის ძმა) და სხვ. მოწინააღმდეგეებს შორის ბრძოლა მოხდა 1732 წლის ზამთარში ჩიხორთან[51].

ალექსანდრე V-მ სძლია შეთქმულებს, თვით ოტია დადიანი კი ტყვედ ჩაიგდო (დაჭრილი). საბოლოოდ მოლაპარაკების შედეგად, დადიანმა მეფეს დაუთმო საჭილაო-სამიქელაო, რომელიც მამუკა ბატონიშვილს გადაეცა“... შემდგომად მოადგა მამუკა ციხესა ბეჟან ჩიჯავაძისასა და მოპარვით აიღო ციხე სებეკისა. მერმე აღიღო ციხე ბეჟანისა და დაიპყრა საჩიჯავაძო მამუკამ“[52].

ჩიხორის ბრძოლას მეფის ხელისუფლების გაძლიერება მოჰყვა შედეგად. მაგრამ იმერეთში მდგომარეობა არ გამოსწორებულა, ქვეყანა ეკონომიურად ისევ დაუძლურებული იყო. ამიტომ თურქთა

ფაშებისათვის ქრთამის მიცემას და სათათრო გამოსაღების გადახდას სამეფო ხელისუფლება ტყვით ვაჭრობაზე ნებართვის მიცემით ახერხებდა. ვახუშტი წერს: „...ალექსანდრემ განაახლა საქმე ბეჟან დადიანისა, რამეთუ ოდეს დასჭირდეს თეთრი ოსმალთა ქრთამად ანუ სხვასა სამჭირნოსათვის, შეაგდის იმერთა თეთრი იგი მთავართა და აზნაურთა ხოლო მათ დაჰყიდიან ტყუენი და მისციან და თვით, რეცა თუ არა ჰყიდდა ტყუეთა“[53].

ალექსანდრე V თურქეთის მომძლავრებას ვერ ურიგდებოდა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაბედული გეგმები ჰქონდა. ამ ბრძოლაში უმთავრეს პერსპექტიულ მოკავშირედ საქართველოსათვის კვლავ რუსეთი რჩებოდა.

რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობამ საქართველო თურქეთის ხელქვეითად სცნო და ამიტომ გაურბოდა საქართველოში რაიმე პოლიტიკურ აქციებს[54].

1735 წ. რუსეთის ჯარების მიერ ყირიმის სახანოს წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთთან ომში გადაიზარდა (1735-39წ.) რუსებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ყველაფერი ეს 1737 წ. ალექსანდრე მე-V უკვე იცოდა და სათანადო მოქმედებისათვის ემზადებოდა. იმავე წლის გაზაფხულზე ირანის წინააღმდეგ აჯანყებული ქსნის ერისთავი შანშე იმერეთს გადავიდა და დახმარების საძიებლად რუსეთს გადაწყვიტა წასვლა. ალექსანდრე V მასთან ერთად, ელჩად გაისტუმრა ქუთაისის მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი[55].

ტიმოთე გაბაშვილი (ქუთათელი) იმერეთიდან 1737 წლის 26 სექტემბერს გაემგზავრა. მაგრამ 1738 წ. თებერვლამდე ასტრახანს შეყოვნდა. 9 მარტს უკვე მოსკოვში იყო, ხოლო 17 აპრილს პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა მიიღო. ელჩობის თარჯიმნად დაინიშნა იმერელი აზნაური დავით მათეს ძე ფანჩულიძე. ეს უკანასკნელი ვახტანგ მეექვსის ამალაში ირიცხებოდა და ვახუშტი ბატონიშვილთან ცხოვრობდა[56].

ტიმოთე გაბაშვილის ელჩობას თან მიჰქონდა ალექსანდრე V-ის ორი წერილი. იმერეთში შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა, რომელზედაც ნაჩვენები იყო ძირითადი სტრატეგიული პუნქტები, ნავსადგურები, სანაოსნო გზები და ციხეები[57].

ალექსანდრე V რუსეთისაგან სამხედრო დახმარებას ითხოვდა. მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხებოდა, მაშინ როგორმე რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულებაში უნდა შეეტანათ მუხლი იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში ყოფნის შესახებ. ყველაფერი ეს თურქეთს იმერეთში შემოჭრის თუ დაპყრობის საშუალებას მოუს-

პობდა, რაც შეეხება რუკას, იგი წარმოადგენდა "ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყაროს..."[58].

ალექსანდრე V თავის წერილში ცდილობდა რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური სიმდიდრითაც დაეინტერესებინა..." რაც ჩვენს ქვეყანაში ქანია, ვერცხლისა თუ ოქროსი, თუ სხვისა მრავალფერის კალისა, სპილენძისა, ტყვიისა, რკინისა, სამ რიგში ჭაშნიკი მომირთმევიაო"[59].

1738 წლის ივლისში ტიმოთე გაბაშვილი ანა დედოფალმა მიიღო და მან ალექსანდრე V-ის წერილებიც გადასცა.

1739 წლის 18 სექტემბერს ხელი მოაწერეს ბელგრადის ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა კიდეც. საზავო ხელშეკრულებაში დასავლეთ საქართველოს შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, რუსეთს შავ ზღვაზე ნაოსნობის უფლება ჩამოერთვა.

1740 წლის 18 მარტს ვიცე-კანცლერმა ოსტერმანმა ტიმოთე გაბაშვილს გადასცა ანა ივანეს ასულის სიგელი დაპირებებით, რომ იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღებას დედოფალი კეთილგანწყობით უყურებს, მაგრამ თურქეთთან ზავი უკვე დადებულია და იმერეთის ელჩს მხოლოდ ამ ცნობით და საჩუქრით ისტუმრებდა[60].

ტიმოთე გაბაშვილისათვის სამშობლოსაკენ გამომგზავრება მარცხიანი აღმოჩნდა. იგი „ურწმუნოთა ხელში აღმოჩნდა" და ტყვეობაში კარგა ხანს დაჰყო, თუმცა იმპერატორ ანას სიგელი, სანდო კაცის ხელით, დაბრუნებამდე გაუგზავნა ალექსანდრე V-ს.

ამრიგად, ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. იმერეთის მეფე დარწმუნდა, რომ რუსეთიდან დახმარება მოსალოდნელი აღარ იყო. 1740წ. რომანოზ სამთავნელი იმერეთიდან რუსეთს გამგზავრა, მას ალექსანდრე V და ქართლისა და „აფხაზეთის" კათალიკოსებმა სინოდში წარსადგენად სარეკომენდაციო წერილები გაატანეს, მაგრამ რაიმე დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმის ცდა უკვე აღარ ჩანდა. 1768 წლამდე, რუსეთს თურქეთთან აღარ უომია და დასავლეთ საქართველოს საქმეების ჩარევაზეც ხელი აიღო. რუსეთის ურთიერთობა დასავლეთ საქართველოსთან კარგა ხნით შეწყდა[61].

XVIII ს. 30-იანი წლებიდან ისევ გრძელდებოდა გამოსვლები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ოპოზიციონერი ფეოდალები, ძმათაშორის სისხლისღვრას რომ შეეჩვივნენ, ახალ-ახალ შეთქმულებებს აწყობდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა პაპუნა წერეთელი და ზურაბ აბაშიძე, რომლის ვაჟს, დავითს, მეფემ ცო-

ლად თავისი და შერთო. 1740 წელს, მეფემ ურჩი ფეოდალები ვარციხეში მიიწვია სტუმრად და საბოლოოდ გაუსწორდა (პაპუნა წერთელი და დავით აბაშიძე მოაკვლევინა), თუმცა მეფემ მოდინახეს აღება მაინც ვერ შეძლო.

მორიგი შეთქმულების მოთავენი გრიგოლ ერისთავი, ზურაბ აბაშიძე და ოტია დადიანი აღმოჩნდნენ. ალექსანდრემ დახმარებისათვის შანშე ქსნის ერისთავს მიმართა, რომელმაც ლეკების რაზმი გამოუგზავნა და მეფემ შეთქმულები გაფანტა. „შემუსრეს ციხენი და მრავალნი კოშკნი... შთავიდნენ ოდიშს და უძვირესნი ბოროტნი ყვნეს“[62].

1741 წელს დადიანმა, ერისთავმა, ზურაბ აბაშიძემ და შერვაშიძემ, ახალციხის ფაშას დახმარებით, ალექსანდრე იმერეთიდან განდევნეს, ხოლო მის ადგილზე მეფის ძმა (გიორგი ბატონიშვილი) დასვეს.

ლტოლვილი მეფე ქართლში გადავიდა, საიდანაც ნადირ-შაჰს დაუკავშირდა. მისი შუამდგომლობით ახალციხის ფაშას მოურიგდა და ტახტი დაიბრუნა. იუსუფ-ფაშამ ნადირ-შაჰის თხოვნას ანგარიში გაუწია და ალექსანდრე იმერთა მეფე ისე დააბრუნა ტახტზე, რომ თურქეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის არც კი უკითხავს (1741 წ)[63].

მაგრამ მეფე-მთავართა და თავადთა ბრძოლა არც შემდეგ დაცხრა. თავის ძმა გიორგისთან ერთად მეფეს დადიანი, ერისთავი და სხვა თავადებიც ებრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ხშირად უსასტიკეს ზომებს მიმართავდა (მოწინააღმდეგეთა ნაწილებს თავებს ჰკვეთდა, ნაწილს ოსმალეთში ჰყიდდა და ა.შ.) შეთქმულება ისევ გრძელდებოდა[64].

1743 წ. დადიანი და ერისთავი ისევ აუჯანყდნენ მეფეს. ერთ-ერთი შეთქული (გრიგოლ ერისთავი) ბრძოლის დროს მოჰკლეს, ხოლო დადიანი გაიქცა. შეთქმულების ჩახშობა ისევ ახალციხის ფაშას დახმარებით მოხდა. ერთი წლის შემდეგ ალექსანდრეს ზურაბ და ზაალ აბაშიძეები აუჯანყდნენ. მეფემ ეს შეთქმულებაც დაძლია, მაგრამ საბოლოოდ ვერც დადიან-ერისთავი დაიმორჩილა და ვერც იმერეთის დიდი თავადები[65].

1749 წ. ალექსანდრე V კიდევ ერთხელ მოუხდა იმერეთის დატოვება, თუმცა თურქთა დახმარებით ისევ მოახერხა დაბრუნება.

შეთქმულებთან ბრძოლას შეეწირა ალექსანდრეს დედინაცვალი თამარ გურიელის ასული (მას ბრალად თანამზრახველობა დაედო), რომელსაც თავი მოჰკვეთეს.

ალექსანდრე V გარდაიცვალა 1752 წლის მარტში.

არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ თითქმის გაჩანაგებამდე მიიყვანა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის იმერეთი, რომელმაც კარგა ხანს ვერ დააღწია თავი პოლიტიკურ და სამეურნეო ანარქიას. თვით სოლომონ პირველის დროსაც კი (1752-1784), როდესაც იმერეთი შედარებით დაწყნარებული იყო, ჯერ კიდევ დიდხანს რჩებოდა მოუშუშებელი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გაუთავებელი ომიანობისაგან მიყენებული ჭრილობები.

# თავი II

## სოლომონ პირველის ბრძოლა განდგომილი ფეოდალების წინააღმდეგ XVIII ს. 50-60-იან წლებში

XVIII საუკუნის შუა ხანებში სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო მტრებით იყო გარემოცული. დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან თურქები უტევდნენ, სამხრეთ აღმოსავლეთიდან ირანელები, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კი ლეკები. ისლამური ურდოებით გარშემორტყმული ქვეყანა ფიზიკური განადგურებისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში, 1752 წელს იმერეთში გამეფდა სოლომონ პირველი"... მარტში მოკუდა ალექსანდრე მეფე, დაჯდა ძე მისი სოლომონ მეფედ"[1].

ს. კაკაბაძე ალექსანდრე V-ის გარდაცვალების თარიღად 1751 წელს ასახელებს და სოლომონ პირველის გამეფებასაც ამ თარიღს უკავშირებს[2].

ნ. დადიანის თქმით, „ესე პირველი სოლომონ იქმნა მეფედ იმერთა მხნე, ახოვანი და მამაცობასა შინა ქებული[3].

მონსინიორი ლეონი წერდა: „როდესაც მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა თავის უბედურ სამეფოს 4 ვაჟიშვილი დაუტოვა: „სოლომონი, იოსები, არჩილი და მეოთხის სახელი აღარ მახსოვს. სოლომონმა მეფობა მცირეწლოვანი ჰასაკიდან დაიწყო[4].

შ. ბურჯანაძე, მოურავოვისა[5] და გიულდენშტედტის[6] ცნობებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ სოლომონი ძმებში უფროსი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი 1734-1735 წლებში უნდა შესძენოდა მეფე ალექსანდრე მე-V-ს 1732 წელს შერთული მეუღლისაგან[7].

ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულია ცნობა, რომ „თუმცა სამეფო ტახტი უფროს ძმას იოსებს ეკუთვნოდა, იოსებმა მეფობა ძმას, სოლომონს დაუთმო და თვითონ ბერად შედგა, რადგან ხედავდა, რომ სოლომონი უფრო სამეფო კაცი იყო"[8].

ალექსანდრეს სამი ვაჟი ჰყავდა - იოსებ, სოლომონ და არჩილ. სამეფოდ მამამ სოლომონი შეარჩია[9]. სოლომონ I-ის ყრმობის წლებზე, ფაქტობრივად, არანაირი საისტორიო მასალა არ არ-

სებობს. ამ მხრივ საინტერესო გამონაკლისია შ. ბურჯანაძის მიერ გამოცემული 1754 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული წყალობის სიგელი საიდანაც ვგებულობთ, რომ სოლომონ პირველის ძიძა ვინმე ნაფიჩვაძე ყოფილა, სიგელში ვკითხულობთ: „მეფეთ-მეფემ სოლომონ, შენ, ჩემს ძიძას და შენს შვილებს ნიკოლაოზს და დათუნას ნაფიჩვაძეს, ასე და ამა პირსა ზედა, რომე ჩემი ძიძა იყავით და შემოგვეხვეწეთ და ვისმინეთ მოხსენება შენი და ამოგიწერეთ საური...“[10].

ამრიგად, 1752 წელს იმერეთის სამეფო ტახტის მფლობელი გახდა ალექსანდრე მე-V-ის უფროსი ვაჟი სოლომონ პირველი. ახალგაზრდა მეფემ მამისაგან არასახარბიელო მემკვიდრეობა მიიღო. იმერეთის სამეფო სათავადოებად იყო დაქუცმაცებული, მთავარი ციხეები: ქუთაისი, ბაღდათი, შორაპანი და ცუცხვათი თურქების მფლობელობაში იმყოფებოდა.

ნ. დადიანი ასე ახასიათებს შექმნილ მდგომარეობას - „გარნა ჟამსა ამას მძლავრობდნენ იმერეთს ოსმალნი და ეპყრათ იმერეთსა შინა ოსმალთა სიმაგრენი ციხე ქუთაისისა, შორაპნისა, ცუცხვათისა და ბაღდადისა და მძლავრობდნენ დიდად“[11].

საყურადღებოა ისიც, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლის მთავარ ციხეებში: გონიო, ბათუმი, ფოთი, რუხი, ანაკლია და სოხუმი ორთუღიანი ფაშები ისხდნენ. აღნიშნული ციხეების მფლობელობას ქართველთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან ანაკლიისა და რუხის ციხესიმაგრეები სტრატეგიულად მოსახერხებელი პლაცდარმი იყო მომხდური მტრის წინააღმდეგ ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ერთიანი ძალებით გამოსვლისათვის[12].

ჩვენ გაგვაჩნია უფრო კონკრეტული მონაცემები დასავლეთ საქართველოში ოსმალთა მფლობელობის შესახებ. ქუთაისში იდგა აღა 500-იანი ჯარით და არტილერიით, რომელსაც ემორჩილება იმერეთის სხვა ციხეებში ბაღდადსა, შორაპანსა და ცუცხვათში მდგარი ოსმალთა რაზმები. ამას გარდა ფოთში იდგა ორთუღიანი ფაშა 200 იენიჩარითა და 50 ზარბაზნით სოხუმში ასეთივე ფაშა 200 იენიჩარით და 60 ზარბაზნით[13]. ეს ციხისთავები შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროს აკონტროლებდნენ და ბუნებრივია, მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდნენ თურქეთისათვის. თუმცა საქმე მარტო ტერიტორიულ მფლობელობაში როდი იყო. ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, „ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ[14].

ოსმალეთის აგრესია დასავლეთ საქართველოს მიმართ განსაკუთრებით გაძლიერდა აზოვის ზღვის დაკარგვის შემდეგ, როდესაც შავი ზღვის აუზში რუსეთის შემოჭრა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის დამაჩქარებელი ფაქტორი გახდა[15].

რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობამ საქართველო თურქეთის ხელქვეითად ცნო და ამიტომ თავს არიდებდა რეგიონში პოლიტიკურ აქტივობას, რასაც შეეძლო პორტას გაღიზიანების გამოწვევა. რუსეთი მტკიცედ იცავდა 1724 წლის ხელშეკრულებას[16].

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იმერეთის საგარეო მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. თურქეთის მთავარი მიზანი - ამიერკავკასიაში გაბატონება - დასავლეთ საქართველოს საშინელ მომავალს უქადდა. მდგომარეობას ამწვავებდა ისიც, რომ თურქეთი დამორჩილებული ქვეყნებისაგან დიდი რაოდენობით ხარკს მოითხოვდა. სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არაა ის ფაქტორი, რომ ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს საბუთებში, გარდა აღგილობრივი გადასახადებისა „სათხოველი" „მოდი" და სხვ[17]. ხშირად გვხვდება საოსმალო გადასახადები „საური", „საუდიერო" „სალიანი". ეს გადასახადი კი სოლომონ პირველის სიტყვით „ჩვენს ქვეყანაში აგარიანთა ძალდატანებისაგან გაჩნდა და ჩვენი ქვეყანა ნამეტნავად შეაწუხა[18].

„აგარიანთა ძალდატანებისაგან" მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თავდაზნაურობაც. ნივთიერ შეჭირვებაში ჩავარდნილი დიდებულები იძულებული იყვნენ პოლიტიკური ძალაუფლების ისეთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტსაც კი შელეოდნენ, როგორიც ციხე-კოშკი იყო. ამ გარემოებით, როგორც ირკვევა, მოხერხებულად სარგებლობდა სოლომონ პირველი და ხელთ იგდებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ციხეებს.

„... დიდად გამიჭირდა და ვალმა ძალი მიქნა და სხვა ვეღარა მოვახერხე რა და სხვის მიყიდვას თქვენი ვარჩიე და მოგყიდეთ ციხე ხარაგოულის" - წერს გიორგი აბაშიძე, სოლომონ მეფეს 1754 წლის ნასყიდობის წიგნში[19].

„ტყვის სყიდვის" მოსპობა, ურჩი ფეოდალების მორჯულება, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, ქვეყნის ერთიანობისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის ბრძოლა, თურქეთის ექსპანსიის ალაგმვა - აი, ძირითადი ამოცანები რაც ამოძრავებდა სოლომონ პირველს. ბუნებრივია, ამ მიზნების შესრულება შეუძლებელი იყო ქვეყნის მოწინავე ძალების მხარდაჭერის გარეშე. მაგრამ სამეფოს შიგნით არსებული ანარქია, ჯერჯერობით, ამის საშუალებას არ

იძლეოდა. პირიქით ოპოზიციონერი ფეოდალები ყოველმხრივ ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ ახალგაზრდა გვირგვინოსნის ჩანაფიქრს.

1752 წელს იმერეთში უძლიერესი თავადები იყვნენ ლევან აბაშიძე და როსტომ ერისთავი. ხსენებული თავადები მთავრობას იჩემებდნენ. აბაშიძე არგვეთისას, ერისთავი კი რაჭისას და ამ ნიადაგზე მათ სასტიკი მტერობა ჰქონდათ სოლომონის მამასთან - მეფე ალექსანდრესთან[20].

სამეფო ტახტის მიტაცების მიზნით მოწყობილი აჯანყებები იშვიათი როდი იყო იმერეთის ისტორიაში. ალექსანდრე მე-V-ს დროს აჯანყების ორგანიზატორები თვით მეფის ძმები მამუკა და გიორგი ბატონიშვილები იყვნენ. ანალოგიურ ვითარებაში ჩავარდა ახალგაზრდა მეფეც, როცა ტახტზე ასვლიდან სულ მცირე ხანში მის წინააღმდეგ სერიოზული ოპოზიციური ბლოკი ჩამოყალიბდა, შეთქმულთა ჯგუფში სოლომონ პირველის უახლოესი ნათესავებიც აღმოჩნდნენ. კერძოდ, ლევან აბაშიძე - სოლომონის ბაბუა (დედის მხრივ), ალექსანდრე V-ის უმცროსი ძმები მამუკა და გიორგი ბატონიშვილები - მეფის ბიძები და თვით მეფის დედა თამარი.

აჯანყებას მიემხრო აგრეთვე მამია IV გურიელი და როსტომ ერისთავის ძმა - აფხაზ-იმერთა კათალიკოსი ბესარიონიც[21].

პაპუნა ორბელიანი ამ ამბავს ასე აგვიწერს:

„რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე დიდი ჯარით იმერეთის მეფეზე წამოვიდნენ, სოლომონ მეფეც წამოვიდა ჯარით, შეიყარნენ, შეიბნენ, დაიხოცა ორგნითვე ურიცხვი, ბოლოს რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეს გაუმარჯვიათ. მეფე სოლომონ გაიქცა, ახალციხის ფაშას შეეხვეწა, მეფის მამული ააოხრეს“[22].

იმერეთის სამეფოში მომხდარი შინაპოლიტიკური დაპირისპირების შესახებ, სტამბოლელი რეზიდენტების მეშვეობით, ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა ევროპის ქვეყნებშიც. ასე, მაგალითად ავსტრიის ელჩი კონსტანტინეპოლში პენკლერი 1752 წლის ოქტომბრის რაპორტში სოლომონ მეფის შესახებ წერს: იმერეთის ახალგაზრდა მთავარი... რომელიც თავის ბიძისა და დედისაგან გაძევებულ იქნა, ახალციხეში აღმოჩნდა, მთხოვნელი ოსმალეთის მფარველობის[23].

სოლომონ პირველმა ფაშასაგან სამხედრო დახმარება ითხოვა და მიიღო კიდეც, რის შედეგადაც დაიპყრო კვალად იმერეთი“ - აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი[24].

სოლომონის ქმედება ამ მხრივ სავსებით გამართლებულია. ახალციხის ფაშა მაშინ წარმოადგენდა ერთადერთ ძალას, რომელიც მეფეს სამხედრო დამხმარებაზე უარს არ ეტყოდა. ფაშას

ამით შესაძლებლობა ეძლეოდა თავის გაელენის ქვეშ მოექცია იმერეთის მეფე და საჭირო შემთხვევაში მისგან მრავალი დათმობები მიეღო თურქეთის ბატონობის სასარგებლოდ. ფაშა უშუალოდ სულთანის განმგებლობას ექვემდებარებოდა და ახალციხეში მყოფი გარნიზონით წარმადგენდა თურქეთის ექსპანსიის დასყრდენს დასავლეთ საქართველოში.

1753 წელს ახალციხის ფაშას დახმარებით სოლომონმა ტახტი კვლავ დაიბრუნა. მეფემ სათანადო ანგარიშსწორება მოუწყო შეთქმულებს. მან სასტიკად დასაჯა აჯანყების მეთაურები და თითოეული მონაწილე. სოლომონ მეფემ არ დაინდო თავისი დედაც კი და იგი „იმერეთიდან გააძევა, რომელიც შემდგომ ოდიშში ცხოვრობდა[25].

ანალოგიური ბედი ეწია მამუკა ბატონიშვილს. „მამუკა, იმერელი მეფის შვილი, გარდმოაგდეს თავისი მამულით ურუმთა[26]“ მაგრამ მომდევნო წელს სოლომონმა შეირიგა მამუკა და საუფლისწულოც დაუბრუნა მას[27].

რაც შეეხება სოლომონის მეორე ბიძას, გიორგი ბაგრატიონს, სავარაუდებელია, რომ მეფის მიერ ისიც დასჯილ იქნა. იგი უნდა ჩავთვალოთ იმ „ახლობელი ნათესავების“ რიცხვში, რომლებიც „სოლომონ მეფემ - ლვოვის სიტყვებით, - ყოველგვარი მოწყალების გარეშე, საპყრობილეში ჩამწყვდევით დასაჯა, მათი ურჩობის გამო“[28].

გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წ. გიორგი ბატონიშვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და პატიმრად იჯდა კვარას ციხეში[29].

ყველაზე მკაცრად მეფე აბაშიძეებს მოეპყრო. ზემო იმერეთის თითქმის ყველა ციხე-სიმაგრე აბაშიძეებს ეკუთვნოდათ მათი ძლიერების ხანაში. ციხეთა სიმრავლით მათ მხოლოდ რაჭის ერისთავი თუ გაუტოლდებოდა ლიხთ-იმერეთში. აბაშიძეების მფლობელობაში იყო: ვახანის, ჩხერეს, სვერის, ხარაგაულის, ნავარძეთის და კაცხის ციხეები[30].

სწორედ სამკვიდრო სოფელ კაცხის ჩამორთმევით დასაჯა სოლომონმა ბაბუა ლევან აბაშიძე. კაცხის ციხე თავისი მონასტრითურთ იმერეთის შემადგენლობაში შედიოდა სამეფოს გაუქმებამდე[31].

მეფეს დაუსჯელად არ გაუშვია არც მამია გურიელი, რომელსაც, როგორც ჩანს, მონაწილეობა მიუღია აჯანყებაში[32].

ფაშას ჯარის მეშვეობით სოლომონი გურიაში შეიჭრა, მამიას მთავრობა წაართვა, გურიიდან გააძევა და მისი უმცროსი ძმა გიორგი დასვა[33].

შეთქმულებიდან დასჯას გადაურჩნენ როსტომ რაჭის ერისთავი და მისი ძმა-კათალიკოსი ბესარიონი... „მეფემან სოლომონ დაიპყრო იმერეთი, მოიყვანა როსტომ, მიუტევა უსჯულოება და სასიკვდილონი ორგულებანი თვისნი, მისცა კვალად რაჭის ერისთობა“[34].

გეოგრაფიული მდებარეობის გამო რაჭა ძნელად მისადგომი კუთხე იყო და რაჭის ერისთავებიც ბუნებრივ სიმაგრეებს მინდობილნი, ყოველთვის მიილტვოდნენ დამოუკიდებლობისაკენ. ისინი სხვა თავადებთან ერთად თავიანთ წესისამებრ სწყვეტდნენ იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა-დარჩენის საკითხს[35].

გაძლიერებული რაჭის ერისთავები განდიდებას ტიტულატურაშიც გამოხატავდნენ. თავს ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერის მთავრად და მსაჯულად მოიხსენებდნენ[36] „ლიხთ იმერთა სარდალი... მპყრობელი რაჭისა“[37].

პირველობისათვის მებრძოლი ერისთავი არც თავის სამფლობელოს თავადაზნაურებს და არც მათ მომხრე გლეხებს ინდობდა. XVIII-ს. 50-იან წლებში მან ააწიოკა იმერეთის მეფის მომხრე ჯაფარიძეები, იაშვილები და წულუკიძეები, ხოლო შემდეგ მათი ყმა-მამული თვითონ მიიტაცა. „დაიპყრო ყოველნი საწულუკიძეო მამული სოფელ-ციხე-სიმაგრენი საერისთავოდ, საწულუკიძეო სრულად აღხოცა და ნაცვლად მისსა დასდვა სახელად სარაჭისერისთაო“[38]. შემდგომში ასეთივე ბედი ეწია ყიფიანებს, გამყრელიძეებს, გოცირიძეებს და სხვ.

აღნიშნულ თავად-აზნაურთა ყმა-მამულთან ერთად, ერისთავი რაჭაში მდებარე სამეფო მამულებსაც დაეუფლა და ფაქტობრივად მთელი რაჭის ერთპიროვნულ ბატონ-პატრონად გადაიქცა[39].

როსტომსა და მის ქვეშევრდომებს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე ნათლად მეტყველებს მისი ძმის ბესარიონის მიერ ჯაფარიძეებისადმი მიცემული იმედისა და თავდებობის წიგნი[40].

თუმცა, როგორც ირკვევა, კათოლიკოსის შუამდგომლობა ყოველთვის ვერ ჭრიდა და სიუზერენ-ხელქვეითებს შორის ხშირად „ცოტა რამ გულისტკენა“ ჩამოვარდებოდა ხოლმე[41].

თანამედროვე ცნობებით, როსტომ ერისთავი ეკლესიებისა და სასახლეების მშენებელი წიგნიერი და მოხერხებული პიროვნება იყო. მის ჯოგებს თითქოს მთა და ბარი ძლივს იტევდა, თითქოს ერისთავი სიმდიდრით მეფე სოლომონს ბევრად აღემატებოდა[42].

ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ძლიერი ერისთავის დასჯა მეფეს არ შეეძლო. ამიტომ იძულებული გახდა ღალატზე თვალები დაეხუჭა და შეეწყალებინა. ეს შეწყალება აშკარად მეფის სისუსტით იყო გამოწვეული[43].

ერისთავს განსაკუთრებით წერეთელთა მამულებისაკენ ეჭირა თვალი. წერეთლებს მამულები ქართლშიაც ჰქონდათ და რაჭაშიც. აღზევებულმა ფეოდალმა ჯრუჭის ხეობა (თავის შესანიშნავი მონასტრით), ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ წერეთლებს წაართვა, რითაც სამუდამოდ გადაიმტერა იმერეთის სამეფოს ეს ძლიერი საგვარეულო. წერეთლების მიერ დასახმარებლად მოწვეული სოლომონ მეფე „საქმეში ჩაერია“, სადავოდ გამხდარი ჯრუჭის მონასტერი როსტომს წაართვა და თვითონ მიისაკუთრა. ბუნებრივია, მეფის ამ მოქმედებით განსაკუთრებით უკმაყოფილო როსტომ ერისთავი დარჩა[44].

შეთქმულების დამარცხების შემდეგ მეფე მოქნილი პოლიტიკის გატარებას შეუდგა. მან კარგად გაითვალისწინა XVIII ს. 50-იან წლებში ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი სიძნელეები (რუსეთის ძლიერი დაწოლა ბალკანეთზე, აჯანყებები სირიასა და პალესტინაში, მამელუქთა ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ და სხვ.). 1747 წელს ოსმალეთმა ომი გააჩაღა ირანთან, იგი ძალებისაგან სულ უფრო და უფრო იფიტებოდა... 50-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა შვიდწლიანი ომი დაიწყო, ამოქმედდა პრუსიის დიპლომატიაც და სტამბოლში ეფექტური ბრძოლა ჩაატარა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პრუსია-ოსმალეთის კავშირის გასაფართოებლად[46].

საერთაშორისო ვითარება და ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური სისუსტე ხელსაყრელ ამინდს ქმნიდა სოლომონ პირველის გეგმების რეალიზაციისათვის. ნ. ბერძენიშვილი მის შესახებ აღნიშნავს: „თავისი მოღვაწეობა მეფემ მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის ყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო... მეფემ თავის მოღვაწეობას ამით მტკიცე იდეური საყრდენი მოუპოვა: ის ქართველობისათვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა“[47].

ახალგაზრდა მეფეს კარგად ესმოდა, რომ თავგასული თავადების წინაამდეგ ბრძოლა დიდებულთა მეორე დასთან კავშირის შეკვრის გარეშე შეუძლებელი იყო. ფაქტობრივად, იგი უპირისპირდება არა გამთიშველ სოციალურ ფენას, არამედ ამ ფენის ცალკეულ წარმომადგენლებს მეორეთა აღზევების ხარჯზე. ეს ცხადია, შექმნილი მდგომარეობიდან მხოლოდ დროებითი გამოსავალი იყო და ამ მტკივნეული პრობლემის გადაჭრის რადიკალური მეთოდი. ეს მომენტი კარგადაა შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში[48], სოლომონ პირველი ამგვარი „პროპორციული ბალანსირების“ პოლიტიკის შესანიშნავი ოსტატი გახლდათ. მან გადაწყვიტა ოდიშის მთავართან - ოტია დადიანთან (1728-1758) დამოყვრება. ეს

მოყვრულ-დიპლომატიური კავშირი მახვილი პირით სწორედ რაჭის ერისთავის წინააღმდეგ იყო მიმართული. ოდიშთან ურთიერთობის მოწესრიგებას მეფე იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ აფხაზთა მთავრის ასულსაც კი გაეყარა და მარიამ დადიანზე იქორწინა.

ამ ქორწინების პოლიტიკური სარჩული კარგად აქვს შემჩნეული ნ. დადიანს მისი თქმით „ვინაითგან იხილა, თვინიერ დადიანისა მეფობა მისი შეუძლებელ არს. (კურსივი ჩვენია. მ.რ), ამისთვის განუტევა ინალისშვილის ასული და შეირთო ოტია დადიანის ასული, მარიამი“[49].

სოლომონის პირველი ცოლი რომ ნამდვილად შერვაშიძის ასული თინათინია, ეს ნათლად ჩანს მეფის მიერ 1753 წელს ქაიხოსრო აგიაშვილისადმი გაცემულ წყალობის წიგნში[50]... მეფეთ მეფემან პატრონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩვენმან შერვაშიძის ასულმან დედოფალთ დედოფალმან ბატონმა თინათიმ და ძმამან ჩვენმან იესემ ბაგრატ არჩილ... შენ ჩვენს ერთგულს და თავდადებით ნამსახურევს... ქეშიკთუხუცესს აგიაშვილს ქაიხოსროს[51] ასე რომ... შენი საკვიდრო წართმეული პატრიკეთის წყალობა დაგვაჯე და გიბოძეთ[52].

შ. ბურჯანაძე ასკვნის, გამოღის, რომ მეფე პოლიტიკური გზით დამოყვრებია დადიანს. მართლაცდა, მეფის ხელისუფლებას ოდიშის მთავართან კავშირის დამყარება ამ დროს მეტისმეტად ესაჭიროებოდა, რადგან მაშინ ოდიში იმერეთისაგან ჩამოშორებული იყო[53].

სოლომონ I-მა ასევე მოხერხებულად შემოირიგა მამია გურიელი (1726-1776). მართალია, გურიელმა ხელისუფლების დაბრუნება შესძლო, მაგრამ იძულებული გახდა მეფის მორჩილი ყოფილიყო[54].

მამია გურიელი და ოტია დადიანი სოლომონისათვის საკმაო ძალას წარმოადგენდნენ და ამით მეფემ ენერგიული მოქმედების საშუალება მოიპოვა. დადიანისა და გურიელის შემორიგებით - წერს ნ. ბერძენიშვილი - სოლომონმა მტერი გაიმარტოვა. ერისთავსა და აბაშიძეს ძლიერი მომხრეები შემოაცილა[55].

მეფის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის. დასახული პოლიტიკური პროგრამის განსახორციელებლად ერთადერთი საშუალება იყო ქვეყნის შიგნით ერთგული ძალების შემოკრება და მათზე დაყრდნობა[56].

ყველაზე ძლიერი საწუხარი ქართული ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილისა, მთელი ხალხისა, ეს იყო ბრძოლა

ტყვის სყიდვისა და მაჰმადიანობის წინააღმდეგ[57]. ამ საკითხს მეფის სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ბუნებრივია, ამით იქმნებოდა მტკიცე ნიადაგი იმისა, რომ იმერეთის მოსახლეობა მეფის ირგვლივ დარაზმულიყო.

სოლომონის პოლიტიკა შეუთავსებელი იყო თურქეთის მთავრობის ასიმილაციურ პროგრამასთან, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის საბოლოო დაპყრობას, იგი მიუღებელი იყო აგრეთვე განდგომილი თავადებისათვისაც, რადგან ასეთი პოლიტიკა ამაღლებდა მეფის ავტორიტეტს, ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების ზრდას და ტყვის სყიდვით მიღებულ მნიშვნელოვან შემოსავლებს აკარგვინებდა ოპოზიციონერ დიდებულებს. ამიტომ ეს ორი რეაქციული ძალა - შინაური და გარეშე - გაერთიანდა მეფის წინააღმდეგ[58].

მართალია, გოროზი თავადები ნებისმიერ მომენტში მზად იყვნენ მეფის საწინააღმდეგო გამოსვლისათვის, მაგრამ საჭირო მომენტამდე დიპლომატიურად დუმდნენ და თავს ერთგულად აჩვენებდნენ[59].

თუმცა, როგორც მოვლენათა მსვლელობამ გვიჩვენა, მეამბოხე ფეოდალთა სიმშვიდე დროებითი და მოჩვენებითი ხასიათისა იყო. XVIII ს. მეორე ნახევრიდან ისინი აქტიურად და გამუდმებით იბრძვიან მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

სოლომონ პირველმა მეფის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, საქართველოს ისტორიაში მანამდე უცნობი ინსტიტუტი შექმნა, რომელსაც „ფიცის კაცნი“ ეწოდებოდა.

„ომში ფიცის კაცები ერთად შედიოდნენ - ერთი მეორეს ვერ დატოვებდა, მოკვდებოდნენ ერთად და გამოვიდოდნენ ერთად. არ შეიძლებოდა არც დაჭრილის და არც მკვდრის დატოვება. თუ ხმალამოუღებელი ან შეშინებული მოკვდებოდა ვინმე, იმას აღარ მარხავდნენ, მინდვრად ტოვებდნენ მხეცების შესაჭმელად. თუ ასეთი კაცი გადარჩებოდა, იტყოდნენ ფიცის კაცს უღალატაო და გააასხლებდნენ საცხოვრებელი ადგილიდან“[60].

„ფიცის კაცნი იყვნენ შემდეგი გვარების წარმომადგენლები: თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაურნი მესხები, ავალიანები, იოსელიანები, ღოღობერიძეები, მიქაბერიძეები, გრიგალაშვილები და ჭაბუკიანები. ფიცის კაცნი, ვიდრე თხუთმეტი წლის გახდებოდნენ, თავისი ყმებით სამღვდელოებით და ხატებით შეიკრიბებოდნენ ერთ-ერთ ამორჩეულ ადგილას (ლეკერწას) ყოველწლობით 15 მაისს ფიცს დებდნენ, რომ „მეფის ერთგულნი იქნებოდნენ“[61].

ფიცის კაცები მუდამ ერთგულად ედგნენ მხარში როგორც სოლომონ პირველს, ასევე იმერეთის მომდევნო მეფეებს და თავიანთი

ერთგულებით სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს ქვეყნის ისტორიაში.

სოლომონ პირველი გამეფებისთანავე ამჟღავნებდა ანტითურქულ განწყობილებას, მაგრამ 1757 წლამდე აქტიურ მოქმედებაზე არ გადასულა, რადგანაც სათანადო ძალა ჯერ კიდევ არ გააჩნდა[62].

1757 წლისათვის სოლომონის ხელისუფლება იმდენად განმტკიცდა, რომ მას დახმარება სთხოვა ქართლის მეფემ თეიმურაზ II-მ, იმერეთის მეფე ჯარით ქართლს გადავიდა და ლეკების დამარცხებაში მიიღო მონაწილეობა[63].

ბუტკოვის ცნობით, 1757 წელს მთელ საქართველოში საშინელი შიმშილობა იყო. ლეკები ასეთი უბედურების ჟამსაც კი არ ანებებდნენ თავს ქვეყნის აწიოკებას. ისინი გამოვიდნენ ქართლში, დაარბიეს სოფ. ალი და გაიყვეს რა ორ ნაწილად, ერთდროულად ჩასაფრდნენ სიმაგრეებში - ატოცში და ავნევში. მეფე თეიმურაზმა დახმარებისათვის მოუწოდა იმერეთის მეფე სოლომონ პირველს და მათ შეაერთეს რა თავიანთი ძალები ქართლში, განდევნეს მტერი[64].

XVIII ს. მეორე ნახევარში ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ სტადიაში შევიდა. ანტიოსმალურ ბრძოლაში მეფეს ერთგულ მოკავშირეებთან ერთად მხარში ედგნენ აფხაზეთის სამთავროს წარმომადგენლებიც[65].

სოლომონმა შემოირიგა რა გავლენიანი თავადები, სასტიკად აკრძალა ტყვის სყიდვა, რამაც განარისხა ოსმალები. „ახალციხის ფაშამ ჰაჯი ახმედმა შეახსენა მეფეს, რომ მას მაინც მოუწევდა ტყვეების გაყიდვა. იმერეთის მეფემ ახალციხის ფაშას უარით უპასუხა. ამ უკანასკნელმა აცნობა სულთანს სოლომონ პირველის თავხედობის შესახებ და მოითხოვა მისი დასჯა. 1757 წლის დეკემბრის დასაწყისში თურქეთის არმია ზეკარის გზით იმერეთში შემოვიდა[66].

მონსინიორი ლეონი წერს: „ახალციხის ფაშამ, სახელად ჰაჯიაჰმედმა უზომოდ გაუუარესა მდგომარეობა მეფე სოლომონს, რადგან ყოველწლიურად მისგან 50 ათასი სკუდო მიჰქონდა და რადგან სოლომონს ძალა არ შესწევდა, გაეძლო ამ ახალი ხარჯისათვის თუ არა ტყვის მეშვეობით, იგი შეჰპირდა მიცემას მხოლოდ ნაწილ-ნაწილად. ფაშა ლმობიერად დაეთანხმა მეფის თხოვნას. მაგრამ ლევან აბაშიძე ადგა და იმერეთიდან ახალციხეში ავიდა და ფაშას უთხრა, რომ სოლომონი მას ატყუებდა და ნამდვილად არასოდეს არ სურდა გადაეხადა რამდენსაც ჰპირდებოდნენ[67].

მაშინ ოსმალეთის ხონთქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა. ლევან აბაშიძესა და როსტომ ერისთავს თავისი დრო დაუდგათ[68].

თუმცა იყო სახლიშვილი აბაშიძისა მეფე ესე, გარნა არა რიდა და წავიდა პაპა მეფისა ამის ლეონ ახალციხეს და მოიცა ძალი ოსმალთაგან და მოვიდა აბაშიძე იმერეთს დიდითა სერესკლებითა[69].

შ. ბურჯანაძე, ეყრდნობა რა პაპუნა ორბელიანის ცნობას, თელის რომ „ახალციხეში აბაშიძეს თან ახლდა მისი „თანამებრძოლი“ როსტომ ერისთავი[70].

დაუმარცხა იმერეთის მეფემ სოლომან ურუმის ჯარს, რომ ლევან აბაშიძეს და რაჭის ერისთავს მოეყვანათ მის წასახდენად.[71]

ს. კაკაბაძის აზრით „ლევან აბაშიძე პირადად ავიდა ახალციხეს და იქიდან წაუძღვა.. სალაშქროდ გამზადებულ ახალციხისა და აჭარის ჯარს. იმერეთში გამოსვლისას ამ ჯარს მიერთო რაჭის ერისთავი, და ზოგი სხვა იმერეთის თავადი და აზნაური თავისი კაცებით“[72]. ეს მოსაზრება გაიზიარა გ. მეტრეველმაც[73].

ამ ფაქტს, როგორც თვითმხილველი, ადასტურებს მონსიონიორი ლეონი“ ხრესილის ბრძოლაში, მოწინააღმდეგეთა მხარეზე ლევან აბაშიძისა და რაჭის ერისთავის როსტომის გარდა, იმყოფებოდა აგრეთვე აზნაური წულუკიძე და გედევან აბაშიძე. პირველი ამათგან, როგორც ჩანს როსტომის ერთგული პირი იყო, ხოლო მეორე - ლევან აბაშიძის შვილი“[74].

ამრიგად, ლევან აბაშიძე თავის შვილთან ერთად აქტიურად იბრძოდა სოლომონ პირველის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში არაა გამორიცხული როსტომ რაჭის ერისთავის უფროსი შვილის - გიორგის მონაწილეობაც[75].

ზემო იმერეთი ლევანმა „მიიბირა“. მეფე მტერს ვერ გაუმკლავდებოდა, რომ მისთვის ოტია დადიანს არ აღმოეჩინა დახმარება. „მცნობმან ამისაგან მეფემან სთხოვა შეწევნა სიმავრსა დადიანსა ოტიას და ვინაითგან კაცი მამაცი დადიანი ოტია მოუძლურებულ იყო მოხუცებულობის გამო, ამისთვის წარმოუვლინა ძე თვისი კაცია შესაწევნად სიძესა თვისსა მეფესა[76].

ოდიშის ლაშქარს თან ახლდა სამურზაყანოელთა რაზმი ხუტუნია შერვაშიძის მეთაურობით.

საინტერესოა იმერეთში შემოჭრილი მტრის რაოდენობის დაზუსტება. მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ლეონის მონაცემებს შეგვიძლია დავეყრდნოთ. „ახალციხის ფაშამ დანიშნა ერთი გენერალი, სახელად გოლა-ფაშა და 40 ათასი ჯარისკაცით იმერეთში გამოისტუმრა[77].

ნ. დადიანის აზრით, მტრის რაოდენობა რამდენჯერმე აღემატებოდა მეფისა და დადიანის ლაშქარს[78]. რაც შეეხება ცნობას სოლომონის ჯარების შესახებ ლეონი წერს: „... სოლომონი... გამოვი-

და რა ბრძოლის ველზე მცირერიცხოვანი რაზმით თავის მტერთან შესახვედრად, ისე განუმტკიცა მათ სული თავისი დიდსულოვნებით, რომ მტრის დამორჩილება შესძლო“[79].

გ. მეტრეველი ამ საკითხის შესახებ ასკვნის: „იმერეთის ჯარის ძირითადი მნიშვნელოვანი ძალა შედგებოდა გლეხების და წვრილი აზნაურებისაგან - ერთი მეომარი ყოველი ერთი კომლისაგან. ამ დროს სახელმწიფო გლეხთა რიცხვი შეადგენდა არაუმეტეს 8 ათას კომლს. თუ ყოველ კომლს ერთი მეომრის მოცემა შეეძლო, მაშინ სამეფო ჯარი შესაბამისად შეიძლება ყოფილიყო 8 ათასი კაცი. თუ ამას მივუმატებთ მოკავშირეთა ძალებს (ოდიში, გურია, სამურზაყანო და სხვ) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაერთიანებული სამეფო ჯარი რიცხობრივად დაახლოებით 15-16 ათას კაცს აღწევდა“[80].

ცნობილია, რომ ამ დროს თურქთა რაზმები იდგნენ ქუთაისის, ცუცხვათის, ბაღდათის და შორაპნის ციხეებში.

1757 წელს იმერეთში შემოჭრილი მტერი დაბანაკდა ხრესილის მინდორზე (ტყიბულის რაიონი) სოლომონმა გადაწყვიტა, პირველად სწორედ მათთვის შეეტია.

ამრიგად, ხრესილში მეფის წინააღმდეგ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი იდგა: მასში შედიოდნენ ახალციხისა და აჭარის სანჯაყთა ჯარები, რომელთაც მეთაურობდა ახალციხის ფაშას ქეჰაია. მასთან იყვნენ ლევან აბაშიძე და ერთ-ერთი წულუკიძეთაგან თავიანთი რაზმებითურთ.

1757 წ. .. იქმნა ხრესილის ომი. თათრებს, ვეზირის ჯარს ახლდენ ერისთავი, აბაშიძე, წულუკიძე და მეფეს შამოებენ[81].

იმერეთის მეფემ სამხედრო მოქმედების საკუთარი ორიგინალური გეგმა შეიმუშავა. მოიერიშე რაზმები დაჰყო ჯგუფებად (150-200, 250-300 კარგად შეიარაღებულ მებრძოლებად) და ჩასაფრებულად განალაგა ისინი გზის გასწვრივ ტყეში. პატარა ჯგუფებად დანაწილებული იმერეთის ჯარი ხან აქ, ხან იქ ესხმოდნენ თავს თურქეთის არმიას[82].

სოლომონმა, როგორც ნიჭიერმა ხელმძღვანელმა და ომის კარგად მცოდნემ, შეადგინა მცირედი მოთარეშე ცხენოსანი ჯარი და ახალციხიდან მომავალ მტერს შეხვდა სალაშქროში, ზეკარის უღელტეხილთან. ქართველებმა მტერს დიდი თავდასხმა მოუწყვეს ზეკარში, შემდეგ კი კაკას ხიდთან, ზეკარის ქვემოთ 6კმ-ზე. საბოლოოდ მტერი გოდოგნისა და გელათის გავლით მიუახლოვდა ხრესილის დაბლობს და გაება სოლომონის მიერ დაგებულ მახეში. ხელჩართული ბრძოლა დაიწყო საწირის აღმართზე. ოკრიბელი

გლეხის, ბრეგაძის ძლიერი ხმით ნათქვამმა სიტყვებმა - „გაიმარჯვა იმერეთის მეფემ წახთა თათარიო“ ქართველთა ჯარს სიმხნევე შემატა. მაგრამ არეულობის მომენტში მეფე სოლომონის დროშა ხელთ იგდეს ოსმალთ, რომელიც გადასცეს სერასკირს. თავდადებული ქართველი ვაჟკაცების ერთი ჯგუფი მსწრაფლ შეიჭრა მტრის ბანაკში და დროშა ისევ მეფეს მიართვეს[83].

ხრესილის ბრძოლის შედეგად მტრის ჯარის დიდი ნაწილი გაიჟლიტა, ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს, მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით.

ბრძოლაში დახოცეს თურქეთის ჯარის მხედართმთავრები გოლა-ფაშა, ქემხა ახალციხის ფაშა და ბაშა-აღა[84].

როდესაც დიდმა სულთანმა კონსტანტინოპოლში შეიტყო მეტად სამარცხვინო დამარცხება, თურქების ჩვეულებისამებრ, მისი ასეთი გაწბილების გამო, ახალციხის ფაშა დაახრჩობინა არზრუმის მეორე ფაშა იბრაჰიმს[85].

ქართველების მხრიდან მოკლულ იქნა მეფის მოღალატე ბაბუა - ლევან აბაშიძე, ხოლო რაჭის ერისთავმა როსტომმა გაქცევით უშველა თავს.

„მიეწივნენ მენგრელნი და მოკლეს აბაშიძე ლეონ, პაპა მეფისა, შეიპყრეს აბაშიძე გედევან და მოჰგვარეს მეფესა და შემდგომად დასწვა თჳალნი მეფემან.“[86]

ზარალი მეფის მხრიდან დიდი იყო. დაიღუპა კაცია დადიანის თანმხლები, სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შერვაშიძე.

1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილის ველზე მომხდარი ბრძოლა „დასაწყისი იყო დასავლეთ საქართველოს გამათავისუფლებელი ომისა. სოლომონ მეფე სამხედრო იარაღით პირველად აქ შეხვდა დამპყრობელ ძალას...[87]

სოლომონ მეფემ სათანადო ზომები მიიღო მოღალატეთა დასასჯელად. რადგან აბაშიძეთა გვარის ძლიერება ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას აბრკოლებდა, ჩამოართვა მათ ლევანის წილი მამული და თავის სახასო საკუთრებად გამოაცხადა. ეს იყო სვერ-შორაპანი მათი ციხეებით, შალოური, ღოდორა, წიფლავაკე, სანახშირე, შროშა, ჭალატყე, საქარა, დილიკარი, რუფოთი, კვახჭირი და კიდევ რასაც ლევანი და მისი მამა ფლობდნენ არგვეთს, ლომსიათ ხევს, ოკრიბასა და ვაკეში[88].

სოლომონმა დანარჩენი აბაშიძეები ფიცით შემოიმტკიცა და სააბაშოს ნაწილი მათ წყალობად მისცა. ამრიგად, აბაშიძეთა სათავადო მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის უძლური იყო. რაც შეეხება როსტომ ერისთავს, გამარჯვებული მეფე მაინც

მოერიდა მის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას, „მიუტევა" უსჯულოება და სასიკვდილონი ორგულებანი" კვალად შემოირიგა იგი და ისევ რაჭის ერისთავად დატოვა[89].

ნ. დადიანი ხრესილის ბრძოლის თარიღად 1756 წელს ასახელებს „და გაემარჯვათ დიდათ და სახელოვნად მეფესა და დადიანსა წელსა ქრისტესით 1756[90]. ამავე წელს ემხრობა შ. ბურჯანაძეც[91]. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლება, რომ ხრესილის ბრძოლა მოხდა 1757 წლის 14 დეკემბერს[92].

1757 წლიდან მოკიდებული დიდ ომგადახდილ სოლომონ პირველს სიკვდილამდე არ დაუსვენია. დამახასიათებელია ხრესილთან მომხდარ ბრძოლებამდე სოლომონის სახელმწიფო ბეჭდების ზედწერილი„ მონა ღვთისა, ყმა ხოთქრისა, სოლომონ". ეს მიიღო მან მემკვიდრეობად, მაგრამ 1757 წლის შემდეგ სოლომონის ბეჭედს სხვა წარწერა ამშვენებს: „დავითის ნორჩი ღვთით მტერს მოვრჩი მეფე სოლომონ". სოლომონმა თურქეთთან ბრძოლა ამჯობინა ისეთ პირობებშიც, როცა არსაიდან დახმარების იმედი არ ჰქონდა[93].

იმერეთის მეფემ ხრესილის ბრძოლის შემდეგ გაითვალისწინა, რომ თურქეთი მის ქმედებას რეაგირების გარეშე არ დატოვებდა და სათანადო ზომები მიიღო. 1758 წელს გორში, სოლომონ პირველმა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს - „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველოთო[94]. ხელშეკრულების თანახმად, 1759 და 1769 წწ. იმერეთის ჯარი ქართლ-კახეთის ლაშქართან ერთად იბრძოდა ლეკებისა და განჯის სახანოს წინააღმდეგ[95].

მ. თამარაშვილი შენიშნავს, რომ ამერ-იმერის მეფეებს სისტემატურად არ შეეძლოთ დახმარებოდნენ ერთმანეთს[96]. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მომენტია, იმის მიუხედავად, რომ ირან-ოსმალეთს შორის ჯერ კიდევ ამასიაში დადებული ხელშეკრულებით (1555 წელი) მათ ქვეშევრდომებს აკრძალული ჰქონდათ ერთმანეთის საქმეებში ჩარევა. იგივე პოზიცია იყო დაფიქსირებული ზოჰაბის (1639 წელი) ხელშეკრულებაშიც.

როგორც ვხედავთ, სოლომონ პირველი ქართლ-კახეთის მეფეებთან ერთად არად აგდებდა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს[97].

თურქეთის მთავრობა ვერაფრით შეურიგდა მარცხს და იმერეთზე მორიგი ლაშქრობა ახალციხის ფაშას დაავალა. საბაბიც სათანადო ჰქონდათ. ფაშამ იმერთა მეფეს მოსთხოვა ხარკისა და ჯარიმის სახით 300 ქესა ფული და ტყვეებით თავისუფალი ვაჭრობის

აღდგენა. მოსალოდნელი ომის თავიდან აცილების მიზნით სოლომონი მხოლოდ თანხის გადახდაზე დაეთანხმა.

1758 წელს ოსმალთა ჯარი, ხუნძახის ბატონთან და ლეკებთან ერთად იმერეთში შემოვიდა. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით ეს თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სოლომონმა ჯარის შეყრა და ქართლ-კახეთისათვის დახმარების თხოვნაც კი ვერ მოასწრო და მტერს განერიდა.

ოსმალებმა მთელი ქვეყანა გააოხრეს, მათ შორის გელათის მონასტერიც. პ. ორბელიანის გადმოცემით - „გააოხრეს იმერეთი მრავალი იშოვეს: მეფე სოლომონმა შებმა ვერ გაბედა, არც ქართველთ სთხოვა ჯარი. გელათის ეკლესია მაშინ წახდა, ეს ნაშოვარი მოიტანეს ახალციხის ქვეყანასა, მისცა ფაშამაც ბევრი ლეკთა და გაისტუმრა დაღისტანსა შინა“[98].

ამის შემდეგ ჰასან-ფაშა ორჯერ შემოიჭრა იმერეთში, მაგრამ ორჯერვე დაამარცხა[99].

1759 წელს სოლომონ პირველმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა. დეკემბერში მოწვეული საეკლესიო კრების დადგენილების თანახმად სასტიკად იქნა აკრძალული „ტყვის სყიდვა“[100].

1757-1758 წლებში გატარებულმა ღონისძიებებმა იმერეთის მეფეს დასავლეთ საქართველოში დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. ეს ღონისძიებები ფართო მასების ინტერესებსაც უპასუხებდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ წარმოუდგენლად მძიმე პირობებს, რომელშიც მოსახლეობას XVIII ს. შუა ხანებში უხდებოდა ცხოვრება, ცხადი გახდება, რომ სოლომონს მშრომელი მასების და ფეოდალთა პროგრესული ნაწილის სრული მხარდაჭერა უნდა დაემსახურებინა. სწორედ ეს იყო უმთავრესი პირობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მომავალი წარმატებებისათვის[101].

1758-1768 წ.წ. ესაა თურქებთან ხანგრძლივი ბრძოლის პერიოდი. ამ დროს თურქი იანიჩრები შესანიშნავად იყვნენ მოკალათებული შავი ზღვის სანაპირო ზოლის ციხეებში და თავიანთი პოზიციების განმტკიცებას ცდილობდნენ. სამაგიეროდ ისინი სათანადო ანაზღაურებასაც ღებულობდნენ.

1759 წელს ახალციხის ახალმა ფაშამ იბრაჰიმმა სოლომონს ტყვეთა სყიდვის თავისუფლება მოსთხოვა. იმერეთის მეფემ მას დედოფალი მარიამი აახლა და ზავი და მშვიდობა შესთავაზა, მაგრამ ამაოდ. მოლაპარაკება ჩაიშალა[102]. „ვიდრე ჩემი ქმარი ცოცხალია, მისი საბრძანებლიდან დიდ სულთანს ტყვე ქალებს აღარ მიჰყიდისო“[103].

1760 წელს ახალციხის ფაშას ოფიციალურ მიმართვას „ტყვის სყიდვის“ აღდგენის შესახებ სოლომონმა უარით უპასუხა[104].

1760 წელს - წერს მარკოვა - ახალციხის ფაშამ მოახსენა პორტას, რომ მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ქართველს თურქთა ჯარის დახმარების გარეშე, რომ მისი ხელქვეითი ქართველები ემუქრებიან ციხე-სიმაგრეებს, თავს ესხმიან სოფლებს და მცხოვრებნი ტყვედ მიჰყავთ[105].

როგორც ვხედავთ სოლომონი ისე გაძლიერებულა, რომ ახალციხის ფაშას მარტო აღარ შეუძლია მისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ურჩი ქვეშევრდომის დასამორჩილებლად, სულთანის ბრძანებით, 1760 წლიდან დაიწყო ზედიზედ თურქთა ლაშქრობა იმერეთში... პირველი ლაშქრობა... აღნიშნულ წელსვე მოხდა, მეორე - 1763 წ. და მეოთხე 1765 წელს[106].

1763 წელს თურქთა ჯარი ორ ნაწილად შემოვიდა იმერეთში. ერთ ნაწილს სარი-აბდულ-რიმან ფაშა სარდლობდა, მეორეს - ჰასან-ფაშა (1765 წელსაც თურქეთთა ჯარის სერასკერი ჰასან-ფაშა იყო)[107].

იმერეთის წარმატებებს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდად უწყობდა ხელს ქართლ-კახეთის სამეფო „ერეკლე, ოსმალნი რომ იმერეთში მოვიდნენ. საიდუმლოდ მოეხმარა ორჯელ“[108]. ამის საპასუხოდ თურქეთში გავრცელდა ხმა, თითქოს იმერეთის ჯარში ერეკლესთან ახლომყოფი რუსი ოფიცრები იბრძვიანო“[109]. თურქეთის მთავრობამ, საბრძოლო მოქმედებებით რომ ვერაფერი გააწყო, მოქმედების გეგმა შეიცვალა. სოლომონის მოწინააღმდეგეებთან გააბა კავშირი და ციხის გატეხა შიგნიდან სცადა.

ჰამერი გადმოგვცემს, რომ ჯერ კიდევ ადრე სულთნის მთავრობა დაუკავშირდა სოლომონის ძმას, რომელიც ახალციხეში იმყოფებოდა მეფესთან მტრობის გამო. ახალციხის ფაშა იბრაჰიმი მას სოლომონის წინააღმდეგ შეიარაღებულ დახმარებასაც უწევდა[111]. მაგრამ შეთქმულებმა შედეგს ვერ მიაღწიეს.

ამის შემდეგ თურქები დაუკავშირდნენ სოლომონის ბიძაშვილს თეიმურაზ მამუკას ძე ბაგრატიონს.

სოლომონ პირველის პოლიტიკით უკმაყოფილო თეიმურაზი ჯერ კიდევ 1763 წელს ახალციხეში იმყოფებოდა და მეფობის მაძიებელი თურქებს ტყვეებით ვაჭრობის აღდგენას ჰპირდებოდა, თუ მას იმერეთის ტახტზე დასვამდნენ[112]. თეიმურაზის წინადადება თურქებისათვის მისაღები აღმოჩნდა და 1765 წელს ჰასან-ფაშა დიდი ლაშქრით დასავლეთ საქართველოს დასარბევად წამოვიდა.

ამჯერად, იმერეთის მეფის მხარეზე გურიისა და ოდიშის მთავრები აღმოჩნდნენ. როსტომ რაჭის ერისთავი ისევ თურქებს შეუკავშირდა[113].

ოსმალო ისტორიკოსი ჩეშმი-ზადე თავისი „ისტორიის" II თავში გადმოგვცემს ოსმალთა მზადებას იმერეთის დასაპყრობად, მეხუთე თავში კი მოგვითხრობს ოსმალთა მიერ ციხის აღებას და თეიმურაზ ბატონიშვილის გამეფებას. გ. მუტრეულის დასკვნით „ისტორიაში" მოყვანილი ფაქტები ზუსტად ემთხვევა ქართულ დოკუმენტურ წყაროებში დაცულ ამ პერიოდის ამსახველ ცნობებს[114].

1765წ. ოსმალთა ჯარმა იმერეთზე გალაშქრებამდე გურია დაიკავა, ჰასან ფაშამ მამია გურიელი გადააყენა და მის მაგივრად სამთავროს მმართველად მამიას ძმა გიორგი დასვა[115].

რაც შეეხება სამეგრელოს, კაცია დადიანი იძულებელი გახდა დათმობაზე წასულიყო, სურსათ-სანოვაგით მოემარაგებინა მტერი და მის ტერიტორიაზე გამოზამთრების საშუალებაც მიეცა.

გურიისა და სამეგრელოს მთავართა მოქმედებით, სოლომონ პირველი ფაქტიურად იზოლირებული აღმოჩნდა მათგან. ამით ისარგებლა ჰასან-ფაშამ და 1766 წელს იმერეთს შეესია. ერთთვიანი ალყის შემდეგ, იმავე წლის სექტემბერში, თურქებმა სვერის ციხე აიღეს, ქუთაისს მივიდნენ და თეიმურაზ მამუკას ძე მეფედ გამოაცხადეს. ოპოზიციონერ თავადთა ნატვრა ასრულდა. სანაცვლოდ ისინი ქუთაისში მივიდნენ და ხელი მოაწერეს ახალ მბრძანებელ თეიმურაზისადმი მორჩილების აქტს[116].

მონსინიორი ლეონი დადიანისა და როსტომ ერისთავის ქმედებას ასე აფასებს. ისინი თავიანთი მეფის სოლომონისადმი მტრობას კი არ ფიქრობდნენ, არამედ ამას სჩადიოდნენ პოლიტიკური მიზნით, რომ თავიდან აეცდინათ მათი ქვეყნის განადგურება და ზიანი, რომელიც მოყვებოდა ალი-ბეგის მოსვლას (ალი-ბეგი პორტას სრულუფლებიანი წარმომადგენელია)[117].

იმერეთის მეფეს გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი წერეთლებმა გაუწოდეს, თურქების ტყვეობას განარიდეს და მოდინახეს ციხეში შეიფარეს.

„დამალა მეფე ესე... წერეთელმან ქაიხოსრომ... ციხესა შინა თვისსა" მოდინახეს და „იყო ჟამ რამოდენიმე ფარულად"[118].

„პაპუნა წერეთლის ქვრივმა, მცირეწლოვან შვილ ქაიხოსროსთან ერთად, საპატიო სტუმარს არათუ უარი უთხრა თავშესაფარზე, არამედ, როცა თურქებმა მოსთხოვეს მას დამალული სტუმარი, ქვრივმა დადო ცრუ ფიცი, რომ სოლომონი წავიდა მთებში და მო-

დინაბეს ციხეში მოსვლის შემთხვევაში ვალდებულებას იღებს მეფე გადასცეს თურქებს"[119].

ბუტკოვი გაღმოგვცემს, დიდებულებს აღარ სურდათ დამორჩილებოდნენ მეფე სოლომონს. მათ მოიყვანეს თურქეთის არმია და მეფე იმერეთიდან გააძევეს, რომელიც შემდეგ მთებში იმალებოდა. სამაგიეროდ მეფედ დასვეს სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზი[120].

მოდინახეს ციხე სოლომონის სამხედრო ბაზა გახდა. აქედან უკავშირდებოდა იგი თავის საყრდენ ძალას - წვრილ თავადებსა და აზნაურებს.

1766 წლის ლაშქრობის შედეგად თურქებმა იმერეთი მოარბიეს და ახალციხის ჰასან ფაშამ თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად იქ 4 ათასი მოლაშქრე ჩააყენა.

1766 წლის მიწურულს სოლომონის დავალებით ქაიხოსრო წერეთელი გაემგზავრება ყიზლარის კომენდანტთან, რუსეთის სამხედრო წარმომადგენელ, გენერალ პოტაპოვთან. იმერეთის მეფე გენერალს პორტასთან შუამდგომლობას ან თავშესაფარს სთხოვდა. 1766 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „როდესაც მე ჩემი სამეფო დავიპყარ, მაშინ ბრძანება გავეც, რომ ქრისტიანი ტყვე თათარზე აღარ გასყიდულიყო, რომელიც დღეინდლამდე არც გასყიდულა და როდესაც ეს საქმე შეიტყო ხუანთქარმან, განრისხდა და, ამ ჯარის გარდა (იგულისხმება 1766 წლის შემოსევა 80 ათასიანი ჯარით) სამგზის ჯარი გამომისივა და სამჯერვე გავიმარჯვეთ (იგულისხმება შემოსევები 1763, 1765 წ.წ.), საბოლოოდ, სოლომონი თანახმა იყო ხარკი გადაეხადა სულთნისათვის, მაგრამ ადამიანებით ვაჭრობაზე სასტიკ უარს აცხადებს"[121].

სამწუხაროდ, რუსეთის მთავრობა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა და იმერეთის მეფისათვის დახმარება შესაძლებლად არ ცნო[122].

ომის შედეგად აშკარად გამოჩნდა ძალთა თანაფარდობა. ერთ მხარეზე აღმოჩნდა თეიმურაზ ბატონიშვილი და როსტომ ერისთავი (ნაწილობრივ კაცია დადიანი), ხოლო მეორე მხარეზე სოლომონ პირველის ირგვლივ დარაზმული თავადაზნაურობა.

შინაფეოდალური ბრძოლა 1765 წლის ზაფხულში დაიწყო და 1767 წლის ბოლომდე გასტანა. თეიმურაზ ბატონიშვილმა დროებით გაიმარჯვა. მაგრამ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა ლაშქარი თანდათან მრავლდებოდა და მტკიცდებოდა. თურქები ციხეებიდან გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ. თვით თეიმურაზ მეფეც თურქებთან

გადასახლდა ქუთაისის ციხესიმაგრეში და გარეთ ვერ გამოდიოდა. ხალხი იმერეთის მეფედ ისევ სოლომონს მიიჩნევდა[123].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოღალატე თავადებმა ახალციხეში ელჩებიც კი გაგზავნეს ჯარის მოთხოვნის მიზნით. სანაცვლოდ ისინი სულთანს „ტყვის სყიდვის“ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ. ამჯერად ეს „საპატიო“ მისია წილად ხვდათ ერისთავის ძმას პატრიარქ ბესარიონს და სოლომონ მეფის ბიძას ქაიხოსროს. ელჩობის წარმატებით დაგვირგვინებას ხელი შეუშალა მიმდინარე საშინაო პროცესებმა (წინამორბედი იბრაჰიმ-ფაშა თანამდებობიდან გადააყენეს)[124].

სოლომონ პირველი ამჯერადაც წერეთლებმა გადაარჩინეს. 1767 წ. ქაიხოსროს უმცროსმა ძმამ ნიკოლოზმა დაქირავებული „ლეკის ჯარი მოჰგვარა“ სოლომონს და „მოქმედებითა წერეთლისათა“ მეფემ „დაიპყრა იმერეთი“[125].

იმდროინდელი საშინაო და საგარეო ვითარების გათვალისწინებით თურქეთის მთავრობა მიხვდა, რომ უმჯობესი იქნებოდა იმერეთთან ზავი დადებულიყო, რაოდენ ჯარის შენახვის ძალა მას აღარ შესწევდა, ოღონდ ზავი რომ გარეგნულად მაინც, პორტასათვის საპატიო ყოფილიყო (Хотя бы для Порты только наружно честно было), მომრიგებლის როლში ერეკლე II გამოვიდა[126].

1767 წელს თურქეთსა და იმერეთს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება. ამ ფაქტს წინ უძღოდა სტამბოლში ერეკლესა და სოლომონის ელჩების ვიზიტი. ელჩობას სოლომონის ძმა იოსებ გაეწნათელი ხელმძღვანელობდა.

„სულთანს მოუხდა ქართველებთან სამშვიდობო დათმობაზე წასულიყო, რაოდენ მათ წინააღმდეგ წამოწყებულმა სამხედრო საქმეებმა არათუ წარმატებები მოუტანა, არამედ იგი სავსებით გამანადგურებელი იყო. (მაგ. უიღბლო კომპანია 1756 წ. დაჯდა 1200 „ქისა“ ანუ 360 ათასი მანეთი“[127]).

ხელშეკრულების თანახმად თურქეთმა იმერეთი ცნო არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ. იმერეთს თურქეთისათვის ერთგულების ნიშნად ყოველწლიურად უნდა გაეგზავნა 60 ქალი, ოღონდ სავალდებულო აღარ იყო ეს ქალები ქართველები ყოფილიყვნენ. ზავის ეს პირობები იმერეთის ელჩის მიერ იყო შეთავაზებული[128].

ის ფაქტი, რომ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ტყვის სყიდვის აღდგენის შესახებ, სოლომონ პირველის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს[129].

1767 წლის ხელშეკრულებით ძველი მოხარკეობა ისევ აღდგა, მაგრამ, გამორკვა, რომ ეს შეთანხმება სოლომონის მხრიდან მოჩვენებითი იყო თავისთავად, თურქეთის მთავრობაც არ ჩქარობდა სოლომონისათვის ტახტის დაბრუნებას[130].

თეიმურაზ ბატონიშვილი ვერ თმობდა იმერეთის ტახტს. თუმცა 1767 წელს 16 სექტემბერს იგი ქუთაისიდან გავიდა და სოლომონს შეურიგდა, მაგრამ მალე მათ შორის კვლავ მტრობა ჩამოვარდა[131].

1768 წ. სოლომონი გადამწყვეტი ქმედებისათვის მოემზადა. მან ბრძოლა გაუმართა მის მოწინააღმდეგეებს - დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს. ჩხარის მახლობლად ცხრაწყაროსთან... სოლომონ მეფემ თავის ერთგული იმერლებით და დაქირავებული ლეკებით დაამარცხა თურქები და მათ მიერ მეფედ დაყენებული თეიმურაზი[132].

თეიმურაზის მომხრეთა რიცხვში იბრძოლნენ: კაცია დადიანი, გიორგი ბატონიშვილი, რაჭის ერისთავი და გიორგი მეხუთე გურიელი.

თავადური რეაქციის თავი, თეიმურაზ მამუკას ძე ბაგრატიონი, სოლომონმა ჩაამწყვდია მუხურის ციხეში (სადაც იგი კიდეცაც მოკვდა)_ შეიპყრა თეიმურაზ და პატიმარ ჰყო ციხესა შინა მუხურისასა, რომელსაცა დაეცა მეხი მუნ და მოკუდა"[133].

ხოჯავაანთ იოანე წერს: „1772 წლის 30 ენკენისთვეს მეფის თეიმურაზის სიკვდილი გაცხადდა; 5 ღვინობისთვეს თეიმურაზ მეფე მკვდარი მიიტანეს გელათს დასაფლავად"[134].

ციხეში ჩასვეს ბრძოლაში დატყვევებული გიორგი ბატონიშვილიც.

ტახტის დაბრუნების შემდეგ იმერეთის მეფემ სასტიკი უარი განაცხადა ახალციხის ფაშას მოთხოვნაზე - ხარკად ადამიანების გაგზავნაზე, რაც 1767. წლის ხელშეკრულებით იგი გათვალისწინებული. მე სწორედ ასეთი ხარკის წინააღმდეგ ვიბრძოდი და ვიბრძვი და სულთანს ქალების გაგზავნას როგორ აღუთქვამდიო. ფაშამ ეს პასუხი სასწრაფოდ აცნობა სულთანს, სულთანმა წყრომის წერილი გამოგზავნა, მაგრამ ეს წერილი უშედეგოდ დარჩა[135].

1768 წლის 23 ივნისს რუსეთის კარზე ელჩად გაგზავნილი მაქსიმე ალშიძე აღნიშნავდა, რომ თურქეთი ხარკად ადამიანებს მოითხოვს, რასაც მეფე არასდეს დაუშვებსო[136].

„... რადგან ციხეები კვლავ მტერს რჩებოდა და, მთავრები და თავადები მეფისადმი მტრულ პოზიციებზე იდგნენ, ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად მოსახლეობა სისხლისაგან დაცლილი იყო,

ხოლო მეურნეობა დაცემული. ცხადია, თურქების ახალი შემოტევის შემთხვევაში ყველაფერი ბეწვზე ეკიდა.

აი, რა აიძულებდა სოლომონს რუსეთის მთავრობის მიერ ახლახან შემოთვლილი უარის მიუხედავად დიდი რწმუნებით აღჭურვილი ელჩი (მაქსიმე ქუთათელი) კვლავ გაეგზავნა რუსეთში"[137].

იმერეთის მთავრობის მცდელობა რუსეთთან კავშირის დაჭერის შესახებ, თურქეთის მთავრობის შეშფოთებას იწვევდა. იმერეთის დაკარგვით თურქეთს ხელიდან ეცლებოდა შავ ზღვაზე და კავკასიაში ბატონობის ერთ-ერთი დასაყრდენი. ამიტომ სულთანი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. „მაგრამ სულთანის მთავრობის განზრახვა სოლომონთან „დაზავებისა" იმაში მდგომარეობდა, რომ თურქეთი უკვე იდგა რუსეთთან მოახლოებული დიდი ომის ზღურბლზე"[138].

სულთანმა მუსტაფა III 1768 წ. აგვისტოში სოლომონ მეფის მიმართ წყალობის ფირმანი გამოსცა, რომლითაც „ქრისტიან მფლობელთა შორის სახელგანთქმულ სოლომონს იმერეთის მეფედ აღადგენდა"[139]. სულთანი ფირმანის ძალით დაგვიანებით, მაგრამ მაინც ცნობდა სოლომონ პირველის უპირატესობას ამ პერიოდისათვის. გარდა ამისა, ფირმანის გამოცემამ დააჩქარა მაქსიმე ქუთათელის ელჩობა რუსეთში[140].

შ. ბურჯანაძე წერს: სულთანის დათმობა დროებითი იყო და მეფის მოტყუებისათვის ჩადენილ აქტს წარმოადგენდა. თუკი გამოირკვეოდა რუსეთის ჩაურევლობა იმერეთის საქმეებში და სოლომონი და მისი თანამებრძოლები ხმალს ქარქაშში ჩააგებდნენ და მშვიდობიან ცხოვრებას ხელს მიჰყოფდნენ, თურქეთი უკან წაიღებდა თავის „დათმობას" და მკაცრად მოექცეოდა იმერეთს. ეს კარგად იცოდა გამოცდილმა სოლომონმა. ამიტომ მან გარკვეული მსხვერპლი გაიღო. აგრესორის დროებით შესაჩერებლად მეფემ იკისრა ახალციხის ფაშას წინაშე თურქეთისათვის 30 ათას მანეთის გადახდა (შ. ბურჯანაძე შენიშნავს, რომ ეს თანხა, ბევრად მცირეა, ვიდრე ძველად ახდევინებდნენ იმერეთსო[141]).

მაგრამ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებამ და ომის დაწყებამ გადაარჩინა დასავლეთ საქართველო თურქეთის ახალი გამანადგურებელი ლაშქრობისაგან. ცხადია, თურქეთი, რომელმაც 1769 წელს მარტო დუნაის ფრონტზე 400 ათასიანი არმიის თავმოყრა შეძლო იმერეთის მეფეს არაფერს დაუთმობდა, მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა (აჭარისა და აფხაზეთის გამოკლებით) 31 ათას კომლს ან 155 ათას სულს აღმატებოდა. საკუთრივ იმერეთში

კი 8 ათასამდე კომლიღა იყო, საიდანაც სოლომონ პირველი 6 ათასამდე ჯარისკაცის გამოყვანას გაჭირვებით ახერხებდა[142].

ამრიგად, ათი წლის მანძილზე 1758-1768 წლებში - იმერეთის მოსახლეობა სოლომონ მეფის ხელმძღვანელობით გმირულად ებრძოდა თურქ დამპყრობლებს და მათ დამხმარე იმერელ რენეგატ თავადებს. სოლომონმა არაერთხელ დაამარცხა და დასჯა ორგული შინაური და გარეშე მტერი. იმერელი ხალხის ქედუხრელმა და გმირულმა ბრძოლამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მტერი აიძულა უკან დაეხია და მეფესთან კომპრომისული ზავი დაედო[143].

## სოლომონ მეფე და როსტომ რაჭის ერისთავი

თავადური ოპოზიციის ხელმძღვანელი როსტომ ერისთავი ბოლომდე იბრძოდა სოლომონ პირველის წინააღმდეგ. მეფის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება, მისგან სრული დამოუკიდებლობის მიღება და საკუთარი საერისთავოს გაფართოება - გაძლიერება, ასეთი იყო რაჭის ერისთავის მთავარი მიზანი.

XVIII ს. მეორე ნახევარში რაჭის საერისთავო საკმაოდ ძლიერ სამფლობელოს წარმოადგენდა. ერისთავები, ძველთაგანვე ამჟღავნებდნენ დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვას და საშინაო საქმეებში მეფის ჩარევას" უნდობლობით ეკიდებოდნენ. ამის გამო ხშირი იყო კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც ზოგჯერ დაუნდობელ ბრძოლებამდეც კი მიდიოდა, თუმცა გამარჯვების სასწორი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრებოდა.

ერისთავების რეზიდენცია იყო სოფელი წესი. აქვე იდგა მათი კარის ეკლესია და სასახლე - ბარაკონი, რომელიც როსტომს აუშენებია ღვთისმშობლის სახელზე[144]. ბარაკონი იყო თავშესაფარი მტერთან დამარცხებული ან ტახტიდან ჩამოგდებული ქართველი მეფეებისა. ისინი აქ იკრებდნენ ძალებს, ზვაობით დაეშვებოდნენ მაღალი მთებიდან, ტახტს იბრუნებდნენ და შემოსულ თურქებს რისხვად ატყდებოდნენ[145]. ბარაკონს ზემოდან გადმოსცქეროდა მაღალი კლდის თავზე მდგარი, ერისთავების ბატონობის სიმბოლო, ციხესიმაგრე „მინდა" მაგარი და აუღებელი მტრისაგან[146].

ერისთავი მტკიცედ იცავდა წესის მისადგომებს. ციხისკართან, სადაც რიონი ვიწრო კალაპოტში მიედინება, ხიდი იყო გადებული. ხიდის ორივე თავთან გამოკვეთილ სალ კლდეში, კოშკები იყო მი-

შენებული და თითოეულ კოშკში მუდმივად 40 შეიარაღებული მცველი იდგა.

როსტომი, ბუნებრივი თუ ხელოვნური თავდაცვითი ზღუდეების მეშვეობით, დარწმუნებული თავის უპირატესობაში, იმერთა მეფეს აღარ ემორჩილებოდა. მას თავი ქვეშევრდომად აღარ მიაჩნდა და სოლომონს აფრთხილებდა: „...ხელი აიღე რაჭაზედ, მიხვდი, რომ აღარ გმორჩილებ, სწორი გიდგები ძალაზედ, რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გერიდები ამაზედ“[147].

ხალხურ ლექსში შემონახული ეს სიტყვები ბევრის მთქმელია. როსტომ ერისთავმა თავისი თავი მეფედ გამოაცხადა, სინამდვილეში იგი იყო იმერეთის მოურავიო, გვამცნობს ხალხური ზეპირსიტყვიერება[148].

როსტომის მფლობელობითი მადა კარგად გამოვლინდა ამ მხრივ ჩატარებულ ღონისძიებებში. ისარგებლა რა „ჟამთა ვითარებით“, მან მიიტაცა ჯაფარიძეების, იაშვილების, ყიფიანების, ლიპარიშვილების, გამრეკლიძეების სამფლობელოები, მას მიაყოლა სამეფო მამულები და მთელ რაჭას დაეუფლა[149].

„რაჭა შედგება ოთხი სათავადოსაგან და ერთი საეპისკოპოსაგან; ესენია: საერისთავო, საწულუკიძეო, საიაშვილო და საჯაფარიძეო.

მინდას ციხე, ხიდისკარი, სამკვიდრო სოფელი წესი, სოფ. ლიხეთი და სოფ. ურავი - ყველა ეს ერისთაისადმი ძველთაგანვე ბოძებულია მეფეების მიერ და მათ ისინი მემკვიდრეობით ფლობენ, მაგრამ შემდეგ, გაძლიერებულმა ერისთავმა თავისთვის მიისაკუთრა“[150].

ერისთავის მსხვერპლი შეიქმნა თვით მისი მოკავშირე პაატა წულუკიძეც კი. გიულდენშტედტი გვამცნობს, რომ პაატა წულუკიძე იყო კაცია დადიანის სიმამრი და როსტომ ერისთავის ერთგული პირი. „პაატა, გიორგი და ბერი წულუკიძეების ბიძაშვილი ყოფილა“. უხუცესი ბიძაშვილი რაჭის ერისთავთან იმყოფებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც უკანასკნელი განდგურდა, დადიანთან გაიქცა“[151].

ამრიგად, როსტომმა „დაიპყრა ყოველნი საწულუკიძეო მამული სოფელ-ციხე სიმაგრენი სათავისთავოდ, საწულუკიძეო სრულად აღხოცა და ნაცვლად მისსა დასვა სახელად სარაჭისერისთავო“[152].

თავად ჯაფარა ჯაფარაშვილი წერს: „როსტომ ერისთავმა ბევრი ცუდი საქმე ჩაიდინა, მოინდომა მეფობა იმერეთისა და ისრე მოაწყო საქმე, კიკიანის ფაშას შემწეობით ხვანთქართან, რომ იმერეთში გვარი ბაგრატიონთა მოესპოთ, და მეფობა მისთვის და ლევან აბაშიძისთვის უნდა მიეცათ, და მათ ორ სამეფოდ უნდა გაეყოთ ესე იგი ოსეთის სამზღვრიდან ვიდრე დადიანისა და გური-

ელის სამზღვრამდე რიონის წყალი დასდეს სამზღვრად-მარჯვნის მხრით იქმნებოდა როსტომ ერისთავის და მარცხნის მხრით ლევან აბაშიძისა"[153].

მეფის წინააღმდეგ მებრძოლი რაჭის ერისთავი მთელი ისტორიის მანძილზე მოღალატეთა რიგებშია, ხოლო თურქი ინტერვენტები ყოველთვის ურჩი ფეოდალის თანდგომით სარგებლობენ. ამიტომ, ასკვნის შ. ბურჯანაძე სოლომონ მეფის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ შეიცავდა ბრძოლას ერისთავის წინააღმდეგაც[154].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხრესილის ბრძოლის შემდეგ „შეწყალებული" ერისთავი 1761 წლამდე მეფესთან კონფლიქტურ სიტუაციებში არა ჩანს. პირიქით, 1759 წ. საერო და საეკლესიო კრების დროს სოლომონ მეფე დიდი პატივისცემით იხსენიებს როსტომ ერისთავს, ხოლო 1760 წელს განჯაში ლაშქრობის დროს სოლომონს როსტომი თან ახლდა[155]. მაგრამ როსტომი ვერ ეგუებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვის აზრს. მის გონებაში დაუმორჩილებლობის იდეა ბობოქრობდა. როსტომის შეხედულება შესანიშნავადაა გადმოცემული სოლომონისადმი გაგზავნილ გვიანდელ ბარათში

„ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,
თამარ მეფის მამობილსა ყმანი ჰყავდა ორად ბევრი,
მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი
გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია შენი გერი"[156].

1761 წელს როსტომ ერისთავი კვლავ განუდგა მეფეს და ამის შემდეგ მას სისტემატურად ეხედავთ ოსმალთა მხარდამხარ. მან „კვალადცა მსგავსებითა იუდასითა აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა, და მრავალგზის შემოება ჯარსა მეფისასა, და ესერ ვითარ დაუცხრომელითა ორგულობითა მისითა, მრავალნი ქრისტიანენი სამღვდელონი და საერონი დააკლდენ სიცოცხლეს"[157].

ამიერიდან, თურქთა ლაშქრობის მთელ პერიოდში, რაჭის ერისთავი მათი მეგზურია ან იმერეთში შემოსვლისთანავე უერთდება თურქებს და მათთან ერთად იბრძვის სოლომონის წინააღმდეგ[158]. ამჯერად როსტომს, ლეონის ცნობით, მხარს უმშვენებს ოდიშის მთავარი კაცია II დადიანი, რომელიც ერისთავის დისწულია[159].

1765 წლამდე, როსტომი დაუსჯელი რჩებოდა. მეფეს ერისთავის „შეწყალების" გარდა სხვა გზა არ ჰქონდა[160]. გარეშე მტერთან ბრძოლის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასარდლოს ანუ სადროშოს, რომელიც წარმოადგენდა განსაზღვრულ სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულს. სარდალი ცენტრალური ხელისუფლების მოხელე იყო...

სარდლის სახელო, ისე როგორც სხვა სახელოები, მემკვიდრეობით ეპყრათ თავადურ საგვარეულოებს. „ზემო ქვეყნის“ ანუ „ზემო მხარის“ (ზემო იმერეთის) სარდლობა წერეთელს ჰქონდა, ვაკისა (ქვემო იმერეთი) წულუკიძეს, ოკრიბა-ლეჩხუმის - აგიაშვილს, რომელიც „წინამავალ“ ე.ი. მოწინავე სარდლად იწოდებოდა და რაჭის ერისთავს[161]. ამდენად, გართულებული პოლიტიკური ვითარების ჟამს მეფე შეგნებულად არიდებდა თავს როსტომ ერისთავის დასჯას, სოლომონმაც შეინყალა ერისთავი: „მისცა სამკიდრებელი თვისი (ფორმალურად, ფაქტურად ერისთავს ის ჰქონდა),“ მაგრამ ერისთავი მაინც არ გამოეთიშა მეფის მტრებს[162].

ამის შემდეგ, როსტომი ისევ გარეშე ძალის - თურქის მეშვეობით ცდილობს სოლომონის ტახტიდან ჩამოგდებას და დროებით მიზანს აღწევს. იმერეთის ტახტზე როსტომ რაჭის ერისთავის სიძე თეიმურაზ ბატონიშვილი დასვეს.

მაქსიმე ქუთათელი, რაჭის ერისთავის ქმედებას შემდეგნაირად აუწყებს რუსეთის წარმომადგენელს, თავად ამილახვაროვს: „სოლომონის შევიწროება თურქთაგან მოხდა იმერეთის თავად ერისთავის გაიძვერობით, რომლის მეშვეობითაც იმის, ერისთავის, სიძე, ხოლო სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზი, ქუთაისში თურქებმა მეფედ გამოაცხადეს“[163].

საკითხი უნდა გადაეწყვიტა იარაღს. 1767 წლის ბოლოს სოლომონმა ლეკები მიუსია რაჭას და გააძარცვინა.

„სოლომონმა შეკრიბა ლეკთა ჯარი, შეუერთა მათ რამდენიმე მისი ერთგული იმერელი თავადი, რომელთა მეშვეობით გაანადგურა და გააძევა თურქები. შემდეგ შეიპყრო მეფე თეიმურაზი და რაჭის მოსახლეობა გამცემლობისათვის დასაჯა[164].

„ვინაიდან ერისთავი რაჭისა როსტომ არა ერჩდა, რომლის გამო მეფემან იმერთამან იხმო მხედრობა ლეკთანი და წარსტყვევნა რაჭა...“[165].

„ამ ბრძოლის დაწვრილებით აღწერას ჩვენ მოგვაწვდით წერილში, რომელსაც ყიზლარის კომენდანტისაგან მიიღებთ... საქართველოში გაგზავნილი გრიგოლ არქიმანდრიტის ცნობით წერილში ჩამოთვლილია არა მარტო ორივე მხარის საერთო დანაკარგი, არამედ მითითებულია ბრძოლის ზუსტი თარიღი 12(23) დეკემბერი, 1767 წ[166].

რა თქმა უნდა, საქართველოსათვის მებრძოლს მანკად უნდა ჩაეთვალოს ქართული კუთხის აოხრება და აწიოკება უცხო ძალის საშუალებით, მაგრამ ვინაიდგან როსტომ ერისთავის „კუთხე“ მტრის მოკავშირედ იყო გადაქცეული, ასეთი ძალისმიერ მეთო-

დებით ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლაში საჭირო საშუალებას წარმოადგენდა, ამიტომ სოლომონის საქციელი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს[167].

თეიმურაზ ბატონიშვილის დამარცხების შემდეგ ერისთავის პოზიციები შესუსტდა. პაატა წულუკიძის მიმართ ჩადენილმა შეცდომამ როსტომს ერთგული თავადი ჩამოაცილა და გადაამტერა. ამას თან დაერთო კაცია დადიანის განდგომაც და იგი მარტო აღმოჩნდა მეფესთან ბრძოლაში.

სოლომონ I თანამოაზრეები თვლიდნენ, რომ 1765-1768 წლების უბედურების მიზეზი როსტომ ერისთავი იყო. წერეთლებმა ყველაფერი როსტომს გადააბრალეს და მეფე საბოლოოდ აამხედრეს მის წინააღმდეგ. მეფესთან ახლო მდგომი წერეთლები და წულუკიძეები როსტომ ერისთავის სამაგალითო დასჯას მოითხოვდნენ[168].

1769 წლის 28 იანვარს სოლომონმა რაჭა კვლავ ააოხრა. მაგრამ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ერისთავი ვერ შეიპყრო.

როცა სოლომონი იმყოფებოდა რაჭაში, მის მიერ დამორჩილებული ხელქვეითის როსტომ რაჭის ერისთავის სამფლობელოში, რომელმაც მეფეს მრავალი მწუხარება მიაყენა, რუსეთის ოფიცერი თავადი ხვაბულოვი 1769 წლის 16 იანვარს გაგზავნილ იქნა მეფე სოლომონთან ყიზლარის კომენდანტ გენერალ-მაიორ პოტაპოვის მიერ. სამი თვის გზაში ყოფნის შემდეგ ის (ხვაბულოვი) მივიდა სოლომონთან რაჭაში[169].

ამრიგად, 1769 წლის მარტში ხვაბულოვის თანახმად, მეფე რაჭაში იმყოფებოდა, სოლომონმა საერისთავოს დასუსტების მიზნით გადამჭრელ ზომებს მიმართა. ძირითად ციხე-სიმაგრეებში ერთგული კაცები ჩაყენა. დაანგრია ერისთავის სასახლე წესში, გადაწვა ახლომახლო სოფლები, თუმცა როსტომი მაინც ვერ შეიპყრო.

„ლობუნის შესართავს ქვევით, ახლოს, ლამაზი ქვის ეკლესია დგას და მასთან ახლოს რაჭის ერისთავის ქვის სასახლე მოსჩანს, რომლებიც სოლომონ მეფემ სამი წლის წინათ ნანგრევებად გადააქცია“[170].

გიულდენშტედტის ცნობით, სოფ. სხარტალი, რომელიც საწულუკიძეოში მდებარეობდა, მეფეს თავის საზაფხულო სადგომად გადაუქცევია, ხოლო სოფ. ქვემო და ზემო ბარი და მრავალძალი - თავის ძმის, იოსებისათვის მიუცია[171].

1772 წ. 3 აგვისტოს წულუკიძეებისადმი მიცემულ სიგელში სოლომონი წერს: „.. მყის აღვიმხედრეთ.. განვაბნიევნით მტერი ქრისტიანეთანი და მოყვარენი და მინდობილნი ბილწთა მაჰმადიან-

თა, დავიპყრენით ყოველნი ადგილი მათნი მთა-ბარ-ციხე სიმაგრენი საწულუკიძოთურთ[172].

მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ურჩი ფეოდალი მაინც არ ცხრება და ათასგვარ საშუალებებს მიმართავს მდგომარეობის გამოსასწორებლად. კერძოდ, აწყობს „ელჩობებს“ ყაბარდოსა და თურქეთში. მაგრამ უშედეოდ. როსტომის უფროსი შვილის გიორგის (რუსულად ეგორის) ყაბარდოში გაპარვა შეუმჩნეველი არ დარჩენია სოლომონს. მეფემ სასწრაფო კავშირი დაამყარა ყიზლარის კომენდანტთან, გენერალ პოტაპოვთან და სთხოვა მისი შეპყრობა[173].

ბუტკოვის ცნობით, დიდი ყაბარდოს მფლობელი თავადი ნავრუზ ისლამოვი, ერთადერთი იყო, რომელიც რუსეთს არ ემორჩილებოდა, მთებში შეიჭრა და შეურიგებელ მტრობას უწევდა მას[174].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ყაბარდოს მფლობელი დაეხმარებოდა იმერეთის მეფის მტერს, რაოდენ სოლომონი რუსეთის მეგობრად ითვლებოდა[175]. მაგრამ ერისთვის შვილის ძალისხმევა ისედაც მარცხით დამთავრდა. მან ყაბარდოში ლაშქრის შეკრება ვერ მოახერხა ლაშქრისათვის საჭირო თანხა ეგორს არ გააჩნდა, ხოლო მთებში დევნილ ყაბარდოელ მთავარს მისთვის არ ეცალა.

ასევე წარუმატებლად დამთავრდა ბესარიონ კათალიკოსის და ქაიხოსრო აბაშიძის მისია ახალციხეში. მონსინიორ ლეონის თანახმად, ახალციხის ფაშამ სოლომონს არ აწყენინა, რათა იგი რუსებს არ მიმხრობოდა (ზღურბლზე იყო მომდგარი რუსეთ-თურქეთის ომი). ამავე დროს, ანგარიში გაუწია იმერთა მეფის სიძლიერეს და კათალიკოსი ბესარიონი ჯარის მიცემისა და დახმარების ნაცვლად დააპტიმრა (ციხეში გამოამწყვდია). ბესარიონმა შეძლო პატიმრობიდან გაქცევა (ბუხრის კედელი გაარღვია) და ოდიშში, დისშვილთან, კაცია დადიანთან შეაფარა თავი[176].

1769 წლის 10 მაისს[177] სოლომონ მეფემ ბესარიონ კათალიკოსი გადააყენა და მის ადგილზე საეკლესიო კრებას აკურთხებინა თავისი ძმა, გელათის მიტროპოლიტი იოსები.

1768 წლის სექტემბერში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი[178] და აშკარად გამოიკვეთა საქართველოს პოზიციაც. იმერეთის მეფე რუსეთის მხარეზე აპირებდა გამოსვლას, ამას დაემთხვა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა საქართველოში, რომელმაც სოლომონი სამხედრო კავშირის დასადებად მიიწვია ერეკლე მეფესთან, რათა ქართველ მეფეებს ომი გაეჩაღებინათ თურქეთის წინააღმდეგ. შექმნილ ვითარებაში ძალზე გაძნელდა ურჩი თავადის დასჯა[179].

1769 წლის მაისში მეფემ ერისთავს ზავი დაუდო და მორჩილების ფიცი გამოართვა, აღადგინა რა ვასალურ მდგომარეობაში[180]. მაგრამ სამი თვის შემდეგ სოლომონი სასტიკად გაუსწორდა როსტომს. იმერეთში რუსეთის ჯარის შემოსვლისთანავე (აგვისტო-სექტემბერი) მეფემ შეიპყრო ერისთავი და თვალები დათხარა ამ საქმეში უნებლიე ხელისშემწყობი აღმოჩნდა სოლომონის ძმა - იოსებ კათალიკოსი.

„ამან მეფემან - წერს ნ. დადიანი[181] - აღხოცა ერისთაობა რაჭისა, შეიპყრო ერისთავი რაჭისა როსტომ და ძე მისი გიორგი და სხვანი და მცირეწლოვანი შვილნი მისნი და დაწვა ამათ ყოველთა თვალნი, ვინაითგან სწამობად ორგულებასა და მამულნი მისნი რომელიმე მისცნა თავადთ წერეთელთ პაპუნასა და ძმასა მისსა ზურაბს და რომელიმე თვით დაიპყრო სამეფოდ თვისად“.

იოანე ხუცესი ზუსტად მიუთითებს, რომ 1769 წლის 8 ენკენისთვეს როსტომ ერისთავს და მის შვილს უღალატა მეფე სოლომონმან ვარდის ციხეს[182].

გიულდენშტედტის ცნობით, რაჭის ერისთავი მეფემ დაატუსაღა, ამოათხრევინა ორივე თვალი და რაჭა გამოაცხადა თავის სამფლობელოდ. ბრმა თავადი და მისი უმცროსი ვაჟები სოლომონ მეფემ თავისთან დატოვა, უფროსი ვაჟი კი გაიქცა თურქებთან ახალციხეში[183].

სოლომონ II თავისი ბიძის ქმედებას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „უკანასკნელ მისცა ღმერთმან ორგული იგი (როსტომი) ყოვლისა სამეფოსა და მამულისა ხელთა მეფისა სოლომონისათა; მოულო მეფემან ციხენი და მამული რაჭისა ნასისხლად მეფობისა თვისისა, და დაკლო იგი სახედველთა შვილებით თვისითა“[184].

1769 წლის 12 ოქტომბერს ანტონ მოურავოვი გრაფ ნიკიტა პანინს ატყობინებდა: მათ (სოლომონ პირველმა და როსტომ ერისთავმა) ერთმანეთს შორის საჭირო ფიცით მუდმივი ზავი დაამყარეს, მაგრამ ამის შემდეგ 17 დღეში სოლომონმა ხსენებული ერისთავი და მისი ძე გიორგი, რომელსაც სოლომონის მკვიდრი ბიძაშვილის შვილი ჰყავს ცოლად, დააპატიმრა და ახლა ისინი შეპყრობილი ჰყავს.

შ. ბურჯანაძე შენიშნავს, საყურადღებოა ის, რომ ერისთავის დასჯა მოხდა მაშინ, როცა რუსეთის სამხედრო კორპუსი საქართველოში მოვიდა. ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ რუსები, რომლებსაც ამ დროს ომი ჰქონდათ თურქეთთან, იმერეთში მოდიოდნენ სოლომონ მეფის დასახმარებლად. ასეთ პირობებში მეფეს შეეძლო როსტომ ერისთავის დასჯა, რომელსაც მისი მოშრეებიდან ვეღარავინ დაეხმარებოდა რუსების შიშით[185].

როსტომ ერისთავის დასჯის შესახებ დაწვრილებითი ცნობები შემოგვინახა ქართულმა ხალხურმა საისტორიო სიტყვიერებამ[187].

მეფისა და „ფიცის კაცთა“ შეთანხმების საფუძველზე, როსტომ ერისთავი სოლომონმა ვარციხეს მიიწვია. შუამავალის როლი მშვიდობისმოყვარე იოსებ კათალიკოსმა იკისრა, რაოდენ მეფემ ხახულის ღვთისმშობელი დაიფიცა „გაძლევ სიტყვას და ვფიცავ შენს ხახულის ღვთისმშობელს არც ის და არც მისი შვილები არ მოკლა და ისეთი პატივისცემითაც მივიღო, რომ საარაკოდ დარჩესო[188].

კათალიკოსის მიერ ბარძიმზე დაფიცებული ერისთავი შვილებითურთ მეფეს ეწვია და მათ შორის ლხინი 20 დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

საბოლოო ანგარიშსწორება გეგუთში, იაშვილების მამულში მოხდა, სადაც იოლად მიიტყუეს ნადირობის მოტრფიალე თავადი. სასახლეში შესვლისას „სტუმრებს“ თავაზიანი შეპყრობა გადაუწყვიტეს, მაგრამ უფროსი ვაჟი გიორგი გაუძალიანდათ, რომელიც ხმლით აკუწა თეიმურაზ ორჯონიკიძემ ძმის მკვლელობისათვის. საბოლოოდ, როსტომსა და მის შვილებს თვალები დასთხარეს.

მონსინიორი ლეონი, რომელიც მეგობრობდა როსტომთან, ამ ფაქტს დანანებით გადმოგვცემს: „მეფემ მრავალრიცხოვანი ჯარით აიკლო საწყალი ერისთავი თავის უფროს შვილ გიორგისთან ერთად. ორივესათვის ოთხივე თვალი ისე უნდა ამოეწვათ რომ დაბრმავებულიყვნენ და არაფრის დანახვა აღარ შეძლებოდათ. მაგრამ ვინაიდან ის, ვინც თვალებს უწვავდა, მეტად საყვარელი და რჩეული კაცი იყო, როგორც ერისთავისა, ისევე მისი შვილისა.. თვალის სიღრმეში ყოველთვის რაიმე სინათლეს უტოვებდა, რათა შეძლებოდათ გაერჩიათ სხვა თუ არა გზა მაინც“[185].

დასჯას ვერც ერისთავის მეუღლე გადაურჩა. „როსტომის ცოლი, იაშვილის წანართმევი, ეზოში ფეხით ათრიეს და მუცელს გადაყვა, პატარა ანტონი ქუთაისში წამოიყვანეს თვალების დასათხრელად, მაგრამ მეფის ასულმა ელენემ მიიკრა გულში და აღარავის დაანება. საბოლოოდ კი ბავშვს შემდგომ თონეში ბურთი ჩაუგდეს და იმდენ ხანს აყურებინეს ძალით, რომ თვალები გაუფუჭეს[190].

თავის ძლიერების ხანაში, როსტომ ერისთავი სასტიკად მოეპყრო თავად ჯაფარა ჯაფარაშვილს - დაიჭირა, მოსთხარა თვალები და წაართვა უწერას მჟავე და სხვა საკალმახე წყლები. იქვე ვაკე ადგილები, ჭაობიანი ლაშები, მთები... ონის ციხე და პატარა ქალაქი, რომელიც მისი იყო. ამასთანავე მთელი სოფელი გლეხნი გლოლისა.

როსტომისაგან თვალებდათხრილმა თავადმა ჯაფარამ ერისთავს აღდგომის დღე მიულოცა, ბარათი გაუგზავნა და ნიშანი მოუგო:

„ველარ ნახავ იმ დიდებას, შენთან უხვად ყმანი რბოდენ
მე მომთხარე თვალი, მაგრამ შენც მოგეგო ესეოდენ!
.....
მე ერთს მომთხარე, მაგრამა შენ რვას დაგთხარეს თვალები,
ვახ, საყვარელო, მიხარის, ვიმღერ და არ მებრალები![191]“.

იგივე თავადი ჯაფარა გვამცნობს: „როდესაც მას (ე.ი. როსტომს) შვიდის თვისის შვილებით მეფემ თვალები დასთხარა ვაკე იმერეთში, სოფელ გეგუთში, თავად ლევან იაშვილის ოჯახში, მაშინ მეფემ ერისთავი პაპუნა წერეთელს აჩუქა, რაც გინდა უყავიო“[192].

პაპუნა წერეთელმა როსტომ ერისთავი საჩხერეს გაგზავნა, მეთოდე სვიმონ კანდელაკმა გადაიყვანა თავის სახლში და იქ ემსახურებოდა ერისთავს, ვიდრე ორი წლის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე ირაკლიმ არ მიიწვია თავის თავთან და თვითონ მასპინძელიც თან იახლა[192].

„რაჭის ერისთავს, როგორც მოღალატეს, თვალები დათხარეს და ის შედეგად თავისი უბედურებისა, მაინც იქნა მიღებული წერეთლების სახლში, სადაც ხშირად ლაპარკობდა, აღიარებდა, რომ ის ღირსია ასეთი ხვედრისა. იმის ღირსიც კია, რომ თავისი სიბრმავის გამო მას კვებავდნენ ჭიშკართან, სამეფო მწევარ ძაღლთან ერთად, საერთო ფიალიდან“[194].

ასე სასტიკად დასაჯა სოლომონ პირველმა ეს გამოუსწრებელი სეპარატისტი. რაჭის ერისთავი და საერისთაოს გარკვეული ნაწილი თავის ერთგულ თავადებს წერეთლებსა და წულუკიძეებს დაუნაწილა დახმარებისათვის.

1805 წლის სიგელში ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისადმი ვკითხულობთ: „ესოდენთა ბრალთათვის შეიპყრა ცოლ-შვილით და დააგლახაკა მეფემან შთამომდინარეობა მისი და განუყო სამკვიდრებელი მისი ერთგულთა თვისთა“[195].

როცა ბიძაჩემმა (როსტომმა) - წერს დავით ერისთავი 1803 წლის 20 აპრილის სიგელში - ჩაიდინა მოღალატური საქმეები და იმერეთის მეფე სოლომონ დიდს დაუწყო წინააღმდეგობის გაწევა, მაშინ, შეიპყრო რა, მეფემ დათხარა თვალები და ჩამოართვა მემკვიდრეობით მიღებული მთელი ადგილ-მამული, მის მფლობელობაში მყოფი ციხესიმაგრეები, მიღებული სხვადასხვა გამცემლური თუ ავაზაკური მოქმედებების შედეგად“[196].

1772 წლის 3 აგვისტოს წულუკიძეებისათვის გაცემულ სიგელში სოლომონ პირველი წერს: „მეფემან მეფეთამან სოლომონ... თქვენ, დაწყებითა გვარ-ოჯახ-შთამომავლობით გულითადად მხურვალედ ერთგულთა ჩვენთა და... სამეფოს პალატასა შინა თანზრდილთა ჩვენთა თანა და მრავალფერთა ოსმანთა მიერ შეჭირვებათა და ბრძოლათა შინა სამარადისოთ განუშორებლად ჩვენთა მყოფთა... ყმათა ჩვენთა ბრწყინვალე თავადთა, წულუკიძე პაატას და ძმათა შენთა ბერსა და გიორგის... ესე წიგნი, ბრძანება და ფირმანი.. გიბოძეთ... სრულიად ყოველივე საწულუკიძო, მამაპაპათა თქვენთა მამული...“[197].

სოლომონის ერთგული პიროვნება ქაიხოსრო წერეთელი კაცია დადიანმა მოჰკლა და ამით სამგიერო გადაუხადა მეფეს როსტომ ერისთავის დასჯისათვის.

1769 წელს ანტონ მოურავოვი გრაფ პანინს ქართლიდან სწერდა: „მაშინ სოლომონისაგან წერილი მივიღე, სადაც შემატყობინებს, რომ ორი მისი უერთგულესი თავადი - წერეთელი და იაშვილი, რომლებზეც იგი უბედურობის დროს და ახლა მთელ თავის იმედებს ამყარებდა, მთავარმა დადიანმა სტუმრად მიიწვია და აჰკუწა“[198]. ამ ფაქტის შესახებ ფურცელანთებული ქრონიკა გვამცნობს: „1769 წელს წერეთელი ქაიხოსრო სვანებმა მოკლეს, გელოვანმა ულალატა“[199].

ხოჯავანათ იოანე ქაიხოსროს სიკვდილს 29 მარიობით ათარიღებს და წერს: „1769 წლის 29 მარიობა. წერეთელი ქაიხოსროს სიკვდილის ამბავი“[200], „ქაიხოსრო მოჰკლეს სვანეთში ღალატით სადილობისას, გელოვანის განკარგულებით. მართალია, მას ახლდნენ ლეკები, მაგრამ შეეშინდათ რა სვანებისა, ისინი მიმალნენ და ძლივს მოახერხეს მოკლულის თავის წამოღება“[201].

ქაიხოსროს მკვლელობით კაცია დადიანი ადასტურებს, რომ ის კვლავ განაგრძობს ბრძოლას სოლომონ პირველის წინააღმდეგ.

იმერეთის მეფემ ქაიხოსრო წერეთლის ამაგი მის შვილებს პაპუნა და ზურაბ წერეთლებს დაუფასა. „მეფემან სოლომონ... ვიგულეთ და მოვიხსენეთ მამა-პაპათა შენთა მიერ ერთგულება და თქვენ მიერ თავდადებული სამსახური წყალობა გიყავით და გიბოძეთ რაჭას ჯაფარასოული ციხე...“[202]

შ. ბურჯანაძე შენიშნავს, რომ ეს პოლიტიკა ვერ იქნებოდა ბევრად ნაყოფიერი, რომ სოლომონ მეფეს რაჭის მამულებში წილი არ დაედო პაატა და ზურაბ წერეთლებისათვისაც.[203]

მეფემ ანდერძი დატოვა, რომ როსტომ ერისთავის შთამომავლობას აღარასოდეს მიცემოდა რაჭის მემკვიდრეობა“... და დასდვა წერილი წყევით და შეჩვენებით მსოფლიოთა პატრიარქთაგან, რათა

დასასრულამდე ქვეყნისა ძენი და ძის ძენი და შთამომავალნი მათნი არღარა მიღებულ იქნენ მემკვიდრედ რაჭისა[204].

სოლომონ II სათანადოდ შეასრულა მეფის უკანასკნელი სურვილი და რაჭის საერისთავო საბოლოოდ გააუქმა კიდეც.

ამრიგად, ბრძოლა, რომელიც 17 წლის გამავლობაში ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა მეფესა და ერისთავს შორის, სოლომონის გამარჯვებით დამთავრდა.

სოლომონ მეფემ ორი დიდი სათავადო გააუქმა (აბაშიძეებისა და ერისთავების) და მათი მამულები წულუკიძეებს და წერეთლებს გადაუნაწილა, თუმცა ეს ორი სათავადო დიდად განსხვავდებოდა ძველებისაგან იმით, რომ ახლა მთავარი ციხეები მეფის განკარგულებაში იყო და ტერიტორიის უდიდესი ნაწილიც მასვე ეკუთვნოდა. ამით სოლომონ პირველმა უზრუნველყო თავისი ბატონობა წერეთლებსა და წულუკიძეებზე. ეს პოლიტიკა სწორი გამოდგა, რადგან ეს ორი სათავადო ბოლომდე მეფის ერთგული დარჩა და მათთან ერთად იბრძოდა მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის[205].

# თ ა ვ ი III

## სოლომონ პირველის ბრძოლა „ტყვის სყიდვის“ წინააღმდეგ

ადამიანებით ვაჭრობა, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია. ტყვეთა სყიდვამ განსაკუთრებით მახინჯი ფორმები და ხასიათი XVII-XVIII სს. მიიღო. ეს იყო საშინელი სენი, რომელმაც გავრცელების ფართო არეალი მოიცვა და ქართული მოსახლეობა ფიზიკური განადგურებისა თუ ეკონომიკური გაჩანაგების საფრთხის წინაშე დააყენა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დასავლეთ საქართველო, რომელიც 1555 წლის ამასიის ზავით ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. მას უნდა გადაეხადა სათანადო ხარკი, რაც ტყვეთა სყიდვის თავისუფლების აღიარებასაც ნიშნავდა.[1]

დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა ადამიანთა გაყიდვა მას შემდეგ, რაც 1660-იანი წლებიდან დაიწყო მეფე-მთავრებს შორის განუწყვეტელი ომიანობა და ანარქიამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.[2]

უმთავრესი მანკი, რაც იმ დროს საქართველოს ცხოვრებას ახასიათებდა, იყო ტყვეთა სყიდვა. ფორმები, რომელიც ამ მოვლენამ მიიღო ჩვენში გაცილებით უფრო მძიმე და ამორალურია, ვიდრე ტყვე-მონებით ვაჭრობის ის ფორმები, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც შუა საუკუნეებამდე, ისე შემდეგ - ახალ საუკუნეებში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.[3]

ტყვის ვაჭართა ხელდამცლელი ბევრი ქვეყანა იყო, მაგრამ ყველაზე მეტი მოთხოვნილება ტყვეებზე მაინც ეგვიპტეში, ირანში, ერაყსა და თურქეთში იყო. იქით მიემართებოდა ქართველ ტყვეთა განუწყვეტელი ნაკადი საუკუნეების განმავლობაში.

მამელუქობა ეს ხომ პრიზმაში გადატეხილი საქართველოს წარსულის გარკვეული მონაკვეთის სინამდვილის ერთგვარი თავისებური ანარეკლია, რომელშიც გარკვეთ ჩანს საგარეო თუ საშინაო ავბედობით გაძლიერებული სოციალური უკუღმართობა და მისი ერთ-ერთი პირდაპირი შედეგი „ტყვის სყიდვა“[4]

XVII საუკუნეში საქართველოში მოღვაწე უცხოელი მისიონერები და მოგზაურები ჟან შარდენი, ქრისტეფორე კასტელი, არქანჯელო ლამბერტი, ძამპი, ჯუზეპე ჯუდიჩე და სხვანი, თვალნათლივ ხედავდნენ ყოველივე ამას და განცვიფრებაშიც მოდიოდნენ.

ჟან შარდენი გადმოგვცემს, რომ 25-40 წლის ასაკის მამაკაცი მათ უჯდებოდათ 15 ეკიუ, ხოლო უფრო ხნიერი -8-10 ეკიუ. 13-18 წლის ლამაზი გოგო გადიოდა 20 ეკიუზე უფრო იაფადაც; დედაკაცები - 12, ხოლო ბავშვები -3-4 ეკიუმდე.[5]

ს. კაკაბაძის გაანგარიშებით ოდიშის სანაპიროზე მაგ. 1672 წ. 25-40 წლის მამაკაცი ღირდა მაშინდელი ფულით თუმანი, ხოლო ახალგაზრდა ქალი 13-18 წლის 13 1/3 მანეთი.[6]

ამრიგად, მცირე თანხის გაღებით ან მოტაცებით ოსმალო ტყვის მფლობელი ხდებოდა. ტყვე ვაჟები მათ ხშირად მიჰყავდათ იანიჩართა ჯარისათვის, სრულწლოვანი მამაკაცები რჩებოდნენ მონებად, ახალგაზრდა ქალები კი იყიდებოდნენ ჰარამხანებისათვის. ბუნებრივია, ოსმალეთის მთავრობა ყოველმხრივ შეეცდებოდა რომ ტყვეებით ვაჭრობა არ შეწყვეტილიყო.[7]

„ოსმალები ისეთ ერთგულებას იჩენენ ამ საქმეში, რომ არ ზოგავენ არც ჯაფას და არც ფულს, ოღონდ კი შეიძინონ ტყვეები[8]- წერდა ლამბერტი.

სავალალოა ის ფაქტი, რომ ადამიანები, რომლებიც გაყიდვის საგანს შეადგენდნენ ასე იაფი ფასობდნენ და მოიხსენებოდნენ ცხოველ-ფრინველების გვერდით.

ოსმალო მოგზაური ევლია ჩელების ცნობით, აზოვთან ბრძოლის დროს: ... ცხენი ერთ ყურუშად იყიდებოდა და გაუფურჩქნავი ქალიშვილი 5 ყურუშად“, რომ „ერევნის ხანი - თაკი - ალი ხანისაგან და ბაქოს ხანის - ეშრა ხანისაგან სპარსული სიასამური (ქურქები), ქართველი (ბიჭები), ფარშევანგი და აქლემები გვეწყალობაო“.[9]

„საშინელი სენი“ - ასეთი შეფასება მისცეს უცხოელმა მოგზაურებმა „ტყვეთა სყიდვის“ ფაქტს.

„სამეგრელოში სამი დიდი სენი იყო მოდებული, რაც მთელ ერს სულიერად და ხორციელად ღუპავდა... მათგან, მეორე დიდი უბედურება, საქართველოს გამაოხრებელი დიდი წყლული იყო ყმების და ბავშვების გაყიდვა ურწმუნოებზე. ეს სენი ხომ ერთიან საქართველოში იყო გავრცელებული, მაგრამ დასავლეთ საქართველოში უფრო მძინვარებდა, რადგან იქ ზღვა ძლიერ ხელს უწყობდა ამ უსინდისო ვაჭრობას.[10]

შავი ზღვა - ფაქტორი, რასაც ხელი უნდა შეეწყო ეკონომიკური დაწინაურებისათვის, დამღუპველი აღმოჩნდა სამეგრელოსათვის.

ევროპელი მისიონერები ამხელდნენ ამ სოციალურ დაავადებას. თავიანთი ქადაგებით მათ შეაყენეს ყმაწვილების თათრებზედ გაყიდვა, თუმცა კი ზოგიერთი არ იშლიდა ამას, მაგრამ არა თათრებზედ, არამედ ქრისტიანებზედ და სომხებზეც ჰყიდნენ...[11]

ცნობილია, რომ XVII ს. 40-იან წლებში კათოლიკე პატრების ჩაგონებით და მცდელობით ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ერთგვარი ზომები მიიღო ლევან II დადიანმა.[12]

ჯერ კიდევ აღრე XVI ს-ში, ტყვის სყიდვა, ქურდობა, ავაზაკობა, მკვლელობა, ეკლესიების ძარცვა იმდენად გაიზარდა და გავრცელდა, რომ აუცილებელი გახდა საეკლესიო კრების მოწვევა, რომელიც ფეოდალურ საზოგადოებას თავისი ავტორიტეტით წინ აღუდგა და მოუწოდა ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ ბრძოლა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა იმერთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ XVI საუკუნის 50-იან წლებში მოწვეული საეკლესიო კრება, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა ყველაზე მტკივნეული საკითხი ტყვეთა სყიდვის აკრძალვა.[13] საეკლესიო კრების მიერ შემუშავებულ იქნა „სამართალი კათალიკოზის“, რომელიც 23 მუხლისაგან შედგებოდა.

სამწუხაროდ, ბაგრატ III-ის სიკვდილის შემდეგ ტყვეთა სყიდვის ამკრძალავი კანონი თითქმის დაივიწყეს. თუმცა „კათალიკოზთა სამართალმა“ ასახვა ჰპოვა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში (სამართალი ბატონიშვილი ვახტანგისა),[14] საკანონმდებლო ძეგლის №№96, 97 მუხლი სწორედ ადამიანთა გაყიდვის წინააღმდეგ ილაშქრებს.

მუხლი 96. თუ ცოლი გამოართვან ან გაუყიდოს ვინმე, სამი სისხლი არის: ერთი ქალის პატრონს უნდა მისცენ და ორი ქმარსა. მაგრამ ეს საქმე კათალიკოზმა და მეფემ დიდად უნდა მოიკითხონ, ამიტომ (რომე) ჯერ ტყვის გასყიდვა, მერმე ცოლ-ქმრის გაყრა, ამაზე სამი სისხლი გავაჩინეთ, თუ უნდა რჯულიანზე მიჰყიდოს თუ უნდა უსჯულოზე.[15]

მუხლი 97. თუ კაცმან კაცს შვილი გაუყიდოს, გინა ქალი, და გამოჩნდეს, მართლა გაეყიდოს, სისხლი რომ ზეით დაგვიწერია და ასე იქნას...

თუ ქრისტიანზე მიუყიდნია, ორის სისხლი უნდა მისცეს, ერთი ხორცისა და ერთი სულისა. კათალიკოზისაგან გადახდევინება მან იცის[16]

ამდენად, ქართული სამართლის ძეგლში უკვე იურიდიულადაა დაკანონებული სასჯელი ადამიანის გაყიდვისათვის. სამწუხაროდ ამ მხრივ მდგომარეობა მაინც საგანგაშო იყო.

ნ. ბერძენიშვილი წერდა:... და იცლებოდა მოსახლეობისაგან საქართველო მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი. სოხუმი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ახალციხე, აღჯაყალა, ჭარი და სხვ. რამდენი ხალხის მიერ დაწყეველილი პუნქტი იყო, საიდანაც უწყვეტ ნაკადად საუკუნეთა მანძილზე უცხოეთს მიედინებოდა ძალით თუ ნებით სამშობლოს მოწყვეტილი მისი შვილები.[17]

თ. სახოკია აღნიშნავს: მეზობელ აჭარელ თურქებს გურიიდან ქალებისა და ბავშვების მოტაცება ხელობათ ჰქონდათ გადაქცეული. მოიტაცებდნენ თავიანთ მსხვერპლს გურიაში, ამ გზით შემოჰყავდათ აჭარაში, აჭარიდან ბათუმში გადაჰყავდათ, სადაც ბაზარზე, სხვა საქონელთან ერთად, კრავებივით გურიის სოფლების „ცოცხალი საქონელიც“ იყიდებოდა. მყიდველები იყვნენ სტამბოლისა და ტრაპიზონის ფაშების აგენტები... კანონი არა სდევნიდა ასეთი საქონლის გამყიდველ-მყიდველებს[18].

ტყვეთა სყიდვას სხვებიც აწარმოებდნენ, მაგალითად გურიის მთავარი მამია გურიელი. თუმცა მან ფიციც კი მისცა გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოდან გურიაში წარგზავნილ „მამასა ჩვენსა წმინდასა ბესარიონს“... რომე ჩვენს საბატონოშიდ მოხვედით და ტყვის აღთქმისა დადება გვიქადაგეთ, ჩვენცა შევისწავლეთ და ჩვენსა საბატონოს კაცსა გაუსყიდველობის აღთქმისა საფიცარი გამოვართვით, რომ ჩემმა საბატონოს კაცმა ტყვე ველარ გაჰყიდოს...“[19]

მართალია, ეკლესიის წარმომადგენელი თავის მისიას ასრულებს, საფიცარ წიგნს ღებულობს, მაგრამ იმავე საბუთით მტკიცდება რომ მამია გურიელი არ იძლევა მთლიანად ტყვეთა სყიდვის აკრძალვის პირობას. ... დღეის ამას აქეთ ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოდ რომ მოიხმარებოდეს და ან სასმელ-საჭმელშიდა ჩვენ ტყვე ალარ გაესყიდოთ, რაც ხათჩრისა და ვაზირის მართებულება და საბრძნებელი შემოგვივარდეს, რომ მტერისაგან არ ვეჩაგროდეთ, ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხდეს თორა მას გარეთ ეს ასე გაგითაოთ.[20]

მამია გურიელის სიტყვებით დასტურდება, რომ ტყვის სყიდვის მოსპობა შეუძლებელი იყო ოსმალეთის მძლავრების გამო და ამ ფაქტს იძულებით ეკლესიაც შერიგებოდა. ოსმალეთი, რომელიც მუდმივ ცოცხალ ძალას საჭიროებდა იანიჩართა ჯარისთვისაც, ყოველს მხრივ ხელს უწყობდა შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში ტყვეთა სყიდვის გაძლიერებას.[21]

ცენტრალური ხელისუფლების უკიდურესი დაკნინების პირობებში თავადაზნაურობა არამცთუ ხელს იღებდა საერთოდ ტყვეებით ვაჭრობაზე, არამედ თვით ეკლესია-მონასტერს სტაცებდა გლეხებსა და ჰყიდდა ტყვეების სახით.[22]

XVIII ს. პირველ ნახევარში ადამიანებით ვაჭრობამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია, ტყვეებს ყიდდნენ ყველანი: მეფეები, მღვდელმთავრები, მთავრები, თავადები, აზნაურები და გააზატებული გლეხებიც კი.[23] „თავადი ან აზნაური, მფლობელი ციხესიმაგრისა, როგორც შუასაუკუნეების მებატონე, ძარცვავდა და ყლავდა მეზობლებს, მიჰყავდა ისინი ტყვედ და ჰყიდდა თურქებზე“[24]

ბესარიონ კათალიკოზის 1755 წლის შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „...ჩვენს მემკვიდრე ყმას ბუღაშვილს... ორმა გლეხმა კუბლაშვილმა და ტოფაძემ შინაყმა მოპარეს ჩიღუნაძე და ახალციხეს გაუყიდეს...“[25]

ტყვეთა ყიდვის საშინელი სენი შავი ჭირივით მოედო დასავლეთ საქართველოს. ზოგიერთი გახელებული თავადი თუ აზნაური არ ინდობდა არც დიდს და არც პატარას, მამაკაცსა და დედაკაცს. შეუბრალებლად ჰყიდნენ ტყვეებს, როგორც პირუტყვებს.[26]

თადეუშ კრუშინსკი[27] ამ საკითხს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „რაც შეეხება დიდებულებს, ბატონებს და მათ დამოკიდებულებას ქვეშევრდომებისადმი... წარჩინებულნი განაგებენ არა მარტო ქვეშევრდომთა ქონებას, არამედ მათ სიცოცხლესაც კი. უფრო მეტიც, ისინი ხელიდან გლეჯენ მშობლებს შვილებს და მათ მუსულმანებზე ჰყიდიან.[28]

პოლონელი მოგზაურიც კი აღშფოთებულია საქართველოში გავრცელებული ამ უბედურების გამო.

საქართველოში ტყვეებით ვაჭრობას განსაკუთრებით ხელს უწყობდა თურქეთისა და ჩრდ. კავკასიის მუსულმანური ტომების (ჩერქეზეთი, ყაბარდო, ოსეთი, დაღესტანი და სხვ.) მეზობლობა, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლური და პატრიარქალური ტიპის მონობის ძლიერი გადმონაშთები.[29]

ამ მხრივ საინტერესოა XVIII საუკუნის ერთ-ერთი პირობის წიგნი... „ამას წინათ პაატა აბაშიძის კაცებს ... ალიას შვილი და წახნის წკაროველი ოსმანას შვილი მეეპარათ და წერეთლისთვის მიეყიდათ. წერეთელსაც წახნის წკაროველი ბიჭი ჩერქეზისკენ გაუყიდია“.[30]

აღნიშნულ პერიოდში თურქეთთან ურთიერთობის პოლიტიკური ფორმის დასადგენად რაიმე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება - შენიშნავს ქ. ჩხატარაიშვილი,[31] მაგრამ მისი დადგენის საშუალებას იძლევა იმდროინდელი სათურქო გამოსაღების არსებობა.

ოსმალობას დასავლეთ საქართველოში, როგორც გ. მეტრეველი წერს, თან მოჰყვა „სათათრო“ გადასახადი - „საური“, „საუდიერო“, „სალიანი“.[32] ამან კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყნის სამეურნეო

მდგომარეობა. მებატონეები გადასახდელი თანხის საზღაურად ყმებს ყიდდნენ, ზოგჯერ მამულებსაც აგირავებდნენ და ამდენად ოსმალეთთან ეკონომიკურ დამოკიდებულებას თავს აღწევდნენ. სამაგიეროდ, თანდათანობით კარგავდნენ ძირითად წყაროს, ყმა-მამულს. ამ ნიადაგზე იმერეთის სამეფოში თავადებს შორის ხშირი იყო შუღლი და მტრობა, ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა.

სათაროს პარალელურად ქართულ საბუთებში გვხვდება აგრეთვე „საუდიერო", „საოსმალო", „სალეკო"... „საური" „საერი" „ფეშქეშის" სინონიმადაა მიჩნეული. ფეშქაშში კი უპირატესად ტყვე ქალ-ვაჟები და სხვა მისართმეველი იყო ნაგულისხმევი[33].

ჯოზეფ პიტონ დე ტურნეფორი წერს: ქართველები და სომხები სპარსეთის ხელმწიფეს უხდიან სულად გადასახადს - სულზე ექვს აბაზს. იგი იჯარით გაიცემა სამას თუმნად. პატივისცემის გამოსახატავად ისინი ყოველწლიურად ხელმწიფეს მიართმევენ ხოლმე ოთხ შევარდენს, სამ წელიწადში ერთხელ შვიდ მონას და ოცდაათ საპალნე ღვინოს, მაგრამ ჩვეულებრივ გაცილებით მეტი გადასახადი იგზავნება ხელმწიფისათვის. გარდა ამისა ქვეყნის ულამაზესი გოგონების უმრავლესობა მათი ჰარამხანისთვისაა განკუთვნილი.[34]

მეფე-მთავრისაგან ქრთამი ახალციხის ფაშას ეგზავნებოდა, ფაშა კი სულთანს მიართმევდა. ყოველწლიური „ქრთამის" გაგზავნაზე უარის თქმა თურქეთის ვასალობიდან გამოსვლას ნიშნავდა.[35]

მარკოვა წერს: „რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს კავშირს თურქეთთან, მათი ურთიერთობის ძირითადი შინაარსი მონებით ვაჭრობაში მდგომარეობდა, რითაც დაინტერესებულნი იყვნენ არა მარტო თურქი ვაჭრები, არამედ ქართველი ფეოდალებიც"[36].

გიულდენშტედტის აზრით, თავადს შეეძლო გაეყიდა როგორც აზნაური, ისე მისი ყმა-მამულიც... რაც შეეხება ყმა გლეხს - შეიძლება მისი დაგირავება, გაყიდვა, გაჩუქება და მას შეიძლება მოექცე სურვილის მიხედვით.[37]

ამრიგად, ტყვე წარმოადგენდა საექსპორტო საქონელს, გამდიდრების წყაროს. სამაგიეროდ, ადამიანში აღებული ფულით შეეძლოთ შეეძინათ მათთვის საჭირო ნივთები, ტანსაცმელი, გადაეხადათ სახონთქრო ხარკი, დაეფარათ ხარჯები.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ოსმალთა დავალიანებაში მოხვედრილ ადამიანს ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში გაყიდვისა და სამშობლოდან გადაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა და ასეთი შავბნელი პერსპექტივიდან თავის დასაღწევად მამულის გაყიდვაც კი უწევდა ასეთი სიტუაციაა მაგ. დაფიქსირებული ალექსანდრე

V-ის დროინდელ ერთ საბუთში, რომელშიც ნათქვამია „თათრის ვალი დაგვედვა ცხრაას და ჩვიდმეტი მარჩილი, მერმე იმ ჩვენმა მოვალე თათარმა დაგვიჭირა, ცუცხვათელმა თათარმა, ვიკარგებოდით და რჯული გვეშლებოდა, გაურჯულოებას მამულის გაყიდვა ვარჩიეთ“.[38]

ტყვეთა სყიდვა რომ მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, ამას არაერთი საბუთი ადასტურებს. მართალია, საზოგადების მოწინავე ნაწილი ცდილობდა ებრძოლა ამ მანკის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ.

1712 წლის პირობის წიგნში დედოფალი რუსუდანი, ბატონიშვილ ბაქართან ერთად კათალიკოს პატრიარქ დომენტის წერს, რომ ზოგს - ერთს ალაგას ტყვის სყიდვა გამოჩნდა და თქვენ ვითაც მართებული იყო ეგრეთ იწყინეთ... ახლა ეს აღთქმა დაგვიდვია... სადაც ან სადედოფლოში ან საუფლისწულოში ან საცა ჩუენს საბატონოსა და მამულში ან ტყვის გამსყიდველი გამოჩნდეს და ან გაყიდოს ვინმე და ან საყაენოს გარდა, ჩვენს საბატონოში ტყვე მოიყვანოს გასასყიდელი და ჰყვანდეს ვისმე და წაართვათ... არც ვაწყინოთ და დიდათაც ხელი მოგიმართოთ...

დედოფალი ტყვის სყიდვის აკრძალვის პირობას დებს, თან დასძენს „საყაენოს გარდა“. მაშასადამე, მთლიანად აღკვეთის უფლება მას არა აქვს. აქვე ხაზგასმულია ერთი ფაქტორიც. „თუ იმერელმა კაცმან მოიყვანოს ტყვე, თუ საქართველოს კაცმან სამსახურით შესანახავად დაიხსნას, თვარა გასასყიდლად ნუ იყიდის და ნურც გაყიდის“. ამდენად, ტყვეებით ვაჭრობა თვით საქართველოს ფარგლებშიც ხდებოდა. თუმცა ტყვეთა ნაკადი ქვეყნის გარეთაც საკმაო რაოდენობით მიედინებოდა.

1714 წ. კუნძულ მალტაზე ყოფნისას სულხან-საბა ორბელიანმა ბევრი ქართველი ნახა: „ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული და მეგრელი, რომლებიც მალტელებს მაჰმადიანებისათვის წაერთმიათ“... რომ „თათრებს იმერეთიდან ტყვეები მიჰყავდათ კონსტანტინეპოლს გასასყიდლად“.[40]

XVIII ს. პირველ ნახევარში ეკლესია ენერგიულად ცდილობდა ხელი შეეშალა ტყვეთა სყიდვისათვის. მაგრამ ოსმალთა მძლავრობის გამო, ბოლომდე ვერ კრძალავდა ამ სენს.

1742-1750 წწ. გელათის წმ. გიორგის საბუთი გვამცნობს... ესე წიგნი ფიცი და პირობა მოგართვით... ბიჭვინთისა ღვთისმშობელს და მერმეთ... ბატონს კათალიკოზს ბესარიონს ჩვენ ჯაიანმა მერაბ... და სხვამ ერთობით ჩემმა ყმანებმა: ასე რომ, თქვენმა ყმამ ბესია გიგიბერიას შვილმა ტყვე გაყიდა, გაუწყერით და გლეხები დაუკა-

ვეთ. მოვედით, შემოგეხვეწეთ და გვაპატივე, ქალის გაუყიდლობის პირობა მოგვართვით და რაც წაგერთმიათ... ისევ უბოძეთ. ახლა თუ იმ ქალს გაყიდვით რამე უშავდეს, ან სააფხაზიო ან სათათრეთ გახდეს და ხორგას იქით სადმე გეიცეს, თქვენგან და თქვენის ხატისგან შეჩვენებული ვიყოთ...[41]

1742 წელს გაცემული საფიცრის წიგნში სწერია: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ავალიშვილმა პეტრემ, როსტომიშვილმა ზაალ, ჩვენმა აზნაურიშვილმა, აჯიაშვილმა ბაადურ... თქვენ ჩვენს ხელმწიფის, საქართველოს კათალიკოზ პატრიარქს ბატონიშვილის ბატონს ანტონის .... რომე... ეს პირობა მოგახსენეთ და აღთქმა დავდევით ღუთის წინაშე... დღიეს ამას იქეთ არც გაერიოთ ტყვის სყიდვაში, არც კაცის კვლაში და რაც ჩვენში უკეთურობა და ბოროტის ჩვეულება იყო ყველაზე ხელი ავიღოთ და მოვიკვეთოთ“.[42]

ამავე პერიოდის სიგელში ვკითხულობთ, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ყმანი ბურჯანაძენი საფიცრის წიგნს აძლევენ კათალიკოზ გრიგოლს... ასე რომე დღემდი სიბრიყვით და უცოდინარობით ბევრს ავს უმართებულოსა და საკანონოს საქმეშიდ ვერეოდით, მობრძანდით თავათ თქვენ ქუთათელი ბატონი ევდემონ, გაენათელი ბატონი ნიკოლოზ.... გაგვიწყერით... აწ ეს პირობა მოგვირთმევია... არც ტყვის გაყიდვას და შუამავლობაშიდ გევერიოთ, არც მოპარული ტყვე დეეიჭიროთ და ვიმთხრობლოთ, არც ჩვენ ერთმანეთის გაცემაშიდ, ქურდობაშიდ, მთხრობელობასშიდ გევერიოთ.[43]

მაგრამ, მიუხედავად ფიცის დადებისა, ქვეყანაში ტყვეებით ვაჭრობა მაინც გრძელდებოდა.

კათალიკოსის ინიციატივით გამოცხადებულ ბრძოლას თუმცა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ აგრესორის მოძალების პირობებში დადებულ ფიც-დაპირებათა განხორციელება ჭირდა, რადგან ტყვის სყიდვის წინააღმდეგ მიმართულ ყოველ ღონისძიებაზე მტკიცნეულად რეაგირებდა ოსმალეთის ხელისუფლება.[44]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა. თურქეთი დათმობის ნაცვლად თავისი პოზიციების განტკიცებას ცდილობდა. სოლომონ პირველის მეფობის დასაწყისში იმერეთი თურქეთს ხარკის სახით უხდიდა ფულად გადასახადს, ხონთქრისათვის გზაუნიდა გოგო-ბიჭებს და იძულებული იყო ტყვეთა სყიდვის თავისუფლებაც ეღიარებინა.

„გადასახადი, რომელსაც იმერეთის მცხოვრებნი პორტას უხდიდნენ, გამოიხატებოდა სამასი ქისის გაღებასა და ტყვეების

გაყიდვაში, რომელთა რიცხვს ახალციხის ფაშა აწესებდა“ - წერს ჰამერი“[45]

სამსი ქისა ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით ულიდა 90 ათას მანეთს[46]

ბუნებრივია, ასეთი სოლიდური თანხის გადახდა არცთუ ისე ადვილი იყო.

იმერეთის მეფეები „ხარკის გარდა, თურქეთს უხდიდნენ ყოველ სამ წელიწადში თითოეული კომლიდან... თითო საბალათე ტილოს ან 20-20 კაპიკს, არ უკრძალავდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს ქართველების გაყიდვას თურქეთში... და თურქები ამით უფრო იყვნენ კმაყოფილი, ვიდრე თვით ხარკით“.[47]

„როდესაც იმერეთი ოსმალეთის ხელთ იყო, იმ ჟამზედ აიღებდნენ სახვანთქროთ გურიიდამ კომლის თავზე თვითო აბაზს ან ტილოს...“[48]

სოლომონის გამეფებისას იმერეთი ფულის სახით ხარკს აღარ იხდიდა, რუსული დოკუმენტები გვამცნობენ, რომ „იმერეთი პორტას ხარკში უხდიდა ადამიანებს, განსაკუთრებით ქალთა სქესიდან“[49]

ფული და ტილო იმერეთში, სადაც სუსტი იყო სასაქონლო მეურნეობა და რეწვა, ძნელი საშოვარი ხდებოდა, ამიტომ თურქებსაც ის მიჰყავდათ აქედან, რაც იშოვებოდა ეს იყო ადამიანები.[50]

თურქების მიერ დაპყრობილი ციხეები (გონიო, ბათუმი, ციხისძირი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი, ცუცხვათი, შორაპანი, ბაღდადი, ქუთაისი) ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იქცნენ. ამიტომ ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ.[51]

თურქები, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობისთანავე ამაჰმადიანებდნენ მოსახლეობას, თავიანთ ძალმომრეობას მეორე მხრითაც მიმართავდნენ: მათ ამ მხარეში გაავრცელეს ტყვეებით ვაჭრობა და ამით აყვავებულ ქვეყანაში შეიქმნეს წყარო თავიანთ ჰარამხანებისათვის.[52]

სოლომონ პირველის მიერ გატარებულ ღონისძიებებს შორის მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. „სოლომონ მეფემ გარდაცვალა თუ არა მამისიც ყველა თავის ქვეშევრდომს აუკრძალა ტყვეების მიყიდვა თურქებისათვის“.[53]

ამდენად, ახალგაზრდა მეფისაგან უკვე გადადგმული იყო მტკიცე ნაბიჯი სამეფო ხელისუფლების განტკიცების მიზნით, რამაც ოპოზიციონერ თავადთა უკმაყოფილება გამოიწვია, ფეოდალებს ხელიდან ეცლებოდათ შემოსავლის წყარო. აღნიშნული ფაქტით, ერთის მხრივ, სოლომონმა მის წინააღმდეგ აიმხედრა დასავლეთ საქართველოს ძლიერი ფეოდალები და მეორეს მხრივ, თურქეთისათვის ტახტის არასასიამოვნო მფლობელი აღმოჩნდა. ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა.[54] ბუნებრივია, საშინაო და საგარეო რეაქცია შეერთდებოდა და ერთად გაილაშქრებდნენ მათთვის არასასურველი მეფის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგე ბანაკის ქმედება მაშინვე გამოვლინდა (მხედველობაში მაქვს შეთქმულება და სოლომონის ტახტიდან ჩამოგდება 1752 წელს).

სოლომონმა სწრაფად აუღო ალღო არსებულ ვითარებას და სწორი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა. შემოირიგა სამეგრელოსა და გურიის მთავრები - ოტია დადიანი და მამია გურიელი, სამაგიეროდ გზიდან ჩამოიცილა განდგომილი თავადები - რაჭის ერისთავი და არგვეთის მფლობელი - ლევან აბაშიძე.

1756 წელს სოლომონ მეფე წყალობის წიგნს აძლევს იაშვილებს და გეგუთის აზნაურებს ერთობით „საიმედო წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ... არცა ჩემგან და არცა ჩემის ნება მსურველი კაცით თქვენ გაყიდვის ფიქრი აღარა გქონდესთ და ღღეის იქით აღარც გაჭირვებით და არც გაუჭირვებლად... არ გეიყიდნოთ და არცა გაყიდვის ფიქრი გქონდესთ.[55]

საბუთები გვამცნობენ, რომ პირობის მიცემის გარდა, მეფე ხშირად უშუალოდ გამოისყიდიდა ხოლმე ტყვეობაში ჩავარდნილ ქვეშევრდომებს. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური მდგომარეობა ამის საშუალებას მისცემდა. მაგ. 1759 წლის შეწირულების წიგნიდან ირკვევა, რომ იოანე ნათლისმცემლის მონასტრისათვის შეწირული გოგიტელა მოდებაძე თავის დროზე თვითონ მეფეს დაუხსნია თათრისაგან 140 მარჩილად. როგორც ჩანს, ასეთი ფაქტები საკმაოდ ხშირი იყო.[56]

ახალციხის ფაშამ, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა თურქეთის სულთანსა და იმერეთის მეფეს შორის, კატეგორიულად მოსთხოვა სოლომონს „ტყვეს თუ არ გაყიდი არ იქნებაო“. მეფე დარწმუნდა, რომ ომი თურქეთთან გადაუვალი იქნებოდა.

1757 წლის 14 დეკემბერს, ხრესილის ბრძოლაში, მეფემ შინა და გარეშე მტრებს დაუმტკიცა, რომ ის თავისი პრინციპების ერთგული რჩებოდა და ქართველობისათვის მებრძოლად გამოდიოდა. თუმ-

ცა სოლომონს მდგომარეობა აიძულებდა თურქეთისათვის ანგარიში გაეწია და „საური“ გადაეხადა.

სოლომონ პირველის მიერ გაცემულ ოქმში ხონელებისადმი (ეს დოკუმენტი ისტორიოგრაფიაში 1757-1768 წლებით თარიღდება) ვკითხულობთ: „... თუ დიდი თათრის ძალი და გარდასახადი არ მომდგეს წრეულს იქით ჩვენთვის საური თითო მარჩილის მეტი არ გადაგახდევინოთ“.[57] აღნიშვნის ღირსია ამ საბუთზე სოლომონის ბეჭდის წარწერაც „დავითის ნორჩი, ჯვარით მტერს მოვრჩი“. ხრესილის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მეფის პოზიციები ისე განმტკიცებულა, რომ იგი უკვე აღარ თვლის თავს „ხვანთქრის“ ყმად.

„რა რო ღმერთმა ძლევა მისცა და ხვანთქრის ჯარს შეება და ფაშა დაიჭირა და გაიმარჯვა და თათრის ჯარი გაწყვიტა ხრესილზე, ღმერთს აღთქმა მისცა და ტყვის სყიდვა გარდააგდო“.[58]

ამის შემდეგ სოლომონ პირველი შეუდგა საშინაო საქმეების მოწესრიგებას.

სამოქალაქო ჩხუბი, რომელიც თურქების მძლავრობისა და თავადების ქიშპობის შედეგს წარმოადგენდა, მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აყენებდა ყმა-გლეხობას, რომლის დიდ ნაწილს სახლკარი ეკარგებოდა, ტყვედ იყიდებოდა ან თავადის ხელში ვარდებოდა... აზნაურობა, ეკლესია და ყმა-გლეხობა წარმოადგენდნენ იმ ძალებს, რომელთათვისაც თურქებისა და თავადების ბატონობას განადგურება მოჰქონდა.[59]

1759 წლის დეკემბერში მოწვეული იქნა საეკლესიო კრება,[60] რომელიც ერთი თვე გაგრძელდა. სპეციალური სხდომა მიეძღვნა ისეთი მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტას, როგორიც ტყვეებით ვაჭრობა იყო. ბუნებრივია, საკითხის განხილვაში მთელი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და სასულიერო ფეოდალები მიიღებდნენ მონაწილეობას, გამონაკლისს აფხაზეთის წარმომადგენლები შეადგენდნენ. თავისი მასშტაბით და მნიშვნელობით „ფაქტიურად ეს იყო სამეფო დარბაზის სხდომა“.[61] იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა იმერეთის მეფეს მორჩილება გამოუცხადეს და „ტყვის სყიდვის“ აკრძალვის პირობა დადეს.

ამიერიდან, ვინც გაბედავდა ტყვის გაყიდვას, ეკლესია მას შეაჩვენებდა, ხოლო საერო ხელისუფლება დასჯის უმკაცრეს ფორმას მიმართავდა - სიცოცხლეს გამოასალმებდა.

„ფიცის წიგნში“ მთავარ-თავადნი წერდნენ: „ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო. ახლა ამაზედ ასე ერთი პირობა დაგვიმ-

ტკიცებია ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვიდგას ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს ვედგეთ, კიდეც მეფის სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელი ვიქნეთ... ამაზედ არას შეწუხებისა და გაჭირვებისათვის ჩვენ ერთმანეთს არ უმტყუნოთ და ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშუროთ"...[62]

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ძირითადი საკითხების გადაწყვეტა როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური ხასიათის, ხდებოდა მეფის მიერ, ხოლო მთავრები და თავადები - დადიანი, გურიელი, რაჭის ერისთავი როსტომი და სხვები, იყვნენ მისი ბრძანების შემსრულებელი.[63]

იტალიელი მისიონერი ლეონი ტყვის სყიდვის ფაქტთან დაკავშირებით წერს: „მას შემდეგ, რაც ახალციხის ფაშად გახდა, ათაბაგმა ... ტყვეების სყიდვის ცუდი ჩვეულება შემოიღო... ამასობაში დადიანად წოდებული დიდი მთავარი სამეგრელოსი და რაჭის ერისთავი როსტომი, ეს ორი თავადი შეუკავშირდა მეფე სოლომონს და მოსპეს ტყვეების გაყიდვის ბოროტად გამოყენებული უფლება და ამგვარად გააუქმეს კიდეც".[64]

1759 წლის საეკლესიო კანონი ტყვის სყიდვის აკრძალვის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი იყო. სოლომონ პირველმა სასტიკად გაილაშქრა ქართველი ხალხის ეროვნული ტრაგედიის წინააღმდეგ და საქმით შეეცადა მოესპო ეს საზარელი სენი. ტყვეებით ვაჭრობის ძირითადი მსხვერპლი ყმაგლეხები იყვნენ, ცარიელდებოდა სოფელი, ჩანაგდებოდა მეურნეობა, ეცემოდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი ფაქტიურად, მწარმოებელი კლასი მცირდებოდა. ამიტომ, ტყვის სყიდვის თავისუფლების აღიარება მარტო ეროვნული ტრაგედია კი არ იყო, არამედ ქვეყნის დაქცევასაც ნიშნავდა. ს. კაკაბაძის თქმით, არც ერთ ომს, არც უცხოელ დამპყრობელს ხმალით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსათვის, რამდენიც ტყვის სყიდვამ მიაყენა მას.[65]

1764 წლის 13 თებერვლის ბრძანებულებით ეკატერინე II-მ ნება დართო ალექსანდრე ბაქარის ძეს გამგზავრებულიყო საქართველში. 1766 წლის 14 ივნისს იგი რუსეთიდან გამოემგზავრა და საქართველოს ნაცვლად ესტუმრა დაღესტნისა და აზერბაიჯანის მფლობელებს. მოგვიანებით კერძო წერილებში ალექსანდრე წერდა: „დაღესტანში იმდენი ქართველი მოტაცებული ტყვე ვნახე, რომ მათგან შეიძლება მთელი სახელმწიფო დავასახლოთო.[66]

ტყვის სყიდვამ ის შედეგი გამოიღო, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ საშინელი სისწრაფით იწყო კლება. დაახლოებით 1770 წლის ახლო ხანებში იქ ირიცხებოდა: იმერეთში 12 ათასი კომლი, ოდიშში 10 ათასი, გურიაში კი ხუთი ათასი. რაც შეეხება აფხაზეთს ფიქრობენ, რომ ამ პერიოდში იქ ცხოვრობდა რვა ათასი კომლი, ე.ი. მთელ დასავლეთ საქართველოში 270 ათასი სული ორივე სქესისა.[67]

თურქები ვერაფრით შეეგუენ ტყვის სყიდვის აკრძალვას.

რუსი მოხელე ი. ივანოვი, თავის მოხსენებაში „საქართველოს მდგომარეობის შესახებ 1762 წელს“ აღნიშნავს: „იმერეთის მეფეს თურქებთან ჰქონდა შფოთი. მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მან მთელ თავის სამფლობელოში სასტიკად აკრძალა თურქებზე ქრისტიანების მიყიდვა. ამან გააბრაზა მეფის ნათესავი თეიმურაზი, რომელიც წავიდა მისგან თურქეთის მომხრე ქალაქში ახალციხის ფაშასთან და თუ ის სულთნის კარის მიერ აღდგენილი იქნებოდა იმერეთის მეფედ, თანხმდებოდა, თურქებს ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობა ეწარმოებინათ.[68]

სოლომონ პირველმა აკრძალა რა ტყვეებით ვაჭრობა და უარი განაცხადა ხარკში ადამიანები გადაეხადა, რამოდენიმე წლის განმავლობაში შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა თურქებთან და დასავლეთ საქართველოს ფეოდალებთან, რომლებთაც არ სურდათ შერიგებოდნენ ამის გამო მიყენებულ დიდ მატერიალურ ზარალს.[69]

აღნიშნულ საკითხზე თურქეთის სულთნის უმაყოფილება წლების მანძილზე მეღავნდებოდა იმ ომებში, რომელიც იმერეთის სამეფოს კიდევ უფრო ასუსტებდა და აჩანაგებდა (მხედველობაში მაქვს 60-იანი წლების პერიოდი). ამას თან ერთვოდა განდგომილ თავადთა შეღლი და ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისათვის.

მეფემ თურქების, ტყვის სყიდვისა და მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეით, თავის მხარეზე დარაზმა ფეოდალური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, შექმნა გარკვეული სამხედრო ძალა და დათრგუნა რეაქციონერი თავადები. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო, იმიტომ რომ სოლომონ მეფის ღონისძიება ატარებდა ზედაპირულ, ადმინისტრაციულ ხასიათს და არ ემყარებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შინაგან კანონზომიერებებს.[70]

ყმა-გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, სოლომონ პირველი შეეცადა ამოეკვეთა მათთვის „საური“ თუკი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

გიულდენშტედტის თქმით, იმერეთში სხვადასხვაგარი გადასახადები იკრიბებოდა, მათ შორის იყო სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო, სამოხელეო და უცხოელ დამპყრობთათვის განკუთვნილი გადასახადები. გლეხის სახელმწიფო გადასახადს შეადგენდა კოდის პური, მალი და საური.[71]

სოლომონ პირველის 1766 წლის შეწირულობის წიგი ხონის ეკლესიისადმი გადმოგვცემს: მეფეთ მეფემან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩვენმა დედოფალთ დედოფალმა მარიამ და ძემან ჩვენმა ალექსანდრემ ვინებეთ მცირედი მსახურება და შემოგწირეთ გლეხი მახარობელა ეფრემიძე— და თუ შენ ჩვენი ლოცა და მოხსენება არ მოშალო ჩვენგან არც საური და არც საულიერო არ გეთხოვებოდეს...[72]

იმავე წლით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში სოლომონ მეფე ქუთაისის ეკლესიისადმი წერს: ... რომ ვინაითგან ქუთაისი აგარიანთ ეპყრა შენ მცირე ეკლესია აღაშენე... გეუბედრე მისი შემავალს კაცის განთავისუფლებას, ვისმენთ მოხსენება თქვენი. საური ამოუკვეთეთ, რაც რომ ეკლესიას ყმა ჰყავს, მაგ ეკლესიას შემავალ ზედა...[73]

მაგრამ საურისა და საუდიეროს ამოკვეთა მარტო თურქების საწინააღმდეგო ღონისძიებას კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი იყო აგრეთვე ფეოდალების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი.[74]

1765 წ. ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ, გამოსცა კანონი, რომელიც ტყვეობიდან საკუთარი ძალა-სახსრებით სამშობლოში დაბრუნებულ ყმა-გლეხთა უფლებრივ მდგომარეობას შეეხებოდა.

თავისთავად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სოლომონ I და ერეკლე II იურიდიულად აფორმებენ კანონს ტყვეთა სყიდვის შესახებ და იბრძვიან მის წინააღმდეგ.

შექმნილ მდგომარეობაში ქართველი მეფეების ცდა დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღონისძიება იყო, მაგრამ საბოლოო გამარჯვებით მაინც ვერ დამთავრდა. ერეკლე II-მ ბევრი იღონა ტყვეთა სყიდვის აკრძალვისათვის, საბოლოოდ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. თითქმის 30 წლის მანძილზე მან საკუთარი ხაზინიდან 400 ათასი მანეთი გაიღო ქართველი ტყვეების გამოსასყიდად, მაგრამ გამოსასხნელი ტყვეების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ მეფის ეს ცდა მხოლოდ ნაწილობრივ ჰკურნავდა ტყვეთა სყიდვით დასნეულებულ ფეოდალური საქართველოს სხეულს.[75]

სოლომონის შეუპოვარი ბრძოლის გამო თურქეთი იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. 1767 წელს სტამბოლში გაფორმდა იმერეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომლის თანახმად პორტა იმე-

რეთს სცნობდა არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ.

ოსმალეთის სულთანი დაეთანხმა, სოლომონი ჩაეთვლა მის „მფარველობაში“ მყოფ ქვეშევრდომად, მაგრამ ხარკის საკითხში იგი პოზიციას არ იცვლიდა. ხარკი, ისე როგორც ძველად გულისხმობდა 60 გოგონას მიცემას, მხოლოდ იმ დათმობით, რომ ვალდებულო არ იყო, ისინი აუცილებლად ქართველები ყოფილიყვნენ.[76]

მოვლენათა მსვლელობამ დაგვარწმუნა, რომ ხელშეკრულების პუნქტზე დათანხმება სოლომონის ერთგვარი დიპლომატიური მანევრი იყო. იმერეთის მეფე სრულებით არ თვლიდა თავს ვალდებულად, რომ თურქეთისათის ხარკი ადამიანებით გადაეხადა.

1768 წლის 23 ივნისს სოლომონ პირველის მიერ ეკატერინე II-სადმი გაგზავნილ თხოვნის წიგნში მეფე წერდა, რომ ხვანთქრის სერასკერებსა და ფაშებს მისგან მრავალგზის უთხოვიათ ტყვის ხარაჯა და ტყვე და როცა არ მიუცია, ძალით წაურთმევიათ“... ჩემს ქვეყანაში შემოსულან ამათი სერასკერები და ფაშები, ტყვის ხარაჯა და ტყვე უთხოვიათ, და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გვქონდა ძლიერი.[77]

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. რუსეთი გეგმავდა თურქეთის წინააღმდეგ ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებას ბალკანეთში და საქართველოს ომში ჩაბმას, რათა თურქეთის ძალები კავკასიაში შეებოჭა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ იმერეთის მეფე ამ ბრძოლაში ჩაებმებოდა.[78] მათი იმედი გამართლდა კიდეც (მხედველობაში გვაქვს საქართველოში ტოტლებენისა და სუხოტინის ექსპედიციები 1769-1772 წლებში).

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯში დადებულ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს ეხებოდა.

ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი გვამცნობდა, რომ ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე.[80]

ამრიგად, ოსმალეთს აეკრძალა საქართველოში ტყვეებით ვაჭრობა, ხარკის აღება და ქრისტიანების დევნა.

მართალია, ყოველივე ეს სოლომონის თაოსნობით ჩატარებული ბრძოლის შედეგად უკვე მოპოვებული იყო, მაგრამ ამიერიდან ეს მონაპოვარი რუსეთის ჩარევითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით მტკიცდებოდა.[81]

თუმცა თავისი მოღვაწეობის პერიოდში სოლომონ I შეუპოვრად იბრძოდა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ, მაგრამ მისი საბოლოოდ აღმოფხვრა მაინც ვერ შეძლო. იმერეთის მეფის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად ტყვეების გაყიდვა ქვეყნის გარეთ სრულიად აიკრძალა. ამჯერად ადამიანებით ვაჭრობა მხოლოდ სამეფოს შიგნით მიმდინარეობდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ნათელს ფენს XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასავლეთ საქართველოს საბუთები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პერიოდიდან ტყვეთა ვაჭრობის წინააღმდეგ განსაკუთრებით ხმას იმაღლებს ეკლესია. სამღვდელოების წარმომადგენლები შეჩვენებითა და ეკლესიიდან განდევნით გმობდნენ ტყვეების გამყიდველ პიროვნებებს.

კათალიკოსის კანონით, როდესაც გამოაშკარავებული და აღმოჩენილი იქნებოდა ადამიანის გამყიდველი, უკანასკნელს ევალებოდა დაეხსნა და წინანდელ საცხოვრებელში დაებრუნებია გაყიდული და გარდა ამისა უნდა გადაეხადა ჯარიმა, როგორც გაყიდულის ბატონისათვის, ისე ადგილობრივი ეპისკოპოსისათვისაც. გაყიდული ტყვის არდამხსნელ გამყიდველს ჩამოხრჩობა ელოდა.[82]

ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიტანოთ რამდენიმე საბუთი, კერძოდ: 1776 წლის 28 დეკემბრის ბიჭვინთის საბუთი, შეჩვენების წიგნი მაქსიმე კათალიკოსისა კაცია ჩიჩუას მიმართ: ... ჩიჩუა კაციამ ჩვენი ბიჭვინთის ეკლესიის კაცის შვილები მძლავრებით და უსჯულოებით დაგვიყიდა და უსჯულოთა ოთომანიანთა მისცა წარსაწყმედელად და შესაგინებლად... ამისათვის შევაჩვენებ წყეულსა მას... განვახვამ ეკლესიისაგან და განვაყენებ ქრისტიანობისაგან...[83]

1777 წ. მაქსიმე კათალიკოზს „ურჯულოზე“ ტყვის გაუსყიდველობის პირობის ფიცს აძლევს მერაბ ლორთქიფანიძე „ჩემს სიცოცხლეში ქრისტიანი კაცის შვილი არც მივყიდო თათარს, არც სხვა უსჯულო კაცს და არც მეგრელს და ეგების დიდის გაჭირვებისათვის ჩემს მეზობელს ან ჩემი ქვეყნის კაცს გლეხობით მივყიდო ან ცოლ-ქმარი... თუ ვისმე ჩემი ქვეყნის კაცს მივყიდო იმასაც პირობა დავადებიო ძალიანი, რომ უსჯულოს ხელში არ ჩავარდეს.[84]

იმავე 1777 წლით დათარიღებული პირობის წიგნში გიორგი გურიელი იმერეთის კათალიკოზს თავისსავე სამთავროში ტყვის გაუსყიდველობას აღუთქვამს. „კათალიკოს მაქსიმესადმი, მას ზედა, რომ... უკეთუ ვინმე სამთავროს შინა მისსა მყოფმან კაცმან ქრისტიანისშვილი გასყიდოს უსჯულოთა შინა და იგი კაცი კათალი-

კოსმა შეაჩვენოს, მაშინ იმ გურიელმაც მოიძაგოს იგი ტყვის გამსყიდველი კაცი“.[85]

ამრიგად, ქრისტიანის გაყიდვა - „უსჯულოზე“ - მაჰმადიანზე სასტიკად იყო დაგმობილი, რაც შეეხება ქვეყნის შიგნით, ნებადართული იყო ცოლ-ქმრის გაყიდვა ერთად.

ეს ღონისძიებანი მიმართული იყო იქითკენ, რომ ყმა-გლეხებს ოჯახი არ დანგრეოდათ, მიწისმოქმედნი გამრავლებულიყვნენ და მიწასთან მიჯაჭვულნი ყოფილიყვნენ.[86]

სოლომონ პირველს მნიშვნელოვან დამსახურებად უნდა ჩავუთვალოთ ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან მან „აღმოკვეთნა კნინღა ორნი დიდი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა და ესე იგი კაცთა კვლა და მპარაობა. გარნა მესამე უბოროტესი ესე იგი ტყვის სყიდვა დროსსა თვისსა სრულიად უჩინო ჰყო“.[87]

თუმცა ტყვეთა სყიდვას იმერეთის სამეფოში სოლომონ II-ის დროსაც ჰქონია ადგილი: „... მეფესა სრულიად ლიხთ-იმერეთისა ბატონს სოლომონს ესე... წიგნი და პირი მოგართვი მე დადიანმა ბატონმან მანუჩარ, ასრე რომ... ქრისტიანობის მომსვრელი სენი, რომელ არს ტყვის განსყიდვა, ეუფლა ქვეყანასა ჩვენსა... და ჩვენგან სიმტკიცე ითხოვეთ და მე ეს მტკიცე პირი მოგართვი, რაოდენ ძალ-მედვას არავის ვრიდო ტყვის მყიდველსა სასჯელი მისაგებლად, არც მე და არც ჩემი ერთგული და ბრძანების მორჩილი მათს უსჯულოებას ვეზიაროთ და შეძლების მსგავსად რისხვა მივაგოთ; თუ ვინმე წინააღმდეგ მექმნას, შენს ხელმწიფებას განუცხადო და თქვენც - მასზედ რისხვის მიგების შემწედ გხადო...[88]

XVIII საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს გურიის სამთავროში საეკლესიო პირებმა მოიწვიეს კრება, რომელმაც ტყვის მსყიდველთა სიკვდილით დასჯის განჩინება მიიღო.[89] მაგრამ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად მდგომარეობა მაინც არ გამოსწორდა. პირიქით, 1794 წ. გაძლიერებულმა ქელეშ-ბეი შერვაშიძემ დადიანის კუთვნილი ანაკლიის ნავსადგური მიიტაცა და ტყვე ადამიანებით ვაჭრობის პუნქტად გადააქცია.

„გრიგოლ დადიანმა სიმშვიდისათვის შესთავაზა პირობა, რომ ანაკლიაში ტყვეებით ვაჭრობა არ ეწარმოებინათ, რომ ანაკლიიდან სამეგრელოს არავითარი საფრთხე არ დამუქრებოდა. მაგრამ ქელეშ-ბეგმა დაარღვია პირობა, გაამრავლა ტყვეებით ვაჭრობა ამ ადგილებში და გრიგოლ დადიანი, იმერეთის მეფე სოლომონის მსგავსად, მას მტრად გაუხდა“.[90]

იმის მუხედავად, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ტყვეებით ვაჭრობა რუსული მმართველობის პერიოდშიც გრძელდებოდა (XIX ს. პირველი ნახევარი)[9], შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სოლომონ I-ის ბრძოლას ამ მავნე სოციალური სენის წინააღმდეგ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა ტყვედ გაყიდულთა რაოდენობა, მოსახლეობას მიეცა თავისუფალი სასოფლო-სამეურნო შრომის საშუალება. გარკვეულწილად გამოცოცხლდა ხელოსნობა და საგარეო ვაჭრობა.

საბოლოო ჯამში ყოველივე ეს მიმართული იყო სახელმწიფოში შინაგანი სტაბილიზაციის დამყარებისაკენ და XVIII ს. 70-იან წლებში მოგვცა კიდეც თავისი შედეგი. ამ დროის იმერეთის სამეფომ, ბაგრატ III ალექსანდრეს ძის დროიდან მოყოლებული, პოლიტიკური ძლიერების მწვერვალს მიაღწია და სულ უფრო თამამად გამოდიოდა საერთო ქართული მნიშვნელობის მქონე ინიციატივებით. სოლომონ პირველს კი ხალხმა „იმერთ მეორე აღმშენებელი“ უწოდა.

...

## თავი IV

# საეკლესიო რეფორმები სოლომონ პირველის დროს

იმერეთის მეფის ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ მარტო „ტყვის სყიდვის“ აკრძალვით არ შემოიფარგლებოდა. ეს იყო ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების გადასარჩენად და შესანარჩუნებლად. დაპყრობელი, მაჰმადიანობის გავრცელების მიზნით, ცდილობდა ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვას და ქვეყნის ხელში ჩაგდებას. ინგრეოდა და ნადგურდებოდა საუკუნეთა ქარცეცხლში გამოვლილი ეკლესია-მონასტრები - სიმბოლო რელიგიური მრწამსისა, ენისა და ეროვნული კულტურისა, სამაგიეროდ მათ ადგილს მეჩეთები იჭერდა.

მ. ჯანაშვილი წერს: იმერეთის საქმენი უნუგეშო მდგომარეობაში იყო... ოსმალთა და ახალციხის ფაშას ჯართა გააოხრეს მრავალნი ეკლესიანი, მრავალი ქრისტიანე გაამაჰმადიანეს და ხალხში გაავრცელეს ვაჭრობა ქრისტიანეთა.[1]

1753 წლის 14 აგვისტოს გაგზავნილ მიწერილობაში იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი რუსეთის უწმინდეს სინოდს ამცნობდა... „ოსმალნი ბილწნი და აგარიანი და მტერნი მართლმადიდებლობისა და სარწმუნოებისანი და წმინდათა ეკლესიათა აღმაოხრებელნი ჩამოვიდნენ ქვეყანასა ჩვენსა და მოაოხრეს ქვეყანა ჩვენი...“[2]

XVI-XVII საუკუნეთა საქართველოში სათავადოებთან ერთად არსებობდა საეკლესიო სენიორებიც. თუ სათავადოს სათავეში სახლის უფროსი (თავადი) იდგა, საეკლესიო სენიორის სათავეში კათალიკოსი და ეპისკოპოსები იდგნენ.[3] ეკლესიის უმწეო მდგომარეობით სარგებლობდნენ საერო ფეოდალები. ისინი იტაცებდნენ ეკლესიის კუთვნილ მამულებსა და ყმებს. „... ოდეს ჭრუჭის წმინდა გიორგის ეკლესია იყო აოხრებული და აქუნდათ მას ადგილებსა ზედა შფოთი დიდი და ცილობა თავადთ წერეთლებს და ერისთავს“-ო ნათქვამია სოლომონ პირველის შეწყალების წიგნში ჭრუჭის მონასტრისადმი.[4]

„უამთა ვითარების“ მსახვრალი ხელი არაერთ ეკლესია-მონასტერს შეხებია: ცაგერის (1758)[5], ქუთაისის (1760)[6] ბიჭვინთის (1760)[7], მარტვილის (1760)[8] და გელათის[9] საბუთები ხშირად მოგ-

ვითხრობენ საერო ფეოდალთა არასწორ ქმედებებზე - თითქმის ყველა დოკუმენტებში ერთი აზრია გატარებული - „ეკლესიის კუთვნილება უდროობით საეროთ გამხდარიყო და... ეკლესიის სამსახურის ქვეშ აღარ იყვნენ".[10] ხშირად კაცია დადიანი, სოლომონ I და მამია გურიელი წყალობის წიგნებით ცდილობდნენ აღედგინათ ეკლესიის დაკარგული უფლებები „რამან ძემან კაცისამან ამის დაშლად ხელყოს და ეს... განწესება მოშალოს, შეჩვენებული იყოს..."[11] იძლეოდა გაფრთხილებას იმერთა მეფე.

ეკლესია საფეოდალო იყო, მაგრამ უმემკვიდრეო საფეოდალო, ამიტომ კანონის მიხედვით, მისი ქონების ხელში ჩაგდება საერო ფეოდალებს არ შეეძლოთ.[12] „... ვინცავინ, დიდმან ანუ მცირემან, საყდარსა და მონასტერსა მამული გამოახუს, ანუ სოფელი, ანუ ვენახი ანუ მიწა და აგარი, ვინცავინ (იყოს), დიდი და მცირე, შეჩვენებულ იყოს"[13] ნათქვამია ერთ-ერთ საეკლესიო დოკუმენტში.

ხრესილის ბრძოლის შემდეგ სოლომონ პირველის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მეფე ქვეყნის შინაპოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა. „... რა რომ ღმერთმა ძლევა მისცა... ეკლესიებს დაკარგული მამულები ამოუგო და ისევ შესწირა".[14] გვამცნობს იმდროინდელი საბუთი.

ეკლესია, პოლიტიკური მიმართულებით უმთავრესად ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე იდგა, ებრძოდა თავადების მძლავრობას და მაჰმადიანობის გავრცელებას, კრძალავდა ტყვის სყიდვას. ამიტომ სოლომონ მეფემ იმერეთის ეკლესიის საკითხი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის პრიორიტეტულ მიმართულებად გადააქცია. საეკლესიო პოლიტიკა სოლომონმა იმერეთის თურქებისაგან გათავისუფლების საკითხს დაუკავშირა და ამით იგი საერთო სახალხო საქმედ გადააქცია[15].

სწორედ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასა და განმტკიცებას ისახავდა მიზნად 1759 წლის 4 დეკემბერს მოწვეული დასავლეთ საქართველოს საერო და სასულიერო პირთა კრება.

კრების შესახებ ცნობები დაცულია ქუთაისის საყდრის საბუთებში.

„... თვითმპყრობელმან მეფეთმეფემან სოლომონ და დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოვკრიბეთ წმინდანი და ყოვლად სამღვდელონი დასნი და მართლმადიდებელნი ერნი მორჩილნი ქრისტესნი და მსმენელნი სიტყვისა ჩემისანი ..."[16]

„ყოვლად სამღვდელო დასის" შემადგენლობაში შედიოდნენ: მეფე, კათალიკოსი, მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსნი, ეპისკოპოსნი,

მეუდაბნოენი, ხოლო „მართლმადიდებელნი ერნი მორჩილნი ქრისტესნი“ - ესენი იყვნენ თავადნი, აზნაურნი და ერისკაცნი.

განდგომილ თავადთა ხელმძღვნელი როსტომ ერისთავი მოხსენებულია როგორც „სპასპეტი, სპასალარი, სტრატილატი და ვიპატოსი“... ამავე საბუთში ფიგურირებს კაცია დადიანისა და მამია გურიელის სახელებიც. აღნიშნულიდან აშკარად ჩანს, რომ 1759 წელს დასავლეთ საქართველოს საერო და სასულიერო პირნი თუნდაც ფორმალურად, მაგრამ მაინც ერთობით არიან.

მართალია, XVIII ს. მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება გაცილებით უარესი იყო, ვიდრე აღნიშნული სამართლის წიგნის შედგენის პერიოდში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით კათალიკოსის უფლებებსა და ფუნქციებს მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია.

XVIII ს. მეორე ნახევრის ერთი რუსი მოხელის დაკვირვებულ მზერას როდი გამოეპარა ის ფაქტი, რომ კათალიკოსი საერო დიდებულებთან, მდივანბეგებთან და უმაღლეს სამღვდელოებასთან ერთად მეფის კართან არსებული დივანის უცვლელი წევრი იყო და მასთან დათათბირების გარეშე მეფე რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, პირადულსაც კი, არ იღებდა [17].

კათალიკოსი, როგორც უმაღლესი სასულიერო პირი, საყურადღებო და მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად იწვევდა მთელ სამღვდელოებას და ამ კრებაზე ირკვეოდა ისეთი საკითხები, რომლებიც სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პრობლემატიკას მოიცავდა. ამიტომ საეკლესიო კრების მოწვევა ჩვენს ისტორიაში არცთუ იშვიათი მოვლენა იყო.[18] 1759 წლის საეკლესიო კრებაზე უმწვავეს საკითხთა მთელი სპექტრი წარმოჩინდა [19] კერძოდ:

1. საეკლესიო საქმეების მოწესრიგება და 2. ტყვის სყიდვის აკრძალვა.

სოლომონ პირველმა არაერთი რადიკალური ღონისძიება განახორციელა ეკლესიის შელახული ინტერესების დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, მან კვლავ დაუბრუნა ეკლესიას საერო ფეოდალთაგან მიტაცებული ყმა-მამული; საეკლესიო ყმები გაათავისუფლა ზედმეტი გადასახადებისაგან და მოახდინა საეკლესიო გადასახადების უმკაცრესი ლიმიტირება; ერისკაცებს აუკრძალა მეფის დაუკითხავად ეკლესიის სამეურნეო საქმეებში ჩარევა, საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენა უღირსნი და ღირსეული პირები მოიწვია; ფართო აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაატარა დროჟამი-

საგან და მტერთა შემოსევებისაგან გატიალებული ეკლესია-მონასტრების გასაახლებლად.[20]

4 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით აღდგენილ იქნა ქუთაისის კათედრა. „... ქუთაისის ეკლესია ყოვლად წმინდის ტაძარი ხელთ ეგდო მძვინვარეს აგარიანს და მიზეზითა მით საქუთათლო მამული და სამრეველო მიმობნეულიყო... ქუთათელი აღარ იჯდა... ასე განვაწესებთ და დავამტკიცებთ აწ და უკუნისამდე რათა შეუცვალებლად ეგოს საქუთათლო ესე და დავაჯდინეთ ქუთათელი ესე და გაკურთხებინეთ ქუთათლად აბაშიძე მაქსიმე.[21] ნათქვამია საეკლესიო საბუთში. გარდა ამისა, დამტკიცებულ იქნა საქუთათლო ყმა-მამული და დადგენილების საფუძველზე ეკლესია განთავისუფლდა ყოველგვარი სახელმწიფო სამსახურისა და გამოსაგებისაგან. გამონაკლისს შეადგენდა ლაშქარ-ნადირობა და „ქვეყნის მოსავალი საქმისა", „თორემ სხვა არა ეთხოვებოდეს რა".[22]

ამრიგად, მორალური მხარდაჭერის გარდა, იყო მეორე მომენტიც. ეს გახლდათ ნივთიერი და ადამიანური ძალები, რომელთაც ეკლესია მეფის ხელისუფლებას აძლევდა სავალდებულო სახელმწიფო გადასახადებისა და ჯარისკაცების სახით. თავადთა მძლავრობის დროს კი სოლომონ პირველისათვის ორივე საჭირო იყო, ამიტომ მან მტკიცედ მოჰკიდა ხელი ეკლესიის აღდგენის საქმეს.[23]

ქრისტიანული ეკლესია შუა საუკუნეების საქართველოში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა და გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოს გაერთიანების შემდეგ, როცა ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებისა და ქალაქების გაძლიერების შედეგად გამწვავდა სოციალური წინააღმდეგობანი და გაჩაღდა ბრძოლა, ერთი მხრივ, რეაქციონერ დიდგვარიან ფეოდალებს და მეორე მხრივ, მეფის მომხრე პროგრესულ ძალებს შორის.

სოლომონ პირველმა კარგად დაინახა, რომ ეკლესიის დასუსტება ერთ-ერთი მიზეზი იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დაქვეითებისა. ამით თურქი დამპყრობი სარგებლობდა და სხვა უბედურებასთან ერთად, მაჰმადიანობის გავრცელების გზით, ცდილობდა დასავლეთ საქართველოში გაბატონებას.

ოსმალეთის მცდელობას ის მოჰყვა შედეგად, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში ერთ-ერთი ძირძველი ქართული კუთხე, აფხაზეთი, თათრის სჯულის მაღიარებლად იქნა გამოცხადებული. ამით ფაქტობრივად დასრულდა ის პროცესი, რამაც XVI ს. შუა ხანებში იმერეთის მეფე ბაგრატ III ალექსანდრეს ძე აიძულა საკათალიკოსო ტახტი ბიჭვინთიდან გელათში გადმოეტანა და ამ გზით უზ-

რუნველეყო მისი ფიზიკური უსაფრთხოება. პოლიტიკურად და კონფესიურად ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სხეულს მოწყვეტილი აფხაზეთი სულ უფრო ცდილობდა მოშორებოდა საერთო ქართულ პოლიტიკურ ორბიტას და ლიხთ-იმერეთში ოსმალთა აგრესიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პლაცდარმად იქცეოდა[24]... ოსმალები სდევნიდნენ აფხაზთა სასულიერო წოდებას და სასტიკად უკრძალავდნენ აფხაზეთში დარჩენას, მღვდელმოქმედების აღსრულებას, ყოველივე დევნას მიეცა და 1760 წლიდან ოსმალეთის მთავრობის წყალობით დაკეტილ იქნენ მონასტერ-უდაბნო სასწავლებელნი.[25]

XVIII ს. დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო მტრისაგან დამძლავრებული რომელიმე საეპისკოპოსო კათედრის „ადგილმონაცვლეობა“, როგორც ეს მოხდა, მაგალითად სახინოწმინდლოს შემთხვევაში. 1782 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ნინოწმიდელი იოანე, იმის გამო, რომ მისი სამრევლო მიწა-წყალი ოსმალებს დარჩათ, იძულებული გახდა გამოჩინებულის საწინამძღვროთი დაკმაყოფილებულიყო[26] და ეს ერთეული შემთხვევა როდი გახლდათ. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა აფხაზეთში, სადაც ქრისტიანული მღვდელთმსახურება სასიკვდილო საფრთხესთან იყო დაკავშირებული, ხოლო ისლამის საწინააღმდეგო კომპანიის ჩატარება საერთოდ წარმოუდგენელი რამ იყო.[27] დასავლეთ საქართველოს ეკლესიას თანაბრად სჭირდებოდა დაცვა როგორც თურქებისაგან, ისე საეკლესიო ყმა-მამულზე დასახლებული თავადებისაგან და ამ მისიის განხორციელება სწორედ სოლომონ მეფემ აიღო საკუთარ თავზე.[28] საეკლესიო კრებამ ბევრი რამ გააკეთა ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლებისათვის, როგორც ერთ-ერთ საბუთშია აღნიშნული „შენება იწყო სოლომონ ტაძართა უსახოთანი“.[29] მაგალითად, ჩვენამდე მოღწეული საბუთებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა დროს მეფე სოლომონს აუგია თუ განუახლებია ხონის, ჭალატყის, გოგნის და ზოგიერთი სხვა ეკლესია-მონასტერი.[30]

საეკლესიო კრების გადაწყვეტილების შედეგად ერისკაცებისაგან მიტაცებული ყმა-მამულები დაუბრუნდა ბიჭვინთის, გელათის, ხონის, ქუთაისის, ცაგერის, ნიკორწმინდის, სორის, გამოჩინებულისა და მღვიმის ეკლესიებს.[31]

„უსჯულოთა“ სარწმუნოების გავრცელება ეკლესიისათვის მრევლის დაკარგვასაც ნიშნავდა და შემოსავლის შემცირებასაც, ამიტომ ეკლესია პოლიტიკურად და ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მყოფი, მტკიცე

საყრდენი ვერ იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ცენტრალური ხელისუფლებისათვის მებრძოლი მეფისათვის.

ეკლესიას გააჩნდა თავისი მამული და ჰყავდა ყმები და, ყველაფერ ამას ეპისკოპოსები განაგებდნენ. ეპისკოპოსის ფუნქციაში შედიოდა თავის სამწყსოში სამართლის განგება. „კათალიკოსთა სამართალი“ გვამცნობს: „რომელიც ეპისკოპოზი... მისსა სამწყსოსა ეკლესიების საქმესა მართლად არ მწყემსობდეს, არა მართებდეს და არ ამაგრებდეს, რაც ძალ-ედგას... ანუ საყდრის მამულს არ ამაგრებდეს... შეჩვენებულ იყოს“.[32]

ეკლესია-მონასტრებს ეკუთვნოდნენ თავად-აზნაურნი, გლეხნი ყმად შეწირულნი და ნასყიდნი, ამასთან, ეკლესია-მონასტრებს თავისი კანონები და წყობილება ჰქონდა. მაგრამ განსხვავებაც მოჩანდა. ეკლესია ქრისტეს მოძღვრებით აღჭურვილი და კერძო ფეოდალებთან შედარებით, ნაკლებად სასტიკი მებატონე იყო.[33]

ნასყიდი და შეწირული ყმების გარდა საეკლესიო მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ უთვისტომოდ, უმამულო მოსახლკარე საბატონო ყმები, რომლებიც იპარებოდნენ საკუთარი მებატონეებისაგან და საცხოვრებლად გადადიოდნენ საეკლესიო მამულებში. ეს ფაქტი გამოწვეული იყო იმით, რომ ეკლესია მათ უფრო ადამიანურად და სამართლიანად ექცეოდა, შეღავათს აძლევდა ხარჯის გადახდაში, ათავისუფლებდა ან მცირე გაღასახადს ადებდა მამულზე და ამით აიხსნება გლეხის სურვილი საეკლესიო ყმად დაწერილიყო.[34]

1784 წელს დავით მეფეს განუახლებია სოლომონ პირველის მიერ ნაბოძევი წყალობის სიგელი - ხაბაზებისადმი, - სადაც ნათქვამია, „გელათის ხახულის ღვთისმშობლის მებეგრე და ჩვენი მემკვიდრე ხაბაზები ყოფილხართ... ეს წყალობა გიყავით. გელათის ეკლესიას სამართლიანს ბეგარას და სამსახურს ნუ მოუშლით. მის ბეგარაზე ჩვენ ხელი არ გვაქვს და მას გარდა ეს წყალობა გვიქნია არც აზნაურიშვილის საყმოთ გაგხადოთ და არც მიგცეთ აზნაურიშვილს. არცა... ჩვენგან გეთხოვებოდეს ხაბაზობის მეტი, არცა საძმო, არცა სამკვიდრო, არცა საური და არცა საუდიერო...[35]

ამდენად, გლეხებისათვის საეკლესიო ყმად ყოფნა უფრო ხელსაყრელი იყო. ბ. ლომინაძე საეკლესიო ბეგარის შესახებ აღნიშნავს, რომ მისი რაოდენობა XVIII საუკუნეში საგრძნობლად მცირე უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მეურნეობის განვითარების დონე ამ დროისათვის შედარებით დაბალია. ბეგრის სახეობის შესახებ ის ვიცით, რომ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში გრიგოლ კათალიკოსმა ერთგვარი „რეფორმა“ ჩაატარა: ძველი სულადობრივი გადასახადის ნაწილი, იმ დროისათვის უკვე დაკარგული ფულადი

ბეგარა, შეცვალა სასაქონლო მნიშვნელობის სანთლის გადასახადით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკათალიკოსო მამულთა უმეტესი ნაწილი XVIII ს. იმერეთში ექცევა კათალიკოსის რეზიდენციის ახლოს (გელათი-ქუთაისი) და სახასო ხოდაბუნები საგრძნობლად იკლებს[36]. საქართველოს სიძველეთსაცავში არაერთი დოკუმენტია დაცული, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება თვალი გავადევნოთ საეკლესიო ყოფა-ცხოვრების რეგულირებისათვის სოლომონ I-ის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. განვიხილოთ ზოგიერთ მათგანი:

1776 წ. სოლომონ I-ის შეწირულობის წიგნი გელათის ეკლესიისადმი გვამცნობს: „... შემოგწირეთ მცირედი ესე შესაწირავი ჩვენს ეკვდერს და სასაფლაოს მაცხოვარს და მის წინამძღვარს ჭიჭინაძეს იოაკიმს ლეყერეთს... ერთი მოსახლე კაცია და გიორგი (ჩამოთვლილია ძმების სახელები)... მათი ბეგრით თვითო მოსახლეს ორი ჩარექი სანთელი, ოთხი კოდი ღომი სამ-სამი თორმეტიანი ღვინო თქვენს წინამძღვარს მიერთმეოდესო...“[37]

1764 წლის შეწირულობის წიგნი ხახულის ღვთისმშობლისადმი გადმოგვცემს: „ჩემისაგან მწვლილებრი ძღვენი მიითვალე დიდებულო ხახულისა ღვთისმშობელო... შემოგწირეთ ჩახვაშვილი დავითა და მისი ძმა ისხაკა ასე რომ ათ ჩარექს სანთელს და ერთს ჩარექს საკმეველს მარიობის თვეშიდ მოგართმევდეს ყოველს წლის თავზედ.“[38]

საეკლესიო გადასახადების გაწერისა და აკრეფის საკითხს შეეხო 1761 წლის 23 აპრილის სოლომონ პირველის მიერ მოწვეული საეკლესიო კრება. კრებაზედ გამოტანილი იქნა დადგენილება ხონის ეკლესიის შესახებ, რომლის ყმა-მამულის დამადასტურებელი და სამრევლო შემოსავლის მარეგლამენტირებელი დოკუმენტაცია აღნიშნული დროისათვის მთლიანად განადგურებული ყოფილა. „ამაზედ შემოვკრიბეთ ... ერთობით ლიხთ-იმერთა კრებულნი და ეკლესიის ნიშანი, სამრევლო გამოსავალი და სახუცო მოვიკითხეთ და წმინდამ ამ კრებამ ასე დაამტკიცეს და ბრძანეს: როგორითაც ბიჭვნითის სამწყსოშიდ იყო გენათლისა და ქუთათლის სამწყსოში, ამასაც ეგრეთ განუწესეთო“.[39]

გაწესებაში იგულისხმებოდა შემდეგი: „თავადი, საპატიო კაცის შვილი, აზნაურის შვილი ვინც იყოს სამრევლო ამ ხონის წმინდის გიორგის იყოს ყველა შეძლებისაებრ ნიშანს მიართმევდეს და გლეხი მესამე წელიწადს... შაური მთავარეპისკოპოსს და შაური ჯვარსა და ჯვარისმტვირთველს სხვა სასჯულო საკანონო რაც იყოს სამართლის გზით მოკითხოდეს და მიერთმეოდეს... სახუცო

როგორც საქუთათლო-საგელათოს მართებს, მესამე წელიწადს - მარჩილი მღვდელსა და ორი რუბი მთავარს".[40]

ამრიგად, ბრძანების თანახმად საეკლესიო ყმები გათავისუფლდნენ ზედმეტი გადასახადებისაგან და კანონდება საეკლესიო გადასახადები ან სანაცვლოდ ეკლესიას წელიწადში განსაზღვრულ დროს უნდა ჩაეტარებინა წირვა-ლოცვა მეფის სადღეგრძელოდ და სულის საოხად.[41]

სოლომონ პირველის საეკლესიო პოლიტიკის დასახასიათებლად უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია 1761 წლის 23 აპრილის განწესება ხონის ტაძრის გამოსავლის თაობაზე[42] და 1762 წლის 4 აპრილის დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარისა.[43] პირველის შესახებ ზემოთ მოკლედ უკვე აღვნიშნეთ. რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, მასში ჩამოთვლილია საჩინოს თემის (თანამედროვე ვანის რაიონი) სოფლების საქუთათლო ბეგარა და მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ ზეგარდლის, ძულუხის, სიმონეთის გაღმა უხუთის, კობერაულის, კერცხეთისა და კვერხეთის ტერიტორიაზე მამულების გამოსავალი ნახევარი ხატისა იყო, ნახევარი კი სოფლისა. საბუთში საინტერესოდ აისახა მეფის ზრუნვა საყდრის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. მაგალითად ვინმე ბიბიჩაძეს ბეგრად აწერია ღვინო ორმოცი კოკა, რომელიც მან დროულად უნდა გაყიდოს და თანხა საყდარს მოახმაროს.[44]

იმის მიუხედავად, რომ საეკლესიო ყმების ბეგარა შეუდარებლად მსუბუქი იყო, ვიდრე საბატონო ყმებისა, სოლომონ პირველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მათთვის საურისა და საუდიერო გადასახადის მოხსნას და როგორც მოღწეული არაერთი საბუთიდან ჩანს ხშირად აკეთებდა კიდეც ამას.

მაგალითად, „თქვენ წმინდის ნიკოლოზის ეკლესიის ყმას ძმუელებს და ნიკორწმინდელებს... ამოგიწერეთ საური. არასოდეს ჩვენგან და შემდგომად ჩვენთა მეფეთაგან თქვენ საური არ გეთხოვებოდესთ".[45]

საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ მეფე ფაქტიურად ილაშქრებს ეკლესიის მამულებში საერო ფეოდალების მიერ ჩაყენებული მოხელეების წინააღმდეგ. ეს კი ნიშნავს ეკლესიის უფლების აღდგენას ყმა-გლეხზე. ამდენად, ეკლესია ფაქტიურად ხდება თავის ყმის მეპატრონე.

1783 წლის საბუთიდან ჩანს, რომ სოლომონს ყმები დაუბრუნებია გამოჩინებულის ეკლესიისადმი: „მეფემან გამოიკვლია და აღმოუჩნდა რომ ამ ეკლესიის საკუთნელი ყმანი სოფელსა საჯავახოს მცხოვრებნი... ესე ყველანი თავადს გურიის ერისთავს

მიეთვისებინა მძლავრებით თვის დასაკუთვნელად და სამართლის გვარით გამოართვა მას ერისთავსა ყმანი იგი დაუბრუნა ამა წმინდის გიორგის ეკლესიასა საუკუნოდ საკუთნელად ყოვლისა მათის ქონებითა.“[46]

როგორც ჩანს, ურჩობას საეკლესიო კრების გადაწყვეტილების შემდეგაც ჰქონდა ადგილი. საერო ფეოდალი სარგებლობს „მძლავრებით“ და კვლავ ცდილობს ეკლესიის სამეურნეო საქმეებში ჩარევას.

სოლომონ პირველი თვითონ აძლევდა მაგალითს თავნება საერო დიდებულებს საეკლესიო ყმა-მამულისადმი კორექტიული დამოკიდებულებისათვის. ამის ნათელი ნიმუშია 1776 წლის 26 აგვისტოთი დათარიღებული პირობის წიგნი მაქსიმე კათალიკოსისადმი. საბუთში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ არეულობის ჟამს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიის მამულები სამოურაოდ ჩვენს (ე.ი. სოლომონის, მ.რ.) კაცებს ჰქონდათ.[47] შემდეგ, როცა ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა, მეფემ მოიძია ძველი გუჯრები და „ესრეთ გაცხადებულად ვპოვეთ, რომ ეკლესიის მამულში სხვის მოხელე და მოურავი არ შევიდეს“.[48] ეს აკრძალვა სოლომონმა პირველ რიგში საკუთარ სამეფო მოხელეებზე გააერცელა და მაქსიმე კათალიკოზს პირობა მისცა საეკლესიო მამულებში ჩაურევლობისა.

ანალოგიური სურათი იხატება ხონის ტაძრის საბუთიდანაც (1778 წელი), რომელშიც აღნიშნულია: „ჟამთა ვითარებისა და დროცვლილობით თქვენის ეკლესიის მამულისათვის მეფეთა თუ სხვათა მოურავი და მებაჟე დაეყენებიათ, ახლა... ჩვენი მოურავი და მებაჟე გამოგაცალეთ“.[49]

ასეთი შინაარსის საბუთი არაერთია.

სვიმონეთის მოურავებისადმი გაცემულ ბრძანებაში სასტუმრო სამსახურის შესახებ, მეფე გაენათელ მიტროპოლიტთან შეთანხმებით მოქმედებს და ამით გამოხატავს პატივისცემას საეკლესიო პირისადმი; თუმცა მისი ქმედება ნაწილობრივ ეკლესიის საქმეში ჩარევასაც გულისხმობს. საბუთში საგანგებოდაა დაფიქსირებული, რომ გაენათელის კაცების: სულამანიძეების, ლიკლიკაძეებისა და ღვინეფაძეების მიერ მეფისა და მისი ამალის მასპინძლობა მიტროპოლიტის თანხმობით ხდება. „გაენათელ მიტროპოლიტის ეფეთიმის ნება დართვით და მოწმობით ჩვენც ასრე განგვიწესებია...“[50]

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ეკლესია აღდგენილ იქნა თავის ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობაში, მეფის ხელისუფ-

ლების მფარველობა გახდა გარანტიც ეკლესიისათვის მოპოვებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად.[51]

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სამეფო ხელისუფლება არა თუ ეკლესიას იფარავდა ხოლმე საერო ფეოდალთა დამძლავრებისაგან, ზოგჯერ პირიქით, საეკლესიო იერარქთა თვითნებობისაგანაც უხდებოდა ქვეშევრდომთა დაცვა, ასე მომხდარა, მაგალითად ხონში, სადაც კათალიკოსს „უსამართლო ექნა“ და მეფის მიერ განსაზღვრულ ბაჟზე დამატებით ხორცის, მარილის, თევზისა და მატყლის ახალი ბაჟი დაედო ხონელებისათვის. მარიამ დედოფლის განკარგულებით, უდების დადების აღნიშნული მცდელობა დაუყოვნებლივ იქნა აღკვეთილი, საბუთში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამიერიდან „ვერც ჩვენ მაგიერმან კაცმან და ვერც ვინც იყოს მთავარეპისკოპოსმან, ვერც არავინ სხვამა ვერ გთხოვოსყე“.[52]

აღნიშნულ პერიოდში კათალიკოსი იყო ბესარიონი, როსტომ ერისთავის ძმა. ხონის სახასო ყმები გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყვნენ, მაგრამ კათალიკოზმა სხვაგვარად იმოქმედა. ამით ის აშკარად ეწინააღმდეგება მეფეს. ჩანს, რომ ბესარიონი საეკლესიო სფეროში არაფრით ჩამორჩებოდა თავის გოროზ ძმას.[53] ეს მაშინ, როცა 1761 წლის 23 აპრილის, საეკლესიო კრების საბუთში ბესარიონი შემდეგნაირადაა მოხსენიებული: „... თავად უფალი ჩვენი ყოვლად ნეტარი კათალიკოზი ბესარიონი“[54]

1762 წლის 20 დეკემბერითაა დათარიღებული საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის იოსების მიწერილობა ეპისკოპოსებისადმი მათ ეპარქიებში სარწმუნოებრივი წესების დაცვის შესახებ.[57] საბუთი შედგება II მუხლისაგან და ეკლესიის წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობებს ეხება. კათალიკოსი იოსები აფრთხილებს თავის სამწყსოს ყველაფერი უნაკლოდ აღასრულონ... თვარემ იცოდნეს თქვენმა სიწმინდემ ჩვენი კაცი ჩამოიელის იმ ჟამზედ და რომელსაც ხუცესს ესრეთ არ გაუმართავს თავისი სამწყსო და თავისი თავიც, იმასაც სამართლით განვსჯით...[56]

საბუთებიდან ირკვევა, რომ ეპარქიებში არსებული მდგომარეობა მოითხოვდა სპეციალური დადგენილების მიღებას, თავიანთი ქმედებით უღირსნი ბღალავდნენ ეკლესიის სახელს და ამით მის ავტორიტეტს საფრთხეს უქმნიდნენ.

სოლომონ პირველმა ყურადღება მიაქცია საეკლესიო პირთა რუპუტაციას და იზრუნა, ეკლესია ღირსეული კანდიდატურებით დაეკომპლექტებინათ.

XVIII ს. 60-იან წლებში აშკარად გამოიკვეთა ბესარიონ კათალიკოსის უარყოფითი პოზიცია სამეფო ხელისუფლების მიმართ.

უღირსი ეკლესიის მსახური, მეფემ გადააყენა და მის ნაცვლად 1769 წ. 10 მაისს საეკლესიო კრებას თავისი ძმა, გელათის მიტროპოლიტი იოსები აკურთხებინა.[57] გიულდენშტედტი წერს: იმერეთს ჰყავს თავისი საკუთარი პატრიარქი (კათალიკოსი), ამჟამად იოსები, სოლომონ მეფის ძმა.[58]

„კათალიკოსის სამართლის" მე-16 მუხლი გვამცნობს: „ვისაც პატრონის მეფის ღალატი გამოაჩნდეს, ანუ დიდსა, ანუ თავადსა, ანუ აზნაურსა, ანუ ვისაცა მართლით განკითხვით და გამოწუელვითა, რარიგათაც წმინდა კრებათა და წმინდათა მოციქულთაგან გაჩენილი იყოს და სჯულისა კანონსა შიგან ეწეროს, სიკვდილით განიპატიჟოსო."[59]

მართალია, მეფეს კათალიკოსყოფილი სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ თანამდებობა კი ჩამოართვა. თუმცა ბესარიონი უადგილოდ არ დაჩენილა. ის ოდიშში გაიქცა და დადიანის დახმარებით ახალი კარიერა გაიკეთა.

მონსინიორი ლეონის მიხედვით სოლომონ მეფემ თავის სიმამრ დადიანთან სამშვიდობო მოლაპარაკება გამართა და არწმუნებდა, რომ ბესარიონი პატრიარქობიდან გადაყენებული უნდა ყოფილიყო. მეფე იმიზეზებდა ბესარიონის „საკმაო მაცდურობას" და დადიანს სთავაზობდა კათალიკოსის ტახტზე იოსები აეყვანა[60].

სოლომონ პირველის გაძლიერებით შეშინებულმა დადიანმა, მეფესთან შეთანხმების ნაცვლად ეკლესიურადაც გამოჰყო ოდიში იმერეთიდან და საკუთარი ეპისკოპოსები დაუმორჩილა ნაკათალიკოსარს, რომელიც მასთან იყო შეხიზნული. ამგვარად, ლიხთ-იმერეთის საეკლესიო საქმეებს სათავეში მოექცა ორი კათალიკოსი: ბატონიშვილი იოსები და ოდიშში კიდევ ბესარიონი.[61]

კათალიკოზი იოსები ერთგულად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, თუმცა საბოლოოდ მეფესთან უკმაყოფილება მასაც მოუვიდა, ამჯერად ისევ რაჭის ერისთავთან დაკავშირებით. იოსებ კათალიკოსის ფიცს დაყრდნობილი როსტომი სასტიკად იქნა დასჯილი. აღშფოთებული კათალიკოსის რისხვა გვირგვინოსან ძმას დაატყდა თავს, რომელმაც შეგნებულად გაატეხინა იოსებს ფიცი. სოლომონ მეფეს დაუმშვიდებია ქენჯნილი კათალიკოსი- მე რომ როსტომისთვის თვალები არ დამეთხარა, მთელ საქრისტიანოს წაბილწავდაო. კათალიკოსს იმ დღიდან აღარ უწირავს, თავს უღირსად თვლიდა და იყო მარად სინანულში.[62]

ხოჯავანთ იოანეს ცნობით იოსებ კათალიკოსი გარდაიცვალა 1776 წლის 13 მაისს ქუთაისს მწვანეყვავილაში".[63]

იოსებ კათალიკოზის შემდეგ ამ თანამდებობაზე აკურთხეს მაქსიმე აბაშიძე (ქუთათელი მიტროპოლიტი).[64] ამ მხრივ საყურადღებოა ფიცის წიგნი, მიცემული კაცია ავალიანის მიერ აფხაზიმერთა კათალიკოზ მაქსიმესათვის მისთვის გრიგოლ კათალიკოსის[65] მიერ მიწის დაწინდვაზე... „თქვენ უფალს აფხაზ იმერთა კათალიკოსს ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ავალიანმან, ოტიას შვილმან კაციამ... რომ ნეტარხსენებულის ბატონიშვილის, კათალიკოსის იოსების დროს ადგილზე დავდევით ჯიმაშტარს ბატონს მეფე სოლომონთან ვილაპარაკეთ. წიგნი დამწვარიყო აღარ გვქონდა და კათალიკოზი იოსებ აღესრულა, მერმე თქვენ მობრძანდით და გველაპარაკეთ, მეფისაგან გაჩენილი იყო ფიცი და ასე შემოგფიცეთ თქვენ კათალიკოზს მაქსიმეს...“[66]

1762 წლის 20 დეკემბრის დადგენილებაში ხუცესთა შესახებ სწერია, რომ დაკისრებული მოვალეობის უპასუხისმგებლოდ შესრულების შემთხვევაში სასულიერო პირისათვის ყადაღა შეიძლება დაედოთ.[67]

სწორედ ასე მოქცეულან მაგალითად, ხონის ეკლესიის ხუცესის მიმართ, სადაც „წმინდის ამის ეკლესიის ანჩის ხატი ვინ გინდა ხუცისაგან გამოსვენდებოდა და მისი შესაწირავი და მისართმეველი ერთ ხუცეს უნდა ეჭამა და საყდარს ამისი გამოსავალი არაფერი არ ეგებოდა. ეს საკითხი კათალიკოს ბესარიონის საგანგებო შესწავლის საგნად ქცეულა და თავკერძა ხუცესს შეჩვენებითაც დამუქრებოდა.“[68]

აღნიშნულ საკითხში ცენტრალური ხელისუფლების პოზიციად შეიძლება მივიჩნიოთ მაქსიმე ქუთათელის სიტყვები: „უკეთუ ვინმე სამღვდელი კაცი უწესოდ იქცეოდეს... ამხილეთ, შერისხეთ და უკეთუ არა განიშოროს უწესო იგი ქცევა, დასცხერინ მღვდლობისაგან.“[69] როგორც ირკვევა, არათუ მეფე, თვით საეკლესიო ხელისუფალნიც კი, იბრძვიან შეუფერებელი სამღვდელო პირების წინააღმდეგ.

იმავე საბუთში ნათქვამია: ...„რომელსაც მღვდელსა მეცნიერება და შიში ღმრთისა აქუნდეს და შეეძლოს საიდუმლოების აღსრულება, მან ამღუდელმოქმედოს.[70]

ანალოგიური აზრია გატარებული 1779-1782 წწ. ხონის საბუთში, რომელიც წარმოადგენს პირობის წიგნს მიცემულს იოანე ნინოწმინდელისადმი[71].

1759 წლის კრების დადგენილებებმა დასაბამი მისცა ახალ პერიოდს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურსა, სულიერ და სო-

ციალურ ცხოვრებაში- თურქეთის ძალადობისაგან თავდახსნისა და ფეოდალურ ურთიერთობათა მოწესრიგების პეროდს.

საეკლესიო საქმეებში განხორციელებული პოლიტიკის გარდა, სოლომონ I-მა დიდი ყურადღება დაუთმო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-განახლებას. საბუთები გვამცნობენ, რომ იმერეთის მეფის სახელთანაა დაკავშირებული ჭალატყის,[72] კაცხის,[73] გოგნის[74] ტაძრების აგება - განახლება და ამასთან, მათ სწირავდა ყმა-მამულებსაც.

...„იმერთა სძალმან დიდის მთავრის წულუკიძის ასულმან დედოფალთ დედოფალმან გულქან... სრულიად იმერთა მეფის სოლომონის აღშენებულის ტაძარს... ჭალატყეს შევსწირეთ გლეხი ერთი რცხილისშვილი მამისთვალა..."[75]

ხონის ეკლესიის ერთ-ერთ შეწირულობის წიგნში სოლომონ პირველი კიდევაც აღნიშნავს: „... ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილნი ეკლესიანი განვაახლეო:"[76]

„... ოდეს ჭრუჭის წმინდის გიორგის ეკლესია იყო აოხრებული და უქანდათ მას ადგილებსა ზედა შფოთი დიდი და ცილობა თავადთ წერეთლებთ და ერისთავს, მაშინ იმა მეფემან დააცხრო მათ შორის ამასზედა ცილობა და შექმნა ეკლესია ესე მონასტრად და განუკუთვნა რაოდენიმე მიწატყენი..."[77]

სოლომონ პირველმა „რკინის ყავრულით",[78] შეამკო გელათის მონასტერი[79].

„თვით სამეუფეო ტაძარი სამკაულთაგან დაკლებულ ქმნილიყო აგარიანთა მონებითა... და ჟამსა ძმა ჩემი უმრწმესი იოსებ გაენათლად იჯდა, ეველრა კრებულით თვისით და... პატიოსნისა და ამის ეკლესიისა სამსახურად... იმკობოდეს უკუნისამდე..."[80] ხოლო კათალიკოზ იოსებს უანდერძებია გელათის ეკლესიისათვის რიგი სამღვდელმთავრო საგნებისა და წიგნებისა.... 1776 წელს გენათელ ეფვთიმეს დაუწერია ანდერძი იოსებ კათალიკოზისა, რომლითაც მრავალი შეუწირავს გელათისათვის...[81]

ეკლესიის როლი და ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა. პოლიტიკურად და ეკონომიურად გაძლიერებული საეკლესიო ხელისუფალნი, ზოგჯერ ფულად დახმარებასაც კი გასცემდნენ ხოლმე.

1770 წლის 6 მარტის საბუთი წარმოადგენს პაპუნა წერეთლის თამასუქს მიცემული კათალიკოსი იოსებისადმი. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პაპუნას კათალიკოსისაგან „ხუთასი ფრული" უსესხებია და პირობას დებს მარიამობას დააბრუნოს თანხა. დაგვიანების შემთხვევაში მას უკვე ათი-თერთმეტზე სარგებელი უნდა გადაეხადა[82] ე.ი. 10%-იანი სარგებელი უნდა მიერთმია მევალისათ-

ვის. ჩანს, კათალიკოსი ამ პერიოდისათვის ეკონომიურ სიდუხჭირეს არ განიცდის, თორემ გაუჭირდებოდა ფინანსების გამოძებნა.

საეკლესიო ბიუჯეტის გაზრდაზე სათანადო გავლენას ახდენდა შეწირულობანიც. მაგალითად, 1779 წ. 22 აგვისტოს საბუთი გვამცნობს, რომ იმერეთის მეფის ძემ ალექსანდრემ ნათლისმცემლის უდაბნოს წელიწადში ასი მარჩილი თეთრი გაუჩინა სულის საოხად. უკიდურეს შემთხვევაში, ფულადი შესაწირი ერთი ჯორით ან იაბო ცხენით შეიძლება შეცვლილიყო.[83]

ამრიგად, XVIII ს. მეორე ნახევარში ეკლესიამ თანდათან დაიბრუნა ძველი მდგომარეობა და ქვეყნის სამსახურში ჩადგა.

სოლომონ I-ის საეკლესიო პოლიტიკა, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, პროგრესული იყო.[84]

სოლომონ I-ის მიერ ეკლესიის პატივგებისა და წარყვნილი რჯულის აღდგენისთვის განხორციელებული ღონისძიებანი ზრდიდა მის ავტორიტეტსა და პოპულარობას იმერეთის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მის დაბალ ფენებში.

1759 წლის საეკლესიო კრებაზე იმერთა მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საქმეებში ხელმძღვანელად გამოდიოდა, ხოლო მთავრები და თავადები მისი მორჩილნი და ბრძანების აღმსრულებელნი იყვნენ, რაც სოლომონისა და მის მომხრეების დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა.[85]

მოვლენათა მსვლელობამ ცხადყო ჩატარებული საეკლესიო რეფორმის აქტუალობა და მნიშვნელობა. სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ქრისტიანული სარწმუნოების გადარჩენისათვის მებრძოლ მეფეს სწორი პოლიტიკული კურსი ჰქონდა არჩეული. ეკლესია მისი ერთგული საყრდენი აღმოჩნდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და „უსჯულოთა“ განდევნის საქმეში.

აქ, ალბათ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ კათოლიკობის საკითხს იმერეთში.

ქრისტიანობის ამ მიმართულებამ XVII-XVIII საუკუნეებში საკმაოდ დიდი გავლენა მოიპოვა. თუმცა რეპრესიებიც ხშირად განიცადა. კათოლიკებს განსაკუთრებით მტრობდნენ სომეხი - გრიგორიანები და არცთუ იშვიათად სოლომონ I-იც. ასე მაგალითად, პატრ. დომენიკეს მეფისათვის გაგზავნილ ერთ წერილში საგანგებო ახსნაც კი სჭირდებოდა იმისათვის, რომ იგი კათოლიკეთა ქრისტიანობაში დაერწმუნებინა.[86]

1753 წლის 30 მაისის ქუთათელ-მიტროპოლიტყოფილის, ქართლის მთავარეპისკოპოსის ტიმოთეს მიერ ქმნილი „მარწუხის“ წი-

ნასიტყვაობა მოგვითხრობს: „გუნდი განვრდომილნი იღვწვიან... სიწრფელე აღამღვრიონ და სიმარტივე სივერაგედ შთამოიყვანონ... ხოლო მრავალგანთქმულ ესე მართლმადიდებულობითა დიდი ერი ივერთა მრავალგზის წარმართთა ოხრებითა შემცირებულ იყო...“[87]

კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარნი იყვნენ ალექსნადრე V (სოლომონის მამა), ბესარიონ კათალიკოსი, როსტომ ერისთავი და სხვები.

კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ დევნულობამ, თუმცა ონში კაფუცინების მისიონი მოსპო, მაგრამ იქაურ კათოლიკებს ვერაფერი დააკლო[88]... ბესარიონიც გაკათოლიკების შემდეგ, ისევ კათოლიკოსად დარჩა რამდენსამე წელიწადს, ვიდრე სოლომონ მეფე პოლიტიკური მიზეზების გამო, ჩამოართმევდა კათოლიკოსობას და მისცემდა თავის ძმას იოსებს[89]

კაფუცინი ბერის იერონიმე ნორიჩელის ცნობით 1757 წლისათვის იმერეთში 300-მდე კათოლიკე იყო[90]

თვითონ სოლომონ მეფის დამოკიდებულება კათოლიკეებისადმი საკმაოდ ცვალებადი იყო და კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარეობდა.

60-იანი წლების პირველ ნახევარში მეფემ არნახული სიმკაცრე გამოიჩინა კათოლიკეთა მიმართ. ეს ცხადად ჩანს „ბილწ პაპისტთა“ დაუძინებელი მტრის, სომეხთა პატრიარქ სვიმეონისთვის გაგზავნილი სოლომონის ერთი წერილიდან, რომელშიც მეფე ამცნობს ადრესატს კათოლიკეთა წინააღმდეგ მის მიერ მიღებული ზომების შესახებ. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში სოლომონი თურმე სვიმეონის დავალებას ასრულებდა და დიდი რისხვა დაატეხა თავს კათოლიკებს, „რომელნიცა ვეროდესღა უკუმოიქცევიან სამეფოსა ჩვენს“. სამაგიეროდ, სოლომონი სვიმონს აიმედებდა, რომ მფარველობას გამოუცხადებდა იმერეთში მცხოვრებ ყველა სომეხს.[91]

თუმცა, ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სოლმონ I ცალსახად სომხოფილური ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო. პირიქით, ხოჯავაანთ იოანეს ქრონიკში დაცული ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ მისი მეფობის ჟამს ჩვეულებრივი მოვლენა იყო სომხური სალოცავების „დაქცევა“, სომეხი ვაჭრების დარბევა, მძევლების გამორთმევა, ფულის „შეწერა“ და სხვა მსგავსი ღონისძიებანი სამეფო ხელისუფლების მიერ.[92]

იმავე ხოჯავაანთ იოანესთან დაცული ერთი ცნობის მიხედვით, მეფეს „ქუთათური კათოლიკეებისათვის“ „გაქართველება“ ან “გასომხება“ (ე.ი. მართლმადიდებლობაზე, ან გრიგორიანობაზე მოქცე-

ვა) უბრძანებია, მაგრამ უარი მიუღია. თვითონ იოანე ამ ფაქტს სომეხი ვარდაპეტის მარტიროსის ინტრიგებით ხსნის, რომელიც ქრთამებს არ იშურებდა სოლომონ I-ის გულის მოსაგებად.[93] დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე სოლომონმა არა რელიგიური მრწამსის, არამედ „პოლიტიკური მიზეზების გამო“ გაათავისუფლა ბესარიონ კათალიკოსი, რაც შეეხება იოსებს, იგი კათოლიკებს მაინცადამაინც არ სწყალობდა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მონსინიორი ლეონე, ერისთავის “მეგობარი“ არასახარბიელოდ ახასიათებს მას. „სოლომონ მეფის ძმა - სახელად იოსები, დიდად სახელგანთქმული მონასტრის გელათის სახელწოდების ეპისკოპოსი, კაცი ბოროტი, უსამართლო, ბარბაროსი, ცრუ, ძუნწი, არაადამიანური, სასტიკი და უდიდესი მტერი კათოლიკებისა, გოროზი, ყოველგვარი ბიწიერებით სავსე...“[94]

„თვით იოსები - მონსინიორეს გადმოცემით - როცა ახალციხეში დესპანად წარგზავნილი ბესარიონი ფაშამ ციხეში ჩაამწყდია, დაცინოდა მას: უკეთუ ბესარიონი კათოლიკე ხარ, სწორედ ახლაა დრო რომაელი პაპის სარწმუნოება დაგეხმაროს განთავისუფლებაშიო“.[95]

მ. თამარაშვილის თქმით, როდესაც სოლომონმა ხელახლივ დაიპყრო თავისი სამეფო, „გარნა კათოლიკობას არა რაი ავნო“.[96]

კაფუცინელთა საქმიანობას არც ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ სომეხთა კათალიკოსი სვიმონი დაუტოვებია გულგრილად. 1770 წლის 2 დეკემბრის მიმართვაში მღვდელებისადმი ნათქვამია: „რაი გაქუნდათ თქვენ ახალციხეში ქალაქი არს თქვენი?... რა ეგოდენი ხანი დაყავით მანდ. უშჯულო მპარავნო- შესული ჩვენს სახლში იჯექით უშიშრად ვითარ თვისნი უფალნი და სამკვიდრებელსა ჩვენსასა წინაშე თვალთა ჩემთა იმშვენებდით. მთელი ქალაქი ერთი მისი გარემოებით გადაგვიყენეთ...“[97]

კაპუცინელი მღვდლების მოქმედებით განრისხებული სვიმონ კათალიკოსი ავალდებულებდა მათ შეესრულებინათ ფაშას ბრძანება: „... რაოდენ ახალციხითგან გამოისხან თქვენ“.[98]

პატრი ანდრიას თქმით, კაფუცინები თუ სამუდამოდ ვერ დამყარდნენ იმერეთში, ამისი უმთავრესი მიზეზი იყო მეფის მერყევი პოლიტიკა, მაგალითად, ერთ-ერთ წელს იგი აღნიშნავდა: „ვგონებ ახლა გონიაში დააყენოს ორი პატრი, გარნა ჩვეულებისდაგვარ ბევრ ხანს არ გასტანოს მისმა სიკეთემ... როდესაც დასჭირდებათ ექიმები კვალად მოუწოდებენ, როგორათაც აქამდე მუდამ შვებოდნენ[99]“.

სოლომონ მეფისა და რომის პაპ პიუს VI -ის მიმოწერიდან ირკვევა, რომ მეფეს მართლაც აუსრულეს თხოვნა და ექიმად გამოაგზავნეს ფრანგი, ავინიონის უნივერსიტეტის პირველი ექიმი პენიერ დელონგშან. [100]

რა განაპირობებდა მეფის ასეთ ცვალებად პოლიტიკას მონათესავე კონფესურ მიმდინარეობებთან მიმართებაში?

პირდაპირ შეიძლება ითქვას - ამის უმთავრესი მიზეზი იყო საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება და მეფის ქრონიკური ფინანსური პრობლემები, რითაც კარგად სარგებლობდა შეძლებული სომხური სავაჭრო პლუტოკრატია. ისინი ცდილობდნენ სათანადო თანხის გაღებით უზრუნველეყოთ სოლომონის მათთვის სასურველი კონფესიური პოლიტიკა იმერეთში და ხშირად აღწევდნენ კიდეც ამას, მაგრამ არა ყოველთვის. ამის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ კათოლიკეთა რაოდენობა იმერეთში განუხრელად იზრდებოდა და მათ ქვეყნის დედაქალაქ ქუთაისში საკუთარი საყდარიც კი ჰქონდათ. [101]

# თავი V

## სოლომონ პირველის ბრძოლა გაძლიერებული ფეოდალების წინააღმდეგ XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში

გვიან, შუა საუკუნეთა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრებულ საქართველოში საშინაო-პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული მსხვილი არისტოკრატიის პოზიციით, უფრო ზუსტად, მისი დამოკიდებულებით ცენტრალური ხელისუფლებისა და გარეშე ძალებისადმი. სათავადოების განვითარებული სისტემის არსებობამ ხელი შეუწყო დიდებულთა პრივილეგიების არნახულ ზრდას, რაც იწვევდა კონფლიქტს სამეფო ხელისუფლებასთან. მაშინაც კი, როდესაც ცენტრი ახერხებდა ძალთა მობილიზებას ურჩი თავადების წინააღმდეგობის დასათრგუნად მაინც აუცილებელი იყო სხვა თავადურ საგვარეულოებზე დაყრდნობა. ხოლო, გამარჯვების შემთხვევაში დამარცხებულთა ყმა-მამულის ბოძება მხარდამჭერი ძალებისათვის. მსხვილი არისტოკრატიული საგვარეულოებისადმი ამგვარი დიფერენცირებული მიდგომის გარეშე, ცენტრალური ხელისუფლების ყველა ღონისძიება წინასწარ იყო განწირული კრახისათვის. შეიძლება ითქვას, რომ შინაპოლიტიკური პროცესების განვითარება ყოველთვის დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად გამართულად მოქმედებდა ტანდემი მეფე-პლუს თავადი ცენტრიდანული ძალების წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმერეთის სამეფოში, რომელიც დანარჩენ ქართულ სამეფო-სამთაეროსთან შედარებით სათავადოების უაღრესად განვითარებული და დანაწევრებული სისტემით გამოირჩეოდა, იმერეთის ისტორიაზე თვალის ზერელე გადავლებაც კი ნათლად მეტყველებს, რომ ცალკეულ სათავადოს შორის პრივილეგიათა (სახელო, ყმა-მამული) გადანაწილებას ხშირად ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით კი ტახტისათვის გაჩაღებული ბრძოლების დროს როგორც წესი, გვირგვინის პრეტენდენტებს ყოველთვის ჰყავდათ მხარდამჭერთა გარკვეული დასი ქვეყნის შიგნით. რომელიმე მათგანის გამეფებას ავტომატურად მოსდევდა მოწინააღმდეგის მხარდამჭერი ძალების შერისხვა, ყმა-მამულების ჩამორთმევა და მომხრე თავადებისათვის გადაცემა. სწორედ ამით აიხსნება ის,

რომ XVII-XVIII სს-ში, ერთი და იმავე თავადური საგვარეულოების პოლიტიკური წონა და აქტივობა სახელმწიფოში არაერთგვაროვანი ინტენსივობით ხასიათდებოდა, რაც კარგადაა შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამგვარი ვითარება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ქვეყნის საშინაო საქმეში გარეშე ძალების ჩარევისათვის, რომელთა საიმედო დასაყრდენს აქ ყოველთვის წარმოადგენდნენ რეაბილიტაციის მოსურნე და დროებით ჩრდილში მდგომი დიდებულები.

XVIII ს. მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა. სოლომონ პირველმა ენერგიული ღონისძიებებით შეავიწროვა სეპარატისტ ფეოდალთა დასი - აბაშიძეები და როსტომ რაჭის ერისთავი. მისი ძირითადი მხარდამჭერები ამ ბრძოლაში იყვნენ წერეთლები და წულუკიძეები, რომლებმაც საკმაო სარგებელი მიიღეს მეფისაგან. სოლომონ I-ის მეფობის ბოლო პერიოდში ამ ორ საგვარეულოს პრიორიტეტი სხვა სათავადოებთან შედარებით აშკარა იყო. ბერი წულუკიძისა და პაპუნა წერეთლის განუზომელი ავტორიტეტის დასტურია სოლომონ I-ის 1784 წლის 20 აპრილით დათარიღებული წერილი გრ. პოტიომკინისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აგარიანთაგან ქვეყნის გამოხსნის საქმეში „თანამძრახად და განმგებლად ყოვლისავე საქმის წარმართებისა გაუყვანდეს თავადთა შორის უწარჩინებულესნი და უახოვნესი პირველი თავადნი და სარდარნი ჩვენი წულუკიძე და წერეთელი“[1] მეფე საგანგებოდ თხოვდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების შემთხვევაში უწინდელი პატივი და ღირსება შეენარჩუნებინათ ამ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებისათვის.

XVIII ს. 70-იანი წლებიდან სოლომონ I აქტიურ ბრძოლას იწყებს სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ამ პერიოდის დასაწყისით საქართველოს მდგომარეობის შესახებ ნათელ სურათს გვაძლევს რუსეთის მთავრობისადმი მაქსიმე აბაშიძის 1769 წლის 14 მარტით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი: „... მეფე სოლომონს უჭირავს საიმერეთო... იმერეთის თავადები: დადიანი, გურიელი, ერისთავი და აგრეთვე სხვანი სულ ყველანი, მეფე სოლომონის მორჩილნი არიან ყოველფერში და არც შეუძლიათ რომ მორჩილნი არ იყვნენ.

სამი იმერეთის ციხე: ბათომი, ფოთი და სოხომი ზედ ზღვის პირზედ არიან... იმერეთში პირველი ქალაქი ქუთაისია, მერმე ბაღდათი, შორაპანი, ცუცხვატი. ამ შვიდს ციხეებში შვიდასამდის ოს-

მალო იდგება. ამ ციხეებში დიდი ხანი არიან, მაგრამ ზიანი და წინააღმდეგობა არ შეუძლიანთ და ვერც იქმნენ. მეფე სოლომონს რამდენსამე კიდეც მორჩილობენ ამ ალაგებში, ამიტომ უძლებს და არა ჰყრის, რომ ოსმალო ხელახლა არ აიშალოს...[2]

თურქეთის მთავრობას „აშლა" და სამხედრო ოპერაციების ჩატარება მართლაც მოუხდა, ოღონდ ამჯერად მისი უშუალო, მთავარი მოწინააღმდეგე, რუსეთი აღმოჩნდა, რომელიც ამ ეტაპზე უკვე ემზადებოდა ამიერკავკასიაში აქტიური საგარეო პოლიტიკის გასატარებლად. ეკატერინე II-ის მთავრობა სერიოზულად ფიქრობდა ოსმალეთის იმპერიის დამხობასა და მის ტერიტორიაზე ოდინდელი ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენაზე (ე.წ. „საბერძნეთის პროექტი"), რისთვისაც მას აუცილებლად ესაჭიროებოდა ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების თანადგომა. თავის მხრივ, ეს ხალხი სწორედ ქრისტიანული რუსეთის მხარდაჭერით იმედოვნებდნენ მაჰმადიანური აგრესიის მოგერიებას, ასე რომ, ორივე მხარეს ურთიერთშემხვედრი ინტერესები გააჩნდა.

საინტერესოა, რომ რუსეთისგან მოიმედე პოლიტიკას ესწრაფოდნენ არა მხოლოდ ერეკლე II და სოლომონ I, არამედ ოდიშის მთავარიც. მაგრამ დადიანის ამგვარი მისწრაფება გაერთიანების ნაცვლად იმერეთის მეფესთან მისი ახალი კონფროტაციის მიზეზად გადაიქცა. სოლომონ I-მა, როდესაც შეიტყო კაცია დადიანისა და საიმპერატორო კარის მიმოწერის შესახებ (შუამავლის როლს ამ მიმოწერაში ხვაბულოვი ასრულებდა), საგანგებო დავალება მისცა თავის ელჩებს, ყველაფერი ეღონათ, რათა დადიანის წერილები პეტერბურგში არ მიეღოთ და არ განეხილათ. იმერეთის დესპანი დავით კვინიხიძე თავისი მეფის სახელით კონფიდენციალურად უცხადებდა ხვაბულოვს, რომ აფხაზეთისა და ოდიშის ხელისუფალნი სოლომონ I-ის, როგორც დასავლეთ საქართველოს უზენაესი ხელისუფლის, წინაშე მორჩილებაში უნდა იყვნენო. ეს განცხადება ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ იმერეთის მეფე რუსეთის მეშვეობით ცდილობდა მიეღო ოდიშ-აფხაზეთზე საკუთარი მფლობელობის დამადასტურებელი მანდატი. სწორედ ამგვარ შეფასებას იძლევა შ. ბურჯანაძე.[3] მეორეს მხრივ, სოლომონ I ითვალისწინებდა დადიანისა და ერეკლე II-ს ნათესაურ ურთიერთობას და ცდილობდა, რომ მისი ამგვარი თხოვნის შესახებ ქართლ-კახეთის მეფეს არაფერი შეეტყო.[4]

ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვარ დიპლომატიურ ფანდთან. იმერეთის მეფე ცდილობდა რუსეთი დაერწმუნებინა იმაში, რომ დადიანი მისი ქვეშევრდომია, ამიტომ მასთან დამოუკი-

დებელი პოლიტიკური მოლაპარაკების წარმოება მიზანშეუწონელი საქციელი იქნებოდა. მეორეს მხრივ, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ურთიერთობაში სოლომონ I-ის წინ დაყენებით რუსეთი საგრძნობლად განატკიცებდა ამ უკანასკნელის პოზიციასა და ავტორიტეტს მთელი ლიხთ-იმერეთის მასშტაბით.

რუსეთის ხელისუფლებამ მშვენივრად იგრძნო ამ მოხერხებულად განხორციელებული აზიური ეშმაკობის ნამდვილი მიზანდასახულობა[5], მაგრამ საქმე იმაშია, რომ საკითხის ამგვარ გადაწყვეტაში იგი თავისთვის სასარგებლოს ვერაფერს ხედავდა და ამიტომ საიმპერატორო კარმა საგანგებო მითითება მისცა ასტრახანის გუბერნატორს ბეკეტოვს - „იმერეთის მეფის სოლომონის ცდა, რომ სამეგრელოს მთავარი დადიანი ჩვენს კართან დამოუკიდებელი მიმოწერის საწარმოებლად დაშვებული არ იქნეს, საკუთრივ სოლომონისათვის არის სასარგებლო, მაგრამ ახლანდელი ომისათვის ოტომანთა პორტასთან არაფერს იძლევა“[6]

რუსეთის ხელისუფლებას ასევე კარგად ესმოდა დადიანის ნამდვილი ზრახვები, რომ იგი საიმპერატორო კართან კავშირს მხოლოდ ოსმალეთის წინააღმდეგ არ ეძიებდა. საგარეო საქმეთა კოლეგიის იმავე რესკრიპტში ბეკეტოვისადმი ხაზგასმითაა აღნიშნული - „უდავოა, იგი (იგულისხმება კაცია დადიანი მ.რ.) თავის მხრივ ჩვენი ხელშეწყობით შეეცდება იმერეთის მეფეთა მიმჩემებლობისაგან თავი გაითავისუფლოს.[7]

როგორც ვხედავთ, რამდენადაც რუსეთის პოზიცია ობიექტურად სასარგებლო იყო საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმდენად ნეგატიურ როლს თამაშობდა იგი ქვეყნის შიგნით ცენტრალური ხელისუფლებისა და მსხვილი არისტოკრატიის ურთიერთობაში. დაბეჯითებული მცდელობის მიუხედავად სოლომონ პირველმა ვერ მოახერხა რუსეთის ფაქტორის გამოყენებით უზრუნველეყო საკუთარი უზენაესობა დასავლეთ საქართველოს მთავრებზე და იძულებული გახდა სხვა გზებისათვის მიემართა პრობლემის მოსაგვარებლად. ამ თვალსაზრისით მან გადაწყვიტა ბლოკირება მოეწყო ოდიშისათვის და როგორც კაცია დადიანის მიერ დარეჯან დედოფლისათვის გაგზავნილი ერთი წერილიდან ირკვევა, ქუთაისში მყოფი ტოტლებენის[8] სიახლოვეს არ აჭაჭანებდა სამეგრელოს მთავრის წარმომადგენლებს. ასევე დიპლომატიური ბლოკადის ტაქტიკას დაადგა სოლომონ I ერეკლე II-სა და დადიანის კავშირურთიერთობების ჩასაშლელად, სარგებლობდა რა იმით, რომ მათი კონტაქტირება იმერეთის ტერიტორიის გაუვლელად ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

დადიანისა და გურიელის დამორჩილების ჟინით შეპყრობილი მეფე ზოგჯერ იძულებული იყო ისეთი ნაბიჯები გადაედგა, რაც ობიექტურად აძნელებდა ანტიოსმალური ძალების კოორდინაციას ამიერკავკასიაში. სამაგალითოდ შეიძლება გავიხსენოთ ფაქტი, როგორ წავიდა იგი გურია-ოდიშის მთავრების ქუთაისში ჩამოსული ტოტლებენის შეხვედრის წინააღმდეგ იმ მოტივით, თითქოს სულ ერთია, ისინი პორტას წინააღმდეგ მაინც არაფერს მოიმოქმედებენო.[10]

„თქვენ იწერებით, მიმართავდა მეფე 1770 წლის 20 ივლისით დათარიღებულ წერილში ა. მოურავოვს - დადიანის შესახებ, რომელიც ჩვენდამი ქვეშევრდომობაზე სრულ უარს აცხადებს, მაგრამ ჩვენ ამას არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმებით და სანამ ცოცხალი ვართ, ცდებს არ შევწყვეტთ, რათა იგი ჩვენს სრულს ქვეშევრდომობაში შემოვიყვანოთ, როგორც ძველადაც იყო“.[11] იგივეს ალნიშნავდა გრაფ პანინისადმი მიწერილ წერილში იაზიკოვიც.[12]

თავის მხრივ, რუსი მოხელეებისათვის გაგზავნილ წერილებში კაცია დადიანი უჩიოდა სოლომონ I-ს, უწოდებდა მას მტერს და ითხოვდა ყური არ ეგდოთ მისი სიტყვებისათვის. ოდიშის მთავარმა სოლომონ I-ის წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც შეძლო ტოტლებენთან კონტაქტზე გასვლა და ეკატერინე II-ის ერთგულებაზე მაიორ მარკოვის თანდასწრებით გორდში ფიციც კი დადო.[13] ომის მსვლელობაში მან გარკვეული დახმარება გაუწია რუსეთის კორპუსს სურსათითა და ფურაჟით მომარაგებაში.

სოლომონ I-ისა და კაცია დადიანის ურთიერთობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უშლიდა ხელს ფეოდალური დაქსაქსულობა და პარტიკულარიზმი როგორც ქვეყნის გაერთიანებას, ასევე გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლას. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც იმ ფაქტის დასახელება შეიძლება, რომ 1769 წლის ოქტომბრის დასაწყისში, როცა რუს-ქართველთა რაზმი შორაპნის ციხესთან იდგა, დადიანმა ცხენისწყალი გადმოლახა და იმერეთის აოხრებას შეუდგა.[14]

სოლომონ I იძულებული გახდა ტოტლებენი შორაპანთან მიეტოვებინა და ოდიშის მთავრისათვის საკადრისი პასუხი გაეცა, რამაც გენერლის უკმაყოფილება გამოიწვია. ტოტლებენი თვლიდა, რომ დადიანთან ბრძოლა სოლომონ I-ის კერძო საქმე იყო, ამიტომ შორაპანს ალყა მოხსნა და ცხინვალში დაბრუნდა[15]

სოლომონ I-ისა და კაცია დადიანის დაპირისპირებამ შემდომშიც არაერთხელ შეუშალა ხელი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის საერთო საქმეს[16]

სოლომონ I ცდილობდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომი და განდგომილი თავადების წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის ხელისუფლებისათვის ერთ პრიზმაში დასანახ, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ პრობლემებად დაესახა. ამაოდ არწმუნებდა მეფე 1771 წლის თებერვლით დათარიღებულ ერთ წერილში ეკატერინე II-ს, რომ ოდიშის მთავრებსაც და ლეჩხუმის მოურავებსაც („ჩვენგან მოცემული სახელი „დადიანობა" და „ლეჩხუმის მოურავობა" თვით თავის თავისათვის" დაუჭირავთ), ზურგს ოსმალეთი უმაგრებდა და აქეზებდა მის წინააღმდეგ.

როგორც ირკვევა, სოლომონ I-მა დიპლომატიის პრაქტიკაში უცნაურ ხერხს მიმართა და ზემოთ დასახელებულ წერილში რუსეთის იმპერატრიცა ასეთი ტიტულით მოიხსენია- „თვითმპყრობელი რუსეთისა, აფხაზეთისა, იმერეთისა, სვანთა და სამეგრელოსი". შ. ბურჯანაძის თქმით, ამით მეფე ფორმალურ უფლებას იტოვებდა ეკატერინესათვის ძველი სახასო მამული - ლეჩხუმი ეთხოვა. „და ამის წყალობაც რომ დაგვემართება, ყოვლად მოწყალის ხელმწიფის შეწევნითა და ძალის მიცემით, ჩვენც უფრო შინაურის მტრისაგან მოცალე შევიქმნებით რაც ერთგულობა პირველ ყოვლად მოწყალის ხელმწიფისათვის ფიცით მოგვიხსენებია უმეტესად ანთებულის გულითა უმხურვალესად განვემზადებით სიკვდილად და სისხლითა დათხევად"

სოლომონ I იმასაც ითვალისწინებდა, რომ საიმპერიო ხელისუფლებას მისი საოდიშო-სალეჩხუმო პრობლემების მოგვრებისათვის ზრუნვა სულაც არ აინტერესებდა და ქრთამს დახარბებული რუსი მოხელე-ფუნქციონირების ანგარების გამოყენებასაც ცდილობდა დასახული მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია მისი 1771 წლის 17 ივნისით დათარიღებული წერილი უცნობი ადრესატისათვის, რომელშიც მეფე აშკარად საუბრობს ქრთამის გაცემის შესახებ ასი ქისა თეთრის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ რომ ჩვენის დადიანის წყალობა ისევ ჩვენვე დაგვემართება -ო შ. ბურჯანაძის გაანგარიშებით ეს თანხა 1770 -იანი წლების კურსით 30000 რუსულ მანეთს შეესატყვისებოდა."

აქ ალბათ უპრიანია, ორიოდე სიტყვით აღინიშნოს რუსეთის პოზიციის შესახებაც. ეს საკითხი გამოწვლილვით შესწავლას საჭიროებს, რათა წვრილმანი დეტალების ჩათვლით გაირკვეს იმერთის მეფისა და საიმპერატორო კარის განსხვავებული პოზიციის გამომწვევი მიზეზები. თუ ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული, მაშინ შეიძლება აბსოლუტურად მცდარი დასკვნა გამოვიტანოთ. არსებობს გარეგნულად ობიექტური საცდური იმისათვის, რომ სო-

ლომონ I თავნება, არაშორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად მივიჩნიოთ, რომელიც ქართულ ძალთა მაქსიმალური მობილიზაციის სანაცვლოდ პირიქით, ხელს უწყობდა მის დაქსაქსვას, ხოლო რუსეთის ხელისუფლებას ამ დროს ზნეობრივი მოძღვრის პოზიცია ეკავა, რომელიც „საფუძვლიანად“ აკრიტიკებს მეფის თავკერძა მისწრაფებებს. ამგვარი მოსაზრებისათვის, გარეგნულად აბსოლუტურად საკმარისია ის წერილი, რომელიც გრაფმა პანინმა გამოატანა რუსეთიდან უკან დაბრუნებულ დესპანს დ. კვინიხიძეს. „თქვენი ინტერესები მოითხოვს - წერდა პანინი სოლომონ I-ს, რომ მთელი შესაძლებლობა ახლანდელი მტრის წინააღმდეგ გამოიყენოთ მაგრამ... თქვენ სამეგრელოს მფლობელ დადიანთან განსაკუთრებულ ჩხუბს განაგრძობთ. დაე, მართალი იყოს, რომ მანდაური მთავრები ძველად იმერეთის მეფისაგან დამოკიდებულნი იყვნენ, მაგრამ ნუთუ ახლა ასეთი მეტოქეობა უნდა წარმოიშვას, როცა მთელი საქართველოს საერთო საჭიროება ყველა მფლობელთა შეერთებას მოითხოვს და განა ღირს ასეთი კერძო ჩხუბი იმ ფასად, რომ მთელი საქართველოს გამოხსნა უგულებელყოფილ იქნას[20]

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ნამდვილი არსი, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ქართველი მეფის გამაერთიანებელი პოლიტიკისაგან. სოლომონ I-ის მიზანი იყო ქრისტიანულ რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარში დადგომოდა, როგორც ერთიანი და ძლიერი ლიხთ-იმერეთის უზენაესი საჭეთმპყრობელი და გულწრფელად სწამდა, რომ ამ რანგში გაცილებით უფრო სასარგებლო იქნებოდა რუსეთისათვის, ვიდრე სუსტი და უმოკავშირეო იმერეთის მეფე. სრულიად ცხადად იკვეთება, რომ მოცემულ ეტაპზე სოლომონ I უპირველეს მიზნად თავადური რეაქციის შეზღუდვას, ქვეყნის პოლიტიკურ და ტერიტორიულ გაერთიანებას მიიჩნევდა, ვიდრე ოსმალთა უღლის გადაგდებას, რაც გაუგებარი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის. პირიქით, რუსული პოლიტიკა ამიერკავკასიაში ოსმალეთის ფეხის ამოკვეთის პარალელურად დადიან-გურიელის ხელშეწყობით სწორედ ფეოდალური პარტიკულარიზმის შემდგომ გაღრმავებას გულისხმობდა. ამდენად, სრულ გაუგებრობად გვესახება რუსეთის პოზიცია - „ძალიან უსამართლობა იქნებოდა რუსეთის საიმპერიო ჯარებს იმერეთში უშიშროება და სიმშვიდე დაემყარებინათ, მაშინ როცა საკუთარი მფლობელი (ე.ი. სოლომონ I მ.რ) ამაში არ მონაწილეობს.[21]

რუსეთის ასეთი პოზიცია ძნელი ასახსნელი როდია. ცხადია, ამიერკავკასიიდან ოსმალეთის გაძევება პეტერბურგის საიმპერატო-

რო კარისათვის პრობლემის მხოლოდ ერთი ასპექტი იყო, რის შემდეგაც აუცილებლად დადგებოდა რეგიონის რუსული კოლონიზაციის საკითხი. ბუნებრივია, საამისოდ რუსეთს არაფერში აწყობდა ქვემხედვარ ფეოდალურ არისტოკრატიაზე აღზევებული ძლიერი მეფეები არც თბილისში, არც ქუთაისში. პირიქით, მას აწყობდა სუსტი და საკუთარ შინაპოლიტიკურ პრობლემებში გახლართული ხელისუფალი, რომელსაც უფრო იოლად მოაქცევდა საიმპერიო პოლიტიკის ორბიტაში[22]

ოდიშთან ურთიერთობის მოწესრიგების პარალელურად სოლომონ I დიდ ყურადღებას უთმობდა გურიის სამთავროსაც, სადაც მას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა გიორგი გურიელი. 1770 წლის იანვარში მეფემ მამია გურიელთან ერთად გურიაში ილაშქრა და თურქებს ასკანისა და ბუკის ციხეები წაართვა.[23] ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ გურიის სამთავრო დროებით იმერეთის მეფის ქვეშევრდომობაში მოექცა, თუმცა გიორგი გურიელმა[24] მალევე მოახერხა ტახტის დაბრუნება.

ქ. ჩხატარაიშვილი ამ ფაქტთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ მართალია გურიაში თურქები იმ დროს არ ჩანან, მაგრამ ვისი შემწეობით შესძლო გიორგი გურიელმა ტახტის დაბრუნება ცნობათა უქონლობის გამო ეს არ ხერხდებაო[25]

1770 წლის ივნისში ტოტლებენი იმერეთისაკენ დაიძრა.

სოლომონ პირველმა ისარგებლა რა არსებული ხელსაყრელი პირობებით (რუსეთთან საომარი მდგომარეობის გამო თურქეთის მთავრობამ თავისი პროვინციებიდან უკანასკნელი რეზერვები გამოიწვია და ამის გამო იმერეთშიც შეამცირა ციხე-სიმაგრეთა გარნიზონები). 1770 წლის 15 მაისს ცუცხვათის ციხე გაათავისუფლა თურქთაგან.[26] ივლისისათვის შორაპნის ციხეც აიღო[27] და თვით ქალაქი ქუთაისიც.[28] ცაგარელის ცნობით[29], ქუთაისში ამ დროისათვის 500 კომლი თურქი ცხოვრობდა, რომ სოლომონმა დაანგრია მეჩეთები, დახოცა მოლები და თურქი შეიარაღებული მოხელეები, გააქრისტიანა მაჰმადიანები, ხოლო ვინც რწმენის შეცვლაზე უარი თქვა, ჩრდილო კავკასიაში გადაასახლა. გადმოცემის თანახმად იმერთა მეფეს ქუთაისში ერთი მაჰმადიანი მცხოვრებიც კი არ დაუტოვებია[30]

ამრიგად, ვიდრე ტოტლებენი იმერეთში მოვიდოდა, სოლომონმა შეძლო თურქთა განდევნა აღნიშნული ადგილებიდან.

ცუცხვათის, შორაპნისა და ქუთაისის აღების შემდეგ ტოტლებენი 4 ათას კაციანი არმიით იმერეთში გადავიდა და რუს-ქართველთა ლაშქარით ბაღდათის ციხეს შემოადგა. ბაღდათის ორკოშიანი ციხე ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე იდგა და ახალციხიდან

იმერეთში შემოსასვლელ გზას დარაჯობდა. აუცილებელი იყო ამ ციხის აღება, რათა ქუთაისის ციხეში მომწყვდეულ თურქებს დამხმარე ძალა არ მიეღოთ.[31]

ამრიგად, თურქეთის ექსპანსიის სტრატეგიული დასაყრდენი ქუთაისის ციხე და ზურგითი სიმაგრე (ბაღდადის ციხე) სოლომონ მეფემ ხელიდან გამოსტაცა დამპყრობელ თურქებს. ეს იყო იმერეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი გამარჯვება[32]

იმერეთიდან რუსთა ჯარის დახმარებით თურქეთის განდევნის შემდეგ სოლომონ I ფართო სამოქმედო გეგმა დაისახა მიზნად, რაც დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ითვალისწინებდა. XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის შინაფეოდალური უთანხმოების ნიადაგზე ოდიშისა და გურიის სამთავროები დამოუკიდებლობის პრეტენზიას აცხადებდნენ. ასეთ ვითარებაში გამორიცხული არ იყო, რომ თურქებს კვლავ ესარგებლათ განდგომილ მთავართა დახმარებით და გაერთიანებული ძალით იმერეთი ისევ დაეპყროთ. მეფეს თავისი გეგმების განხორციელებისათვის პირველი რიგის ამოცანად დადიანისა და გურიელის შემუსვრა მიაჩნდა, მაგრამ სოლომონი რუსეთის მხრიდან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. კანცლერმა პანინმა ვერ დაფარა თავისი უკმაყოფილება და დადიანის წინააღმდეგ მეფის ბრძოლას „ცერძო ჩხუბი“ უწოდა. ცაგარელის თანახმად, პანინმა სასწრაფოდ მოითხოვა მიმდინარე ომში სამეფო-სამთავროების შეკავშირება და ერთიანი ძალებით ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ.[33]

შ. ბურჯანაძე ასკვნის, რომ ამით ნიკიტა პანინი იმერეთის მეფეს ცნობას აძლევდა, რომ რუსეთის მთავრობის მიზანია თურქეთის წინააღმდეგ მთელი საქართველოს გამოყენება ომის მოგებისათვის და ამიტომ იგი არა სცნობს ქართველი მეფის გამაერთიანებელ ბრძოლას[34]

სოლომონ I-ის ქმედებით არც ტოტლებენი დარჩენილა კმაყოფილი. მან იმერეთის მეფეს „რუსეთის მტერი“ უწოდა და დასჯით ემუქრებოდა[35]

ეს უსამართლო დამოკიდებულება სოლომონ მეფესთან, რომელიც მაშინ თურქებს ებრძოდა, მავნებელი იყო თვით იმპერატორის ინტერესებისათვის მიმდინარე ომში, ვინაიდან ტოტლებენის სამხედრო კორპუსი იზოლირებულ მდგომარეობაში ექცეოდა. ამასთანავე, სოლომონთან მტრობა ტოტლებენს აახლოებდა დადიანსა და გურიელთან, რომლებიც იმერეთის მეფის გამაერთიანებელი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ თურქების გვერდში იდგნენ[36].

ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებს მარკოვა, როცა წერს: ჩვენ აქ ვერ შევძლებთ განვიხილოთ ჩანაფიქრი ტოტლებენისა, ნამდვილი ავანტიურისტისა, ადამიანისა, რომლისთვისაც უცხოა იმ

ქვეყნის ინტერესები, სადაც ის მსახურობს. ჩვენ არ ვიცით, როგორი მოტივებით ხელმძღვანელობდა ის, მაგრამ ანალოგიურ პოლიტიკას ატარებდა ის დასავლეთ საქართველოში შეკრა რა საბოლოოდ კავშირი დადიანთან, გურიელთან და შერვაშიძესთან, რომლებიც გამუდმებით იბრძოდნენ სოლომონ I-ის წინააღმდეგ და ხშირად უერთდებოდნენ ამის გამო თურქებს.[37]

1770 წ. 3 ოქტომბერს ტოტლებენი ფოთის ციხისაკენ დაიძრა, რომელიც ოთხკოშკიან სიმაგრეს წარმოადგენდა.

იმერეთის მეფეზე შემომწყრალი ტოტლებენი მის „მოკავშირე დადიანთან ერთად ძალიან იოლად ახერხებს ანაკლიისა და რუხის ციხეების თურქთაგან განთავისუფლებას. ბუნებრივია, ტოტლებენის მომხრე კაცია დადიანს საკუთარი მიზანი გააჩნდა. მას სურდა, რუსეთს ეცნო იმერეთის მეფისაგან მისი დამოუკიდებლობა და სანაცვლოდ დადიანი შავი ზღვის სანაპიროზე თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო დახმარებას კისრულობდა. დადიანი დარწმუნდა, რომ რუსეთის ღის წესრიგში ამჯერად შავი ზღვის საკითხი იდგა.

... „ვინაიდგან ოსმანნთ, ჩვენის მტერობით, საიმერეთოს გაგლეჯა უნდოდათ და დასუსტება, ამისათის დადიანთ ზურგი მოაბეს, რომ თავისუფლებით ყოფილიყო ჩვენი წინააღმდეგო“ - სწუხდა იმერეთის. მეფე[38]

ამრიგად, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ოდიშის მთავარი თავისი ქმედებით ხელს უწყობდა იმერეთის დაშლა-დაქუცმაცებას, რაც ეწინააღმდეგებოდა სოლომონ პირველის მიზანს.

ს. კაკაბაძე წერს: კაცია დადიანი, რომელიც აქამდის ოსმალებთან ერთად მეფის წინააღმდეგ მოქმედებდა, ახლა ფოთის ალებში დანტერესებული შეუერთდა ტოტლებენს. რუსის რაზმებმა დაიჭირეს რუხისა და ანაკლიის ციხეები, საიდანაც ოსმალეთის მკვიდრები რუსების მიახლოების გაგონებაზედ გაიქცნენ.[39]

ცაგარელის გადმოცემით რუსებს გაუჭირდათ ციხეზე შეტევა,- რაოდენ არტილერიის რაოდენობა არასაკმარისი აღმოჩნდა. ამას თან დაერთო ის ფაქტი, რომ ადგილობრივი თავადი ჩიჩუა რუსებს ღალატობდა და ფოთის მკვიდრებს ეხმარებოდა[40]

განსხვავებული პოზიცია ამოირჩია გიორგი V გურიელმა. ის 1770 წლის დეკემბრის დასაწყისში ტოტლებენის ბანაკში გამოცხადდა და დახმარების სანაცვლოდ ფულადი გასამრჯელო ითხოვა. მან რუსთათვის გასაგზავნ პროვიანტში 100 მანეთი წინასწარ მიიღო. გურიელის თანხმლებთაგან 100 კაცი მაშინვე შეუერთეს ფოთის სამხრეთით მდგარ რუსთა პიკეტს.[41]

მართალია, საბოლოოდ, გიორგი გურიელმა უღალატა ტოტლებენს, მაგრამ მისი ქმედება „შავ ლაქად" დააჩნდა იმერეთის სამეფოს.

ქ. ჩხატარაიშვილი ასკვნის, რომ გიორგი გურიელს, ცხადია აფიქრებდა ის გარემოება, რომ რუსთა გამარჯვების შემთხვევაში ტახტზე შესაძლოა სოლომონ პირველის მომხრე მამია გურიელი აღმოჩენილიყო[42]

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა რუსეთთან ერთად მოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ხელისუფალთა შორის კავშირის დამყარებას. კაცია დადიანი და გიორგი V გურიელი თურქთა ზეგავლენისა და საკუთარი ინტერესების (იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნება) გამო კვლავ აშკარად მტრობდნენ სოლომონ I. ერეკლე მეორემ მიაღწია იმერეთის მეფის შერიგებას დადიანთან... ქართველთა ერთიანობის მომხრე გონიერი პოლიტიკოსი ამ ერთიანობაში ეროვნული საქმის წარმატების საფუძველს ხედავდა[43]

ს. კაკაბაძის აზრით, ოსმალეთის წინააღმდეგ ფართო ოპერაციების დაწყებას შეუძლებლად ხდიდა ერთის მხრივ მეფის და მთავრების ერთმანეთზე გადაკიდება და მეორეს მხრივ ტოტლებენის სამხედრო თავმოყვარეობა. მას სურდა საკუთარი სახელით ეწარმოებინა ომი. ამიტომ მეფე მთავრების შეკავშირებას არ ცდილობდა.[44]

დადიანისა და გურიელის იმედზე მყოფი ტოტლებენი მოკავშირეთაგან მერყეობას წააწყდა თუ არა, იძულებული გახდა დახმარება ისევ სოლომონ მეფისათვის ეთხოვა.

1771 წლის თებერვალში ეკატერინე II-ისადმი გაგზავნილ წერილში სოლომონი აღნიშნავს... დადიანმა, ჩვენმა კნიაზმა და გურიელმა ოსმანთ პირი მისცეს და ჯარი მოიხმეს ხელოვანის ჯარის საწინააღმდეგოდ და დაივიწყეს აღთქმა და ფიცი ყოველად ძლიერის ხელმწიფის წინაშეო[45]

საბოლოოდ, იმერეთის მეფემ დაუმტკიცა რუსებს გურიელის ღალატი, ისარგებლა გურიაში თავისი ლაშქრობით (1771 წლის იანვარი) და გიორგი გურიელის ნაცვლად ისევ მისი უფროსი ძმა მამია დასვა[46]

„... სრულებით ვცან და ოსმანთ ჯარის შემოსვლა გურიის ქვეყანას დავამტკიცე, მივმართე სწრაფათ ჩემის ჯარითა და გურიის ქვეყანა... დავიპყარ... და დავამძევლეო და გურიელობა უპირველეს ძმას მივუთვალე[47]

ამდენად, გიორგი გურიელის შიში არცთუ უსაფუძვლო გამოდგა. ამ ამბების შემდეგ მას 1776 წლამდე აქტიურად აღარ უმოქმედია. რაც შეეხება მამია IV გურიელს, ის იმერეთის მეფის გავლენის ქვეშ მოექცა.

თუ მეფის ქმედებას შევაფასებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ საქმეებით, ყველაზე მეტად სოლომონმა მოიგო. მან ორი კურდღელი დაიჭირა: რუსთა მთავრობასაც ასიამოვნა და გურიის სამთავროც შემოიმტკიცა[48].

ამრიგად, სოლომონ I გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოს დაუმორჩილა.

1771 წლის დამდეგისათვის გენერალი ტოტლებენი ისევ უშედეგოდ იდგა ფოთის ციხესთან, ხოლო თურქებს სამიათასკაციანი მაშველი ძალა მოუვიდათ აფხაზეთიდან[49] მაშინ, როცა 1770 წ. სამურზაყანოელი თავადი ლევან შერვაშიძე მოლაპარაკებას აწარმოებდა ფოთში მდგარ გენერალ ტოტლებენთან აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფლობელობაში შესვლის თაობაზე და ეს ტენდენცია ცხოველი ინტერესით ეთარგებოდა XVIII საუკუნის მთელი 70-იანი წლების განმავლობაში[50].

ფოთის ციხის აღება ტოტლებენმა ვერ შეძლო. რუსთა ჯარში თავი იჩინა მასობრივმა დაავადებამ და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ. ყოველივე ამან გაჭიანურებული ალყის დროს კორპუსს ბრძოლის უნარი დაუკარგა და ფოთის კამპანია მარცხით დამთავრდა.

1771 წლის 12 იანვრის ბრძანების თანახმად - წერს მარკოვა[51] - ტოტლებენი გაწვეულ იქნა საქართველოდან. მის ნაცვლად დანიშნულ იქნა გენერალ-მაიორი სუხოტინი.

ვ. ქორიძე ასკვნის „...თურქთა ჯარისაგან ფოთის განთავისუფლება და გამოყენება როგორც ნავსადგურისა, ახალი ამოცანა იყო რუსეთის ჯარისათვის საქართველოში. ფოთი რუსეთს თურქეთთან მიმდინარე ომში სჭირდებოდა კორპუსთან შავი ზღვით კავშირისათვის. რაც შეეხება ხმელთაშუა ზღვაში მყოფ რუსეთის ფლოტს, მისი შავ ზღვაში შეჭრა 1770 წ. ბოლოდან საიმედოდ არ ჩანდა. ამდენად, იმპერატორის ბრძანება ფოთის დასაკავებლად, რომელსაც სუხოტინს აძლევდა, აუცილებლობით იყო გამოწვეული“[52]

1771 წლის 13 მაისს სუხოტინი ქუთაისში ჩამოვიდა, ხოლო 15 ივნისს, ქართლში, სოფელ ხელთუბანში მოიწვია საქართველოს მეფებისა და გურია-ოდიშის მთავართა თათბირი[53], რომელმაც მიიღო დადგენილება ქართული ძალების გამოყენებით ფოთის ციხის აღების შესახებ.

ჩემუშავებული გეგმის თანახმად ერეკლე II-ს დაეკავა ახალციხის საფაშოსთან ლეკებისათვის დამაკავშირებელი გზის მოჭრა, სოლომონ I-ს უნდა გაემაგრებინა ბაღდადის მთები: ორივე მეფეს, აგრეთვე, ახალციხეზე თავდასხმით ბრძოლები უნდა გაეჩაღებინათ. გურიელი დაიცავდა თურქეთიდან შემოსასვლელ გზებს, ხოლო დადიანი - ქუთაისთან ფოთის დამაკავშირებელ გზებს და აგრეთვე აფხაზებსაც შეაკავებდა[54]

მაგრამ სუხოტინმა მისი წინამორბედის მიერ ცუდად წარმართული საქმის გამოსწორება ვერ შეძლო. მან არ გაითვალისწინა აღგილობრივი ბუნებრივი პირობები და არც ქართველი მეფეების დაჟინებული თხოვნა: ციხის ალყის დაწყება გვიან შემოდგომამდე გადაიდო. სუხოტინის ჯიუტობას 1800 ადამიანი შეეწირა მისი რაზმიდან, ისინი ციებ-ცხელებისაგან და ცხოვრების მძიმე პირობებისაგან დაიღუპნენ, თვითონ სუხოტინი კი მძიმედ დაავადდა.

ფოთის ციხის ალყა 1771 წლის მაისიდან ოქტომბრამდე გრძელდებოდა.

პეტერბურგიდან ბრძანების მიღებისთანავე სუხოტინმა ციხეს ალყა მოხსნა და დაადანაშაულა დადიანი, რომელსაც ერთგულების ნიშნად მძევლად გამოართვა ფოთელი თავადი ხახუ ჩიჩუა.

სუხოტინი არსებითად განაგრძობდა მოქმედების ძველ კურსს, არ ენდობოდა ქართველ მეფეებს, კავშირს ამყარებდა ქვეყნის მოღალატე მთავრებთან. მან ერეკლეს ერთგულების ნიშნად მძევლები მოსთხოვა, სოლომონი კი აიძულა რომ მას თურქოფილი გიორგი ბატონიშვილისათვის (მამია IV გურიელის ძმა) გურიაში დაბრუნების ნება მიეცა.[55] გენერალმა ანგარიში არ გაუწია სოლომონის თხოვნას, არ გაათავისუფლა თავადი ჩიჩუა, რომელიც პატიმრობაში ჰყავდა.[56]

სოლომონს მიაჩნდა, რომ მძევალ ჩიჩუას დაბრუნებით, ჩიჩუახ მამულები იმერეთის სამეფოში აღმოჩნდებოდა და ეს თავისთავად გავლენას მოახდენდა რუსეთის მხედრობის მიერ ფოთის ადვილად აღებაზე[57]

ნ. დადიანის გადმოცემით, თავადი ჩიჩუა საქართველოში აღარ დაბრუნებულა, რუსეთში გარდაცვლილა[58]

1772 წლის 4 თებერვალს სამხედრო კორპუსის საქართველოდან გადაყვანის ბრძანება მოვიდა, 5 მაისს კორპუსი ქუთაისიდან გავიდა, ხოლო 26 მაისს იმერეთის საზღვრები დატოვა[59]

ამრიგად, რუსთა კორპუსის საქართველოში მოქმედების დადებითი შედეგი იმერეთის ციხეებიდან ოსმალთა განდევნის დაჩქარებაში მდგომარეობდა.

ქ. ჩხატარაიშვილი თელის, რომ რუსთა კორპუსის წასვლით საქართველო-რუსეთის აქტიური ურთიერთობის პერიოდი დამთავრდა. ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთ-საქართველოს ახლოებით გაცოფებული თურქეთის და ირანის პირისპირ აღმოჩნდნენ[61]

1772 წლის ზაფხულში თავი იჩინა შინაურმა შფოთმა მეფესა და მის ძმებს, იოსებ კათალიკოსსა და არჩილ ბატონიშვილს, შორის. იოსებ კათალიკოსმა სოლომონს ეკლესიის დამოუკიდებლობა და საერო ხელისუფლებაში თავის წილი მოსთხოვა, ხოლო არჩილ ბატონიშვილმა - ციხეები და მამულები.[63] იმერეთის მეფემ წამოყენებულ პრეტენზიებზე სასტიკი უარი განაცხადა. სამაგიეროდ, არჩილ ბატონიშვილი დაუკავშირდა ახალციხის ფაშასა და კაცია დადიანს სოლომონის წინააღმდეგ ერთობლივი ქმედებისათვის. მართალია, საბოლოოდ მეფემ შესძლო ორივე ძმის მისდამი ერთგულებაზე დაფიცება და თავიანთ პრეტენზიებზე უარი ათქმევინა, მაგრამ თვითონ ფაქტია საგულისხმო და სავალალო. სამეფოს ერთიანობისათვის დაუცხრომლად მებრძოლ მეფეს განდგომილი თავადისა (კაცია დადიანის სახით) და ახალციხის ფაშას გარდა მოწინააღმდეგედ თავისივე საკუთარი ძმები გამოუჩნდნენ. მართალია, ისტორიაში ახალი არაა ძმათა ღალატი, მაგრამ იოსებ კათალიკოსისა და არჩილ ბატონიშვილის ქმედება იმ დროისათვის,ნამდვილად ზურგში ლახვარის ჩაცემის ტოლფასი იყო. თურქები მორიგი ლაშქრობისათვის ემზადებოდნენ და ამჯერად პლაცდარმად აფხაზეთი შეარჩიეს, მათ დადიანის გადაბირება შესძლეს, მაგრამ იმერეთის საზღვარზე დაბანაკებული მტრის მოწინააღმდეგეთა ჯარი სოლომონმა დაამარცხა და ოდიშის სოფლები მოარბია. კაცია დადიანმა მეფეს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ რაჭას შეესია და სოლომონის კუთვნილი მამულები ააოხრა. „23 მაისს დადიანის რაჭას წასვლა და მიხტომა თქვეს“[62] გვამცნობს „ქრონიკები“.

1772 წ. რუსეთ-თურქეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. ამის შესახებ ახალციხის ფაშამ დიდი ვეზირის ბრძანება მიიღო, რის შედეგადაც ახალციხის ფაშასა და ქართლ-კახეთის მეფეს შორის მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ იმერეთის მიმართ ფაშამ კვლავ ლეკთა მარბიელი რაზმი გაუშვა, სოლომონ მეფემ კვლავ დაამარცხა ლეკები და საზღვრებიდან გარეკა. ამის შემდეგ დროებითი ზავი იმერეთის სამეფოსთანაც შევიდა ძალაში.[63]

საქართველოში რუსეთის არმიის მოსვლის შედეგად დამოკიდებულება ერეკლესა და სოლომონს შორის გამწვავდა. მათი შერიგების მიზნით საქართველოში მოწვეული იქნა კაპიტანი ლვოვი.[64]

1773 წ. 27 ივლისს სოფ. სანგარში ერეკლემ და სოლომონმა „ერთობის წერილი დაწერეს“, რითაც აღადგინეს თავიანთი კავშირი. ხელშეკრულების ტექსტის ასლი რუსეთის მთავრობას გაუგზავნეს[65] (ეს მისია თავადმა დოლენჯაშვილმა შეასრულა)

ხელშეკრულება 9 პუნქტისაგან შედგება. მეფეები პირობას სდებენ... უნდა ვეცადოთ რათა ჟამითა ჟამად ერთი ერთმანეთს სიყვარულობით და ერთიანობით სწორისა და პირდაუფერელობისა, კაის რიგი აღვასრულოთო... რათა ჩამომავლობამან ჩვენმან უთუოდ და უცვალებლად ეს პუნქტი კეთილად აღასრულონ[66]

1773 წლის ოქტომბერში ერეკლესა და სოლომონის ჯარები გორში შეერთდნენ და ჯავახეთისაკენ გაილაშქრეს. ქართველთა ლაშქრის რაოდენობა 11 ათას კაცს შეადგენდა. მათ დაიკავეს ახალქალაქის ციხე და ყარსის მიმართულებით წასულებმა არტაანამდის მიაღწიეს.

ახალციხის ფაშამ გამოსვლაც კი ვერ გაბედა. მაგრამ სოლომონ I-ის მოულოდნელი ავადმყოფობის გამო ლაშქარი უკან გამობრუნდა.

1773 წლის 1 დეკემბრის წერილში მეფეები გრაფ პანინს აცნობენ: ... უკეთუ უბედურობის გამო სნეულება საწინააღმეგოდ არ აღმოჩენოდა, მტერნი უდიდესსა ვნებასა და ოხრებასა მიიღებდნენ, მაგრამ მტრის მამულში მცირედნი დღენი დავჰყავით, და თუმცაღა იმათაც მომშველენი არზრუმიდან და ყარსიდამ და სხვა ადგილებიდამაც ჰყვანდათ, და ლეკიც ყოველთვის ჰყავთ მაგრამ ... ჩვენთან პირდაპირობა ვერ გაბედეს თუ ზაფხული ყოფილიყო, თავიანთთვის მომშველებელს უმეტეს იშოვნიდნენ[67]

შ. ბურჯანაძის აზრით, ქართველ მეფეთა წარმატებულ ლაშქრობაში გამომჟღავნდა ის, რომ რუსეთისაგან ცენტრალურ ფრონტზე ნაცემი თურქეთი დასუსტებულა თავის პროვინციებში[68]

ჯავახეთში ლაშქრობის საპასუხოდ, 1774 წ. იანვარში, ახალციხის ფაშამ ვახანის ციხის მიმართულებით 2700 ლეკი და ათასი ოსმალო ჯარისკაცი გამოუშვა სოლომონ მეფეზე თავდასასხმელად.[69] ვახანის ციხის მფლობელები აბაშიძეები ფაშას მიემხრნენ. ამ უკანასკნელმა სოლომონის წინააღმდეგ დადიანი და შერვაშიძეც წააქეზა, მაგრამ ერეკლე მეფის ჩარევით დადიანი გაჩერდა. ამან სოლომონ I-ს საშუალება მისცა შემოსეული მტრის წინააღმდეგ თავისუფლად ემოქმედა და ხელშეკრულების თანახმად ერეკლეც ჯარით მზად იყო რუსთა მეფეს დახმარებოდა. თურქებმა უკან დახევა გადაწყვიტეს, მაგრამ სოლომონ I-მა მტერი ბრძოლაში დაამარცხა.

6 თებერვალს, გამთენიისას, როცა თურქთა ჯარი ჩხერიმელას ვიწროებში გადიოდა, საფარში მყოფმა იმერელმა მეთოფეებმა მტერს გზა მოუჭრეს, ხოლო სოლომონმა თურქებს ზურგიდან შეუტია. მტერი პანიკამ მოიცვა და დამარცხდა. ქართველებმა თურქებს ჩხერიდან ვახანამდე სდიეს. მტერმა დიდი ზარალი ნახა: ახალციხეს 700 კაცმა თუ ჩააღწია[70]

ჩხერის ომში მის მოკავშირე ლეკებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ლევან აბაშიძის ძე ქაიხოსრო (სოლომონის ბიძა მ.რ.) იგი 1768 წელს თურქეთს გაიქცა, რაოდენ აქტიური მონაწილე იყო სოლომონის წინააღმდეგ - 1766-1768 წლების თავადური აშლილობისა[71]. ჩხერის ომში დამარცხებულმა ქაიხოსრომ ისევ ახალციხის საფაშოს მიაშურა. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში ქაიხოსროსთან ერთად იყო რაჭის ერისთავის შვილი მეთოდეც.[72]

1774 წლის ნოემბერში სოლომონ I-მა პეტერბურგს საგანგებო ელჩობით მიაკლინა დავით კვინიხიძე და იმპერატრიცასთან წიგნი გაატანა. მეფე ოფიციალურად თხოვდა ეკატერინე მეორის მთავრობას, რომ იმერეთის სამეფო თავის მფარველობაში მიეღო.

1774 წლის 10 (21) ივლისს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ყველაფერი გარკვეული იყო. ომში გამარჯვებულმა რუსეთმა თურქეთისაგან მიიღო ქერჩი და აზოვი, მიაღწია მასზე დამოკიდებულებისაგან ყირიმის გამოყვანასაც.[73]

რაც შეეხება საქართველოს, ხელშეკრულების 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს ეხებოდა: „საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდადი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან იმათ კუთვნილებად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ და თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე ან დიდი ხანია ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან- საქართველოდან და სამეგრელოდან. ბრწყინვალე პორტა... ვალდებულებას კისრულობს არც ერთი მათგანი არ ჩათვალოს თავის ქვეშევრდომად, იმათ გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ, ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროვებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალიმ და სხვა გამგებლებმა

თუ ოფიცრებმა არ უნდა შეავიწროვონ ისინი ისეთის მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა.. მაგრამ რადგანაც დასახელებული ხალხი ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი."[74]

ეს ვრცელი ამონარიდი, საკმაო წარმოდგენას გვაძლევს რუსეთ-თურქეთის დამოკიდებულებაზე დასავლეთ საქართველოს მიმართ. მიუხედავად ხარვეზებისა, 1768-74 წლის ომმა სოლომონს თვალსაჩინო წარმატება არგუნა: „ოსმალებმა ვერ გამოიყენეს ზავის 23-ე მუხლი, ვერ დაიმორჩილეს სოლომონ მეფე, ვერ დაიკავეს იმერეთის ციხეები. მეფე სავსებით შესამჩნევად გაძლიერდა, მისი შიში და პატივისცემა გაუჩნდათ დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა დამშვიდდა და მოშენება იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა.[75]

ო. სოსელია შენიშნავს, რომ გურიის ერისთავის დამოკიდებულება იმერეთის მეფეებისადმი ცვალებადი იყო. ერისთავები ძალთა განწყობილების შესაბამისად მოქმედებდნენ. ხან მეფეს უჭერდნენ მხარს, ხან გურიელს. ხან კიდევ ერისთავთა სახლი ორად იყოფოდა: ნაწილი იმერეთის მეფეს უდგებოდა, ნაწილი გურიელს. ამიტომ ერისთავებს ხან მეფე უწყრებოდა, ხან კიდევ- გურიელი, ან ხან ერთი წყალობდა, ხან მეორე.[76]

გურიის მთავართან სოლომონ I-ისა და მისი წინამორბედი მეფეების სადავო საკითხს საჯავახო წარმოადგენდა. გენერალ ტორმასოვისადმი სიმონოვიჩის მიერ 1811 წლის 21 აპრილს წარდგენილ პატაკში ნათქვამია: „ჩემთან ურთიერთობისას, თავადმა მამია გურიელმა (იგულისხმევა მამია V-მ.რ.) განმიმარტა, რომ თემი საჯავახო გურიელებმა, მისმა წინაპრებმა, მიიღეს იმერეთის მეფეებისაგან სამუდამოდ და მემკვიდრეობით მფლობელობაში. მაგრამ.... შემდეგ... მათგან სოლომონ I-ის მიერ იქნა წართმეული"[77].

ამ კუთხის (ე.ი. საჯავახოს - მ.რ.) მოურავისა და მისი დიდი ნაწილის მფლობელის, გურიის ერისთავის, პოზიციას მოქიშპე მხარეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იმერეთის მეფეები ცდილობდნენ გურიის ერისთავების თავიანთ მხარეზე გადმობირებას. ამ მიზნით უწყალობეს „ძველმა მეფეებმა" ერისთავს[78] იმერეთის საჯავახოში გამოჩინებულის საწინამძღვრო ეკლესია მასში შემავალი ყმა-მამულით და ასე, იგი თავის ვასალად აქციეს.[79]

1775 წ. სოლომონი ორჯერ შეესია გურიას და ამ მხარეზე თავისი უზენაესობა განავრცო.

ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში სოლომონ I უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლეჩხუმის პრობლემის დროულ მოწესრიგებას, რაც კვლავ და კვლავ ოდიშის სამთავროსთან იყო დაკავშირებული. ამ ამოცანის მოსაგვარებლად ხელსაყრელი მომენტი მეფეს სწორედ რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ მიეცა, როდესაც იმერეთის ციხეები თურქთაგან გათავისუფლდა. ლეჩხუმის საკითხის მოგვარებაზე პოზიტიური ზემოქმედება მოახდინა რაჭის პრობლემის გადაჭრამაც. ამიტომ XVIII ს. 70-80-იან წლებში სოლომონ პირველმა მთელი სიმწვავით დასვა ლეჩხუმის საკითხი. [80]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ოდიშის მთავარი რომ ნამდვილად ფლობს ლეჩხუმს, ნაწილობრივ სვანეთს, აფხაზეთს, ნათლად ჩანს ტიტულატურაშიც [81]. „მპყრობელი სვანეთ-ლეჩხუმისა და შავ ზღვით ოდიშისა დადიანი ოტიას ძე“ „ამას ჟამსა გიორგი დადიანსა და ლეჩხუმის მოურავსა ოსმანნი შესწევნიან და... ჩვენგან მიცემული სახელი დადიანობა და ლეჩხუმის მოურავობა თვით თავის თავისათვის დაუჭირავს“ [82] - სწერს სოლომონ მეფე.

ხოლო ვ. გამრეკელი[83] 1772 წლის რუკის აღწერისას აღნიშნავს, თემს ლეჩხუმს, რომელიც ოდითგანვე იმერეთს ეკუთვნოდა, ფლობს არა იმერეთის მეფე სოლომონი, არამედ სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი.

სოლომონ პირველის გატარებული ღონისძიებების შესახებ ხატოვნად გადმოგვცემს ნ. დადიანი. მისი თქმით, კაცია დადიანის ერთგულება-თანადგომის „დამცწყებელი“ მეფე ლეჩხუმის დაბრუნების მიზნით „არბევდა... ოდიშს მრავალჯერ“, რასაც მთავარი ანალოგიური ღონისძიებით პასუხობდა[84].

ნ. დადიანის ცნობიდან გარკვევით არ ჩანს, შეძლო თუ არა მეფე სოლომონმა საბოლოოდ ლეჩხუმის საკითხის მის სასარგებლოდ გადაჭრა. უფრო საფიქრებელია, რომ ვერა, რადგან 80-იანი წლების შუა ხანებში დადიანები რეალურად ფლობდნენ ამ მხარეს. ცნობილია, თუ როგორ დაუპირისპირდნენ ლეჩხუმისათვის ერთმანეთს მეფე დავით გიორგის ძე (1784-1790) და გრიგოლ დადიანი.

შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ იმერეთში სტაბილური მდგომარეობა სუფევდა. არნახულად გაიზარდა მეფის პიროვნული ავტორიტეტი, რამაც, როგორც აღვნიშნეთ, მას საშუალება მისცა ზედმეტი გართულების გარეშე დაექვემდებარებინა გურიისა და ოდიშის მთავრები.

რაც შეეხება გარეშე მტერს, ოსმალეთი იძულებული იყო ანგარიში გაეწია სოლომონ I-თვის. 1776 წლის ოქტომბერში სულთანმა

მეფეს ელჩობა გამოუგზავნა და ძვირფასი საჩუქრები მიართვა, რაც იშვიათი შემთხვევა იყო ოსმალეთ-იმერეთის დიპლომატიურ ურთიერთობათა პრაქტიკაში[85].

როგორც იოანე ხოჯაშვილის დღიურიდან ირკვევა, ეს მომხდარა 5 ოქტომბერს. დღიურში აღნიშნულია: „სულეიმან ფაშას ხაზინადარი ქუთაისს მოვიდა ხვანთქრის ფარვნითა და ფაშის საჩუქრით.“[86]

იოანე ხოჯაშვილის დღიურმა დაწვრილებითი ინფორმაცია შემოგვინახა ომის დამთავრების შემდეგ სოლომონ I-ის მიერ გურია-ოდიშის მორჩილებაში მოსაყვანად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. 1775 წ. დეკემბერში სოლომონმა ლეკთა რაზმის დახმარებით გურია მოიყვანა მორჩილებაში, მომდევნო წლის იანვრის ბოლოს კი გორდის ციხეს შემოადგა და მისი საქმე „გაარიგა“, შემდეგ კი ურჩ ფაღავებს დაურბია მამული.[87]

ამრიგად, 1776 წლის დასაწყისში სოლომონ მეფე გურიელის მოკავშირეობით ოდიშში შეიჭრა, რამდენიმე ციხე აიღო და საბოლოოდ, კაცია დადიანის შერიგებაც შეძლო.

იმავე წელს, იმერეთის მეფეს მორჩილება გამოუცხადა გურიის ახალმა მთავარმა გიორგი მეხუთემაც. სანაცვლოდ სოლომონმა გურიელისშვილები მძევლად წაიყვანა და საჯავახო მიისაკუთრა.[88]

დამორჩილებულმა დადიანმა განკარგულება გასცა, რომ ოდიშის საეკლესიო ხელისუფალნი იმერეთის კათალიკოსს დაქვემდებარებოდნენ. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ეკლესიის მთლიანობის აღდგენა-განმტკიცებისათვის. სანაცვლოდ, წერს ს. კაკაბაძე[89], მაქსიმე კათალიკოსმა[90] 1776-77 წწ. გურია-სამეგრელო მოიარა, საეკლესიო საქმეები განაგო და ამით დასავლეთ საქართველოს ერთიანობის საქმეს გარკვეული სამსახური გაუწია, ეკლესიის მთლიანობა აღდგენილ იქნა.

## 1778 წლის შეთქმულება იმერეთში

სოლომონ პირველის უზომო გაძლიერება აშინებდა იმერეთის დიდებულთა ერთ ჯგუფს, რომლებიც მშვიდად ვერ გრძნობდნენ თავს მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების პირობებში. ისინი ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდნენ მეფის წინააღმდეგ გამოსასვლელად. წყაროების მიხედვით არ ირკვევა როგორ და რა ვითარებაში, მაგრამ ფაქტია, რომ თავადებმა გადაიბირეს სოლომონის

ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი და შეთქმულება მოაწყვეს მეფის დამხობის მიზნით.

როგორც ჩანს, თავადები იმედოვნებდნენ, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელი ალექსანდრეს ხელში, კიდევ უფრო განიმტკიცებდნენ საკუთარ პოზიციებს.

იოანე ხოჯაშვილის დღიურიდან ირკვევა ერთი ფრიად საყურადღებო დეტალი: შეთქმულებამდე სამი წლით ადრე, 1775 წლის 12 სექტემბერს „ალექსანდრე ბატონიშვილი თავის მამას მეფეს გაეპარა და ლეჩხუმში წავიდა“[91] 23 სექტემბრის თარიღით ქრონისტს ჩაუწერია: „ალექსანდრე ოდიშითგან დადიანს გამოეპარა და ქუთაისს თავის მამასთან მივიდა“[92]

საკმაოდ უცნაური ცნობაა. ძნელი გასაგებია, ან გაპარვა რასთან იყო დაკავშირებული ან უკან გამოპარვა? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყმაწვილ ბატონიშვილს დადიანის იმედი ჰქონდა (დადიანი ხომ მისი ბიძა იყო, ე.ი. დედის ძმა) და ტახტის დაუფლებას ცდილობდა, მაგრამ ოდიშის მთავარმა ან ვერ გაბედა მეფის წინააღმდეგ გამოსვლა, ან გადააფიქრებინა დისწულს უაზრო ავანტიურა. ყველა შემთხვევაში, იოანე ხუცესის აღნიშნული ცნობა უაღრესად საყურადღებოა და გარკვეულწილად, ხსნის კიდეც 1778 წლის შეთქმულების გამომწვევ მიზეზებს.

შეთქმულება საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მას სათავეში ედგნენ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და მოურავი თამაზა მესხი, ხოლო მონაწილეობდნენ ისეთი გავლენიანი დიდებულები, როგორიც იყვნენ: მერაბ ნიჟარაძე, ევგენი აბაშიძე, სვიმონ მიქელაძე, აგრეთვე, ბატონიშვილის მამიდაშვილები: ბეჟან, ვახუშტი, გიორგი, დოსითეოს და ქველი წერეთლები[93]

საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: 1778 წელს სოლომონს გარდაეცვალა ცოლი, მარიამ დადიანის ასული.

ნ. დადიანი გადმოგვცემს, რომ ჟამსა ამას გარდაიცვალა ღირსახსოვარი დედოფალი იმერეთის, მეუღლე სოლომონ მეფისა მარიამ, დაი კაცია დადიანისა. შემდგომად გლოვისა მეფემან ამან შეირთო წულუკიძის ასული გულქან, ნაცოლარი მიქელაძის აზნაურის ქაჯაიასი[94].

აღნიშნულის შესახებ იესე ოსეს შვილი წერს: „მეფე სოლომონს დადიანის ქალი მარიამ მოუკვდა, და წულუკიძე ბერი დია უყვარდა სოლომონს ამ ბერის დაი შეირთო. ასე სადმე ბრძანებდა: ბერი არის მეფე, მე არა ვარო...“[95]

შ. ბურჯანაძე შენიშნავს, რომ სოლომონის მესამე ქორწინებას სწორად აუღო ალღო მაშინდელმა საზოგადოებრივმა აზრმა: მეფემ

ცოლად შეირთო თავისი ყველაზე ერთგული და საიმედო ყმის ბერი წულუკიძის ნათესავი[96].

ცნობილია, რომ ხრესილის ბრძოლის შემდეგ (1757 წლის 14 დეკემბერი) სამეფო კარზე უპირატესობა წილად ხვდათ წულუკიძეებს. ამას თან დაერთო ის, რომ სოლომონმა ქუთაისის მოურავის, სარდლისა და ბოქაულთუხუცესის თანამდებობები ერთი პიროვნების, ბერი წულუკიძის, ხელში გააერთიანა. ყოველივე ამან სასტიკად აღაშფოთა სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და სანაცვლოდ ის თავადური შეთქმულების ორგანიზატორად გვევლინება.

შეთქმულებმა შესძლეს მიემხროთ ტახტის ერთადერთი მემკვიდრე და ის მეფეს განუყენეს. „ალექსანდრე ქვემხდელ ექმნა დედინაცვალს უგვარობისათვის, და აბაშიძე დავით სახლთუხუცესი და მესხი თამაზა, ორნივ მიჩნეულნი და გულითადნი, ბერი წულუკიძის მოშურნეობისათვის უკუუდგნენ, და ალექსანდრე აიყოლიეს და უკუუყენეს“.[97]

შეთქმულებს თანაუგრძნობდა სოლომონ მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე.[98]

შეთქმულთა მიზანს წარმოადგენდა სოლომონ I-ის ტახტიდან ჩამოგდება და მის ნაცვლად მცირეწლოვანი ალექსანდრე უფლისწულის გამეფება. გ. მეტრეველი ასკვნის, ცხადია, შეთქმულებს ხელს აძლევდა არასრულწლოვანი ბატონიშვილის რეგენტობა და სამეფო საქმეების თავიანთი ნება-სურვილით წარმართვა.[99]

თავდაპირველად ამბოხებულებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს, დაიკავეს ლომსიათხევის მხარე (თანამედროვე ხარაგაულის რაიონი მ.რ.), ჩხერის ციხე და საწერეთლოს მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ საბოლოოდ მარცხი განიცადეს და იძულებული გახდნენ განზრახვაზე ხელი აეღოთ.

სოლომონ მეფემ დიდი ლაშქარი შეკრიბა და წულუკიძეებისა და წერეთლების დახმარებით აჯანყებულები სასტიკად დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ მეფის მხარეზე აღმოჩნდნენ მეციხოვნეები და ყმა გლეხობა.

შ. ბურჯანაძე ასკვნის, რომ ამით კიდევ ერთხელ გახდა აშკარა ყმა გლეხობის პოზიცია. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ გამთიშველ თავადებს და მხარს უჭერდნენ მეფის ცენტრალისტურ პოლიტიკას, რომელიც სახალხო საქმეს წარმოადგენდა.[100]

ცხადია, შეთქმულების ჩახშობას მოჰყვა ქვეყანაში სახელოთა ხელახალი გადანაწილება. მეფის გაძლიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ დავით აბაშიძის ნაცვლად სახლთუხუცესობა სოლომონის უაღრესად ერ-

თგულმა ზურაბ წერეთელმა[101] მიიღო. გარდა ამისა, მოღალატეს ყმა-მამულები ჩამოართვა და იმერეთიდან გააძევა. დამარცხებულმა თავადმა ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი.

ასევე დამცრობილნი იქნენ სხვა ცნობილი ამბოხებულებიც: მერაბ ნიჟარაძე დააბრმავა, მანამდე კი მამულები წაართვა და ქაიხოსრო აგიაშვილს უბოძა.

1778 წელს სოლომონ პირველის მიერ ქაიხოსრო აგიაშვილისადმი გაცემულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „ესე... წყალობის წიგნი და საფიცარი გიბოძეთ ჩვენ თვითმძლემან და არავისგან ძლეულმან... მეფემან... ბატონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან დედუფალმან ბატონმა წულუკიძის ასულმან გულქან... შენ ჩვენს ერთგულს და თავდებით ნამსახურს ქეშიკთუხუცესს ციხისთავს აგიაშვილს ქაიხოსროს და შვილთა შენთა ... ნიჟარაძეს ჩვენზედ ორგულობა გამოუვიდა და წავართვი (მამულები მ.რ.) და ისევე პირველათ ჩვენი ნაწყალობევი შენზედ შენვე გიბოძეთ...“[102]

ბეჟან წერეთელი და მისი ძმები სამკვიდრებელიდან აჰყარა, ხოლო დავით გიორგის ძე იმერეთიდან გააძევა. ამის შემდეგ იმერეთში არნახულად გაიზარდა წერეთლებისა და წულუკიძეების გავლენა, რომლებიც ისედაც შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდნენ.

მეფემ მხოლოდ შვილს შეუნდო მძიმე დანაშაული და ისიც მოგვიანებით. მანამდე კი ალექსანდრე ბატონიშვილს გაჰყარა ეგეგენ აბაშიძის ასული, რომელიც მას შეთქმულებმა შერთეს, და მის ნაცვლად ბერი წულუკიძის ასული დარეჯანი მისცა ცოლად.

ქართლ-კახეთში თავშეფარებული ალექსანდრე ბატონიშვილი ძალიან სწუხს ჩადენილი საქციელის გამო და ერეკლე მეფეს ეფიცება: „მე მამის ჩემის ორგული არ ვყოფილვარო, მარა შემაბეზღეს - გიჭერსო და გაღარიბებსო. თავი აღარ მამართლებინა და წახდენისა მეშინოდა და გამოვიქეცო“[103].

1780 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი ვარციხის ბაღში სეირნობის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა. გ. მეტრეველი თვლის, რომ ბატონიშვილის უეცარ სიკვდილში შეთქმულთა ხელი ერია. თანამოაზრეებს არ აწყობდათ დაუსჯელი უფლისწულის არსებობა და იგი გზიდან ჩამოიშორეს.[104] სწორედ ამიტომ უმემკვიდროდ დარჩენილმა სოლომონ I-მა განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა მცირეწლოვანი შვილიშვილი გიორგი ბატონიშვილი[105].

ნ. დადიანი გვამცნობს: „ალექსანდრეს გარდაცვალების გამო კაცია მივიდა გელათს და იტირა თავისი დისწული, თუმცა დიდი

შური იყო მეფესა და დადიანს შუა, მაგრამ სიყვარულისათვის დისწულისა არა რიდა მისვლა იმერეთსა შინა და მშვიდობითცა მოიქცა“[106].

აღნიშნული მონაკვეთიდან არაორაზროვნად იგრძნობა, რომ დადიანის იმერეთში ჩასვლა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რაკიღა ისტორიკოსს ხაზგასმით უხდება იმის აღნიშვნა, რომ მთავარი მშვიდობით დაბრუნებულა უკან.

სხვათა შორის, ნ. დადიანის ცნობა რომ ანაქრონიზმზეა დამყარებული, კარგად ჩანს თვითონ მის თხზულებაშიც. აღწერს რა იმერ-ოდიშართა ბრწყინვალე გამარჯვებას რუხთან, იქვე აღნიშნავს „და მის ჟამიდამ იქმნა მშვიდობა ამა ორთა-მეფეთა და დადიანთა-შორის და სიყვარული შესაფერისი“[107]... ცხადია, თუ რუხის ბრძოლის შემდეგ სოლომონ I და კაცია დადიანი შერიგდნენ, ერთი წლის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის დაკრძალვაზე ამ უკანასკნელის ჩასვლა რაიმე რისკთან აღარ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

სოლომონ I-ის მეფობის ბოლო წლებში ურთიერთობა ოდიშთან დარეგულირებული რომ იყო, ეს კარგად ჩანს ბურნაშოვის ერთი პატაკიდანაც, რომელიც სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგაა დაწერილი. რუსი რეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავს - „Додьян мингрельской ... долженствующий признавать власть имсрстинского царя... не упустил случая смутном нынешнем состоянии Имерети возпользоваться утвердив себя по всем самовластным чем при царе Соломоне сделаться не мог [108]

ალექსანდრე ბატონიშვილი „უჯერო“ ქორწინებისათვის[109] შეჩვენებულ იყო და გარდაცვალების შემდეგ მიუხედავად სოლომონ პირველის სურვილისა, უფლისწული არ დაკრძალეს შესაფერისი პატივით (როგორც ეკლესიისაგან შეჩვენებული) და „დაფლეს“ გელათის მონასტრის გარეთ (და არა ეკლესიაში). მეფის „ვედრება“ მემკვიდრის ნაკურთხ მიწაზე დასაფლავების შესახებ, მაქსიმე კათალიკოსმა არ შეიწყნარა.[110]

საეკლესიო პირთა არასწორ ქმედებაში დარწმუნებული სამეგრელოს არქიეპისკოპოსი 1811 წელს ერთ-ერთი „უჯერო“ ქორწინების გამო[111] აღშფოთებული კითხულობს: „ნუთუ შენი ქალიშვილის გამო უნდა იქნეს დარღვეული წმინდათაწმინდა საღმრთო წესდება სარწმუნეობისა? განა ჩვენ არ უარვყავით, წესისამებრ დაგვეკრძალა ერთადერთი ვაჟი იმერეთის მეფის სოლომონ პირველისა, ალექსანდრე, რომელიც მოხვდა არაკანონიერ ქორწინებაში და გარ-

დაცვალებისას თქვენგან შეჩვენებული დაასაფლავეს? განა ჩვენმა ეკლესიამ არ აჰყარა ნაბოძევი უფლება (პატივი) მეფის ძმას არჩილს, რომლის გვამი, თვით ყველაზე საყვარელი ძმის, კათალიკოს იოსების მიერ ეკლესიის გარეთ, სანაგვე გროვაზე იქნა გადაგდებული, მისი ურწმუნეობისათვის? ასეთია თქვენი მოქმედებანი ეკლესიის სახელით წარჩინებულებთან დამოკიდებულებაში, რომელთა წინაშე არ ვნანობდით საკუთარი სისხლისათვისაც კი...“[112]

შეთქმულების შემდეგ, 1779 წელს, სოლომონ პირველის წინაშე ახალი პრობლემები წამოიჭრა.

ცნობილია, რომ კაინარჯის ზავის შემდეგ რუსეთის მთავრობამ დროებით გადადო საქართველოს საქმეები, რადგანაც მისი მთავარი ყურადღება იმ დროს ევროპისაკენ იყო მიპყრობილი. რუსეთის მთავრობისადმი ქართველ მეფეთა არაერთგზისი თხოვნა დახმარებისა თუ მფარველობის ქვეშ აყვანისა, უშედეგოდ მთავრდებოდა.

1777-1778 წწ ქართლ-კახეთის მეფემ სტამბოლში თავისი ელჩები გაგზავნა. ერეკლე პორტას პირდებოდა აზერბაიჯანის ხანების გადმობირებას ოსმალეთის მხარეზე სპარსეთთან ომის დროს, სანაცვლოდ კი ითხოვდა - სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში მოხსენებული ყოფილიყო საქართველოს სამუდამო განთავისუფლება სპარსეთზე დამოკიდებულებისაგან. ერეკლე, აგრეთვე, უარს აცხადებდა რუსეთთან ყოველგვარი კავშირის დამყარებაზე[113].

თურქეთის მთავრობამ ერეკლესადმი ეს მადლიერება იმით გამოხატა, რომ 1778 წ. სულთანის სახელით მას ორჯერ გაეგზავნა დიდი საჩუქრები: 12 ათასი ოქრო, საპატიო ქურქი და ოქროთი აღკაზმული ცხენი.[114]

სოლომონ მეფეს ერეკლეს ეს დიპლომატიური ნაბიჯი თავის სამტროდ მოეჩვენა, რამაც გადამტერებულ მეფეებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა[115]

შ. ბურჯანაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით შენიშნავს, ერეკლე მეფეზე სოლომონის გულგატეხილობა იმდენად დიდი იყო, რომ მის სამტროდ მოქმედებასაც შეუდგა. მან გამოიყენა ერეკლეს პოლიტიკური მტერი, ქუთაისის სამეფო კარზე ემიგრაციაში მყოფი პოეტი ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი და სპარსეთს გაგზავნა ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტის ალექსანდრე ბაქარის ძე ბატონიშვილის ჩამოსაყვანად[116].

ბესარიონ გაბაშვილმა თავისი მისია შეასრულა[117]. იმერეთში 1779 წელს საიდუმლოდ ჩამოსულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ფარული ურთიერთობა გააბა ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილო ქართლის თავადებთან და აჯანყებას შეეცადა[118], მაგრამ ბაქარის ძემ

თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო, რადგან ფაქტიურად აღარავინ დაეხმარა და 1782 წლის დასაწყისში იძულებული გახდა იმერეთიდანაც წასულიყო.

ქვეყანაში სიმშვიდის დამყარების მიზნით სოლომონ I არც მის მიერ ადრე შერისხულ პირთა შეწყალებას ერიდებოდა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მისი შერიგება ერეკლე II-სთან 1783 წლის ნოემბერში, რასაც შედეგად მოჰყვა დავით არჩილის ძის აღიარება ტახტის მემკვიდრედ და ალექსანდრე ბატონიშვილის შეთქმულებაში გარეული დავით გიორგის ძის დაბრუნება იმერეთში[119].

სამეფოში არსებულ შინაპოლიტიკურ ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებდა გარეშე მტრების შემოსევები და ფარული ზრახვები. განსაკუთრებით აქტიურობდა ოსმალეთი, რომელიც ამჯერად ცდილობდა იმერეთისათვის სამეგრელოს სამთავრო ჩამოეშორებინა, შედეგმაც არ დააყოვნა.

1779 წელს თურქეთი შეუთანხმდა აფხაზეთს და დიდძალი ჯარით მოულოდნელად შემოესია სამეგრელოს. „შეიყარა სრულიად აფხაზეთი, თავისის ბატონებით შერვაშიძეები, ჯიქი, ალანი, ჩერქეზი, სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო ესენი ერთად შეყრილნი ცხენოსანი და ქვეითი დიდი ჯარები იყო ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით ოდიში სრულიად უნდა მოეოხრებინათ[120].

აფხაზი „ბატონები" ქელაიშ-ახმედ-ბეგი, ბექირ ბეგი, ზურაბ და ლევან შერვაშიძეები ოდიშის სამთავროსაკენ დაიძრნენ.

ნ. დადიანი წერს, რომ: „მაშინ, თუმცა იყვნენ მტრად მეფე სოლომონ და დადიანი, გარნა მანცა მიუწერა ავთრათი მეფესა და შეუთვალა.... აჰა ჟამი მოიხსენო მსახურება ჩემი ხრესილის ბრძოლისაო... სოლომონმა მაშინვე შეკრიბა ჯარი... მხილველი და მოხარული დადიანი მეფეს მიეგება და უამბორეს ურთიერთსა და დაებანაკნენ მახლობელ ერთმანეთსაო"[121].

სოლომონ პირველის შეწირულობის წიგნში კი სწერია: „ჩვენ იმ დროს დადიანი კაცია შეერთებული გვყავდა. გვაცნობა, ეს ჯარები ჩემზე მოვა და თუ არ შემეწევი წამახდენენ. წავედი ჯარით მაშინვე, მიველი ზუგდიდს, ისინი ენგურის წყალს გამოსრული იყვნენო..."[122]

შესაძლებელია, რომელიმე წყარო არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ იმერთა მეფე და დადიანი ერთად იბრძვიან მტრის წინააღმდეგ.

აღნიშნული ბრძოლა ისტორიაში რუხის ბრძოლის სახელითაა ცნობილი, რაოდენ რუხის ციხესა და ზუგდიდს შორის მიმდინარეობდა.

რუხის ომში თავი ისახელა იმერთა ჯარის სარდალმა პაპუნა წერეთელმა, რომლის ვაჟკაცობით აღტაცებული დარჩენილა ამ ომის თვითმხილველი და მონაწილე ბესიკ გაბაშვილი[123].

ო. სოსელია თვლის, რომ უთუოდ პაპუნას ასეთი სამაგალითო გმირობისა და ერთგულების გამო იყო, რომ სოლომონმა რუხის ომის ნადავლი - მტრის ორი ზარბაზანი - წერეთლების საგვარეულო ციხეს, მოდინახეს მიუძღვნაო[124].

რუხის ომში გამარჯვებამ ცხადყო იმერეთის სამეფოს ძლევამოსილება. სოლომონ I-მა შესძლო კაცია დადიანის დამორჩილება.

რუხის ომში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე გურიის ლაშქარიც, რომელმაც დაამარცხა აფხაზთა მოკავშირე ჯიქ-ალანთა რაზმები[125].

გიორგი გურიელის საომარ მოქმედებაში ჩაბმას ქ. ჩხატარაიშვილი შემდეგნაირად ხსნის: 1780 წ. საჯავახო ფაქტიურად იმერეთის მეფის ხელში იყო, ხოლო ამ მხარის მფლობელი გურიის ერისთავები თავიანთ „ხელმწიფედ“ სოლომონს აღიარებდნენ. გიორგი გურიელი იძულებული გახდა იმერეთის მეფესთან მორიგება ეძებნა და ამ მიზნით თავის მემკვიდრეს სიმონს ცოლად უთხოვა სოლომონ I-ის დისწული, ზურაბ წერეთლის ასული, მარინა[126]. გურია-იმერეთს შორის დროებით მშვიდობა დამყარდა[127].

ამრიგად, სოლომონ I-მა შესძლო სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან ურთიერთობის მოგვარება. თუმცა, ამჯერად ნორმალიზებას მოითხოვდა აჭარის საკითხი. ოსმალთაგან ფოთისა და ბათუმის ციხეების გათავისუფლების შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ეკარგებოდა უკანასკნელი გზა, შავი ზღვის სანაპიროდან შემოსულიყო იმერეთში. ბუნებრივია, სტრატეგიული თვალსაზრისით, მტრისათვის ეს მეტად მძიმე დარტყმა იქნებოდა.

კაინარჯის ზავით თურქეთმა ფაქტიურად ყირიმი დაკარგა და შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო, ხელიდან ეცლებოდა ყუბანის ველი და ჩერქეზეთი.[128]

აფხაზეთისა და ჩრდილო კავკასიის მხრიდან თურქეთის შემოჭრის საფრთხე არცთუ ისე დიდი ჩანდა. მათთვის ძნელი იყო შემოჭრა ქართლის გზითაც, ასევე ბაღდად-ვანის გადმოსახედებზეც. რაც შეეხება საკუთრივ თურქეთის გავლენაში მყოფ აფხაზეთს, იგი აღარც იყო საშიში მას შემდეგ, რაც ოდიშის მთავარი იმერეთის მეფის მოკავშირე გახდა[129].

1781 წლის ზაფხულში სოლომონ მეფემ აჭარაზე გაილაშქრა. იოანე ხუცესის ქრონიკა გვამცნობს, 1781 წლის მკათათვის 21 მეფე სოლომონის აჭარაზედ ასვლას, ხოლო 29 - მეფის გამობრუნების ამბავს.[130] ბუნებრივია, ზღუდეების გამო ფოთისა და ბათუმის ციხეების დაკავების მიზნით იმერეთიდან აჭარაში შეჭრა, მეფისათის ძნელი აღმოჩნდა. სოლომონ პირველი 1780-იან წლებში რუსეთის მთავრობას დახმარებასაც სთხოვდა,[131] მაგრამ ამაოდ.

ქვეყნის შიგნით არსებული ოპოზიციის გარდა სოლომონ I ფხიზლად ადევნებდა თვალს იმ ძალებს, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი მისი რუსული ორიენტაციის გამო და თვალი ოსმალეთზე ეჭირათ. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ასეთი დასი დიდებულებისა განსაკუთრებით გაძლიერდა იმერეთში 80-იანი წლების დასაწყისში[132]. ეს ჯგუფი ღიად გამოსვლას ძლევამოსილი მეფის წინააღმდეგ ვერ ბედავდა, თუმცა, როგორც ჩანს, ფარულად ემზადებოდა და სოლომონის სიკვდილის შემთხვევაში საკუთარი კანდიდატიც ჰყავდათ შერჩეული ტახტზე, რენეგატი ლევან აბაშიძის ვაჟი ქაიხოსრო, რომელიც ოსმალეთში იყო გაქცეული და იქ აფარებდა თავს[134]

ოსმალეთი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა სოლომონ მეფისათვის, რათა მას დადებითად არ გადაეწყვიტა გურია-აჭარის საკითხი. 1781-1782 წლებში ოსმალეთი აქტიურად შეუდგა შავი ზღვისპირა ციხეების გამაგრებასა და ბათუმ-ქობულეთის მიდამოებში ქურთ-ოსმალთა ჩასახლებას.[134] გახშირდა ამაოხრებელი თავდასხმები გურიის საზღვრისპირა სოფლებზე. სოლომონ პირველი, რომელიც თავს ამ მხარის უზენაეს მფლობელად თვლიდა, სასპასუხო თავდასხმებს აწყობდა. ცნობილია, რომ 1781 წლის ივლისში მან ილაშქრა აჭარაზე,[135] მაგრამ მაშინ სათანადო წარმატებას ვერ მიაღწია და უკან გამობრუნდა. ანალოგიური სვლა მან 1783 წელსაც გაიმეორა[136].

აჭარა, იმერეთიდან ტერიტორიულად საკმაოდ იყო დაცილებული. შემოერთების შემთხვევაში სოლომონ I უცილობლად უნდა გაეჩინა სათანადო მომხრეები. ქვემო გურიისა და აჭარის მოსახლეობის ქართული სულისკვეთება საეჭვო არასოდეს ყოფილა, არა თუ აღნიშნულ პერიოდში, ერთი საუკუნის შემდეგაც კი, როდესაც ოსმალური რეჟიმი აქ საგრძნობლად განმტკიცდა.[137] მაგრამ მხოლოდ მოსახლეობის განწყობა საბოლოო გამარჯვებისათვის საკმარისი არ იყო. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პოლიტიკას, რომელსაც ქვემო გურიასა და აჭარაში ახორციელებდა მეფის ერთგული მოკავშირე თავადი მამუკა თავდგირიძე. 1772-1776 წლებამ-

დე თავდგირიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ ქობულეთის მხარეში.[138] მამუკა თავდგირიძე აქტიურად იბრძოდა ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ. ამ მიზნით იგი სოლომონ მეფეს დაუკავშირდა და მისი დაც შეირთო ცოლად[139].

70-იანი წლების შუა ხანებში თავდგირიძეთა სამფლობელო ქვემო გურიაში თურქებმა დაიპყრეს და მათი სათავადო მოიშალა[140]. შევიწროებული მამუკა თავდგირიძე გურიაში გადაბარგდა, სადაც მამია IV გურიელმა სამფლობელოდ უბოძა სოფელი აკეთი და მისი მიდამოები. აკეთი თავდგირიძეთა ახალი სათავადო ცენტრი გახდა[141].

სოლომონ I მიერ 1784 წლის დასაწყისში განხორციელებული მცდელობა აჭარის შემოერთებისა, გარკვეულწილად თავად მამუკა თავდგირიძესთანაა დაკავშირებული. შუა გურიაში გადასახლებული თავდგირიძეები ბედს არ შეურიგდნენ და თავიანთი მამულების დასაბრუნებლად ემზადებოდნენ.

თურქები ვერ ეგუებოდნენ მეამბოხე თავადის მეზობლობას და აჭარის ბეგს აბდულ ხიმშიაშვილს დაავალეს მისი განადგურება. 1784 წლის დასაწყისში ზემო აჭარის სანჯაყის გამგებელმა აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილმა, როგორც ჩანს, თურქ ხელისუფალთა ბრძანება შეასრულა და გურიის სამთავროს ლაშქარი შეუსია. ამის მიზეზი ის იყო, რომ გურიის მთავართან თავს აფარებდა თავადი თავდგირიძე, სოლომონის სიძე, რომელიც მეფესთან ერთად იბრძოდა გურიის ოსმალებისაგან განთავისუფლებისათვის. ხიმშიაშვილის ლაშქარი გურულებმა სასტიკად დაამარცხეს და გარეკეს[142].

ამრიგად, მამუკა თავდგირიძემ მეზობლების დახმარებით უკუაგდო მტერი, ხოლო, თვით აბდულ ბეგი ბრძოლაში დაიღუპა.[143]

სოლომონ პირველის ლაშქრობა აჭარაზე ამ თავდასხმის პასუხი იყო.

რაც შეეხება აბდულ ბეგის აკეთში შეჭრის თარიღს, კონკრეტულად არ შეგვიძლია დავასახელოთ, რაოდენ არსებობს რამდენიმე გვიანდელი[144] ცნობა. თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში აბდულ ბეგის თავდასხმისა და სოლომონ I საპასუხო ლაშქრობის თარიღად ერთსულოვნადაა მიჩნეული 1784 წლის დასაწყისი[145]. არსებობს სოლომონ I მიერ ბურნაშოვისათვის გაგზანილი წერილი (1784 წ. 11 მარტი), რომელშიც მეფე ატყობინებდა რუსეთის რეზიდენტს აჭარაზე მოწყობილი საპასუხო ლაშქრობის შესახებ[146]. ბუნებრივია, აბდულ ბეგის თავდასხმა აკეთზე 11 მარტამდე უნდა მომხდარიყო, შესაძლოა, ორი-სამი თვით ადრე მაინც, რადგან საპა-

სუხო ლაშქრობის მომზადებასა და განხორციელებას დრო დასჭირდებოდა.

სოლომონ I აკეთის აოხრების გამო პროტესტი განუცხადა ახალციხის ფაშას, მაგრამ მისგან დამაჯერებელი პასუხი ვერ მიიღო. ამის შემდეგ მეფემ ქვემო გურიის განთავისუფლების გეგმა დაისახა მიზნად. ქართველობისათვის მებრძოლ სოლომონს სხვა მოსაზრებებიც გააჩნდა. ბუტკოვის ცნობით, სოლომონი ვარაუდობდა ციხისძირის გამაგრებას, იქ ქალაქის აშენებას და ვაჭარ-ხელოსანთა გამრავლებას, რაც სწრაფად მოხდებოდა ანატოლიელი ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლებით. ადგილმდებარეობა იმდენად ხელსაყრელი იყო, რომ გაღებული ხარჯები 3-4 წელიწადში ანაზღაურდებოდა.

„... თუ ციხისძირში ქალაქი დაარსდებოდა, მაშინ თურქები იძულებული იქნებოდნენ ყოველგვარი ომის გარეშე დაეტოვებინათ ციხესიმაგრე ფოთი, აგრეთვე ბათუმი და ჩაქვი“[147].

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ სოლომონ I აჭარის შემოერთებაზე ადრეც ფიქრობდა და აბდულ ბეგის თავდასხმამ მხოლოდ დააჩქარა ამ გეგმის რეალიზაცია.[148] რასაც საკმაო საფუძველი აქვს. ამ საკითხზე ვეთანხმებით. არსებული საბუთები ცხადყოფენ, რომ სოლომონ I განზრახული ჰქონდა რუსეთის სამხედრო დახმარებით გადაეჭრა ეს საკითხი, 1782 წელს გენერალ-ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინისადმი გაგზავნილ წერილში მეფე აღნიშნავდა, რომ: „განცხადებულად მოგეხსენებათ, ფოთი ჩვენის მამულის მიწა არის, აგრეთვე ბათუმი... ამას ვითხოვთ... რომ ამათზეც შეგვეწიონეთ და ესენიც სხვათა აქა მდგომთა თათართაებრ აღმოიფხვრნენ და განიდევნენ და დაგვრჩეს ეს მხარე უფიქროდ“[149]

მორიგი ლაშქრობის სამზადისი სოლომონმა გასაიდუმლოებულ პირობებში ჩაატარა. როგორც ჩანს, მეფეს საეჭვოდ მიაჩნდა გიორგი V გურიელის პოზიცია, ამიტომ მისი მემკვიდრე ქუთაისს მიიწვია და მძევლად დაიტოვა, მეორე ვაჟი ვახტანგი კი გურულთა რაზმით თან იახლა. სოლომონს ქვემო გურიის მოსახლეობის დიდი იმედი ჰქონდა.[150] როდესაც სალაშქროდ დაიძრა, მეფეს ხმა გაუვრცელებია, ვარციხეს სანადიროდ მივდივარო, სინამდვილეში კი სწრაფი სვლით მალულად გადასულა გურიაში. თანამედროვის თქმით, იმერ-გურულთა გარდა სოლომონს თან ხლებია „ქობულეთელი ჯარიც“[151] ჩანს, რომ მეფე საბოლოოდ აპირებდა აჭარის შემოერთებას, ამ განზრახვას ისიც ადასტურებს, რომ მის ჯარში 6 ათასი მებრძოლი ყოფილა[152].

ნ. დადიანის გადმოცემით „შემდგომად ჟამისა რაოდენისამე იწადა მეფემან, რათა მოუხთეს ჩაქვს ოსმალთა და შემუსროს იგი. შეიკრიბნა სპანი იმერელთანი და მიუხთა ჩაქვს“[153] იგივე ფაქტს ბაგრატ ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს: „კდ წელსა 1782[154] მეფე იმერთა სოლომან წარვიდა მხედრობითა თვისითა გურიასა ზედა. მისრულს ჩაგესა შემოებნენ ოსმალნი“[155] ბუნებრივია, რომ ყველაფერი ასე მარტივად და ერთბაშად არ მოხდებოდა.

ცნობა აჭარაზე მოსალოდნელი გალაშქრების შესახებ მაინც გახმიანდა. მეფის სამზადისი არ გამოეპარა სამეგრელოს მთავარს და დროულად გააფრთხილა შავი ზღვის სანაპიროს სიმაგრეთა (შეკვეთილი- სეფა-ქობულეთი-ციხისძირი-ბათუმი) ოსმალური გარნიზონები[156]. მიუხედავად ამისა თავდაპირველად სოლომონმა სერიოზულ წარმატებას მიაღწია. მან დაიკავა ქობულეთის მხარე. დაანგრია ციხე-სიმაგრე და ერთიანად გაჟლიტა იქ ჩასახლებული ქურთ-ოსმალნი, ბოლოს მხარი უქცია ციხისძირს და ჩაქვის მხარის გაწმენდის შემდეგ ბათუმ-გონიოს მიმართულებით გაიჭრა.[157] ვიდრე მეფის ჯარი ბათუმის მიდამოებში იბრძოდა, ოსმალები გონს მოვიდნენ, ლაშქარი შეკრიბეს და ციხისძირთან ახლოს, ნაჭიმკრევთან ჩაუსაფრდნენ უკან დაბრუნებულ იმერლებს. „გარნა უკან მობრუნვებულს ეწიენენ რამდენიმე ჩაქველნი, დაუწყეს თოფთა ცემა“[158] მოულოდნელი თავდასხმის გამო სოლომონ მეფის ჯარმა დიდი ზარალი განიცადა და უკუიქცა. „დაკოდეს სარდალნი, წულუკიძე ბერი და აგიაშვილი ქაიხოსრო[159], მოჰკლეს მრავალნი წარჩინებულნი თავადაზნაურნი და ცოცხალნიცა დაიმორჩილეს[160]. ზოგიერთი ცნობის თანახმად სოლომონს 600 კაცი მოუკლეს და 200 დაატყვევეს. დაღუპულთა შორის 18 დიდგვაროვანი იყო[161]. დატყვევებული ქართველები თურქებმა ტრაპიზონისა და სტამბოლის ბონათა ბაზარზე გაყიდეს. თვითონ სოლომონ მეფე უკანასკნელ მომენტში ძლივს გამოიყვანა ბრძოლის ველიდან თავისი ცხენით გურიელის ვაჟმა ვახტანგმა. „კნინღა განერა მეფე სიკუდილსა“[162]

აჭარაზე გალაშქრების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებანი არსებობს. ნ. დადიანი ამ ამბავს უშუალოდ მეფის გარდაცვალების წინ გვიამბობს. თ.ჟორდანიას „ქრონიკებში“ მოჰყავს ორი ცნობა, რომელთა მიხედვით „ჩღპდ წელსა მარტის თვეშიდ მეფე ჩავიდა ჩაქვს ოსმანთ ქვეყნის მოსარბევლად“[163] ამ ქრონიკაზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ აჭარაზე გალაშქრება მოხდა 1784 წლის მარტში. ქ. ჩხატარაიშვილიხ მტკიცებით, ლაქრობა 4 მარტს დაიწყო, ხოლო ნაჭიშკრევთან ბრძოლა 9 მარტს გაიმართა[164] შ. ბურჯანაძე ზოგა-

დად უთითებს მარტზე[165] ო. სოსელია[166] და გ. მეტრეველი[167] იმავე წლის გაზაფხულზე მ. რეხვიაშვილი მთლიანად ეთანხმება ქ. ჩხატარაიშვილის პოზიციას[168].

თუ გავითვალისწინებთ სოლომონ I 1784 წლის 11 მარტით დათარიღებულ წერილს ბურნაშოვისადმი,[169] სადაც აჭარაზე გალაშქრების ამბავია მოთხრობილი, დავასკვნით, რომ ეს ექსპედიცია მართლაც 11 მარტამდე შემდგარა. ამავე წერილით ვგებულობთ, რომ მეფე აჭარაზე ლაშქრობას თავის გამარჯვებად მიიჩნევდა[170]. სპეციალისტთა შორის აჭარული ექსპედიციის შეფასების საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა. ნ. დადიანი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „მეფე იმერეთს დიდად დამარცხებული" დაბრუნდაო. ბაგრატ ბატონიშვილის აზრითაც „იძლია მეფე სოლომონ მოსწყვიტნეს იმერნი ურიცხვნი". მკვლევართა უმრავლესობას (ნ. ბერძენიშვილი შ. ბურჯანაძე, ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი, გ. მეტრეველი, ნ. ქორთუა, მ. რეხვიაშვილი...) ეს ლაშქრობა სოლომონის მარცხად მიაჩნია, ო. მარკოვა და მ. სამსონაძე კი საწინააღმდეგო აზრს ავითარებენ [171].

სოლომონ მეფის გარდაცვალება. ქვეყნის გაერთიანებისათვის ტახტის დაუცხრომლად მებრძოლი იმერთა მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა 49 წლის ასაკში. ეს 1784 წლის 23 აპრილს გიორგობა დღეს მოხდა.

ნ. დადიანის ცნობით... „თვესა აპრილს კგ, დღესასწაულსა წმინდისა გიორგისას ჩვეულებათ აქვსთ შეკრება ხონს დღესასწაულობად. მაშინ მეფემან მოიწადინა ქუთაისით მუნ წარმოსვლა შექცევად, და დილას რა აღემზადა მოგვარეს ცხენი შესაჯდომად. მაშინ ანაზდათ მოულოდებელითა სიკვდილითა გარდაიცვალა წელს ქრისტესით 1784. დაფლეს გელათს"[172]

ასეთსავე ცნობას გვაძლევს ე.წ. „აბაშიძის ქრონიკა", სადაც აღნიშნულია რომ „ჩღპდ წელს მარტის თვეშიდ მეფე ჩავიდა ჩაქვს ოსმანთ ქვეყნის მოსარბევლად და იმავე წელს აპრილს: კგ: მიიცვალა მეფე" [173]

მეფის უეცარ გარდაცვალებას ადასტურებს აგრეთვე მღვდელი ნიკოლოზ გაბაონელის (გაბაშვილი) მიერ ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსისადმი გაგზავნილი წერილი: „... ძლიერმან მეფემან იმერთამან სოლომონ ინება და ესე ვითარ განაგო, რომ ... ჩემთვის დეკანოზობის მიცემა გიბრძანა და... შენს ეკლესიას ... მე და ჩემი შვილი და მომავალი... შესწირა და ამა ჟამსა საბელ-ხენეშმან სიკვდილმან მსწრაფლ წარიტაცა, რომელიც ამა წყალობასა ვერ ხელვეწიფე"[174]

სიცოცხლის ბოლო წლებში სოლომონ მეფე ხშირად ავადმყოფობდა. ცნობილია, რომ ეკატერინე II-მ მას სპეციალურად გამოუგზავნა გერმანელი მკურნალი ექიმი ნიკოლოზ ვიტენბერგი ანუ „ლეკარი ვენენბურხი“ (ასე უწოდებდნენ მას იმერეთში), წამლებითა და მედიკამენტებით [175]. ექიმი თან ახლდა მეფეს მგზავრობისას.

ბურნაშევი თვლის, რომ უკანასკნელმა უიღბლო ექსპედიციამ თურქეთის ხელქვეით მყოფი აჭარლების წინააღმდეგ, რომელიც სულეიმან ფაშას თანხმობით წარმოებდა, დააჩქარა მისი (სოლომონის ) სიკვდილიო [176].

მარკოვა წერს: სიკვდილამდე სამი დღით ადრე, სოლომონმა პ. პოტიომკინს გაუგზავნა შესწორებული ტექსტი „ქვეშევრდომობის“ თხოვნის შესახებ. აღნიშნული, ეკატერინეს წარუდგინეს პოტიომკინის 3 ივნისის წერილთან ერთად, რომლის მეშვეობითაც სოლომონის სიკვდილსაც ატყობინებდნენ [177].

ხოლო ექიმმა ვიტენბერგმა საიმპერატორო კარზე გააგზავნა სამედიცინო დასკვნა, რომელშიც ჩაწერილია შემდეგი: „Соломон был тронут апоплектическим ударом... потреблял все средство но ничего не помогло“[178]

რუსეთის საიმპერატორო კარი თავისი მოხელეების მეშვეობით ფხიზლად ადევნებდა თვალს სოლომონ I საქმიანობას. ამით რუსეთი ცდილობდა იმერეთში შეენარჩუნებინათ ქვეშევრდომობაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა. ეს კი ბუნებრივია, ოსმალეთის სერიოზულ შეშფოთებას გამოიწვევდა. სოლომონ I, არაერთგზის გამოხატავდა თავის მისწრაფებას და მზადყოფნას რუსეთის უზენაესი მფარველობის ქვეშ ყოფნისა[179].

1783 წლის 3 აპრილს პ. პოტიომკინი ინსტრუქციით დავალებას აძლევდა პოლკოვნიკ ბურნაშოვს - ყოველნაირად დაეიმედებინა მეფე მფარველობაში მიღების პერსპექტივით. აქ არ ვაპირებთ გეორგიევსკის ხელშეკრულების დეტალურ ანალიზს, მაგრამ აღვნიშნავთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ ტრაქტატის შავ ვარიანტში თავდაპირველად იმერეთის სამეფოც იყო გათვალისწინებული და ერეკლე II-სთან ერთად ყველგან მოიხსენიებოდა სოლომონ პირველიც. ბოლოს, რუსეთმა გაითვალისწინა ოსმალეთთან იმხანად დამოკიდებულების საკითხი (მოერიდა ურთიერთობის გამწვავებას) და იმერეთის მფარველობაში მიღებისაგან დროებით თავი შეიკავა.[180]

ამ ფაქტმა სოლომონ მეფის საშინელი იმედგაცრუება გამოიწვია. ის რუსი მოხელეების, კერძოდ, გენ. პოტიომკინის მეშვეობით

სთხოვდა ეკატერინე II-ს ქართლ-კახეთის სამეფოს მსგავსად მფარველობას და გეორგიევსკის ტრაქტატის ხელშეკრულების ტექსტს გასაცნობად.[181]

სამწუხაროდ, საიმპერატორო კარი იმერეთის მეფის მოთხოვნებს სათანადოდ არ გამოეხმაურა. სევდამორეული მეფე, როგორც ჩანს უკანასკნელ თვეებში ღვინოს მიეძალა. ეს ამბავი კი შემდეგ რუსმა ჩინოვნიკებმა ღვინისადმი მეფის ქრონიკული მიდრეკილებით ახსნეს. ბუტკოვის აზრით, იმერეთის მეფის „მსწრაფი მიცვალების" მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მეფე, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ავადმყოფობდა, ამავე დროს არ თმობდა დიდი რაოდენობით ღვინის მიღების ჩვევას.[182]

ვ. მაჭარაძეს თავის ნაშრომში დამოწმებული აქვს ვ. ტამარას მოხსენებით ბარათი პ. პოტიომკინისადმი, რომ „Склонность к вину которая внем кажется умножилось после того как была здесь в первый раз,... редко случается такой час в которой поговорить сним можно по настоящему[183].

სიცოცხლეშივე გამოთქმული სურვილის მიხედვით, მეფის გვამი გელათის მთავარ ღვთისმშობლის ტაძარში დამარხეს.

1789 წელს სოლომონ II-ის მიერ გაცემულ შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „... უშჯულოთა მაჰმადიანთა ძირითურთ აღმომფხვრელი და ქვეყნისათვის მრავალგზის სისხლდანთხეული იმერთა მეორე აღმაშენებელი ბატონი ბიძა ჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა... და მოღვაწე გვამი მისი დაიდვა წა (წმიდა) და დიდებულსა ტაძარსა შა(შინა)"[184]

ქართულ ისტორიოგრაფიაში სოლომონ მეფის გარდაცვალების თარიღად 1784 წ. მიჩნეული, თუმცა საფლავზე 1782 წ. აღუნიშნავთ.

გ. წერეთელი შენიშნავს, რომ სათანადო წარწერა 1840 -იანი წლების შემდეგ გაუკეთებიათ და დავით ბატონიშვილის თხზულების (შედეგი კახეთის ცხოვრებისა) გამო შეცდომით 1782 წელია ამოტვიფრულიო[185].

ქრისტიანული სარწმუნეობის გადარჩენისა და შენარჩუნებისათვის მებრძოლ მეფეს, საეკლესიო მსახურნი, გარდაცვალების შემდეგაც სათანადო პატივს მიაგებენ. თუმცა სოლომონ I სიცოცხლეშივე გამოუჩენია მზრუნველობა „სულის საოხად". აღსანიშნავია გელათის ეკლესიისადმი ჯერ კიდევ 1781 წელს გაცემული შეწირულობის წიგნი, რომ მას... წინამძღვრისათვის დაედვა ვალად ყოველს შაბათს ვინც მიცვალებული მეფენი არიან მისთვის უნდა

ეწიროს და ყოველ კვირას ვინც ცოცხალი მეფე იქნება მისი მწირველი უნდა იქნეს[186]. იოანე ხელაშვილის მოსახსენიებელი წიგნი კი გადმოგვცემს: „მოიხსენე, უ~ლო (უფალო) რომელმან ქუთაისით განაძო ოსმალ თურქნი და განწმინდა იმერეთი დაპყრობილი და მოსპო ტყუეთა გავაჭრება და განამეორი (თშს) ქრისტიანობა იმერეთში, გურიაში და მენგრელიასა შინა, და უწოდეს დიდი სოლომონ მეფე.“[187]

სოლომონ პირველის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნისათვის. ის წარმატებანი, რომელსაც იმერეთის სამეფომ მიაღწია XVIII ს 60-70-იან წლებში საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, სწორედ სოლომონ I სახელს უკავშირდება: ხრესილის გმირული ეპოპეა, საეკლესიო რეფორმები, ტყვის სყიდვის აკრძალვა, ოსმალთა გარნიზონებისაგან ქვეყნის უმთავრესი დასაყრდენი ციხეების, მათ შორის ქუთაისის ციტადელის გამოხსნა, თავადური ოპოზიციის განადგურება და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, შინაპოლიტიკური ვითარების ნორმალიზაცია, საოცარი სიყვარული და ავტორიტეტი საკუთარი ხალხისადმი. ალბათ, ამიტომ არ იყო შემთხვევითი მისთვის ზედწოდების - „იმერთა მეორე აღმაშენებლის“ - მინიჭება.

1809 წელს შედგენილი ჭრუჭის მონასტრის სიგელი ასე ახასიათებს „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლმჩქეფე, იმერთ მეფეს“. მეფე დიდი სოლომონი რომელმან სამეფოით თვისით განსდევნა მრავლით ჟამითგან მკვიდრნი ბილწნი მაჰმადიანნი და იწვადა ხრმალი მისი ძლიერი ზურგთა მათ ზედა და შეღება მიწა საძაგითა სისხლითა მათითა და გარდააგდო ტყვის სყიდვა იმერთს სამარადისოთ, განანათლა სამეფო თვისი კეთილად, განაშვენა სამღუდელონი, აღაყუავა ეკლესიანი ყოველნი“[188].

ბაგრატ ბატონიშვილის თქმით კი სოლომონ I „დასაჯნა და დაამდაბლნა სამეფოსა შინა ვისცა წინააღმდეგნი მეშფოთარნი და ქვეყნის ამრევნი გვარნი იყო და ჰყო მშვიდობა იმერეთსა შინა“.[189] სოლომონ I მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა „ქვეყნის ამრევნი გვარნის“ წინააღმდეგ და მათ დამშვიდებას სცდილობდა, რათა იმერეთის სამეფო არ ჩაეყლაპა ისეთ დიდ ურჩხულს, როგორიც ოსმალეთი იყო.

სოლომონ I პიროვნებასა და მის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ეკატერინე II, ვოლტერი, დიპლომატები და სამხედრო მოღვაწენი. მაგრამ განუზომელია ქართველი ხალხის სიყვარული და პატივისცემა. გელათის გულანის კინკლოსზე დაცული მინაწერი ლაკონურად და მეტად შთამბეჭდავად გადმოგვცემს „... მეფე სრუ-

ლიად იმერთა ბაგრატიონი სოლომონ მეორედ მაშენებელი ქვეყნისა...“[190].

## ტახტის მემკვიდრის საკითხი

სოლომონ I ანდერძი არ დაუტოვებია[191]. ამიტომ მისმა უეცარმა გარდაცვალებამ საშუალება მისცა ოპოზიციონერ თავადთა დაჯგუფებას შენიღბული ზრახვები გამოემჟღავნებინათ და სათანადოდ ემოქმედათ. დაიწყო ბრძოლა იმერეთის ტახტზე საკუთარი კანდიდატისათვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეფობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ბაგრატიონთა იმერეთის შტოს წარმომადგენლები - 20 წლის დავით გიორგის ძე (სოლომონ I-ის ბიძაშვილი)[192] და 12 წლის დავით არჩილის ძე (სოლომონის ძმისშვილი, ამავდროულად ერეკლე მეორის შვილიშვილი დედის მხრივ)[193]. გარდა ამისა იმერეთის ტახტზე პრეტენზიას აცხადებდნენ - სოლომონ I-ის ბიძა, ლევან აბაშიძის ვაჟი ქაიხოსრო, რომელიც, ქვეყნიდან განდევნილი ოსმალეთში აფარებდა თავს და სულთანის კეთილგანწყობით სარგებლობდა[194]; როსტომ რაჭის ერისთავის ვაჟი გიორგი, იგივე „ქიორ-ბეი“ (ბრმა ბატონი) - ოსმალეთის კანდიდატი საჭიროების შემთხვევაში, რომელსაც თავის დროზე მამასთან ერთად სოლომონ I ბრძანებით დასთხარეს თვალები[195]. ალექსანდრე ბატონიშვილის „უკანონო“ შვილი 6 წლის გიორგი უფლისწული „პრეტენდენტთა რიგებში“ არ იმყოფებოდა.[196]

პატივმოყვარე ფეოდალთა შორის გაჩაღებული ბრძოლა დავით გიორგის ძის გამარჯვებით დამთავრდა. ის 1784 წლის 26 (28?) აპრილს მეფედ გამოაცხადეს. ტახტზე ასვლისთანავე ახალმა მეფემ ფიცი დადო იმერეთის სამღვდელობისა და თავადების წინაშე, რომ ერთგული იქნებოდა იმ პოლიტიკური კურსისა, რომელსაც განუხრელად ატარებდა სიცოცხლეში სოლომონ I „ჩვენის ბატონის მეფის ბრძანების მსგავსად ერთგულთა ზედა ერთგულად და მწყალობლად ვიყვნეთ და შემცოდეთა ზედა რიგიანისა და სამართლიანის გზით შერისხვით და განპატიჟებით“[197].

1789 წ. ოდიშის ახალი მთავრის გრიგოლ დადიანის და ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის დახმარებით, დავით არჩილის ძემ (მეფობაში სოლომონ II) მათხოვჯის ბრძოლაში დაამარცხა დავით გიორგის ძე და იმერეთის ტახტს დაეუფლა.[198]

დავით არჩილის ძე შეეცადა სოლომონ I ღირსეული მემკვიდრე ყოფილიყო, მაგრამ ცარიზმის პოლიტიკის წყალობით 1810 წ. იმერეთის სამეფო გაუქმებულ იქნა. სოლომონ II კი 1815 წ. თურქეთში დაასრულა სიცოცხლე. 1990 წ. ნოემბერში სოლომონ II-ის ნეშტი საქართველში ჩამოასვენეს და „სრულიად იმერთა მეფემ" გელათის მონასტრის სამეფო საძვალეში „იმერთა მეორე აღმაშენებლის" გვერდით ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

## დასკვნები

1. დასავლეთ საქართველოს ისტორიაში XVIII საუკუნის პირველი ნახევარი უმძიმესი ხანა იყო. ქვეყანა მოიცვა პოლიტიკურმა ანარქიამ. უმაგალითო მასშტაბებს მიაღწია „ტყვის სყიდვამ". ცენტრალურ ხელისუფლებას უჭირდა ბრძოლა თავადური ანარქიისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ. ქვეყნის წინაშე მთელი სიმწვავით იდგა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისა და პროგრესულ ძალთა კონსოლიდაციის გადაუჭრელი პრობლემა.

ამ მიმართულებით ენერგიული ღონისძიებანი განახორციელა იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1721-1752 წ.წ.). მან მოახერხა დიდებულთა ერთი ნაწილი (მაგ. რაჭის ერისთავი) მიემხრო სხვათა (ზურაბ აბაშიძე, ბეჟან ერისთავი) წინააღმდეგ, მაგრამ იმერეთის საქმეებში ახალციხის ფაშას სისტემატური ჩარევის გამო საგრძნობ შედეგს ვერ მიაღწია. ამას დაერთო ოსმალთა განტკიცება შავი ზღვის სანაპიროზე (1725 წელს მათ ფოთში ორთულიანი ფაშა დასვეს). ოსმალები იოლად ახერხებდნენ გავლენიანი თავადების ერთმანეთზე წაკიდებას და მათ გაერთიანებას მეფის წინააღმდეგ (მაგ. ჩიხორის ბრძოლა). მძაფრი შინაპოლიტიკური დაპირისპირების პირობებში ალექსანდრე V-მ ორჯერ (1741-1749 წლებში) დაჰკარგა ტახტი, თუმცა დროებით, ყოველივე ამან მას რუსეთთან კავშირის ძიებისაკენ უბიძგა (ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა). მაგრამ ამ მცდელობას, იმ დროს რუსეთში არსებული შინაპოლიტიკური ვითარების გამო, შედეგი არ მოჰყოლია.

2. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში, 1752 წელს იმერეთში გამეფდა სოლომონ I, რომელსაც უმძიმესი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მემკვიდრეობა ხვდა წილად. ქვეყანა წვრილ თუ მსხვილ სათავადოებად იყო დაქუცმაცებული, ხოლო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე უმთავრეს ციხეებში (ქუთაისი, ცუცხვათი, შორა-

პანი) თურქთა გარნიზონები იყო გამაგრებული. ოსმალო ფაშები ისხდნენ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ციხეებშიც (ფოთი, ბათუმი, გონიო, რუხი, ანაკლია), ამის გამო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები იძულებული იყვნენ ხარკი ეხადათ მათთვის. ხარკის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ტყვეებს ეკავათ, რომლებით ვაჭრობის აკრძალვის ყოველგვარ მცდელობას ოსმალეთის ხელისუფლება უმკაცრესი რეაქციით პასუხობდა.

„ტყვის სყიდვის" მოსპობა, ურჩი ფეოდალების მორჯულება, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, ქვეყნის ერთიანობისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის ბრძოლა და რაც მთავარია, თურქეთის ექსპანსიის ალაგმვა-აი, ის ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაჭრა მიზნად დაისახა ახალგაზრდა მეფემ და რაც შეუძლებელი იყო პროგრესულ ძალთა კონსოლიდაციის გარეშე.

3. სოლომონ I-ის გამეფებისთანავე მის წინააღმდეგ შეიკრა სერიოზული ოპოზიციური ბლოკი გავლენიანი თავადების მონაწილეობით. მათ რიგებში თვით მეფის უახლესი ნათესავებიც (დედა თამარი, ბაბუა ლევან აბაშიძე, ბიძები - მამუკა და გიორგი) ერივნენ, მათ მამია IV - გურიელისა და იმერ-აფხაზთა კათალიკოს ბესარიონის დახმარებით დაამარცხეს სოლომონ I, მაგრამ მან ახალციხის ფაშას მეშვეობით დაიბრუნა ტახტი. ცხადია, ფაშას დასავლეთ საქართველოში წესრიგის დამყარების სურვილი ამოძრავებდა. ამით მას საშუალება ეძლეოდა ჩარეულიყო ქვეყნის საშინაო საქმეებში და განემტკიცებინა ოსმალთა ბატონობა.

ტახტზე დაბრუნებულმა სოლომონ I-მა მკაცრად გაუსწორა ანგარიში მოწინააღმდეგეებს, თუმცა მისი მდგომარეობა ჯერ კიდევ არამყარი იყო.

4. მეფეს კარგად ესმოდა, ერთბაშად ყველა თავგასულ დიდებულთან დაპირისპირება მას სასურველ შედეგს არ მოუტანდა და ერთგვარი „პროპორციული ბალანსირების" პოლიტიკას მიმართა. ეს პოლიტიკა თავადთა გარკვეული ნაწილის შემორიგებას და სხვა, უფრო რეაქციულად განწყობილი თავადების გამოყენებას ისახავდა მიზნად. რაც, ცხადია, შექმნილი მდგომარეობიდან მხოლოდ დროებითი გამოსავალი იყო და არა პრობლემის გადაჭრის რადიკალური მეთოდი. ფაქტობრივად, მეფე უპირისპირდებოდა არა გამთიშველ სოციალურ ფენას, არამედ მის მხოლოდ ცალკეულ წარმომადგენლებს სხვათა აღზევების ხარჯზე.

პირველ ეტაპზე სოლომონ I-ის ამგვარმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. იგი დაუმოყვრდა ოდიშის მთავარ ოტია დადიანს და მოხერხებულად შემოირიგა მამია გურიელი. ეს კავშირი, ცხადია,

რაჭის ერისთავის წინააღმდეგ იყო მიმართული და საბოლოო ჯამში, თუმცა დროებით, მაგრამ მაინც არეგულირებდა შინაპოლიტიკურ ვითარებას ლიხთ-იმერეთში.

5. იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც მიმართული იყო სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების განტკიცებისა და მისი დასაყრდენი სოციალური ფენის გაძლიერებისაკენ, შეიძლება დავასახელოთ ე.წ. „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტის შექმნა, რომლის მსგავსი მანამდე უცნობია იმერეთის ისტორიაში. „ფიცის კაცთა“ შემადგენლობაში შედიოდნენ: თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაური მესხები, ავალიანები, იოსელიანები, ღოღობერიძეები, მიქაბერიძეები, გრიგალაშვილები და ჭაბუკიანები. ყოველწლიურად 15 მაისს ეწყობოდა მათი რიტუალური შეკრება და საბრძოლო დათვალიერება. „ფიცის კაცები“ მეფის საოცარი ერთგულებით გამოირჩეოდნენ. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ინსტიტუტი შუა საუკუნეთა ისტორიაში კარგად ცნობილი „მოკიდებული“ კაცების ერთგვარ რეამინაციას წარმოადგენდნენ და მასში თანამედროვე გაგებით პოლიტიკური დასის (პარტიის) მქრქალი კონტურებიც ილანდება.

6. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის სოლომონ I-ის მიერ წარმოებულ ბრძოლას გარდუვალად მოჰყვა დიდი სოციალურ-პოლიტიკური „ამოძრავება“ ლიხთიმერეთის არისტოკრატიაში. ზოგი საგვარეულო აღზევდა, ზოგი პირიქით, დაქვეითდა იმის კვალობაზე, თუ როგორი პოზიციები ეკავათ მათ მეფის ხელისუფლებასთან მიმართებაში. ასეთი „ამოძრავების“ კლასიკურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ აბაშიძეთა დამცრობა მეფის მიერ, რასაც ადგილი ჰქონდა ხრესილის ბრძოლის შემდეგ (1757 წლის დეკემბერი). მოგვიანებით ანალოგიური ხვედრი გაიზიარა რაჭის საერისთაომაც. სამაგიეროდ, პოლიტიკურ სარბიელზე არნახულად დაწინაურდნენ სოლომონ I-ის მომხრე დიდებულები, განსაკუთრებით წერეთლები და წულუკიძეები.

7. მართალია, სოლომონ I იძულებული იყო უხვად ეწყალობებინა ყმა-მამული მისი მხარდამჭერი თავადებისათვის, მაგრამ, ამასთან, იგი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს და ცდილობდა ბალანსი არ დაერღვია მის საზიანოდ. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იგი ჯიუტად არ თმობდა სტარტეგიულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს და უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეებზე სახელმწიფო მფლობელობას ინარჩუნებდა. ამით სოლომონ I-მა გარკვეულწილად შეზღუდა მოკავშირეთა ამბიციები და მიაღწია იმას, რომ არნახული გაძლიერების მიუხედავად, საწერეთლო-საწულიკიძეო მისი მმართველობის

პერიოდში ყოველთვის წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების ერთგულ დასაყრდენს სახელმწიფოში.

8. სოლომონ I-ს კარგად ესმოდა ეკლესიის უდიდესი როლი სახელმწიფოში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებსა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. ამ მხრივ იგი ბაგრატ III ალექსანდრეს ძის (1510-1565წ.წ.) ღირსეული შთამომავალი გახლდათ. მეფემ გადაწყვიტა ეკლესია მხარში დაეყენებინა ისეთი უმწვავესი სოციალური პრობლემის მოწესრიგების საქმეში, როგორიც იყო „ტყვის სყიდვა“. ამ მიზნით მან 1759 წელს საგანგებოდ მოიწვია საეკლესიო ყრილობა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის პირობა დაადებინა ლიხთიმერეთის დიდებულებს. პირობის დამრღვევს ჯერ საეკლესიო შეჩვენება, განმეორების შემთხვევაში კი სიკვდილით დასჯა ელოდა.

მოგვიანებით, სოლომონ I-ის ინიციატივით 1776-1777 წლებში კათალიკოსმა მაქსიმემ საგანგებოდ მოიარა მთელი დასავლეთ საქართველო და კიდევ უფრო განამტკიცა „ტყვის სყიდვის“ წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოში.

ამ თვალსაზრისით სოლომონ I-ის საქმიანობა გარკვეულწილად ეხმიანება ერეკლე II-ის ღონისძიებას, რომელმაც 1765 წელს სპეციალური კანონი გამოსცა ტყვეობიდან თავდახსნილი ყმა-გლეხების სოციალური სტატუსის სამართლებრივი რეგულირების შესახებ.

ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში სასულიერო უწყების აქტიური ჩართვით სოლომონ I-მა განამყარა გავლენა ეკლესიაზე და განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლების გავლენა მთელ დასავლეთ საქართველოში.

9. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სოლომონ I-ის იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიმართული იყო ეკლესიის გავლენის აღდგენისა და მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. იმისათვის, რათა უზრუნველეყო ეკლესიის უპირობო მხარდაჭერა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სოლომონ I-მა არაერთი რადიკალური ღონისძიება განახორციელა ეკლესიის შელახული ინტერესების აღსადგენად. კერძოდ, მან კვლავ დაუბრუნა ეკლესიას საერო ფეოდალთაგან მიტაცებული ყმა-მამული: საეკლესიო ყმები გაათავისუფლა ზედმეტი გადასახადებისაგან და მოახდინა საეკლესიო გადასახადების უმკაცრესი ლიმიტირება. ერისკაცებს აუკრძალა მეფის დაუკითხავად ეკლესიის სამეურნეო საქმეებში ჩარევა. საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენა უღირსნი და ღირსეული პიროვნებები მოიწვია, ფართო

აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაატარა დროჟამისაგან და მტერთა შემოსევებისაგან განადგურებული ეკლესია-მონასტრების გადასარჩენად.

10. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში სოლომონ I წარმატებით იყენებდა საგარეო ფაქტორს, მაგ. ახალციხის ფაშას არა უანგარო დახმარებას თავადური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე პრიზმაში უნდა განვიხილოთ რაჭის საერისთაოს გაუქმებაც, რომელიც ისევ და ისევ საგარეო ფაქტორის (რუსული კორპუსის სავარაუდო ჩამოსვლა იმერეთში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით) მოხერხებული გამოყენებით გახდა შესაძლებელი 1769 წლის შემოდგომაზე. საგულისხმოა, რომ რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს სოლომონ I აქტიურად ცდილობდა რუსული კორპუსის დამრტყმელი ძალის გამოყენებას გურია-ოდიშის მთავართა წინააღმდეგ (ამ დროისათვის ისინი უკვე აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს), მაგრამ ამის გაკეთება ტოტლებენისა და სუხოტინის გამო მაშინ არ მოხერხდა. თუმცა, ეს ფაქტი ვერ ცვლის საერთო სურათს და კარგად გვიხატავს სოლომონ I-ის ტაქტიკას, რომელიც ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში საგარეო ფაქტორის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებაზე იყო ორიენტირებული.

11. სოლომონ I-ს კარგად ესმოდა, რომ დასავლეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ოსმალთა და ჯიქ-აფხაზთა შემოსევები. ყოველ ასეთ შემთხვევაში იგი, განურჩევლად იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა გურია-ოდიშის მთავრებთან, არ აყოვნებდა ლაშქრის გამოყენებას მათ დასახმარებლად. მეფის ასეთი პოლიტიკის თვალსაჩინო დასტურს წარმოადგენს რუხის ბრძოლა (1779 წელი), სადაც იმერეთის ჯარმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჯიქ-აფხაზთა განადგურებაში.

